კვირის პალიტრა

გზა

N39 (433) 2
8 ოქტო

1168
2008

„ეს ჩემი ბოლო ინტერვიუა...“

როგორ დაიჭრა ომში რეალური შოუს გამარჯვებული

„იურმალის“ კულუარებში ახსნილი სიყვარული და რუსული შოვინიზმი

მათი დამორჩილება ძნელია...

ირინა ონაშვილი საქართველოდან მიდის

ქართველის თვალით დანახული მოსკოვი აგვისტოს ომის დროს

ქართული კომპიუტერული თამაშის პირველი გამომგონებელი ბიჭი...

თურქეთში მცხოვრები ქართველი მილიონერი მოძღვრალი ქალი

ISSN 1987 - 502

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№39 (433)
25 სექტემბერი
- 1 ოქტომბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

88

■ მინიატიურები
„სიყვარული ვენახში — 2008“ ანუ სად წავიღოთ ამდენი ღვინო? 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ღმერთმა ომის ტკივილი არ გვაკმარა და ქართველებს ბუნებაც შემოგვწყრა...“ 6
■ პრობლემა
„რაც 90-იან წლებში ადგილობრივ ბრაკონიერებს გადაურჩა, ახლა ჩინელები ეზიდებიან...“ 7
■ SOS!
ვინ უშველის გადამწვარ ტყეს 9
■ მეომარი
როგორ დაიჭრა რეალური შოუს გამარჯვებული ომში 10
■ ჟურნალისტის როლში
არიან თუ არა ქართველი მოდელები ქარაფშუტები და ძნელად დასამორჩილებლები 12
■ ქვალი
„ახალ კრებულზე მთელმა ოჯახმა ვიმუშავეთ“... 14
■ კოლეგა
„იურმალის“ კულუარებში ახსნილი სიყვარული და რუსული შოვინიზმი 16
■ ქართველის თვალით
„პუტინთან და მედვედევთან ფოტო იმიტომ გადავილე, რომ ახლობლებისთვის მეჩვენებინა“... 18
■ ერუდიტი
„მერწყული მართავს რუსეთს, ლომი — საქართველოს“ 20
■ თემა
„როცა მამაკაცები ოჯახის რჩენას გვაიძულებენ“... 22
■ ადამიანი
„ჩემი ქმარი კარგი ხელოსანია, მაგრამ ზარმაცია“... 25



„უკვე მესამე ოლიმპიადაზე ჩავედი ველოსიპედით“

„ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა ემზარ ზენაიშვილმა მითხრა — საკრედიტაციო სიაში არ შეგვიყვანიხარ, მაგრამ რაღაც ბილეთებს გაგიხერხებო“.

68

„მერწყული მართავს რუსეთს, ლომი — საქართველოს“

„აგვისტოში მზის დაბნელება გადიოდა რუსეთზე და ამ ქვეყნის მმართველ ძალას ტვინი დაუბნელდა, რის შედეგადაც თავი საკუთარი ნებით გაყო ყულფში“.



20



მოწმე

გზის ვნილები

მარტივი რჩევები

35

დიდგორის ცაზე ფრენდა ის ხვარი

— რას ამბობ?! რა ესაქმებოდათ მულიდებს ჩემ სიახლოვეს?!

— რა ესაქმებოდათ?! — ბრაზი მოერია აბუბაქარს. — მაშ, საიდან გაჩნდა მათი ბრძანება და ხანჯალი სიმაგრის ალაყაფთან?! ჩვენი მზვერავები ყველა გზასა და ბილიკს უთვალთვალებენ. იმ დღეებში ბარიდან არავინ ამოსულა, წერილი და ხანჯალი კი მაინც გამოჩნდა!

78

■ თინეიჯერული პონტები
✓ გოგონები, რომლებიც „ბაკებახეული“ ვებერინარის გამო საქმეს ქურდულად არჩევდნენ 26
✓ „შენს შიშს ომი გამოუცხადე“ 28
■ ანტიდეპრესანტი 30
■ საპატარძლო
„მე მამაკაცის გაცნობის ჩემი საეცმეთოდი მაქვს“... 30
■ ემიგრანტი
თურქეთში მოღვაწე მილიონერი ქართველი მომღერალი და პრეზიდენტის სახელზე დაწერილი წერილი 32
■ ჯანმრთელობა
✓ მკითხველის შეკითხვები 33
✓ მედიცინის სიახლეები 33
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზაკვლილები 51
■ ქართველები
XIX საუკუნის მეცენატის გზა 67
■ მოგზაური
„უკვე მესამე ოლიმპიადაზე ჩავედი ველოსიპედით“ 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ რჩევები მათთვის, ვისაც შინ ტირანი მეუღლე ყავს 76
✓ 10 მითი სილამაზის შესახებ 77
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგძელება) 78
■ ვარსკვლავები 82
■ ადამიანი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება... „ის ყველას ბებია იყო“... 84
■ ხელმარჯვე ოსტატი
პირველი ქართული კომპიუტერული თამაში და პატარა ბიჭის დიდი ბიზნესგეგმები 85
■ ტაძარი
რას გვასწავლის და რისკენ მოგვიწოდებს მართლმადიდებელი ეკლესია ჯვართამაღლების საღღესასწაულო განდიდებით 86
■ ასპარეზი
კრიშტიანუ როლანდუსთვის ბურთი კვლავ სათამაშოა 88
■ დაიჯესტი 90
■ კრიმინალი
რატომ განირეს კაპიტანი მაღალჩინოსნებმა 91
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ქართველის თვალით



ლელიკო ნიკარაძე, მოსკოვში მცხოვრები ნათესავების მოსანახულებლად თბილისიდან ივლისის ბოლოს გაემგზავრა. დაახლოებით ერთი კვირაში კი შეიტყო, რომ მისი მასპინძელი ქვეყანა, საქართველოს ოკუპირებას ცდილობდა.

18

„როცა მამაკაცები ოჯახის რჩენას გვაიძულებენ...“

„ცხოვრებაში რაც მაკლდა და რაც არასდროს მქონია, აქ ენახე ყველაფერი – სითბო, სიყვარული, კომფორტი და ბედნიერება ინვალიდმა მამაკაცმა მაჩუქა. ჩემს ყოფილ ქმარს კი ეს ყველაფერი ჩემით უნდოდა, მოეპოვებინა“.

22

„ცელქობის გამო გემოზე მაუქნიდნენ ხოლმე“



„ჩემი თინეიჯერობა ძალიან ცუდ პერიოდს დაემთხვა – თბილისში ომი გახლდათ და თავი როგორ უნდა გამერთო? სად იყო მაშინ დისკოთეკა და ღამის კლუბი?! ჰო, ბიჭები მიზანში ვისროდით და ამით ვერთობოდით...“

26

მორიელის ნიშანი

თაკო ისევ დაჯდა.

– ბავშვები გყავთ?

– საბედნიეროდ, არა.

– რატომ, საბედნიეროდ?

– იმიტომ, რომ ისინიც დამავიწყდებოდა. ეს კი საშინელება იქნებოდა.

– მართალი ხართ, – დაეთანხმა მამაკაცი.

თაკოს ნაღვლიანი გაუხდა გამომეტყველება, თვალებზეც ცრემლი აუკიაფდა.

70

„სიყვარული ვენახში – 2008" ანუ სად წავილოთ ამდენი ღვინო?

დადგა ოქროსფერი შემოდგომა და ისევ გაგვახსენდა, რომ მევენახეობა სახელმწიფოს პრიორიტეტული დარგია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსავლის აღებასა და მის მომავალ ბედზე მარტო გლეხმა და მთავრობამ კი არა, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს. მოკლედ, საზრუნავი არ გველევა: არ მოვა მოსავალი და — ვაი, რა გვეშველება-თქო გავიძახით; უხვად მოისხამს ვენახი და — ვუი, სად წავიღოთ ამდენი ყურძენი-თქო. ბოლო-ბოლო, ამ ვენახმაც ვეღარ გაიგო, რა ქნას, მოისხას თუ არ მოისხას!..

რა თქმა უნდა, ისევ კარგი მოსავალი სჯობია, რადგან უხვსტუმრიანი ქვეყანა ვართ და ღვინო როცა გაქვს სახელმწიფოში, სტუმარს მწნილიც რომ გამოუტანო, არ შერცხვები. ასე ღვინით და მწნილით ვუმასპინძლეთ ნატოს სამიტს და შევრცხვით კი არა, ისე გამოთვრნენ სხეფერი და მისი დელეგაცია, რომ 27-ს ვეღარ ამბობდნენ და 26 + 1-ო, ლულლუღებდნენ... აბა, არ გვქონოდა ღვინო, ყავითა და ნამცხვრით ხომ ვერ გავისტუმრებდით იმ ხალხს?! ისე, არც ეგაა ცუდი აზრი: სხეფერი თურმე ყავაში იხედება გადასარევად და ყველაფერი იცის, რა გველოდება, მაგრამ იტყოდა?! რა თქმა უნდა, არა!.. ღვინომ კი ისე აუშალა საღერღელი, გვიანი იყო და თან საშინაოდ გვეცვა, თორემ უკვე მივყავდით ნატოში (ან ნატოსთან). მერე გააძრო „ბუმაჟნიკი" და რამდენიმე მილიონი ჩაგვიკუჭა ჯიბეში, ამით ბავშვებს რაიმე უყიდეთ ჩემს სახელზეო. აი, რატომაა მეღვინეობა ქვეყნის პრიორიტეტი!

ჰოდა, ახლაა ის დრო, დავამტკიცოთ ჩვენი პატრიოტიზმი და ყველანი კახეთს შევესიოთ. გადის კიდეც ეთერში რეკლამები, სადაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყველას რთველზე გვეპატიჟება. თქვენ კიდევ სახლებში სხედხართ და ჩემს პროვოკაციებს კითხულობთ?! სირცხვილი თქვენ!.. ახლა რომ გითხრათ, მეც ვენახში დავწერე ეს წერილი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ დავამთავრებ თუ არა, მოვალ. თქვენ დაიწყეთ უჩემოდ.

მთავრობაც გვერდით უდგას გლეხობას სეკატორით ხელში. პირდაპირი გაგებით არა, მაგრამ გაუყიდავი რომ არ დარჩება, ამაზე პასუხს აგებს: 25 თეთრს ღვინის ქარხანა უხდის და 15 თეთრსაც სახელმწიფო ბიუჯეტი უმატებს. ესეც — კაი 40 თეთრი. გლეხს ურჩევნია, თვითონ დაწუროს და ღვინოდ გაყიდოს, მაგრამ ჭურჭელი არ აქვს. გამოდის, რომ ახლა ღვინის ქარხნებს უფრო ვეხმარებით, ვიდრე გლეხებს და თუ გლეხის დახმარება გვინდა, მაშინ ჭურჭლით უნდა დავეხმაროთ...

თუმცა, ქარხანა უფრო კარგ ღვინოს არ დააყენებს?! აბა, გლეხმა რა იცის კარგი ღვინის დაყენება!.. თან ერთი ფაქტორია კიდევ: ქარხანა ღვინის რეალიზებაზე თვითონ ზრუნავს და გლეხმა რომ ვერ გაყიდოს, ესეც ჩვენი პრობლემაა. თუ ვერ გაყიდის, ადგება და დალევს და მთვრალი გლეხობა გვინდა ჩვენ? რას მოიმოქმედებს და ვის მისცემს ხმას არჩევნებში, არავინ იცის. ქარხნის დირექტორი კი არ დალევს, იცის, რა ღვინოც დააყენა და როგორ დალევს. ამიტომ შეეცდება, გაყიდოს! უუუუჰ, მეღვინეობის ეკონომიკაც თუ ასე კარგად ვიცოდი, არ მეგონა!..

ახლა შეეცდები, თვითონ რთველი დავაპიარო: ყურძნის მოსავლის აღება ძალიან სასიამოვნო და სასარგებლო საქმეა: სასარგებლოა იმიტომ, რომ კრეფისას თან ჭამ საუკეთესო მტევნებს და ორგანიზმი გლუკოზით იკვებება, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ლექციაზე არშესული და უზმოზე სიგარეტით ფილტვებამომწვარი სტუდენტებისთვის. ესეც არ იყოს, მასპინძელი კახელი გლეხი ისე არ შეირცხვენს თავს, წალამზე მწვადი არ დაატრიალოს. ამის მერე კი შენი ორგანიზმი მოძლიერდება და უფრო აიტანს მთელი სემესტრი იმ უყველო ხაჭაპურისა და უკარტოფილო ღვეზლის ჭამას, შენს ინსტიტუტთან რომ იყიდება....

მართალია, „ცოტა კი ტეხავს ვენახში გაეძრო გლეხუჭასავით, მარა რაღაც პონტში ეგ დვიჟენიაც ასწორებს". ხომ ხედავთ, არც ფილმ „სიყვარული ვენახში"-ს გმირებს უნდოდათ თავიდან, მაგრამ მერე კმაყოფილები დარჩნენ.

ჩვენი მთავრობის ამბავი კი ხომ იცით, ისეთ ღონისძიებებს დაგეგმავს შუა ვენახში, რომ იქიდან წამოსვლა აღარ მოგინდება. ქართველი მომღერლები ხომ მოდიან და დიდი მისიაც აკისრიათ: პირდაპირ ვენახში დასცხებენ სიმღერას და ყურადღება რომ სხვა რამეზე გადაიტანო, გამალებით იწყებ კრეფას. დაიცა, ჯერ სად ხარ: სილამაზის კონკურსი და „მის-ბიკინი" ხომ უკვე დაგეგმილია. როგორია, სულ 90-60-90 გოგოებითაა ვენახი სავსე; შენ ჟიურის წევრი ხარ და ირჩევ გამარჯვებულებს ნომინაციებში „მის-გოდორი", „მის შარმი და სეკატორი", „მის საწნახელი — 2008" და ა.შ. ფინალში გადიან „მის-საფერავი" და „მის-რქაწითელი"; გამარჯვებულს ენიჭება ტიტული „მის-ჭაჭა" და ეძლევა საგზური „ზავოდობაზე"...

არც სპორტული ღონისძიებების ნაკლებობა იქნება: ყურძნით სავსე გოდრების აწევა და სირბილი მარნამდე, ჭიდაობა საწნახელში და რა ვიცი, კიდევ რა... მოკლედ, შენ ერთობი და საქმეც კეთდება. ჰოდა, რაღას უზიხარ, მეც ვამთავრებ და სადარბაზოსთან გელოდები...

p.s. თინეიჯერების საუბარი:

— თაკო, სად იყავი, რო არ ჩანდი?

— სად ვიქნებოდი, დედაჩემის ქმარმა, მამაჩემმა რა, ანტალიაში წაგვრეკა. ამოვიდა ყელში! შენ სად იყავი, რა „რაზნიცები" გაქვს?

— სად და, პაპაჩემის ნაშამ — ბებიაჩემმა რა, კახეთში მიგვიწვია. იცი, რა დრო ვატარე? ყოველდღე მაგარი ტუსოვკები, ყურძენფართები... თათარა და რავი!.. მგონი, შეყვარებულიც ვარ.

— არ გამაგიჟო, ვინ არის?

— იქაური ტიპია, რეპერი ფირუზა...

პროვოკატორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთმა ომის ტკივილი არ გვაკმარა და ქართველებს ბუნებაც შემოგვწყრა...“

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების დიდ ნაწილს კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე რუსი ოკუპანტების თარეში მიაჩნია. ხალხის აზრით, რუსები ზღვარს გადავიდნენ და გათავხედდნენ. სწორედ ამის შედეგია, რომ მათ ქართველი პოლიციელები დახოცეს, ქართულ ოჯახებში კი ხან საქეიფოდ შედიან, ხან — ქალების გასაუპატიურებლად და მძევლების ასაყვანად...

ნათია ქივიძე

ლანა ჩერქეზიშვილი, *ეკონომისტი, 28 წლის:*

— ბოლო პერიოდში საქართველოში ისეთი დაძაბული მდგომარეობაა, ყველა მოვლენა მნიშვნელოვანია. ამბობენ, ომი დამთავრდაო. მე კი მგონია, რომ ახლა იწყება. როგორ არის დამთავრებული, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე, თამარაშენსა და ერედვში რუსები სამხედრო ბაზასა და აეროდრომს აშენებენ?! იქიდან ლტოლვილი მოსახლეობა კი იძულებულია, წეროვანსა და სხვა სოფლებში სამადლოდ იცხოვროს. გარდა ამისა, ზუგდიდში რუსები ქართველ პოლიციელებს თითქმის ყოველდღე კლავენ და ამას ჰქვია, ომი დამთავრდაო?! სააკაშვილი კი უკვე მეასედ შეხვდა კონდოლიზა რაისს და ყურებს გვიჭედავენ, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრესო. საუბარი უშველის ჩვენს გაჭირვებას?! რამე არ უნდა იღონონ? ახლა დიდიც და პატარაც ომზე ვლაპარაკობთ, მაგრამ მერე რა? ბავშვები ისე არიან შეშინებულები, თვითმფრინავი რომ გადაიფრენს, ჩემი 4 წლის შვილი სახლში გულგახეთქილი შემორბის, რუსები მოვიდნენო. ეს არის ცხოვრება? ბავშვებს ამ ასაკშივე დაუმახინჯდათ სულები...



ვასილ შარვაძე, *ფიზიკოსი, 63 წლის:*

— პირადად ჩემთვის ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი ის იყო, გარდაცვლილებს ვახტანგ გორგასლის ორდენები რომ მისცეს. საშინელება იყო, ზოგს პირველი ხარისხის ორდენი რომ შეხვდა და ზოგს — მეორე. ჯერ ერთი, გარდაცვლილებს ორდენები რაღად უნდათ? წაიყვანეს ცხინვალში, უმიზეზოდ დაახოცვინეს რუსებს. რას შეეწირნენ, კაცმა არ იცის. გასაგებია, რომ თვითონ იქ სამშობლოს სიყვარულის გამო იბრძოდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ სამშობლოს კი არა, ზოგიერთების ინტერესებს შეეწირნენ. ახლა ისინი მიწაში წვანან და ორდენები გაგვიცოცხლებს მათ თავებს?! გარდა ამისა, ყველასთვის ერთნაირი გმირობის მინიჭებაც არ ისურვეს. გარდაცვლილებიც კი ხარისხებად დააჯგუფეს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩვენმა ხელისუფლებამ აღარ იცის, რა გააკეთოს და ყოველდღე ერთმანეთზე უარეს სისულელეებს სჩადის...

ანა კაკულაშვილი, *დიასახლისი, 53 წლის:*

— ღმერთმა ომის ტკივილი არ გვაკმარა და ქართველებს ბუნებაც შემოგვწყრა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოში არსებული ძლიერი წვიმები და წყალდიდობებია. ქობულეთელებიც ძალიან შემეცოდნენ. ყველას გაუფუჭდა სახლები. არადა, მთელი წელი კაპიკს კაპიკზე ადებენ, ბინებს სეზონზე გასაქირავებლად ამზადებენ, ლუკმაპურის შოვნა რომ შეძლონ. მაგრამ კახელების მდგომარეობა უფრო განვიცადე. გლეხები მთელი წელი წელებზე ფეხს იდგამენ, მუშაობენ, სულ ვენახში არიან, რომ მერე მოსავალი აიღონ, მაგრამ რად გინდა? წვიმა და სეტყვა ყველაფერს უფუჭებს, მთელი წლის ნაწვალები წყალში ეყრებათ. ისედაც, რა ფასი ჰქონდა ყურძენს და ახლა გაფუჭებულ ყურძენში იმ ფასსაც აღარავინ გადაუხდის. ჩემი აზრით, ცოდვილი ერი ვართ. სხვაგვარად, ამდენ განსაცდელს ერთად ხომ არ მოგვივლენდა ღმერთი. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ლოცვა გადაგვარჩენს და დიდ დროს ეკლესიაში უნდა ვატარებდეთ, იქნებ რაიმე გვეშველოს...

ანდრო გაგნიძე, *ინჟინერი, 56 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ქართველებმა რუსების კიდევ ერთი უპილოტო თვითმფრინავი რომ ჩამოაგდეს. როგორ უნდა დავიჯეროთ მათი ნათქვამი, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო? სულ მათი თვითფრინავები არღვევენ ჩვენს საჰაერო სივრცეს და სულ მათი მხრიდან გვიხსნიან ცეცხლს. მედვედევი ისეთი ნაძირალაა, დოკუმენტს კი არა, საკუთარ სიკვდილს რომ მოაწეროს ხელი, მაინც იმას გააკეთებს, რაც სურს. ამიტომაც არის, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტაზე ხელი უკვე მოწერილი აქვს, მისმა ოკუპანტებმა ცეცხლი მაინც გაუხსნეს ქართველ პოლიციელებს და რამდენიმე მათგანი იმსხვერპლეს კიდეც. სწორედ მედვედევისა და პუტინის ბრალია, რუსი ჯარისკაცები ასე თავს გასულები რომ არიან. უბოდიშოდ შედიან ქართველი მოსახლეობის სახლებში და იქ ქეიფის წამოწყებასაც კი ბედავენ. ეს იმის მანიშნებელია, რომ რუსები ქართველებს არაფრად გვაგდებენ. თავიანთ მონებად მივაჩნივართ და მშიერ და საზიზღარ ჯარისკაცსაც კი აქვს ჩვენი დამცირების უფლება. ეს ყოველივე საკმაოდ აღმაშფოთებელია და ძალიან მინდა, სულ მალე რუსის ფეხი არ იყოს საქართველოში. მირჩევნია, ისევ ამერიკის მონა ვიყო, ვიდრე რუსეთის...

ქეთევან ლომაურიძე, *პედაგოგი, 42 წლის:*

— ძალზე აღმაშფოთა იმ ფაქტმა, რ ესებმა მესტია-წალენჯიხის გზაზე აქუბარდიების ოჯახი რომ ააწიოკეს. დედა იქვე გააუპატიურეს, შვილი კი მძევლად აიყვანეს. მათ თურმე კიდევ უამრავი ქართველი ტყვე ჰყავთ, რომელთა გამოსასყიდადაც საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვენ. ომის დაწყებაც და სხვა ყველაფერიც სულ ქართველების ბრალი რომ იყოს, ასეთ სისაძაგლეს მაინც ვერ დაგვწამებენ... ომში წასული არც ერთი ქართველი საღ გონებაზე არ დაბრუნებულა. ჩემი ახლობელი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმია და მან აღნიშნა, აივსო საავადმყოფო ომიდან დაბრუნებულებითო. სანყლებმა, ალბათ იქ ისეთ საშინელ სიტუაციებს უყურეს, ფსიქიკა შეერყათ...

■

„რაც 90-იან წლებში ადგილობრივ ბრაკონიერებს გადაურჩა, ახლა ჩინელები ეზიდებიან...“

ანუ რამდენად სანდოა ჩინელი ინვესტორი და ვინ აკონტროლებს მათ საქმიანობას

ბორჯომისა და ატენის ხეობების ტყეებში, რუსული აგრესიის შედეგად გაჩენილ ხანძარს ერი და ბერი ერთნაირად განიცდიდა და მთელი საქართველო ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეზე ალაპარაკდა... მიმდინარე ზაფხულს, სამეგრელოს ულამაზეს რაიონს, წალენჯიხას ვესტუმრე და იქიდან ემოციებით დატვირთული დავბრუნდი. რუსი ოკუპანტების გამოჩენით გამოწვეული აღშფოთება არ მქონდა განელებული, რომ სოფელ ჯგალის ცენტრში უზარმაზარი ხის მორებით დატვირთული მანქანები გამოჩნდნენ და ისე სწრაფად ჩაიქროლეს, მობილური ტელეფონით ფოტოს გადაღებაც ვერ მოვასწარი. ადგილობრივებმა სინანულით აღნიშნეს — წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტყეებს ჩინელები შეესივნენო. მათი თქმით, ხის მორებით დატვირთული მანქანები რაიონში იშვიათობას არ წარმოადგენს... ადგილობრივ მცხოვრებთა ინფორმაციით, ქართულ-ჩინური კომპანიის, „ჯორჯიან ვუდენ ენდ ინდასტრიალ დეველოფმენტ“-ის პირობების მიხედვით, ჩინელ ინვესტორებს ადგილობრივი მოსახლეობის 95% უნდა დაესაქმებინათ. თუმცა, მხოლოდ 50-მდე ადამიანს ამუშავებენ, თან მონურ პირობებში. აღნიშნულ კომპანიაში 500-მდე ჩინელი მუშაობს და მათი ყოველთვიური ანაზღაურება 500 ამერიკული დოლარია, ქართველი მუშახელის დღიური ხელფასი კი — 10 ლარი.

ლალი პაპასკირი

ნოდარ სამუშია, *წალენჯიხის რაიონი, სოფელი ლია:*

— ჩემი თვალით არ მინახავს, როგორ მუშაობდნენ შავკანიანი მონები პლანტაციებში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენზე უარესი პირობები არ ექნებოდათ. სოფელ ლიას ხის გადამამუშავებელ საწარმოში 7 თვე გაუსაძლის პირობებში ვიმუშავე. იმ ჯოჯოხეთში, ჩემნაირ გაჭირვებაში მყოფი, 50-მდე ადგილობრივი ადამიანი დილის 9-დან საღამოს 8 საათამდე თავაუღებლად მუშაობდა. შესვენება შუადღეს, ნახევარი საათი გვქონდა და ამ დროს ერთ ნაჭერ პურსა და ძეხვს გვაჭმევდნენ. რამდენჯერმე საგზალი სახლიდან წამოვიღეთ, მაგრამ გადაგვიყარეს, აქ ქეიფის დრო არ არის, ვისაც მუშაობის პირობები არ მოსწონს, წავიდესო. ერთ თვეზე მეტხანს ვერავინ ძლებდა. სამი შვილი მყავს, ოჯახში კი შემოსავლის წყარო მხოლოდ თხილი იყო. მასში აღებული თანხა კი ბავშვებისთვის წიგნების საყიდლადაც არ მყოფნიდა.

— თქვენ რისი გაკეთება გევალებოდათ?

— რამდენიმე კაცი მანქანიდან ხის მორებს ვტვირთავდით და სახერხ დაზგაზე ვალაგებდით. ასეთი ზომის ხეების გადაადგილება ამწეთი უნდა მოხდეს, მაგრამ გვითხრეს, მუშახელი უფრო იაფი ჯდებაო. იქ მომუშავე ადამიანების უმეტესობას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. მუშაობისას ჩინელი ზედამხედველი თავზე გვადგა და თუ შესვენებას დავპირებდით, შეურაცხყოფაზე გადადიოდა — რა ჯანდაბად გინდათ ეს ტყე, ფული თუ ვერ იშოვეთ? აქ რომ არ ჩამოქულიყავით, პაპუასებივით მოგიწევდათ ცხოვრება, ისე, როგორც ადრე ცხოვრობდითო... ერთმა ჩინელმა ჩემს თანამშრომელს შეაგინა, იმ ბიჭმა ვერ მოითმინა და სასტიკად სცემა. ციხეს გადაურჩა, მაგრამ ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

ოთარ პაჭკორია, *სოფელი მუხური:*

— ინვალიდი შვილი რომ არ მყავდეს, აქ რა ჯანდაბა გამაძლებინებს? მარტო ის გაგიხეთქავს გულს, ამხელა ხეებს რომ ჩეხენ. წელიწადზე მეტია, იქ ვმუშაობ და შესამოწმებლად მოსული გარემოს დაცვის ინსპექცია მე ჯერ არ მინახავს, ღამე თუ შემოდიან, არ ვიცი... ტყეში მოსახლეობას საერთოდ არ უშვებენ. რომელ ფიჩხის შეგროვებაზეა ლაპარაკი? ძირითადად წიწვოვან ხეებს — ნაძვს, ფიჭვსა და წიფელს ჭრიან. წაბლის მოჭრა აკრძალულია, მაგრამ როგორც ვხედები, ჩინელებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდება. ხეებს ჩხოროწყუში, დაბა ჯვარში, სოფელ მუხურის ტყეებსა და ხობისწყლის ხეობაში ჭრიან. გარემოს დაცვის საკითხებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ეს ხეები ნებისმიერ ჩვენგანს რომ მოეჭრა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემდნენ. ერთხელ ვიკითხე, ამხელა ხეების მოჭრის ნებართვა გაქვთ-მეთქი? ტყეს გამოხშირვა სჭირდებაო. კვირაში ერთხელ ვის გაუგია ტყის გამოხშირვა? რაც 90-იან წლებში ადგილობრივ ბრაკონიერებს გადაურჩა, ახლა ჩინელები ეზიდებიან... თუ მათი მუშაობით არავინ დაინტერესდა, რამდენიმე წლის შემდეგ ეკოლოგიური კატასფროფა არ აგვცდება.

ალექსანდრე ახვლედიანი, *სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე:*

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წალენჯიხის რაიონში, ტყის გარკვეული ფართობი ჩინელებზე 20-წლიანი იჯარითაა გაცემული. ზუსტად არ ვიცი, ტყის რა ფართობზეა ლაპარაკი, რა პუნქტები ჩაიდო ხელშეკრულებაში; რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ მხარეები. ეს ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროების კომპეტენციაა. ეს არის საინვესტიციო პროექტი და ჩინელები იქ ადგილობრივებსაც ამუშავებენ.

— როგორ ფიქრობთ, დაახ-

მხარდაჭერა ქართულ წარმოებას!!!

„ქვირის პალიტრის“ მედია სახლი ისევ თქვენს გვერდითაა

და საქართველოში შექმნილი ქართული პროგრამების გამო

გთავაზობთ უარეცენდენგო ფასდაკლებას ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე



რადიო „პალიტრაში“

FM 103.9

და დღეისათვის ყველაზე წარმატებულ ჟურნალებში

„გზა“ და „არსენალი“

ჰეკლამის ღირებულება — ფასდაკლება საბაზო ტარიფებიდან **-50%**

იოსებიძის 49

37-78-07; 38-78-70

ლოებით რამდენი ადგილობრივი მუშაობს იქ?

— ჩინელ ინვესტორებს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში აქვთ ხის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ჩემი ინფორმაციით, 100-120 ადამიანია დასაქმებული. გარდა ამისა, მუშახელი ტყეში სამუშაოდაც სჭირდებათ.

— ბატონო ალექსანდრე, თუ იცით, რა რაოდენობის ხის მოჭრა შეუძლია ინვესტორს ან ტყის აღწერა თუ მოხდა, ჩინელების შესვლამდე?

— როგორც გითხარით, მე ხელშეკრულების დეტალებს არ ვიცნობ, მაგრამ კანონით, საინვესტიციო დოკუმენტში ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს. ჩემი აზრით, ორმხრივ კონტრაქტში ასახული იქნება ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტია. არა მგონია, ამის გარეშე ქართულ მხარეს დოკუმენტისთვის ხელი მოეწერა.

კანონით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობების დასაზუსტებლად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მივმართე.

ინვალიდი შვილი რომ არ მყავდეს, აქ რა ჯანდაბა გამაძლებინებს? მარტო ის გაგიხეთქავს გულს, ამხელა ხეებს რომ ჩეხენ

გიორგი ცხაკაია, *ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე:*

— არავითარი 20-წლიანი იჯარა არ არსებობს, ეს აუქციონის ფორმით შესყიდული 20-წლიანი ლიცენზიაა და მასზე მიწის საკუთრების უფლება არ ვრცელდება. იგი მხოლოდ ხეტყის დამამზადებელი ლიცენზიაა, რომელიც ქართულ-ჩინურ კომპანიას 37860 ჰექტარზე კონკრეტული რაოდენობით მდგარი ხეტყის მოჭრის უფლებას აძლევს.

— მოსაჭრელად განკუთვნილი ხის რაოდენობა, ასაკი და ჯიში თუ არის განსაზღვრული?

— ეს უკვე სატყეო ტერმინოლოგიას განეკუთვნება, რაშიც ნაკლებად კომპეტენტური ვარ... ფიქსატორები აღრიცხავენ იმ ხეებს, რომელთა მოჭრაც შეიძლება, დამღავენ და შემდგომი გადამუშავებისთვის ჭრიან. საქართველოში დამკვიდრებული აზრი, რომ მეიჯარე კომპანიას შეუძლია, იქ მოსახლეობა არ შეუშვას და მერქნული და არამერქნული რესურსების მოხმარების უფლება არ მისცეს, არასწორია. სალიცენზიო პირობები მას პირდაპირ ავალდებულებს, ადგილობრივ მოსახლეობას ამ ფართობზე ფიჩხისა და სოკოს შეგროვება და „კემპინგი" არ შეუზღუდოს.

— ბატონო გიორგი, თუ ხორციელდება კონტროლი ამ ფართობზე ანუ რამდენად ასრულებს ჩინური კომპანია სალიცენზიო პირობებს?

— ეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენცია არ არის, ამას გარემოს დაცვის ეროვნული სამსახური ამოწმებს და როგორც მე ვიცი, საკმაოდ მკაცრად და ოპერატიულადაც. ჯერჯერობით ვინმეს პასუხისმგებლობის ან ლიცენზიის გაუქმების საკითხი არ დამდგარა და ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ-ჩინური კომპანია კანონის ფარგლებში მოქმედებს.

— ადგილობრივი მუშახელის დასაქმების პირობებს ქართული მხარე ადგენს?

— საერთოდ ლიცენზიის პირობები ძალიან საინტერესოა. აღნიშნული ლიცენზიის მფლობელი კომპანია ვალდებულია, სამუშაო ადგილების 95% ადგილობრივი მოსახლეობით შეავსოს. დანარჩენ პირობებს კი შრომის კოდექსი არეგულირებს. რაც შეეხება ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხს, როცა ტყის იმ ფართობს გარემოს დაცვის ინსპექცია ამოწმებს, ის კანონით გათვალისწინებულ ნორმებსაც აკონტროლებს. მეორე, ასევე ძალიან საინტერესო პირობა: კომპანია ვალდებულია, რომ პროდუქცია აწარმოოს საქართველოში, სადაც ადგილობრივი მოქალაქეები დასაქმდებიან. რაც შეეხება მართვას, აქ ჩართულია კიდევ ერთი — ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), რომელიც რამდენიმე ქვეყანას აერთიანებს და ჩვენთან აკრედიტებულმა ერთმა-ერთმა ორგანიზაციამ ყოველწლიურად უნდა წარმოადგინოს ეკოლოგიური დასკვნა იმის შესახებ, რამდენად აკმაყოფილებს მოცემულ სტანდარტებს. ეს არის თვითკონტროლის დამატებითი მექანიზმი. მე არ მჯერა, რომ საქართველოში შემოსული ინვესტორი რაიმე გადაცდომებით იმუშავებს... რაც შეეხება წითელ წიგნში შეტანილ ხის ჯიშების განადგურებას, მისი ფასეულობა იმდენად მაღალია, რომ დანაშაულის დადგენის შემდეგ, შესაძლოა საქმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდეც მივიდეს. რა რაოდენობით ძვირფასი ჯიშის ხე უნდა მოჭრან, რომ მოგება ნახონ, როცა იციან, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში, მილიონობით ინვესტიციის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგებიან.

ირაკლი ჯიშორია, *გარემოს დაცვის ინსპექციის ინსპექტირების სამსახურის უფროსი:*

— სალიცენზიო პირობები ითვალისწინებს შემოწმების ორ სახეობას: შემოწმებები რეგულარული ანგარიშგებით ანუ ინვესტორმა ყოველწლიური საქმიანობის ანგარიში უნდა წარმოგვიდგინოს და მეორე — ჩვენ გვევალება, ჩავიდეთ, ადგილზე შევამოწმოთ მათი საქმიანობა წელიწადში ერთხელ. ამ შემოწმების განხორციელებას უახლოეს მომავალში ვაპირებთ.

— კი, მაგრამ თუ ყოველწლიურად უნდა მომხდარიყო, 2007 წლის მაისის შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა...

— დიახ, მაგრამ სალიცენზიო პირობების მიხედვით, ტყის შემოწმების ორი ალტერნატიული გზა არსებობს და ერთდროულად ორივეს ჩატარება სავალდებულო არ არის. რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება, რომ მათი მუშაობა ორივე გზით შემოწმდეს ან წარმოდგენილი ანგარიშგებგმით დავკმაყოფილდეთ.

— ინვესტორმა თუ წარმოადგინა ანგარიშგებგმა ტყეში არსებული მდგომარეობის შესახებ?

— ინვესტორი ვალდებულია, აღნიშნული ანგარიშგებგმა რეგიონულ სამმართველოებში წარმოადგინოს. ჩინურმა მხარემ აღნიშნული დოკუმენტი ჯერ ჩვენთან, ცენტრალურ ბიუროში წარმოადგინა, ხოლო ჩვენგან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ბიუროში გადაიგზავნა. ჩემი ინფორმაციით, იქ დარღვევები არ ყოფილა.

რეზო გეთიაშვილი, *კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენელი:*

— საქმე ის არის, რომ ჩინელებს საქართველოდან ხეტყე ლეგალურად გაქვთ. პრობლემა მათში კი არა, ადგილობრივი კანონმდებლობის რეფორმაშია. რეფორმის მთავარი მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება იყო და არა — ქვეყნის მომავალზე გათვლილი მოგება. ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ ჩინელი ინვესტორის შესვლამდე ტყის აღწერა არ მომხდარა. უცხოელ ინვესტორზე გაიყიდა რესურსი, რომლის შესახებაც სახელმწიფოს ინფორმაცია არ ჰქონდა და 20-წლიანი ლიცენზია, 10 წლის წინ ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე გაიცა. ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების ჩამოყალიბება თვითონ ინვესტორს დაავალეს.

— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, გარემოს დაცვის სამინისტრო თუ ამოწმებს, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს წაყენებულ პირობებს ჩინელი ინვესტორი?

— გარემოს დაცვის სამინისტროს კი არა, ხელისუფლებასაც არ აქვს ინფორმაცია, როგორ მოქმედებს ჩინელი ინვესტორი. მეტიც, კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმიც არ გააჩნიათ. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ პირველადი ინფორმაცია არ აქვთ — რა ხდებოდა იქ ჩინელების შესვლამდე. მუხა მოჭრეს თუ არა, ამას ვერ გაიგებენ, რადგან არ იციან, საერთოდ იდგა თუ არა იქ მუხა... სალიცენზიო პირობების მიხედვით, ინვესტორს მართვის გეგმები 10 თვის ვადაში უნდა წარმოედგინა, სადაც ინვენტარიზაციის შედეგები იქნებოდა შეტანილი. ახლა ამბობენ, რომ წარმოადგინა, მაგრამ სინამდვილეში არაფერი წარმოუდგენია. ამიტომ, ეს ვადა წელიწად-ნახევრამდე გაუგრძელეს. ამ ხნის განმავლობაში როგორ მუშაობდნენ, იყო თუ არა დარღვევები, ამით არავინ დაინტერესებულა. ■

„ვაშინ, როცა საქმე უკვე დაწყებული უნდა იყოს, მხოლოდ ვლაპარაკობთ“

ვინ უშველის მაღამწვარ ტყეს

როცა მტერმა ჩვენს ტყეებს ცეცხლი წაუკიდა, ის მიზანი ჰქონდა, რომ ამ მიწიდან ავეყარეთ... თუმცა მას ხომ ყოველთვის ასეთი სურვილი *ამოძრავებდა?!* ის ანადგურებდა, ჩვენ აღვადგენდით... დღეს კი სიტუაცია სხვაგვარია, ზარალზე გაუთავებლად ვლაპარაკობთ, საქმეს კი რეალურად არ ვიწყებთ. რამდენიმე წლის წინ გადამწვარი 700 ჰექტარი აბასთუმნის ტყე, სწორედ დიდი ხმაურის შემდეგ ხრიოკად იქცა, რადგან შემზარავი ხანძრის შემდეგ იქითკენ აღარავის გაუხედავს... გამოცდილი მეტყევეები შიშობენ, რომ ბორჯომის ტყეებსაც იგივე ბედი არ ეწიოს... თუ ტყის რეალურად აღდგენა გვინდა, აზრი სწორედ მათ უნდა დავეკითხოთ... ალბათ გამოცდილ მეტყევეებზე უკეთ ვერავინ იტყვის, საკუთარ მიწაზე სად, როგორ და რა უნდა დარგონ და გააშენონ. ამ თემაზე საუბარი საქართველოს დამსახურებულ მეტყევეს, ლევან გოცირიძეს ვთხოვეთ. მან 52 წელიწადი მშობლიური ტყეების მოვლასა და გაშენებას შეალია...

ნანა რამიშვილი

— ბატონო ლევან, იქნებ გაიხსენოთ, ბორჯომის ტყეებში ხანძარი როგორ დაიწყო...

— ამის დავიწყება არ შეიძლება... ცეცხლი 15 აგვისტოს გაჩნდა წაღვერის მიმდებარე ტერიტორიაზე და მაშინვე დიდ ფართობზე გავრცელდა. პაპანაქება სიცხეს დაემატა წალკის რეგიონიდან მონაბერი ქარი და ცეცხლმა ტყის მასივების დიდი ნაწილი სწრაფად მოიცვა... ალბათ სიმბოლურია, რომ ადგილს, საიდანაც ცეცხლის პირველი ალი ავარდა — „რუსის ღელე“ ჰქვია... „რუსის ღელედან“ თორთის ხეობისკენ გადაინაცვლა. იქიდან სოფელ დაბანაღვარევში, დიდ ნაღვარევში, პატარა ნაღვარევში, დაბალში... ნაღვარევის აღკვეთილის უნიკალური სოჭნარ-ფიჭვნარი გაანადგურა და 15000 ჰექტარ ტყეს წაეკიდა ცეცხლი. ზარალი აუნაზღაურებელია. ქარის სიჩქარე ისეთი იყო, რომ ცეცხლი ზოგან ნახტომისებურად ვრცელდებოდა... უნდა გითხრათ, რომ ბორჯომის ტყეებისთვის ზოგადად ხანძრები უცხო არ არის — წიწვოვანი მცენარეები საერთოდ ხანძარსაშიშია და ცეცხლი სხვა დროსაც წაჰკიდებია, მაგრამ ვაქრობდით. თავის დროზე საქართველოში ყველგან დიდი ხანძარსაწინააღმდეგო მუშაობა იყო გაჩაღებული. ცეცხლის ჩაქრობას ხელს ტყის ხანძარსაწინააღმდეგო ზოლები უწყობდა, რომელიც განადგურებულია. ეს ტყეში გამავალი გადახნული გზები გახლავთ, რომელსაც მიადგებოდა ცეცხლი და ჩერდებოდა... გარდა ამისა, ყოველ სეზონზე ტყეში მუშაობდა უბნის უფროსი 5-6 ტყის მცველი და 2 მეხანძრე. ეს ხალხი ხანძარს შენიშნავდა თუ არა, ზომებსაც უმალვე იღებდა. ახლა კი წაღვერის გარშემო 3500 ჰექტარი ტყე ერთ რეინჯერს — ტყის მეველეს ჩააბარეს და ცხადია, მთელ ტყეს ის ვერ მოუვლის... ფაქტი ასეთია — 124 წლის განმავლობაში ბორჯომში ასეთი დიდი ხანძარი არ ყოფილა... ბორჯომის ტყის უდიდესი ხანძარი 1884 წელს იყო, როცა 15000 ჰექტარი გუჯარეთის საციციანოს ტყე დაიწვა. არსებობს მრავალი საბუთი იმისა, ტყის მაშინდელი მფლობელები თუ როგორი თავდადებით შეუდგნენ ამ ტყეების აღდგენას... ახლაც ასეთი თავდადებით არის ეს საქმე

დასაწყები... თუმცაღა, სამწუხაროდ, მაშინ, როცა საქმე უკვე დაწყებული უნდა იყოს, მხოლოდ ვლაპარაკობთ...

— სახელდობრ, რა უნდა გავაკეთოთ?

— პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ხანძარგამოვლილ ფართობებზე ხეტყის დამზადების ბრიგადები, ტყიდან ნამწვავი რომ გამოიზიდოს და აღდგენითი სამუშაო გაადვილდეს. ამ პროცესზე მკაცრი კონტროლის დაწესებაა საჭირო, რათა ხანძარს გადარჩენილი საღი ხეებიც არავინ მოჭრას... ასეთი ხეები უსათუოდ იქნება. მათ ტოტები უნდა შეეჭრათ და ადგილზევე დავტოვოთ. მერე კი აღდგენითი სამუშაო უნდა დაიწყოს... სასწრაფოდ სანერგე მეურნეობები უნდა აღდგეს. ჩვენისთანა ბუნებით მომადლებულ ქვეყანაში სანერგე რომ აღარ იქნება, ეს უბედურებაა... სანერგეები მთელ საქართველოში უნდა აღდგეს და განსაკუთრებულად სწრაფად — ბორჯომ-ბაკურიანის სანერგე. ამ სანერგეს 150-წლიანი ისტორია აქვს. ამ შემოდგომაზევე უნდა მომზადდეს ნიადაგი 2 ჰექტარი ბაკურიანისა და ციხისჯვრის სანერგეებისთვის. მომავალ გაზაფხულზევე უნდა ჩავთესოთ ჩვენი წიწვოვანი ტყეების თესლი. ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, წიფლისა და ნეკერჩხლის თესლი ჩვენს გადარჩენილ ტყეებში ოქტომბერ-დეკემბერშივე შეგროვდება... მაგრამ თესლის გამოსახდელებიც არ გვაქვს. ეს დიდ გასაჭირს არ შექმნის, ვინაიდან ჩვენში, საბედნიეროდ ჯერ კიდევ მოიძებნებიან მეტყევეები, რომელთაც ამის გამოცდილება აქვთ...

— ნერგით ტყის ხელოვნური განახლება შეიძლება. ბუნებრივზე რას იტყვით?

— ბუნებრივსაც დასჭირდება ადამიანის ხელი... როდესაც კომისია შეიქმნება ზარალის დასადგენად, მანვე უნდა გამოთვალოს, სად ჩატარდეს აღდგენითი სამუშაოები — სად შეიძლება ბაქნები და ტერასები გაკეთდეს, სადაც ნერგს ჩავრგავთ ან თესლს დავთესავთ, სად თავად ამოვა... ჯიშებიც შესარჩევია, სად, რა დაირგოს... საკურორტო ტყეებში მთავარი ფიჭვი უნდა იყოს, ის საუკეთესო საკურორტო მცენარეა და ნაძვთან კონკურენციაში დროთა განმავლობაში ილუპება, ამიტომ მას მფარველობა სჭირდება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაძვი, წიფელი, მუხა, იფანი და ნეკერჩხალი ან სხვა წიწვოვანები არ დავრგოთ... უნდა გითხრათ ისიც, რომ ნახანძრალ ადგილებში თავიდან იაფხარისხიანი მერქნიანი ჯიშები მდგნარი და ვერხვი ამოვა. მერე ფეხს მოიკიდებს მყვალ-ბარდიანი მცენარეები, რაც ტყის გაზრდას ხელს შეუშლის და ისინი შესაცვლელი იქნება ძვირფასი წიწვოვანი ხეებით...

— ჩემი აზრით, ასეთ საქმეებზე თქვენისთანა გამოცდილმა ხალხმა უნდა იმუშაოს — ვინც იცის, ტყე რა არის...

— 52 წელიწადი ვმუშაობდი ბორჯომხარაგაულის ტყეების შექმნაზე და თუკი ჩემს გამოცდილებას ვინმე ამ უბედურების დროს გამოიყენებს, სიხარულით დავეხმარები. საერთოდ კი მგონია, რომ ჩვენთან ადგილზევე უნდა შეირჩეს ის ხალხი, რომელიც ჩვენს დამწვარ-გაუბედურებულ ტყეებს უშველის... ტყის მეურნეობის წარმოებასა და ტყით ნაგებობის საკითხებს ისედაც ძალზე ცუდად აქვს საქმე... მუნჯის ენა დედამ იცისო. დაგვერწმუნეთ, ბორჯომს ბორჯომელ კაცზე მეტად ვერავინ უშველის. ის ტკივილი, რასაც ჩვენი გადაბუგული ტყეების ყურება გვაყენებს, ისევ ჩვენი მოვლითა და თავგანწირვით უნდა დავიამოთ... ■

„ომში წასვლა და სამშობლოს დაცვა ჯარისკაცის მოვალეობაა. დღესაც რომ დასჭირდეს სამშობლოს ჩემი თავი, ულაპარაკოდ ავიღებ იარაღს და წავალ ბრძოლის ველზე“, — ამბობს რელური შოუს „ყაზარმა“ გამარჯვებული ლევან გავაშელი...

ლევანი პირველსავე დღიდან ბრძოლის ველზე იყო და ცხინვალის მისადგომებთან რუსი აგრესორებისაგან იცავდა საკუთარ სამშობლოს, დღეს იგი გორის სამხედრო ჰოსპიტალში წევს და ომში მიყენებულ იარღებს იშუშებს. მას ტყვია თავში აქვს მოხვედრილი, რამაც მარცხენა ფეხის პარალიზება გამოიწვია. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა პირვანდელთან შედარებით ცოტათი გაუმჯობესებულია, მაგრამ სრულ გამოჯანმრთელებას დრო სჭირდება...

„ეს ჩემი ბოლო ინტერვიუა“

როგორ დაიჭრა რეალური შოუს გამარჯვებული ომში

თამუნა პეტრიაშვილი

— ლევან, როგორ გრძნობ თავს?

— ახლა უკვე კარგად, პირველ დღეებში უფრო მძიმედ ვიყავი. თავში ვარ დაჭრილი, რამაც მარცხენა ფეხის პარალიზება გამოიწვია. თუმცა ნელ-ნელა უკეთესობისაკენ მიდის ჩემი მდგომარეობა, წუწუნი ჯარისკაცს არ შეეფერის. რაც მთავარია, ცოცხალი ვარ და ცოცხალ ადამიანს არაფერი გაუჭირდება. ღმერთმა დაგვიფაროს და დღესაც რომ დასჭირდეს ჩემს სამშობლოს დაცვა, ამ მდგომარეობაში მყოფი ავიღებ ხელში იარაღს და კვლავ ომში წავალ.

— როგორც გავიგე, საზღვარგარეთ გიშვებენ სამკურნალოდ...

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი, რადგან ჯერ არ არის გადაწყვეტილი, წავალ თუ არა.

— როგორც ვიცი, შენ პირველსავე დღიდან წინა ხაზზე იბრძოდი. მოდი, გაიხსენე ის დღეები.

— ცხინვალის მისადგომებთან გავნაწილდით და დავიწყეთ შეტევა. ზუსტად სად ვიყავი, ამის თქმის უფლება არ მაქვს. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, სანამ რუსებმა საჰაერო ძალებით არ შემოგვიტიეს. მერე უკვე გაძნელდა ბრძოლა, სიტუაციაც ძალზე დაიძაბა. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ქართველმა ჯარისკაცებმა ძალიან დიდი სიმამაცე და შეუპოვრობა აჩვენეს მტერს, თითოეული ჩვენგანი ვაუკაცურად იბრძოდა.

— ჯარისკაცობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი?

— ბავშვობიდან არა, მაგრამ როცა წამოვიზარდე, ჯარისკაცობის სურვილი გამიჩნდა, შემდეგ იყო პროექტი „ყაზარმა“. საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა მომცა იმის საშუალება, რომ ჩემი ოცნებისთვის ფრთა შემესხა და ქართულ ჯარში ჩამრიცხა.

— ჯარისკაცი რომ არ ყოფილიყავი, ამ ყოველივეს გადატანა არ მოგიხდებოდა. ამაზე ბრძოლის ველზე ყოფნისას არ გიფიქრია?

— არც ერთი წამით არ მიფიქრია ამაზე, პირიქით, ვამაყობდი, ჩემი სამშობლოს დასაცავად რომ ვიბრძოდი.

— ტყვიით ხარ დაჭრილი?

— სნაიპერმა ამომიღო მიზანში და მესროლა. ბრძოლის ველიდან ჩემმა უახლოესმა მეგობარმა გამომიყვანა, რომელიც მას შემდეგ აღარ მინახავს.

— ყაზარმელები თუ იბრძოდნენ?

— კახა ყავლაშვილი იბრძოდა ჩემ გვერდით.

— ომმა შენი მეგობრები თუ შეიწირა?

— ბევრი ჩემი მეგობარი იყო ბრძოლის ველზე, საბედნიეროდ ყველა კარგად არის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვიცნობდი თუ არა, თითოეული მათგანი ძმად მიმაჩნდა და მათი ტკივილი, ჩემი ტკივილი იყო. ისინი გმირულად დაიღუპნენ და ასეთი სიკვდილისათვის არც ჩემი ცხოვრება მენანება. ეს არ იყო ფუჭი ბრძოლა, რადგან ბრძოლას, რომელსაც ერთი ქართველის სიცოცხლე მაინც შეეწირება, არ შეიძლება ფუჭი უწოდო. მე არ მაქვს უფლება, ვილაპარაკო, ვინ მეტად იყო ამ ომში დამნაშავე და ვინ — ნაკლებად, მაგრამ ჩვენ ჩვენი სამშობლოს დასაცავად გავაკეთეთ ეს ყველაფერი და კიდევ იმისათვის, რომ ჩვენმა შვილებმა მშვიდ ქვეყანაში იცხოვრონ.

— სიკვდილის არ გეშინოდა?

— სიკვდილის რომ არ გეშინოდეს, გიჟი უნდა იყო, თუმცა იქ ამაზე საფიქრალი დრო ნამდვილად არ გაქვს. ჩემი ახლობლები ამ ყველაფერს მაშინ შეეგუვნენ, როდესაც ჩემი არჩევანი მიიღეს, არც ერთი ჯარისკაცის ოჯახი არ არის დაზღვეული, რომ ერთ დღეს თავდაცვის სამინისტროდან არ მიუვათ

როცა წამოვიზარდე, ჯარისკაცობის სურვილი გამიჩნდა

ყველა ჯარისკაცი ერთია...

დეპეშა — „ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ... გარდაცვალების გამო“. ღმერთმა ყველა დაიფაროს ამის მოსმენისაგან, მაგრამ ყველაფერი ხდება. ჯარისკაცობა არის ჩემი პროფესია და როგორც მასწავლებელი მიდის სკოლაში გაკვეთილის ჩასატარებლად, ისე უნდა წავიდეს მებრძოლი ომში.

— ლევან, „ყაზარმაში“ მიღებული გამოცდილება თუ გამოგადგა ბრძოლის ველზე?

— „ყაზარმაში“ მიღებული გამოცდილება გამომადგა, თუმცა სწავლებასა და ომს შორის ძალზე დიდი განსხვავებაა. ამ პროექტმა მე ფსიქოლოგიური მდგრადობა და პიროვნული სიძლიერე შემძინა.

— ეს ყველაფერი დიდხანს დარჩება შენს მეხსიერებაში. რა განცდა გეუფლება, როდესაც ამ თემაზე საუბრობ?

— ამაყი ვარ, როგორც ჯარისკაცი, ცოტა არ იყოს, უემოციო გავხდი, თუმცა, არასდროს დამავიწყდება ის დღეები, არასდროს დამავიწყდება, როგორ მეძინა ტყვიების ზუზუნში ოთხი ღამის უძინარს. რუსებს, მართალია, დიდი ზარალი მივაყენეთ, მაგრამ უფრო მეტიც შეიძლებოდა.

— რუსი ჯარისკაცი თუ შეგხვედრია პირისპირ?

— არა, თუმცა ძალიან მინდოდა, სადმე გადავყროდი.

— რას უზამდი?

— გააჩნია, რა მდგომარეობაში შემხვდებოდა. თუ იარაღს დაყრიდა და ხელებაწეული ჩამბარდებოდა, არ ვესროდი. ისე, ახლა ვამბობ ამას, თორემ იქ შეიძლება სხვანაირად გვემოქმედა ყველას, ისეთი გამწარებულები ვიყავით.

— ის, რომ „ყაზარმელი“ ხარ, სხვა ჯარისკაცებისგან რით გამოგარჩევს?

— არაფრით, ყველა ჯარისკაცი ერთია... ალბათ მხოლოდ იმით, რომ მიმღებში მოდიან და ხშირად მკითხულობენ ჟურნალისტები. ომმა არ იცის „ყაზარმა“ და რეალური შოუ, ომში ყველა ერთ სიმაღლეზე დგას. მინდა სიმართლე გითხრათ, ეს არის ჩემი ბოლო ინტერვიუ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნამ ცოტათი დამღალა. მეც ერთი, ჩვეულებრივი, რიგითი ჯარისკაცი ვარ.

— ლევან, როდესაც აქედან გახვალ, რას გააკეთებ?

— მივალ მაღაზიაში და დავლევ ლუდს (*იცინის*). პირველ რიგში, ვნახავ მამიდას, რომელიც ძალიან მენატრება და მერე აუცილებლად წავალ რაჭაში, წელს ვერ მოვახერხე ჩასვლა და ვიცი, იქ ყველა მოუთმენლად მელოდება. ■

სოფო ჭონიშვილი

არიან თუ არა ქართველი მოდელები ქარაფშუტები

ჟურნალისტი – ირინა ონაშვილი
რესპონდენტი – თიკო ნატროშვილი

რუბრიკის სტუმრები ცნობილი სახეები, სამოდელო სააგენტო — „ნატალის“ მოდელები — ირინა ონაშვილი და თიკო ნატროშვილი არიან. ამ ორი მომხიბვლელი ქალბატონისთვის, ჟურნალისტის როლის მორგება, მათი საქმიანობიდან გამომდინარე (ისინი ერთ-ერთ ჟურნალში მუშაობენ; ერთი რედაქტორია, მეორე — ჟურნალისტი), რთული არ ყოფილა. მათ გულღიად ისაუბრეს თავიანთ საქმიანობაზე, მომავალ გეგმებზე, მიღწეულ წარმატებებსა და ზოგადად, ძლიერი სქესის წარმომადგენლებზეც–

— თიკო, როგორ ხარ, ინტერვიუზე რატომ დაიგვიანე (*იცინის*)?

— სამსახურში ანუ რადიო „ფორტუნაში“ ვიყავი და გადაცემა მიმყავდა. ამიტომ, ცოტა დავიგვიანე, იმედია, მაპატიებთ.

— ვიცი, რომ საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმი გაქვს. გარდა იმისა, რომ რადიოში საკუთარი გადაცემა გაქვს, მუშაობ იმ ჟურნალში, რომლის რედაქტორიც მე გახლავარ. გამოდიხარ ჩვენებებზე, სწავლობ „ჯიპაში“. ამდენ საქმეს თავს როგორ ართმევ?

— საკუთარ თავს ფიგარო ვუწოდე. ახლობლები მეხუმრებიან — ყველგან შენ როგორ უნდა იყოო. სულ გადარბენაზე ვარ. სამსახურში საკუთარი გარდერობიც კი მაქვს, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად ჩავიცვა. ხშირად ჩანთაში „ტაპკებიც“ მიდევს. ყოფილა შემთხვევა, რომ ფეხსაცმელი სადარბაზოში გამომიცვლია...

— უკვე აღვნიშნე, რომ ჟურნალში ერთად ვმუშაობთ; რა შეგიძლია ამ სამსახურზე თქვა?

— ირინა, ჩემი ამ ჟურნალში მოხვედრა, პირადად შენი დამსახურებაა, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რეკომენდაცია იმიტომ არ გაგიწევია, ერთმანეთს კარგად რომ ვიცნობთ; დამეთანხმები ალბათ, რომ ჩვენი დაახლოება უკვე თანამშრომლობის პერიოდში მოხდა.

— შეგიძლია მითხრა, როგორი უფროსი ვარ (*იცინის*)?

— კარგად იცი, რომ მლიქვნელი ადამიანი არა ვარ და ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. როცა იგებენ, რომ ამ ჟურნალის რედაქტორი ხარ, უკვირთ — ირინა, რედაქტორიო?! მიმაჩნია, რომ შენ კარგი შემსრულებელი ხარ. იმას, რაც გევალება, პასუხისმგებლობით ეკიდები. რაც შეეხება თანამშრომლებთან ურთიერთობას, მკაცრი ნამდვილად არ ხარ (*იცინის*).

მარგო რატომ ვარ, არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ არავინ მიყვარს

და ძველად დასამორჩილებლები

— მიმაჩნია, რომ შენნაირი სიმპათიური გოგონა ეკრანზე უნდა ჩანდეს. ტელევიზიაში მუშაობა არ გიცდია?

— გმადლობ, კომპლიმენტისთვის. დღეს ჟურნალისტების უმეტესობა ტელევიზიაში მოხვედრაზე ოცნებობს. ტელევიზიაში მუშაობა ჩემი ოცნება ნამდვილად არ არის. წერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს; ჩემთვის ეს საქმიანობა აზარტულია. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიაში აღმოვჩნდე. რაღაც სერიოზულ პროექტზე ვფიქრობ, რომელიც ქართულ ტელესივრცეში ახალი და საინტერესო იქნება. ცოტა რთულია, 21-ე საუკუნეში, საზოგადოება რამით გააკვირვო, მაგრამ ვეცდები, მაყურებელს ხარისხიანი პროდუქცია შევთავაზო. სამწუხაროდ, ამ პროექტზე სამუშაოდ ჯერ დრო არ მაქვს, როგორც კი სწავლას დავასრულებ, ამ საქმეს სერიოზულად ჩავუჯდები. ვნახოთ, რა გამოვა. გარკვეული პატარა მონახაზები უკვე გაკეთებული მაქვს.

— ასეთი კეთილი, ნიჭიერი, საქმიანი და ლამაზი ქალი მარტო რატომ ხარ?

— რთული კითხვა დამისვი (*იცინის*). მარტო რატომ ვარ, არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ არავინ მიყვარს. საერთოდ, თანამედროვე გარემოში პარტნიორის პოვნა რთული არ არის, მაგრამ არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, ვისაც ზედაპირული ურთიერთობები აკმაყოფილებს. ამბიციურ ნათქვამად არ ჩამითვალო, მაგრამ ვიღაც განსხვავებულსა და განსაკუთრებულს ვეძებ.

— არ გაშინებ, მაგრამ ასეთის მოძებნა ძალიან გაგიჭირდება (*იცინის*).

— ვიცი, რომ გამიჭირდება, მაგრამ...

— მამაკაცის შეფასებისას, ყველაზე მეტად რაზე ამახვილებ ყურადღებას?

— როგორი კარგიც უნდა იყოს მამაკაცი, თუ ის ჭკუა-გონებით არ გამოირჩევა, ჩემს სიმპათიას ვერ დაიმსახურებს. მიმაჩნია, რომ მამაკაცი ძლიერი უნდა იყოს, სიძლიერეში კარგ დამრტყმელს არ ვგულისხმობ. მისი სიძლიერე მის გონებრივ შესაძლებლობებში უნდა გამოვლინდეს (მიმაჩნია, რომ დღეს ამის სერიოზული დეფიციტია). ჩემი მეუღლე გონებრივად ჩემზე აღმატებული უნდა იყოს. ამ საკითხზე ფიქრი ცოტა გვიან დავიწყე... შეიძლება, პრეტენზიულიც ვარ.

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის. როცა ვიღაც მოგწონს, გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს ხვდები, რომ ის ადამიანი ან გიყვარს, ან — არა. აქ კი კითხვა — რატომ? უკვე ზედმეტია. მამაკაცების უმეტესობა გარეგნულად ძალიან ლამაზად „შეფუთულია“. როცა გაიცნობ და მათ შინაგან სამყაროს კარგად ჩასწვდები, ხვდები, რომ ეს ის არ

არის, ვინც გინდა. ამის მერე უკვე ყველაფერზე გული გიცრუვდება.

— თაყვანისმცემლებზე რას იტყვი?

— ჩემს ცხოვრებაში თაყვანისმცემლები მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ. „თაყვანისმცემლების ინსტიტუტს“ საერთოდ არ ვცნობ. როგორც ყველა ქალს, ყურადღების ცენტრში ყოფნა ძალიან მიყვარს, რაც ნამდვილად არ მაკლია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ასეთი დამოკიდებულებები არ მიზიდავს. რაღაც მომენტში, მათი ყურადღება მაღიზიანებს კიდეც. ყოველთვის ვერიდები ისეთ ადამიანთან ურთიერთობას, რომელთანაც ჩემს მომავალს არ ვგეგმავ, რა თქმა უნდა, მამაკაცს ვგულისხმობ (*იცინის*).

— გეთანხმები. თითქოს არაფერს გიშავებენ, შენ მიმართ კარგად არიან განწყობილები; ამიტომ, არ გაქვს უფლება, რომ ეუხეშო. თუმცა არსებობს გოგონების კატეგორია, რომლებიც თაყვანისმცემლებს, სათავისოდ მშვენივრად იყენებენ. ჩვენ ამ გოგოების კატეგორიას არ მივეკუთვნებით. ასე არ არის? მოდი, თემას შევცვლი. პარიზიდან რაიმე შემოთავაზება ხომ არ მიგიღია?

— შემოთავაზება მქონდა, მაგრამ იმ პერიოდში იქ დარჩენა და საქმიანობის გაგრძელება, გარკვეული პრობლემების გამო ვერ შევძელი.

ჟურნალისტი – თიკო ნატროშვილი
რესპონდენტი – ირინა ონაშვილი

— ირინა, მინდა მთავარი სიახლით დავიწყო. ვიცი, რომ ფოტოსესიაზე მუშაობ, მილანში გასამგზავრებლად ემზადები; მომიყევი ამის შესახებ.

— სამწუხაროდ, საქართველოში სამოდელო ბიზნესი ისე არ არის განვითარებული, რომ პორტფოლიოს ყოველწლიურად ვაახლებდეთ ისე, როგორც ეს საზღვარგარეთ ხდება. პორტფოლიოზე მუშაობა იმიტომ დავაჩქარე, რომ მილანიდან შემოთავაზება მივიღე. არის ასეთი სამოდელო სააგენტო — „ჯასტ მოდელი“, რომლის იტალიელი წარმომადგენელი საქართველში იყო ჩამოსული. მან სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ რამდენიმე გოგო აგვირჩია. ამ ეტაპზე წასასვლელად ვემზადები.

— დაახლოებით თუ იცი, როდის უნდა გაემგზავრო?

— კონკრეტული რიცხვი ჯერ არ ვიცი, თუმცა ოქტომბერში აუცილებლად გავემგზავრები.

— ერთწლიანი კონტრაქტია?

— ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება ყველა უცხოურ სამოდელო სააგენტოს უჭირს, რადგან მათ არ იციან, რა შესაძლებლობები გაქვს და რამდენად კარგად გაართმევ თავს შენზე დაკისრებული მოვალეობას. ჯერჯერობით 3-თვიანი კონტრაქტით მივდივარ. საკმაოდ ცნობილი სააგენტოა. რამდენადაც ვიცი, ამ სააგენტოში 3 ქართველი გოგონაც მუშაობს. ისინი თიკო ჩხეიძემ გაუშვა. მოდელობა დიდ ენერგიას მოითხოვს, ფოტოსესიის დროს ძალიან ვიღლები. დედაჩემს უკვირს — ფოტოკამერის წინ პოზირებ, რა გღლისო? სწორედ ეს პოზირებაა დამღლელი, მით უმეტეს, როცა 3 ფოტოგრაფი გიღებს.

— მჯერა, რომ წარმატებას მიაღწევ, რადგან შენ ყველაფერი გაქვს იმისთვის, რომ წარმატებული მოდელი იყო.

— დიდი მადლობა, ხშირად ქალებს უჭირთ იმის აღიარება, რომ ვიღაც ძალიან ლამაზია... მილანი ჩემი ოცნება და მიზანი არ იყო.

— რატომ?

— საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მოულოდნელად ხდება. მოდელობის გაგრძელებას აღარ ვაპირებდი. ჩვენებებში იშვიათად მონაწილეობდი. შესაბამისად,



კასტინგზეც სასხვათაშორისოდ მივედი. მეგონა, მეტყოდნენ — სტანდარტებში არ ჯდები, ძალიან მაღალი ხარო... უამრავ შემოთავაზებაზე მითქვამს უარი, კონტრაქტი ხელში მჭერია და გვერდზე გადამიდვია.

— ჟურნალის რედაქტორის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— უკვე ერთი წელია, ამ საქმეს ვემსახურები. მგონი, ყველაფერს კარგად მოვერგე და ისე ვმუშაობ, როგორც საჭიროა.

— რა პროფესიის ხარ?

— იურიდიული განათლება მაქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ჟურნალისტი არ ვარ, ეს საქმიანობა ძალიან შემიყვარდა და რასაც ვაკეთებ, მსიამოვნებს.

— ახლა ვფიქრობდი, რომ ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს: სამოდელო საქმიანობა, ჟურნალისტიკა და რაც მთავარია, ცხოვრებაში მარტოობა (*იცინის*). შენს დასმულ კითხვას გიბრუნებ. მარტო რატომ ხარ?

— მამაკაცებისადმი მწყრალად ვარ განწყობილი. მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხშირად მეუბნებიან, რომ რთული ხასიათი მაქვს. თუმცა ამას შეურაცხყოფად არ აღვიქვამ. უფრო მეტიც, მიხარია, ამას რომ მეუბნებიან. რომ მითხრან — მსუბუქი ხასიათი გაქვსო, ეს ხომ იმას ნიშნავს, ქარაფშუტა ხარო, იგულისხმონ (*იცინის*). ერთადერთი, რაც საკუთარ თავში მომწონს, ის არის, რომ სამართლიანი ადამიანი ვარ.

— მამაკაცებს შენთან ურთიერთობის კომპლექსი ხომ არ აქვთ?

— ვერ გეტყვი, შეიძლება. საერთოდ, მამაკაცებს ადვილად დასამორჩილებელი ქალები მოსწონთ. აქვე ვაღიარებ იმას, რომ სიყვარული შემიძლია, ხშირად ისიც კი მითქვამს, რომ საყვარელი ადამიანის გამო, კარიერასაც დავთმობ-მეთქი. უკვე ასე ვაზროვნებ. რამდენიმე წლის წინ, სხვანაირად ვფიქრობდი. საკუთარ კარიერაზე უარის თქმა ვერ წარმომედგინა. იმიტომ კი არა, თითქოს მეშინია იმის, რომ ჩემს ცხოვრებაში აღარავინ გამოჩნდება; ისე უბრალოდ, მიმაჩნია, რომ თუკი საყვარელი ადამიანი მთხოვს და დამარწმუნებს, რომ ეს არ არის მისი კაპრიზი, შემიძლია, გავუგო.

— როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს, ის ყველაფერს გივსებს. მეთანხმები?

— 100%-ით. რაც მთავარია, მამაკაცმა ჩარჩოში არ უნდა ჩამსვას და მითითებით არ უნდა მაცხოვროს. კარიერაზე მაღლა ოჯახს და სიყვარულს ვაყენებ. ბევრი კარიერისტი ადამიანი მინახავს, რომელიც ბოლოს, სიმარტოვესა და ეულობას უჩივის. ამ ყველაფერზე უარი ვის გამო შეიძლება ვთქვა, ჯერჯერობით, არ ვიცი (*იცინის*).

— პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებებს გისურვებ.

— გმადლობ. შენც ამავეს გისურვებ. ■

„ახალ კრებულზე მთელმა ოჯახმა ვიმუშავეთ“...

ადამიანის გახსენება...

„მე არასოდეს დამავიწყდება იოსები, ჩვენ შეხვედრისთანავე დავმეგობრდით. ნორთამბერლენის ქუჩის კუთხეს ნოუკასლში, სადაც ჩვენი გზები გადაიკვეთა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან სწორედ იქ შეყოვნდა ერთ წამს იოსები, მერე გადამეხვია, გაკვირვებულ და მოღიმარ ინგლისელთა თვალწინ! ინგლისელებს არ უყვართ თავისი გრძნობების დემონსტრირება, მაგრამ იოსებმა საკუთარი წესი მასწავლა და მეც მივდევ ამ წესს. იგი დარჩება ჩვენს გულებში, სანამ ჩვენი გულები სიყვარულით ფეთქავს“ — ცნობილი ინგლისელი მწერლის, ალან ბრაუნის ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული იოსებ ნონეშვილის ლექსების ახალ კრებულს, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა. წიგნის პრეზენტაციაზე, იოსებ ნონეშვილის პოეზიის თაყვანისმცემლები, მეგობრები და ოჯახის წევრები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, რომ ერთმანეთისთვის ის გარდასული დღეები შეეხსენებინებინათ, როდესაც გულისხმიერებითა და ჰუმანურობით გამორჩეული პოეტი ჯერ კიდევ მათ გვერდით იყო.



იოსებ ნონეშვილი პააგა გუგუშვილთან ერთად

ხათუნა ბახტურიძე

ვანსულ ჩარკვიანი:

— თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ნონეშვილი სახალხო პოეტი იყო. მოხუცებიდან დაწყებული, ბავშვებით დამთავრებული, ყველა მისი შემოქმედების მოტრფიალე იყო. შესანიშნავი ლირიკა ჰქონდა. ნახეთ, რა ლამაზი სიტყვებია — *„შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა... დაგშვენდებოდა და რა რიგად დაგშვენდებოდა“*. მისი ლექსები თბილისელ გოგონებს ატაცებული ჰქონდათ, ყველას ეგონა, რომ მისთვის იყო დაწერილი. ერთხელ იოსები ძალიან გავაბრაზე. თუ ნებას დამრთავთ, მოგიყვებით.

— ბრძანეთ.

— თბილისში სტუმრად ჩამოსული იუგოსლავიელი პოეტი, გვარად თონე მე და იოსებმა კახეთში წავიყვანეთ და კარგად ვაქეიფეთ. რა თქმა უნდა, ქართული სუფრით აღფრთოვანდა, მაგრამ განსაკუთრებულად კახური პური მოეწონა. ავდექი და იმ ეზოში შევიყვანე, სადაც პურს აცხობდნენ. თონე რომ დაინახა, მისი სახელწოდებითაც დაინტერესდა. მე ვუთხარი — ამას სახელი არა აქვს, მაგრამ თქვენს პატივსაცემად თონეს დავარქმევთ-მეთქი. შეიძლება წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მაგრამ დამიჯერა. თავის ქვეყანაში ჩავიდა თუ არა, ვეებერთელა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც წერდა — ქართველებმა თავიანთ პურის საცხობს ჩემი სახელი დაარქვესო. კინაღამ მომკლა ნონეშვილმა — ეს რა მიქენი, კახელები ამას რომ გაიგებენ, გაგიუდებიანო.

ლალი გადურაშვილი, *მსახიობი:*

— იოსების პოეზია ხალხურთანაა გაიგივებული. მისი ლექსები ქართველების უმრავლესობამ ზეპირად იცის. ძალიან მომწონს ახალი წიგნი, რომელიც იოსების შვილიშვილმა, საბამ გააფორმა. სხვათა შორის, საბა, გარდა იმისა, რომ კარგად ხატავს, არაჩვეულებრივ ლექსებსაც წერს, მაგრამ გამოქვეყნებას ჯერ ვერ ბედავს.

— თქვენ თუ იცით რომელიმე ლექსი ზეპირად?

— „ღმერთი სიყვარულისა
გულით თუ არ იწამე,
მაშ, სიცოცხლე რისთვის გინდა
ამ დალოცვილ მიწაზე“.

ყოველთვის აღფთოვანებული ვიყავი იოსებისა და მისი მეუღლის, ჩემი გულითადი მეგობრის, მედეას სიყვარულით. ერთხელ მათ ოჯახში გამართულ წვეულებაზე მისვლა ვერ მოვახერხე. მეორე დღეს იოსებს დავურეკე და წინა საღამოს ამბები გამოვკითხე. ბავშვური ნიშნის მოგებით მითხრა — აი, კუკლავ (ყოველთვის ამ სახელით მომმართავდა), შენ რომ არ მოხვედი, შენი წილი კომპლიმენტები გელა ჩარკვიანის მეუღლეს ერგოო. მედიკოს არა-მეთქი? — ოო, მედიკო კონკურსგარეაო. ამით მიმანიშნა, თქვენც კარგები ხართ, მაგრამ ჩემი მეუღლე განსაკუთრებულიაო. არაჩვეულებრივი მამა, მეუღლე და მეგობარი იყო.

სანდრო ნონეშვილი, *იოსებ ნონეშვილის შვილი:*

— ახალ კრებულზე მთელმა ოჯახმა ვიმუშავეთ. მე ლექსები ბლოკების მიხედვით დავაწყვე, ჩემმა ვაჟიშვილმა მხატვრულად გააფორმა, რედაქტორი კი მედეა ნონეშვილი იყო, რომელიც ზუსტად იოსების დაბადების დღეს (19 აპრილს. გარდაიცვალა. ეს წიგნი მისი უკანასკნელი სახსოვრი გახლდათ.

— კრებულზე მუშაობის დროს, როდესაც მამის მიერ დაწერილი ლექსების თავიდან გადაკითხვა გიწევდათ, მასთან ურთიერთობის დეტალები არ გახსენდებოდათ?

— წიგნის პრეზენტაციაზე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ თითქოს, სტუმრებს მამაჩემიც მასპინძლობდა. რაც შეეხება მუშაობის პროცესს, ლექსების კითხვის დროს სულ თვალწინ მედგა ის სასაცილო, სევდიანი თუ მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც თითოეული სტროფის დაწერას თან ახლდა.

— რომელიმე მათგანს თუ გაიხსენებთ?

— 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა, მამა სა-

ბერძნეთში გამართულ მსოფლიო ფორუმზე იყო. ძალიან მტკივნეულად განიცადა ეს ამბავი. „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“ — ასეთი სათაურით შენიღბა, ცენზურის თვალის ასახვევად, თავისი ლექსი, რომელშიც წერდა:

„ჩემგან მამა-პაპის სულს ნუ გამოდენი
ღმერთო, დამიტოვე ენა წინაპრების.
ღმერთო, ნუ წაართმევ ჩემს ხალხს დედა ენას
ქვეყნად ყველა ენა არის შენსმიერი.“

1984 წელს, როდესაც კარდანახში იოსებ ნონეშვილის მუზეუმი გაიხსნა, მოსაწვევ ბარათში ამ ლექსიდან ერთი სტროფი შეეტანე, მაგრამ ცენზურამ მაშინვე ამომაღებინა. ხალხმა მამაჩემის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამე არ იცის. საარქივო მასალაზე მუშაობის დროს ძალზე საინტერესო ფაქტებს წავაწყდი, მაგრამ ამ წიგნში ვერ გამოვაქვეყნეთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ პიკანტური მომენტებია. ძალიან ბევრი ადამიანი ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში, ის კრიტიკა რომ გამოვაქვეყნოთ, რაც მამას მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის გამო თავს დაატყდა.

— რომელ ლექსს გულისხმობთ?

— „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ — ეს ლექსი საკმაოდ ცნობილმა კრიტიკოსებმა მიწასთან გაასწორეს. ამის გარდა, კიდევ ბევრი რამ არის ისეთი, რომლის გამოქვეყნებაც ახლა არ შეიძლება, მაგრამ გავა წლები და ამ საქმეს ჩემი შვილი ან შვილიშვილი მიხედავს.

— თავად ვის შემოქმედებას სცემდა ყველაზე დიდ პატივს?

— ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა მწერალმა, მათი საერთო კოლეგა უნიჭო და სუსტ მწერლად მოიხსენია. მამაჩემს ხმა არ ამოუღია, ცოტა ხნის შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით სამი ლექსი წაიკითხა. მეგობარმა გაოცებით აღნიშნა — შესანიშნავი ლექსებიაო. მამამ უპასუხა — ეს ლექსები ზუსტად იმისია, შენ რომ უნიჭოდ მიგაჩნიაო. არ უყვარდა სხვისი გაკრიტიკება, ამბობდა — რაც უნდა უნიჭო იყოს პოეტი, ერთი ისეთი სტრიქონი მაინც ექნება დაწერილი, ღმერთების საკადრისი რომ არისო. ხმამაღლა არ ამბობდა, მაგრამ ვატყობდი, რომ განსაკუთრებით უყვარდა გოგლა ლეონიძის შემოქმედება.

— მის ლექსებზე საკმაოდ ბევრი სიმღერაა შექმნილი. კომპოზიტორებთან როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

— სხვათა შორის, კომპოზიტორებთან უფრო მეგობრობდა, ვიდრე პოეტებთან. მათთან მართლაც გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ხშირად აბრაზებდა კიდეც. რეზო ლაღიძე, დავით თორაძე და ნუნუ დუღაშვილი ბაწრით დასდევდნენ და თითოეულ სტროფს ძალით აწერინებდნენ.

— როგორც ყველა შემოქმედს, ალბათ იოსებ ნონეშვილსაც ჰქონდა განსაკუთრებული თვისებები, რითიც სხვებისგან გამოირჩეოდა.

— კი, როგორ არა. მის კაბინეტში ქაოსი სუფევდა. ქაღალდის დასტები, მტვრიანი წიგნები და დაჭმუჭნილი ფურცლები მთელ ოთახში იყო მიმოფანტული, მაგრამ საკმარისი იყო, ერთი პაწაწინა ქაღალდის ნაგლეჯი გადაგეადგილებინა, იმწუთშივე მიხვდებოდა. კაბინეტში ლექსი არასოდეს დაუწერია. სამზარეულოში ერთი ადგილი ჰქონდა ამოჩემებული, სადაც თავისი ხელით მოდულებული ჩაის თანხლებით წერდა და წერდა.

— თქვენთვის როგორი მამა იყო?

— ჩვენი ურთიერთობის ფორმულა იყო მარტივი და ჩემი აზრით, იდეალური. იოსებ ნონეშვილს დემაგოგიური ჭკუის სწავლება არ ახასიათებდა, ფიზიკურ დასჯაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არც კანფეტებით და სათამაშოებით უცდია ჩემი წახალისება. ის მე ცხოვრების წესად საკუთარ საქციელს მისაზღვრავდა. ბევრი მშობელი თავად სიგარეტს აფუილებს და შვილს ეუბნება — არ მოსწიოო. ასეთი მშობელი შვილისთვის ვერ იქნება მაგალითი.

— მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებულად თუ გამოარჩევთ რომელიმე ლექსს?

— ძალიან მიყვარს „ვაჩნაძიანთ ტურფა ქალო“. ერთხელ, მოსკოვში გამართულ ქართული კულტურის დღეებზე დასასწრებად, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთად მიემგზავრებოდნენ. გოგლა ლეონიძემ გამოაცხადა — ვინც ნატოს ექსპრომტად ყველაზე კარგ ლექსს მიუძღვნის, ჯილდოდ მის კოცნას დაიმსახურებსო. კონკურსი მამამ მოიგო და ვაჩნაძისაგან მეგობრული კოცნაც მიიღო.

— თქვენ თუ გიცდიათ ლექსის დაწერა?

— ნონეშვილებს ერთმანეთის სახელიც კი არ გვქვია. ყველას თავისი სახელი აქვს. მამაჩემზე უკეთეს ლექსს ვერ დავწერ, ამიტომ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც ყველაზე კარგად გამომდის.

— ჩუმად მაინც არ დაგიწერიათ?

— არსებობს ისეთი ქართველი, რომელსაც ჩუმად ლექსი არ დაუწერია, აივნის ქვეშ სერენადა არ უმღერია და ერთხელ მაინც ყანწით ღვინო არ დაულევია?! მეც ქართველი ვარ და ჩუმად ლექსიც დამიწერია, მაგრამ მხოლოდ სატრფიალო შინაარსის.

— იოსებ და მედეა ნონეშვილების განსაკუთრებულ სიყვარულზე ბევრს ლაპარაკობდნენ. თქვენ თუ გაიხსენებთ, რაიმე ისეთს, სხვებს რომ არ შეუნიშნავთ?

— ასეთს ვერა, მაგრამ ერთი ამბავი ყოველთვის სასაცილოდ მახსენდება. ერთხელ მამა, ოფიციალური ვიზიტით, ინდოეთში წავიდა და დედაც წაიყვანა (მაშინ ძალზე ახალგაზრდები იყვნენ). ჟურნალისტებს მედეა რომ დაუნახავთ, მწერლისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ, მხოლოდ მას უღებდნენ სურათებს. მეორე დღეს ცენტრალურ გაზეთში უზარმაზარი სტატია გამოქვეყნებულა, სათაურით: „ჩამოფრინდა უცხო ჩიტი“, და ბოლოში ორი პწკარი ჰქონდა, მიწერილი — თან ახლავს ქართველი პოეტი, იოსებ ნონეშვილი. ■

პროფესიული განათლების პროფკავშირი
და საერთაშორისო ორგანიზაცია
"JOINT"-ი 18-35 წლის ასაკის
მსურველთათვის ა.წ. 15 ოქტომბრიდან
ატარებს უფასო კურსებს სპეციალობებში:
სარეკლამო აგენტი, სადაზღვევო აგენტი,
ტანსაცმლის მოდელირება-კონსტრუირება-
კერვა, მზარეული, სასტუმროს
ადმინისტრატორი, მოლარე-გამყიდველი.
სწავლება იწარმოებს 15-18 საათზე.
მისამართზე უზნაძის ქ.№68.
კურსდამთავრებულები დასაქმდებიან,
მათზე გაიცემა სერტიფიკატი.

საკონტაქტო ტელეფონი:
951849; 32-35-64; 899899 57- 20-55, 877 72-27-09.
E-MAIL: Dan.prof@yahoo.com; siyb_kab_geo@mail.ru

„იუჩმალის“ კულუარებში ახსნილი სიყვარული და ჩუსული შოვინიზმი



იურმალაში კონკურსი „ახალი ტალღა“ ახალი დასრულებული გახლდათ, როცა რადიო „ფორტუნა-გრუპის“ ხელმძღვანელი, პროგრამების მენეჯერი — გვანცა კილასონია ჩაწერე. „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტის შემდეგ, ის მეორე ქართველი ჟურნალისტი გახლდათ, რომელსაც კონკურსზე დასასწრები აკრედიტაცია ჰქონდა. გვანცამ გულწრფელად გაგვიზიარა საკუთარი შთაბეჭდილებები „ახალი ტალღის“ შესახებ და იმ კულუარებშიც შეგვაჭყიტა, რომელშიც 9 დღის განმავლობაში, თვითონ უხდებოდა ყოფნა. ასე რომ, ეს მასალა ომის დაწყებამდეა ჩაწერილი. სტატია, სწორედ ქვეყანაში შექმნილი საომარი ვითარების გამო შეფერხდა და მხოლოდ ახლა იბეჭდება.

ლალი ფაცია

— განსაკუთრებულად ღელავ, როდესაც უცხოეთში მყოფ ქართველს, კონკურსში მონაწილე თანამემამულეების გულშემატკივრობა გიწევს. ამასთან, როცა დელეგაციის წევრი ხარ და აკრედიტირებული ჟურნალისტის ამპლუაშიც იმყოფები, ეს განცდები კიდევ უფრო გიმძაფრდება. ამ დროს ასმაგდება შეგრძნება, უგულშემატკივრო შენს თანამემამულეს, მაგრამ გასაოცარი განცდა და სიხარული გეუფლება, როდესაც ქართველი იმარჯვებს. ასე რომ, იურმალიდან რატისთან და მაკასთან ერთად მეც გამარჯვებული და ამაყი დავბრუნდი, რადგანაც იქ ვიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე, — *ასეთი გახლდათ ერთი თავგამოდებული გულშემატკივრის — გვანცა კილასონიას ემოციები და განცდა.* — ყველაზე მნიშვნელოვანი კიდევ ის იყო, რომ კონკურსის შესახებ ექსკლუზიურ მასალაზე მიმიწვდებოდა ხელი. სანამ ტელევიზიით გაიგებდით, ვინ რამდენი ქულა დაუწერა დუეტ „ჯორჯიას“, მე რადიო „ფორტუნის“ ეთერში ვაკეთებდი იურმალიდან ჩართვებს; რადგანაც ტელეტრანსლაცია ერთი საათის დაგვიანებით გადმოიცემოდა. ასე რომ, რატისა და მაკას გამარჯვების შესახებ, ქართველ მსმენელს ერთი საათით ადრე ვუუწყე. ამ მივლინებაში, გარდა ჩართვებისა, კიდევ ბევრი რამ გავაკეთე ანუ მქონდა საშუალება, საკუთარი თავი მრავალმხრივ გამომეცადა: ეთერში ვრთავდი მათ, ვინც რეპეტიციებზე „დინტერის“ დარბაზში იმყოფებოდა; ვიწერდი კომენტარებს იქ ჩამოსული სტუმრებისგან; ვიღებდი უამრავ ფოტოს, რადგანაც წასვლის წინ შევიძინე ახალი ფოტოაპარატი და პირველად ცხოვრებაში, ფოტორეპორტიორიც გავხდი; აკრედიტირებულ ფოტოკორესპონდენტებთან ერთად ვიდექი, ერთ ხელში აპარატი, მეორეში მიკროფონი მეჭირა და თან ჩვენი საიტისთვისაც ვგზავნიდი ტექსტებს; შეძელი, ყველასთან ჩამეწერა პატარ-პატარა ინტერვიუ, რადგანაც საშუალება მქონდა, „სამზარეულოში“ შემეჭვრიტა და ძირითადად იმისთვის მემუშავა, რომ საქართველოში კონკურსის მსვლელობის შესახებ ინფორმაცია ჰქონოდათ... ვინც კონკურსს თვალი კარგად მიადევნა, იცის, რომ ისე პროფესიონალურად, როგორც ქართველი კონკურსანტები, მაყურებლის წინაშე არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელი არ წარმდგარა. კულუარებში ყოფნისას ვხედავდი, თუ როგორ ნერვიულობდა და განიცდიდა მთელი ქართული დელეგაცია.

— თავად რატი და მაკა არ ღელავდნენ?

— დახედე ფოტოებს, როგორი დგას რატი ნებისმიერი ტურის წინ... ვცდილობდი, დამეწყნარებინა ორივე, მაგრამ სასწაული იყო ის, რომ სცენაზე გადიოდნენ და მღელვარება ეხსნებოდათ. სამჯერვე საოცრად დამაჯერებელი გამოსვლა ჰქონდათ.

— გვანცა, რას იტყვი, იგორ კრუტოის მართლაც მოეწონა დუეტი „ჯორჯია“?

— კი, ეს მართალია. პირველსავე დღიდან მოეწონა. ამბობდა, მშვენივრად შეხმატკბილებული დუეტია და ეტყობა, სცენაზე ურთიერთობა უკვე სისხლში აქვს გამჯდარიო. მათ მართლაც არ უჭირთ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა; არიან საოცრად მიმზიდველები და მომხიბვლელები. ტურებზე, რატის და მაკას ერთადერთი კონკურენტი ვინც იყო, ეს რუსეთის წარმომადგენელი — ირისი გახლდათ, რომელსაც ერთგვარად ლობირებდა ჟიურის გარკვეული ნაწილი.

— თუმცა, როგორც მახსოვს, იგორ კრუტოიმ, მეორე ტურზე, როდესაც დუეტმა „ჯორჯიამ“ რუსული სიმღერა შეასრულა, არ დაწერა 11 ქულა...

— საერთოდ, ქულებს რაც შეეხება, ყველაფერი არაჩვეულებრივად ახსოვს ხათუნა გოგორიშვილს, რომელიც ქართული დელეგაციის აქტიური წევრი გახლდათ. იჯდა დარბაზში, დიდი ცხრილი ჰქონდა შედგენილი, სადაც მონაწილეებისა და ჟიურის სიები ეწერა. სკრუპულოზურად აღნიშნავდა, ვინ რომელ კონკურსანტს რა ქულას უნერდა. ამიტომ, რა ქულა დაუწერა კრუტოიმ დუეტს მეორე ტურზე, ამის გადამოწმება ახლავე შემიძლია (*იღებს ტელეფონს და ურეკავს ხათუნა გოგორიშვილს*).

— გადამოწმება საჭირო არ არის, რადგანაც მეც ზუსტად მახსოვს.

— მოდი, მაინც დავურეკოთ (*დარეკვის შემდეგ მიდასტურებს, რომ სწორად მახსოვდა*)... როდესაც რეპეტიციებს ვესწრებოდი, რატომღაც მეგონა, რომ ჩვენს დუეტს მართლაც ძლიერი კონკურენტები ჰყავდა. ამიტომ, ცოტა არ იყოს, შეშინებულები ვიყავით. მერე, როცა ტურები დაიწყო, მივხვდით, რომ მაკა და რატი ლიდერები იქნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, სამეულში რომ მოხვდებოდნენ, ამას ვხვდებოდით. ამიტომ სულ ვეუბნებოდით, რომ არ მოდუნებულიყვნენ და პირველი ადგილისთვის ებრძოლათ...

— შენი გადაღებული კონკურსის ფოტოები დავათვალიერე და ძალიან მომეწონა. მდიდარი ფოტოარქივი შეგიქმნია. ბევრი საინტერესო ადამიანი გყავს გადაღებული. როგორც აღნიშნე, ინტერვიუებსაც წერდი. საინტერესოა, რა გითხრა რაიმონდ პაულსმა და როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე?

— რუსულ შოუბიზნესთან, რუსული ესტრადის ეგრეთ წოდებულ ვარსკვლავებთან ასეთი შეხება პირველად მქონდა, მაგრამ რაიმონდ პაულსი ეს არის ლატვიელი კაცი, გენიალური კომპოზიტორი, დიდი მაესტრო და უბრალოდ, კარგი ადამიანი, რომლის სიმღერები ყოველთვის მიყვარდა. ამასთან, შესანიშნავი პიანისტიცაა. მისი უჩვეულო დაკვრის მანერა, ყურადღებას იქცევს, საოცრად ლაღია. ბედნიერი ვიყავი, რომ მას ვესაუბრებოდი, საქართველოს მიმართ არაჩვეულებრივად იყო განწყობილი.

— ყველაზე მეტად ვის ეტყობოდა, რომ ქართველების წარმატებული გამოსვლა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა?

— ეს გახლდათ ლეონიდ აგუტინი, რომელიც სულ დაბალ ქულას წერდა. მასზე ქართული დელეგაცია ნანყენია. ის აშკარად ლობირებდა რუსეთის წარმომადგენელ ირისს. არ ვიცი, მას უყვარს თუ არა საქართველო, ამ შეკითხვის დასმის საშუალება არ მომეცა. ამან გაამწვავა ჩემი მისდამი დამოკიდებულებაც. იყვნენ ჟიურის წევრები, რომელთაც მიკროფონთან ურთიერთობა დიდად არ სიამოვნებდათ; მათ შორის, აგუტინის დასახელე-

ბა პირველ რიგში შემიძლია. ეს ალბათ იმ რუსული შოვინისტური დამოკიდებულების ბრალია, რომელიც ზოგიერთ მათგანს აქვს ჩვენ მიმართ...

— ლაიმა ვაიკულეზე რას იტყვი?

— ის ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი გახლდათ. საოცრად გულწრფელი იყო და სიყვარულს უხსნიდა ქართველებს. მაგრამ ის ხომ რუსი არ არის?! ლატვიელი ქალბატონია!

— ძმები მელაძეები?

— განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ვალერი და კონსტანტინე მელაძეებს. შემიძლია გითხრათ, რომ ლატვიაში საოცრად უყვართ ისინი. იურმალაში ვალერის სოლო კონცერტი ჰქონდა და გადაჭედილი იყო დარბაზი. თურმე ის იურმალაში კონცერტს ყოველ წელს ატარებს, რადგანაც იქ ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ჰყავს. გოგონები გიუდებოდნენ მასზე, დარბაზში ტევა არ იყო.

— რას იტყვი, ზოგადად როგორები არიან რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავები? მართლაც აქვთ მათ რაღაც ბრწყინვალება?

— როგორი უცნაურიც უნდა იყოს, აქვთ... ის, რომ დღეს „ახალი ტალღის" კონკურსი მსოფლიოში ცნობილია, ეს რუსი ვარსკვლავების დამსახურებაა. „იურმალის" კონკურსს სახელი მათ გაუთქვეს. ისინი არიან ის ვარსკვლავები, რომელთა სიმღერების მსმენელი მე არასდროს ვყოფილვარ. ერთგვარი ბრწყინვალება, რაღაც მომენტში ამბიციაც კი, თითოეულს ახასიათებს... თუმცა არიან მათ შორის ვიღაცებიც, რომელთაც ეს ნაკლებად ეტყობათ... მაგალითად, ლაიმა ვაიკულე მანამდე აქ, თბილისში მყავდა ნანახი, თუმცალა ამ ქალის ხილვით, მოსმენით არ დავიღლები. განსაკუთრებულად მიყვარს მისი ჩაცმის სტილი, საშემსრულებლო მანერა, ის — თუ როგორ გამოდის სცენაზე. არაჩვეულებრივი ქალბატონია. ასე რომ, რუსული პოპი (პაპსა) დაბალანსებულია რამდენიმე ღირსეული ადამიანით, რომლებიც ამ ყველაფერს აძლევს იმიჯსა და ხარისხს. ჩემი აზრით, წელს ჟიური დაბალანსებული ფიოდორ ბონდარჩუკით გახლდათ. ეს იყო ის ადამიანი, რომელიც პირველად მიიწვიეს ჟიურიში და მათ შორის ყველაზე ღირსეული სწორედ ის იყო. არანორმალურად მომწონს მისი სტილი, მანერა, ისევე როგორც ლაიმასი. როდესაც მათ ერთად შეასრულეს დუეტი — „ქალი და მამაკაცი", მიეხვდი, რომ ჟიურის ორი გამორჩეული წევრი იდგა სცენაზე. ბედნიერი ვიყავი, როცა ბონდარჩუკისგან ინტერვიუ ჩავწერე.

— ალა პუგაჩოვაზე, კონკურსის მუზაზე რას იტყვი?

— ის მართლაც პრიმადონა, კონკურსის მუზაა. ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს. მან კონკურსანტებისთვის 50.000 დოლარი გაიღო. ყოველწლიურად იმდენ თანხას გასცემს, რომ იქ ამაზე ხუმრობენ კიდეც: ვჯობია, ალას ფავორიტი გახდეო.

— საკონცერტო დარბაზის კულისებში რა ხდებოდა?

— წელს, რაც იქ ხდებოდა, ეს გახლდათ რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლების სასიყვარულო ურთიერთობების გარკვევის, ინტრიგების ხლართვის ასპარეზი.

— სახელდობრ?

— ვის არ ნახავდით იქ: ყოფილ ცოლქმარს, ერთმანეთის მეგობრებს, საყვარლებს. ინტრიგები პირდაპირ სცენაზე იხლართებოდა ანუ სანახაობა სპეციალურად მაყურებლისთვის იყო შექმნილი. მაგალითად, ქსენია სობჩაკი, როდესაც გალკინი და პუგაჩოვა სცენაზე გამოვიდნენ, ცდილობდა, მათთვის ის შეკითხვა დაესვა, რომელზე პასუხიც ჟურნალისტებს აინტერესებთ ანუ დაქორწინდებიან თუ არა. მაგრამ მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც ალა პუგაჩოვა შეკითხვას გაექცა. მათზე კულუარებში ჟურნალისტები მუდმივად ნადირობდნენ. ერთ დღესაც გალკინი საიუველირო მაღაზიაში გამოიყვანეს, სადაც მან 800.000 ევროდ ბრილიანტის ბეჭედი იყიდა, ალბათ, ალასთვის. მას პაპარაცებმა ფოტოებიც გადაუღეს.

— იმ ადგილებში, სადაც ისინი სტუმრობდნენ და ცხოვრობდნენ, თქვენ თუ გქონდათ თავისუფლად მოძრაობის საშუალება?

— ჟურნალისტებს, ვისაც აკრედიტაცია გვქონდა, კი. პირველი დღეა, რეპეტიციაზე ვარ მისული და დავიწყე ფოტოაპარატის ჩხაკუნი, გავრბი-გამოვრბივარ. დაწყნარდი, — მითხრა მაიკო ლომიძემ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტმა, — იურმალაში 9 დღე უნდა ვიყოთ, ეგენი ყოველდღე აქ არიან, სულ აქ დაბორიალებენო (მაიკო კონკურსზე წელს მეორედ იყო და მეტი გამოცდილება ჰქონდა).

— ესე იგი, გამომწვევი იყო ქსენია სობჩაკი?

— პრინციპში, ის ისეთივე იყო იქ, როგორიც ეკრანზე ჩანს. სობჩაკი რეჟისორ ალექსანდრ რევზინის მიმართ ცოტათი გესლიანი გამოთქმებით გამოირჩეოდა. მას მორგებული აქვს თავხედი, სულელი გოგოს იმიჯი, ამ დროს კი ძალიან ჭკვიანია. ხომ ვთქვი, ის ერთადერთი ადამიანი იყო წამყვანებიდან, ვისაც შეეძლო პასუხი გაეცა, ერთგვარად შესწინააღმდეგებოდა და დიალოგები გაემართა მითურ რეჟისორ რევზინთან.

— „ახალ ტალღაზე" მართლაც რევზინი განაგებს ყველაფერს? ის დგამს, ის აკეთებს იმ სანახაობას, რაც „იურმალის" კონკურსზე ყოველწლიურად იმართება?

— ალბათ, ესეც წლების მანძილზე მორგებული იმიჯია. თუმცა რევზინი დილის 11 საათიდან იწყებდა რეპეტიციას ვარსკვლავებთანაც და კონკურსანტებთანაც. ყველას ბოლომდე წურავდა. ჩვენ ამის თვითმხილველები ვართ. ის არის რეჟისორი, რომელსაც აბარია აღნიშნული კონკურსი. მას ბევრი რამ ევალება, „გახსნას" კონკურსანტები და შესაფერისად წარუდგინოს ჟიურისა და პუბლიკას. არ გამორჩებოდა 17 მონაწილის არც ერთი ჟესტი, ღიმილი, მიმიკა... მას შეუძლია, დაგვიანების გამო ესა თუ ის მონაწილე კონკურსიდან მოხსნას. მკაცრია. ამაყობს იმით, რომ არის რევზინი და მოსწონს საკუთარი ამპლუა. მას ყველა თვალებში შესცქერის.

— გვანცა, როგორც მუსიკალური რადიოს წარმომადგენელმა, მითხარი შენი მოსაზრება რუსულ შოუბიზნესზე და შეადარე ის ქართულს.

— რაც შეეხება რუსი მომღერლების მონაცემებს, ქართველები ყოველთვის ასი თავით ვჯობდით და ვჯობივართ. მათ მე ვაიმომღერლებს ვუწოდებ, რადგანაც ჩვენს მომღერლებს, გემოვნება და საშემსრულებლო ხარისხი მათზე უფრო დახვეწილი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ რუსები პლუს ფონოგრამაზე მღერიან, რუსული პაპსა მაინც იყიდება და ქმნის იმ შოუბიზნესს, რომელიც ინახავს საკუთარ თავს. რუსი ვაივარსკვლავები ამით ცხოვრობენ და სერიოზული შემოსავალი აქვთ. იქ მთელი ინდუსტრიაა. ამასთან აქვთ დიდი ბაზარიც, სადაც ფულის კეთების უამრავი საშუალებაა. ამრიგად, იქ პოპინდუსტრია არსებობს, საქართველოში — არა. ვისურვებდი, ოდესმე მაინც მივაღწიოთ ასეთ დონეს; ჩვენც გვქონდეს ისეთი კონკურსი, რომელშიც ამდენი ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. თუმცა, რაღაც ეტაპზე, აქაც იგრძნობოდა გააქტიურება, წერდნენ ალბომებს, ატარებდნენ კონცერტებს... მერე უმრავლესობა რუსეთისკენ დაიძრა. ვინც მოერგო იქაურ ბაზარს, კომფორტულად გრძნობს თავს, მაგალითად, ქეთა თოფურია... დიდი სურვილი მაქვს და მინდა, რომ ეს ბაზარი აქაც „დაიქოქოს".

— კი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამას დრო დასჭირდება...

ბედნიერი ვიყავი, პაულსს რომ ვესაუბრებოდი

ლაიმას არაჩვეულებრივი ჩაცმის სტილი აქვს...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბევრი ჩვენი თანამემამულე, რუსეთიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ იბომბებოდა საქართველო რუსული ავიაციის მიერ. ზოგი, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოში, სამსახურის, უფრო სწორად კი სამუშაოს ძიებამ ჩაიყვანა, ზოგიც, იქაური მოქალაქეა; სხვები კი რუსეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ნათესავებთან იყვნენ ჩასული. ლელიკო ნიჟარაძე, მოსკოვში მცხოვრები ნათესავების მოსანახულებლად თბილისიდან ივლისის ბოლოს გაემგზავრა. დაახლოებით ერთი კვირაში კი შეიტყო, რომ მისი მასპინძელი ქვეყანა, საქართველოს ოკუპირებას ცდილობდა. რატომ ვერ ამჟღავნებდა ქართველობას მოსკოვის ქუჩებში, რა გაუმხილა ცნობილმა ქართველმა კარდიოქირურგმა, ლეო ბოკერიამ და რატომ გადაიღო ფოტოები პუტინთან და მედვედევთან — ამის შესახებ, ცოტა ხნის წინ, მოსკოვიდან დაბრუნებულმა ჩვენმა თანამემამულემ თავად გვიამბო.

„პუტინთან და მედვედევთან ფოტო იმიტომ გადავიღე, რომ ახლობლებისთვის მეჩვენებინა“...

ემა ტუხიაშვილი

— მოსკოვში დეიდების მოსანახულებლად გავემგზავრე. ორივე დეიდას რუსი მეუღლე ჰყავს და შესაბამისად, ჩემი დეიდაშვილებიც სანახევროდ რუსები არიან. ისინიც ხშირად გვსტუმრობდნენ საქართველოში, მაგრამ ახლა ჩემი რუსი ბიძები ამბობენ: მანამ, სანამ „ჩვენს საქართველოში“ ვიზის გარეშე ჩამოსვლას ვერ შევძლებთ, პროტესტის ნიშნად არ ჩამოვალთო. ამიტომ, დროდადრო მე მიხდება მათ სანახავად რუსეთის დედაქალაქში ჩასვლა. ბოლოს მოსკოვში ორი წლის წინ ვიყავი და გავოცდი: ამ ხნის განმავლობაში ქართველების მიმართ რუსების დამოკიდებულება ძალიან შეცვლილიყო. გაკვირვებული დავრჩი, როდესაც მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, აუცილებელი პროცედურის გასავლელად მისულს, იქაურმა თანამშრომელმა, საქართველოსა და სააკაშვილზე ჩამომიგდო სიტყვა. ჩემი მასპინძლები კატეგორიულად მაფრთხილებდნენ, პოლიტიკურ პოლემიკაში არავისთან შევსულიყავი, მით უფრო — რუსეთის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. ნათესავების რჩევით, ასევე არ ვამჟღავნებდი ჩემს ეროვნებას მოსკოვის ქუჩებში: მეუბნებოდნენ, რომ სკინჰედები კავკასიელებზე ნადირობენო. ცოტა ხნის წინ, მოსკოვში, ჩემი ქართველი მეგობრის ცოლი, სკინჰედებს ქუჩაში უმოწყალოდ უცემიათ. საწყალ ქალს ისევ რიგითი მოსკოველები გამოჰქომაგებიან და ცემით სიკვდილს გადაურჩენიათ. შეშინებული ქალი, კარგა ხანს ვერ გამოდიოდა თურმე შინიდან. შემდეგ კი იძულებული გამხდარა, თმა ქერად შეეღება, რათა ქართული გარეგნობით, ყურადღება არ მიეპყრო.

— რიგითი მოსკოველები რას ამბობენ ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ?

— სხვათა შორის, რიგით მოსკოველებს ნაკლებად აინტერესებთ ზოგადად პოლიტიკა. ისინი არც პრეზიდენტ მედვედევის ფანები არიან და არც სააკაშვილზე ამოსდით მზე და მთვარე. მათ, ისევე როგორც ჩვენ, მშვიდობა და ქართველებთან მეგობრობა სურთ.

— რას განიცდიდი, როდესაც მოსკოვში ყოფნისას გაიგე, რომ საქართველო რუსული ავიაციის მიერ იბომბებოდა?

— ისევე, როგორც ყველა დედა, პირელ რიგში, შვილებზე ვნერვიულობდი, რომლებიც საქართველოში მყავდა დატოვებული. რუსული მედიის საშუალებებით, საქართველოს წინააღმდეგ ამაზრზენი პროპაგანდა მიმდინარეობდა. გადმოსცემდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხოცავდნენ ქართველი ჯარისკაცები ცხინვალში ოს ქალებსა და ბავშვებს. მაგრამ რუსული მედია არაფერს ამბობდა ქართველ, მშვიდობიან მოსახლეობაში არსებულ მსხვერპლზე, რაც რუსი მოიერიშეების მიერ ჩამოყრილ ბომბებს მოჰყვა. ჩემთან ერთად, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ჩემი რუსი დეიდაშვილებიც განიცდიდნენ. ჩვენ ერთთად დავდიოდით მოსკოვში მდებარე ქართულ ეკლესიაში, სადაც იქ მცხოვრები ქართველები იკრიბებოდნენ და სამშობლოს გადარჩენისთვის ვლოცულობდით. სხვათა შორის, წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია და მისი მრევლი, საქართველოში მცხოვრებ რამდენიმე მრავალშვილიან ოჯახს ეხმარებიან. სამწუხაროდ, მოსკოვში ისეთი ქართველებიც ვნახე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე ომის დღეებში, ქართულ რესტორნებში ქეიფობდნენ. სხვათა შორის, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გაჩენილი ბზარის მიუხედავად, ქართულ რესტორნებში სტუმრობაზე უარს არც რუსები ამბობენ... საქართველოში დაბრუნებისთანავე, თბილისის საავადმყოფოები შემოვიარე და დაჭრილი ჯარისკაცები მოვინახულე. გაოცებული დავრჩი მათი პატრიოტიზმითა და სამშობლოსადმი თავგანწირვით.

— რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ, მედია ინტერესდებოდა რუსეთში მცხოვრები ცნობილი ქართველების მოსაზრებებით. შენ შესაძლებლობა გქონდა, მოსკოვში მცხოვრებ ცნო-

ლეო ბოკერიაასთან ერთად

ყველაზე საინტერესო კი პეპლის გამოჩეკის პროცესია

ბილ ქართველ კარდიოქირურგს, ბატონ ლეო ბოკერიას შეხვედროდი. საინტერესოა, თუ ისაუბრეთ უკანასკნელ მოვლენებზე?

— ბატონი ლეო მოსკოვში წლების წინ გავიცანი. ახლაც, კლინიკაში ისე ვესტუმრე, როგორც დიდი ხნის ნაცნობს და მეგობარს. რა თქმა უნდა, ძალიან წუხდა მომხდარის გამო. სხვათა შორის, ივლისის მიწურულს, როდესაც მოსკოვში ჩავედი, უკვე იყო მოლოდინი იმისა, რომ საქართველოს რომელიმე კონფლიქტურ რეგიონში, შესაძლებელი იყო ვითარების დაძაბვა. ბატონმა ლეომ ისიც კი მითხრა, — ცოტა ხნის წინ, ჩემი მშობლების ნეშტი აფხაზეთიდან მოსკოვში გადმოვასვენეო. მოგეხსენებათ, ბატონი ლეო ბოკერია აფხაზეთიდან, ოჩამჩირიდან გახლავთ და მისი მშობლებიც იქ იყვნენ დაკრძალულები.

— რამდენიმე ფოტო პუტინისა და მედვედევის ცვილის ფიგურებთან გაქვს გადაღებული. მომეჩვენა, რომ ერთიც და მეორე თოჯინაც, რუსეთის პრემიერსა და პრეზიდენტზე მაღალია...

— არ ვიცი, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ცვილის ფიგურები მოსკოვის საგამოფენო ცენტრში ე.წ. ВДНХ-ზეა გამოფენილი. სწორედ ამ საგამოფენო ცენტრში ყოფნისას აღმოვაჩინე პუტინისა და მედვედევის ცვილის ფიგურები. მათთან ფოტო მხოლოდ იმიტომ გადავიღე, რომ შემდეგ საქართველოში ნაცნობ-მეგობრებისთვის მეჩვენებინა. საგამოფენო დარბაზში, სხვა რუსი პოლიტიკოსების ცვილის ფიგურები არც ყოფილა. ალბათ მკითხველსაც ექნება შესაძლებლობა, ნახოს, რომ პუტინის ცვილის ფიგურა გაცილებით უკეთ არის მიმსგავსებული მის პროტოტიპს. აი, მედვედევი კი ნამდვილად არ გამოუვიდათ. ამ საგამოფენო ცენტრში აღმოვაჩინე ქართული სამხატვრო სალონი, სადაც ქართველი ფერმწერების ნამუშევრებია გამოფენილი. როგორც მითხრეს, ქართველი მხატვრების მიერ შესრულებულ ტილოებს ხშირად ყიდულობენ, მათ შორის — რუსებიც. ისე კი რუსები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ქართული ღვინის გემო თითქმის დაავიწყდათ. მაგალითად, ჩემი რუსი ბიძა სადილზე ფრანგული ღვინით გამიმასპინძლდა და დანანებით თქვა: ქართული ღვინოები მხოლოდ საკოლექციო ნიმუშებში შემომრჩაო.

— როგორც ვიცი, მოსკოვში პეპლების საამქრო მოინახულე. იქნებ გვიამბო ამ უცნაური ადგილის შესახებ.

— მოსკოვის მახლობლად, მართლაც არსებობს პეპლების საამქრო, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობს. სასათბურე პირობებში, იქ თითქმის ყველა სახეობის პეპელა გამოჰყავთ და დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, პეპლების გამოჩეკის ყველა პროცესს დაესწროს. რა თქმა უნდა, აუცილებელი სანიტარული ნორმების

მედვედევი კი ნამდვილად არ გამოუვიდათ

პუტინის ცვილის ფიგურა გაცილებით უკეთ არის მიმსგავსებული

დასაცავად, ყველა სტუმარს, ფეხზე სამედიცინო ბახილებს აცმევენ. პეპლების საამქროს მონახულება, უნიკალური ექსკურსიების რიგს განეკუთვნება. იქ შეგიძლიათ ნახოთ აფრიკული, სამხრეთამერიკული და აზიური ჯიშის პეპლები. ყველაზე საინტერესო კი პეპლის გამოჩეკის პროცესია: პეპელა გამოჩეკისთანავე იშრობს ფრთებს და პირველი ფრენისთვის ემზადება. სწორედ იქ შევიტყვე, რომ პეპლებს ძალიან ჰყვარებიათ ფორთოხალი. ამიტომ ფორთოხლის ნაჭრები ყვავილებით მოჩითულ მაგიდებზე აწყვია და პეპლებიც დროდადრო, „პირს იტკბარუნებენ". ყველგან უზარმაზარი, ნაირ-ნაირი პეპელა დაფრინავს და იქაურობა ჯადოსნურ სამყაროს ჰგავს.

პლანეტის უხუცესი მამაკაცი 113 წლისაა

2007 წელს მსოფლიოს უხუცეს მამაკაცად აღიარებულმა იაპონელმა ტომოძი ტანაბემ წელს დაბადებიდან 113 წლისთავი იზეიმა. ტანაბე ერთ-ერთ ვაჟიშვილთან ცხოვრობს. მას 100-ზე მეტი შთამომავალი ჰყავს: 8 შვილი, 25 შვილიშვილი, 52 შვილთაშვილი და 6 შვილთაშვილის შვილი. ტანაბემ დაბადების დღის მისალოცად მისულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი დღეგრძელობა კარგ მადასთან ერთად, ალკოჰოლსა და თამბაქოზე უარის თქმის დამსახურებაა. დედამიწის უხუცესი მამაკაცის საყვარელი საქმიანობა გაზეთების კითხვა, დღიურის წარმოება და ხალხთან მასლაათია.

დღესდღეობით პლანეტის უხუცეს ბინადრად 114 წლის ამერიკელ ედნა პარკერს მიიჩნევენ, მაგრამ 2008 წლის ზაფხულში, ტომოძი ტანაბესთვის გინესის რეკორდების წიგნის სერტიფიკატის გადაცემიდან 1 წლის შემდეგ, პრესაში გავრცელდა ცნობა ინდიელის შესახებ, რომელიც 129 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინდიელი ჰაბიბ მიიანი იმასაც კი ირწმუნებოდა, რომ მის საბუთებში დაბადების თარიღი არასწორად იყო აღნიშნული და იგი სინამდვილეში 138 წლის იყო!

„მერწყული მართავს რუსეთს, ლომი – საქართველოს“

ანუ რა ერქვა პირველ ქართულ ასტროლოგიურ წიგნს

ასტროლოგს, მიხეილ ცაგარელს, რუბრიკა „ერუდიტში“ ჩასაწერად ვეწვიე, მაგრამ მისი პროფესიიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ასტროლოგიური კუთხით შეფასებაც ვთხოვე.

ხათუნა ბახტურიძე

პრეამბულის მაგიერ

— პირველ აგვისტოს მზის დაბნელება მოხდა, თვრამეტში კი — მთვარის. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ეს დღეები ძალიან მძიმე იყო. 40 საუკუნეა, რაც ადამიანები ასტროლოგიას სწავლობენ — მათ შორის, დაბნელებების ზეგავლენას და ასტროლოგებმა კარგად ვიცით, რომ ქვეყანაში, სადაც უშუალოდ ხდება მზის დაბნელება, ადამიანებს ტვინი უბნელდებათ.

— ამჯერად მზის დაბნელება რომელ ქვეყანაში მოხდა?

— აგვისტოში მზის დაბნელება გადიოდა რუსეთზე და ამ ქვეყნის მმართველ ძალას ტვინი დაუბნელდა, რის შედეგადაც თავი საკუთარი ნებით გაყო ყულფში. რუსეთის ხელისუფლებას თავიანთი ასტროლოგები აფრთხილებდნენ, რომ მზის დაბნელების შემდეგ, სულ ცოტა, 6 თვის განმავლობაში მაინც, კრემლის მესვეურთ სიფრთხილე გამოეჩინათ და აგრესიისგან თავი შეეკავებინათ, მაგრამ ეს რჩევა არავინ გაითვალისწინა. სხვათა შორის, რუსებს ჰყავდათ დიდი სულიერი მოღვაწე, სერაფიმ საროველი, რომელიც მათ აფრთხილებდა, რომ საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანის წინააღმდეგ, აგრესია არასოდეს გამოევლინათ. საროველის ამ მოწოდებას ასტროლოგიურად ავხსნი: თუ ამოვჭრით ზოდიაქოს 12 ნიშანს და მ. თგან ბურთს შევკრავთ, მერწყული და ლომი ერთ გეოგრაფიულ განედზე აღმოჩნდება. მერწყული მართავს რუსეთს, ლომი კი — საქართველოს. ეს ორი ქვეყანა ერთ ენერგეტიკულ ველშია მოქცეული და თუ ერთმა მეორის დაპყრობა მოინდომა, მისი საქმე წასულია, ის დაკარგავს ზომიერების გრძნობას და უკიდურესობაში გადავარდება. შედეგად კი სამყაროსგან გამუდმებულ დარტყმებს მიიღებს. აგვისტოს თვეში გადადგმული ნაბიჯებით, პუტინმა და მედვედევმა საბედისწერო შეცდომები დაუშვეს.

— საქართველოზე რას იტყვით?

— ძალიან სახიფათოა, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ ევროპელები ვართ. დასავლური ცივილიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა უარვყოთ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიბრძნე აღმოსავლეთიდან მოდის. ქართველი ერის ძირითადი მისია ინტელექტის განვითარება და სულიერების ზრდა გახლავთ. როგორ ფიქრობთ, რატომ იყო კოლხეთი მთელ მსოფლიოში ცნობილი? რატომ ჩამოვიდნენ ბერძნები აქ, ოქროს საწმისის წასაღებად? ალბათ იცით, რომ ოქროს საწყმისში იგულისხმება არა ძვირფასი ლითონი, არამედ დიდი სულიერება და განათლება, რომელიც მედეამ გაყიდა (მას კი ბათუმში ძეგლი დაუდგეს, რაც მე ნამდვილ პარადოქსად მიმაჩნია). ამერიკა ძალიან გვჭირდება, იმიტომ, რომ ის არის წამყვანი ტექნოლოგიების ქვეყანა. საქართველოს კოსმოსური მისიაა, აღმოსავლური სიბრძნე, თავისი ტრადიციებით, დასავლურ ტექნოლოგიებსა და ცივილიზაციის პროდუქტებს შეუხამოს. თუ ამის გაკეთებას შევძლებთ, გავიმარჯვებთ.

— ახლა ჩვენს კითხვარზე გადავიდეთ. თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, პირველად ასეთ კითხვას დაგისვამთ: რას უწოდებდნენ ძველად ქართველები ასტროლოგიურ წიგნს?

— არ ვიცი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს.

— ქართველები ასტროლოგიურ წიგნს „ხელთაის“ უწოდებდნენ.

— საინტერესოა, უნდა დავიმახსოვრო.

— ვინ დახატა „ვენერას დაბადება“?

— სანდრო ბოტიჩელიმ.

— „ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მიმთხრობი, არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული, უებრო ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მწიბავი“, — თავისი ნაწარმოების რომელი გმირი დაახასიათა ამგვარად კონსტანტინე გამსახურდიამ?

— კონსტანტინეს ასეთი სიტყვებით ბევრი ვინმეს დახასიათება შეეძლო. მისი ნაწარმოების გმირები ხშირად არიან მეფეები, რომლებიც ასტროლოგიაში კარგად ერკვევიან.

— კი, მაგრამ ის მეფე კი არა, ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი იყო.

— ის, ვინც სვეტიცხოველი ააგო?

— არა, ბატონო მიხეილ, ამ სიტყვებით გამსახურდიამ ფარსმან სპარსი დაახასიათა. რა ეწოდება სახარების იმ ნაწილს, სადაც მეორედ მოსვლის ამბებია მოთხრობილი?

— აპოკალიფსი.

— სად არის დაკრძალული იოსებ ნონეშვილი?

— დიდუბის პანთეონში. ძალიან მიყვარდა მისი ლექსი „მასწავლებელი“. როდესაც პირველ კლასში მივედი, ნონეშვილი ჩვენთან შესახვედრად მოვიდა და ეს ლექსი წაიკითხა. დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში.

— ვინ იყვნენ უბიხები?

— ვიღაცები, მაგრამ ვინ, არ ვიცი.

— ჩრდილოკავკასიური ტომი, რომელიც კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შედეგად სრულიად ამოწყდა ან უკვალოდ ასიმილირდა.

— ამასაც დავიმახსოვრებ.

— მან მეფე ერეკლე ოსმალლეკთა ლაშქარს შუა ბრძოლაში შეატოვა და ქართლში დაბრუნდა. როდესაც ქართველების მტერზე ძლევის ამბავი გაიგო, სასწრაფოდ აიყარა თავისი ჯარით, კავკასიის ქედის ძირამდე იარა და ანანურში დაბინავდა. გარშემო მყოფ სოფლის მცხოვრებლებს ძალით აიძულებდა, უარეყოთ მეფე ერეკლე და რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაეფიცათ. თან პეტერბურგში წერილებს გზავნიდა — ცოტაოდენი ჯარი მომაშველეთ, მეფე ერეკლეს დავატყვევებ და საქართველოს რუსეთს შემოვუერთებო. ვინ იყო ეს პიროვნება?

— რუსებს ბევრი ასეთი ადამიანი ჰყავდათ. ეს გენერალი ტოტლებენი იყო?

— გამოიცანით. ვის მიიწევდნენ ბერძნები მეზღვაურთა და ცხენოსანთა ღვთაებად? ის სატურნისა და რეას შვილი, პლუტონის ძმა და ამფიტრიტეს ქმარი იყო.

— ნეპტუნს.

— დასახელეთ ძველი ქვეყანა, რომელიც მოიცავდა

ახლანდელ საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს და ჩრდილოეთ იტალიას.

— გალია?

— დიახ, გალია. რა ეწოდება კათოლიკეთა წირვას?

— აბა, შემახსენეთ.

— მესა. რა ჰქვია ვარსკვლავთა განლაგების მაჩვენებელ ცხრილს, ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით?

— ეფემერიდები.

— ვინ იყო ის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც სამეფო ტახტი დაამხო, კარლოს პირველი სიკვდილით დასაჯა და ინგლისი რესპუბლიკად გამოაცხადა?

— ოლივერ კრომველი.

— „ვინც საბჭოთა კავშირს დაშლას არ ნანობს, მას გული არ აქვს, ხოლო ვინც მის აღდგენას ცდილობს, მას ტვინი არ აქვს", — ვინ თქვა ეს სიტყვები?

— (*გულიანად იცინის*) ეა, რა მაგარია. ვინ თქვა?

— უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა, ლეონიდ კუჩმამ.

— ყოჩაღ, კუჩმა!

— ვინ ააშენა გელათი?

— დავით აღმაშენებელმა.

— რა გვარს ატარებდნენ ვალუების მონათესავე დიდებულთა ოჯახი, რომლებიც საფრანგეთში, ვალუების შემდეგ 1589-1793 და 1814-1830 წლებში მეფობდნენ? ეს გვარი ქედმაღლობის სინონიმად იქცა.

— ბურბონები.

— მართალი ბრძანდებით. „ელგუჯა", „ხევისბერი გოჩა" — რა საერთოა ამ ნაწარმოებებს შორის?

— ორივე ალექსანდრე ყაზბეგმა დაწერა.

— რა არის ტირადა?

— პათოსით წარმოთქმული ვრცელი სიტყვა.

— რა ეწოდება მონეტების შემსწავლელ მეცნიერებას?

— ნუმიზმატიკა.

— რა ერქვა ჰემინგუეის?

— ერნესტ.

— რა იყიდებოდა „სოთბის" აუქციონზე მისი დაარსებიდან 30 წლის განმავლობაში?

— წიგნები.

— ამჯერადაც მართალი ხართ. ვინ აჩუქა ისტორიული ჰერეთი აზერბაიჯანს?

— სერგო ორჯონიკიძემ. სტალინმა, ბერიამ და ორჯონიკიძემ უშურველად გააჩუქეს ჯიქეთი, სოჭი, ჰერეთი, ლორეს ოლქი. რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს ისევ ქართველებმა გააკეთეს.

— და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ქართველის ყველაზე დიდი და საშიში მტერი თავად ქართველია. ახლა პატრიოტი ქართველებიც გავიხსენოთ: რატომ მიუსაჯეს რუსებმა დიმიტრი ყიფიანს სამუდამო პატიმრობა?

— ანტირუსული მოღვაწეობისთვის.

— მან საქართველოს ეგზარქოსს, პავლე ლებედევს, რომელმაც ქართველი ერი დაწყევლა, საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

— (*იცინის*). მე შემოკლებით გიპასუხეთ.

— რას ეძახდნენ შუა საუკუნეებში არაბებს?

— არაბებს სხვა სახელიც ჰქონდათ?

— დიახ, მათ სარკინოზებს ეძახდნენ.

— ჰო, მართალი ხართ, ახლა გამახსენდა.

— სპორტის რომელ სახეობაში გაითქვა სახელი გაბრიელა საბატინიმ?

— ჩოგბურთში.

— 1945 წლის 2 სექტემბერს, რამდენიმე ათასმა იაპონელმა ოფიცერმა, ჯარისკაცმა და ჩინოვნიკმა იმპერატორის სასახლის წინ ხარაკირით მოისწრაფა სიცოცხლე. რა იყო ამის მიზეზი?

— ალბათ ის, რომ იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

— გამოიცანით. რას ნიშნავს ქართულად, ბერძნული სიტყვა ანომალია?

— ანომალია ჰქვია არასტანდარტულ მოქმედებას.

— კი, მაგრამ ბერძნულად ის უსწორმასწორობას ნიშნავს.

— გასაგებია.

— თუ გახსოვთ, რა იყო გლეხების დასასჯელი ღონისძიება, რომელიც საქართველოში რუსებმა დაამკვიდრეს?

— ეგ მახსოვს, ეგზეკუცია.

— რომელ ქვას შეადარა საქართველოს მიწა აკაკი წერეთელმა?

— ზურმუხტს ან მარგალიტს.

— ზურმუხტს. 1870 წელს გერმანელების მიერ ალყაშემორტყმულ პარიზში წერილებს საფოსტო მტრედების დახმარებით გზავნიდნენ. ამის აღსაკვეთად, გერმანელებმა მინიოები გაწვრთნეს და მტრედებს დაადევნეს. — რა მოიგონეს ფრანგებმა გაწვრთნილი მინიოების დასაფრთხობად?

— ალბათ, რაღაც ხმით ან სინათლით, ფრენის ორიენტაცია დაკარგვინეს.

— თითქმის გამოიცანით. როგორ ეღერს ქართულად „სალამ ალეიქუმ"?

— დღე მშვიდობისა?

— არა, ბატონი მიხეილ, „სალამ ალეიქუმ" ქართულად ასე ეღერს: „მშვიდობით იარე"!

— მშვიდობა ხომ ვთქვი?

— კი, მშვიდობა თქვით. რა არის მოსადი?

— ისრაელის სადაზვერვო სამსახური.

— რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი ტაძარი?

— წმინდა პეტრეს ტაძარი, როემლიც რომში დგას.

— რის მეფედ არის აღიარებული იოანე შტრაუსი?

— „ვალსის" (*მელოდიაც გაახმოვანა*).

— დასასახელეთ, ძველ ბერძნთა გმირი, რომელსაც დედამისმა ორგვარი ცხოვრება შესთავაზა: ხანგრძლივი და უსახელო, ხანმოკლე და სახელოვანი. მან მეორე აირჩია. გმირს უკვდავი სახელი კი ტროაში ბრძოლის დროს მოიხვეჭა.

— აქილევსი.

— გმადლობთ, საინტერესო „თამაშისთვის".

— დავასრულეთ? ფილმებიდან რატომ არაფერი მკითხეთ?

— ახლავე გკითხავთ: რომელია პირველი ქართული მუნჯი კინო?

— „ქრისტინე"?

— არა, ბატონო მიხეილ, „ქრისტინე" პირველი ქართული მხატვრული ფილმია, ის 1916 წელს გადაიღეს; 1912 წელს კი გადაიღეს პირველი ქართული ფილმი — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

— მოდი, მეც დაგისვამთ რამდენიმე კითხვას.

— გისმენთ.

— დამისახელეთ სამი დიდი ასტროლოგი მეფე საქართველოში.

— ერთი დავით აღმაშენებელი იქნებოდა, ერთიც გიორგი ბრწყინვალე. კიდევ ვინ შეიძლება ყოფილიყო?

— ვახტანგ მეექვსე. რომელია სიყვარულის პლანეტა?

— ვენერა.

— თქვენი პასუხები მიღებულია.

— გმადლობთ.

ერუდიტი +

ოპტაცია — *მოქალაქეობის მოპოვების ან შეწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც მდგომარეობს მოქალაქეობის არჩევანში ტერიტორიის სახელწიფო კუთვნილების შეცვლისას.*

მაგისტრატი — *ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. ნორვეგიაში, დანიაში, შვეციაში) ქალაქის მმართველობა, რომელიც შემდგარია მთავრობის ან არჩევითი პირების მიერ დანიშნული ჩინოვნიკებისგან.*

სეიმი — *პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატისა და ლატვიისა და ლიტვის ერთპალატიანი პარლამენტების სახელწოდება.*

პრეამბულა — *საკანონმდებლო ან სხვა სამართლებრივი აქტის, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და დეკლარაციის შესავალი ნაწილი.*

„როცა მამაკაცები ოჯახის რჩენას გვაიძულებენ...“

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ საზოგადოების დიდ ნაწილს სიდუხჭირე მოუტანა. მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, ბევრი ქართველი ქალი იძულებული გახდა, ოჯახი, ქმარი, შვილები დაეტოვებინა და უცხოეთში სამუშაოდ წასულიყო. ჩემი რესპონდენტებისგან ისიც კი შევიტყვე, რომ კაცები ცოლებს თავად უბიძგებენ ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ. რატომ აიძულებენ მამაკაცები, ქალებს ოჯახის უზრუნველყოფას და რაში ცვლიან ისინი საყვარელ მეუღლეებს? ამ კითხვებზე ქვემოთ მოთხრობილი ამბები გაგცემთ პასუხს.

სოფო ჭონიშვილი

თამილა, *45 წლის:*

— იმერეთის ერთ-ერთ სოფელში გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე. ჩემს მშობლებს ისე უჭირდათ, რომ სწავლის გაგრძელებაზე არც მიფიქრია, თუმცა საუკეთესო მოსწავლედ მივიჩნეოდი. 18 წლის რომ გავხდი, დედამ კატეგორიულად მითხრა, — წელს აუცილებლად უნდა გათხოვდეო. თავიდან მეგონა, მეხუმრებოდა, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამას სრული სერიოზულობით მეუბნებოდა, ძალიან ვინერვიულე. მშობლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო. ვის მაყოლებდნენ, ისიც კი არ ვიცოდი. მთელ დღეებს ტირილში ვატარებდი. დედაჩემი დატრიალდა, კარგი (როგორც იმერეთში იტყვიან) „მარიფათიანი“ მაჭანკალი მოძებნა და ჩემ შესახებ ყველაფერი უამბო. მაჭანკალმაც დიდხანს არ დააყოვნა და „შეძლებული“ ოჯახის შვილი გამომიძებნა. შეძლებულ ოჯახში იგულისხმებოდა ის, რომ 2 ძროხა, ღორები, ქათმები და ინდაურები ჰყავდათ. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მშობლებმა თავიდან მომიშორეს. ჩემი ქმარი მეორე სოფელში ცხოვრობდა. ოჯახში შესული, თავს არ ვზოგავდი, დაუღალავად ვშრომობდი, საკუთარი თავისთვის ვეღარ ვიცლიდი. ქათმებს, ინდაურებს ვყიდდით და თავს ისე ვირჩენდით. შემდეგ, როცა შვილები წამოიზარდნენ, ისინიც მეხმარებოდნენ. 3 შვილი ისე გავზარდე, არავინ დამხმარებია. მართალია, თავს ფიზიკური შრომით ვირჩენდით, მაგრამ ღმერთის მადლიერი ვიყავი. ჩემი ქმარი კი სულ უკმაყოფილო სახით დადიოდა, თითქოს ჩემი ბრალი იყო, რომ „მერსედესის“ ჯიპით არ დაიარებოდა. კარგი ცხოვრება უყვარდა, მაგრამ შრომით თავს არ იკლავდა, ყველაფერს მე მაკეთებინებდა. ყველსა და კვერცხში აღებული ფულით კი მხოლოდ ელემენტარულ მოთხოვნილებებს ვიკმაყოფილებდით. ერთ საღამოს მეუღლე შინ გაბრწყინებული სახით დაბრუნდა, რამაც ძალიან გამაკვირვა და ვკითხე, — რა ხდება-მეთქი? აი, რა მიპასუხა: იცი, რა, ჩემო ძვირფასო? ხომ არ აჯობებს, საბერძნეთში წახვიდე, იქ იმუშაო, შენც კარგად იქნები და ჩვენც; აქ ამდენს შრომობ, მაგრამ არაფერი გამოგდისო. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩემი ქმარი თუ ამას მეტყოდა, არ მეგონა. მთელი ღამე ნერვიულობით არ მიძინია... მთელი თვე ყოველდღე იმას მახსენებდა, თუ როგორ კარგად აიწყო ცხოვრება მისი მეგობრის ცოლმა და როგორი ჯიპი უყიდა თავის ქმარს. მოკლედ, სხვა გზა აღარ დამიტოვა, მეუბნებოდა, — ბავშვები პატარები აღარ არიან, საკუთარ თავს თვითონვე უვლიან, მეც ყურადღებას არ მოვაკლებო. ბოლოს დავთანხმდი, თუმცა საზღვარგარეთ წასასვლელი თანხა სად უნდა მეშოვა, არ ვიცოდი. ვისაც კი ვთხოვე, ყველასგან უარი მივიღე. ბოლოს ჩემი ქმარი დატრიალდა და წასასვლელი ფული თვითონ მიშოვა, საბუთების შეგროვებაშიც დამეხმარა და ერთ თვეში საბერძნეთში გავემგზავრე. წასვლის წინ კი გესლიანად ვუთხარი, — მოვა დრო და შენს საქციელს მწარედ ინანებ-მეთქი. მე მზად ვიყავი, მთელი ცხოვრება ჩემი შვილების გამო სოფელში მემუშავა, მან კი იძულებული გამხადა, შვილები მიმეტოვებინა. ათენში ჩასულს, ქართველი ქალი დამხვდა, სწორედ ის ქალი, რომელმაც მთელი ჩემი სოფლის ქალები საბერძნეთში სამუშაოდ წაიყვანა. ამ ქალის დანახვაზე სიხარულის ცრემლები წამომივიდა, დაბნეული ვიყავი, არ ვიცოდი, რა მექნა. ქალაქში სულ რამდენჯერმე თუ ვყოფილვარ. მოკლედ, ამ ქალმა ერთ მდიდრულ სახლში მიმიყვანა. კარი მოსამსახურემ გაგვიღო, გამიღიმა და ქართულად მომესალმა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის ზესტაფონიდან ყოფილა. ერთმანეთს უცებ დავუმეგობრდით, მას სახლის დალაგება, ბაზარში წასვლა და სადილების მომზადება ევალებოდა, მე კი — 50 წლის ინვალიდი მამაკაცისთვის უნდა მომევლო, რომელსაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყოლია და ისიც გერმანიაში გათხოვილა. მოკლედ, ჩემი მოსავლელი, საკმაოდ თბილი, კეთილი და ამავე დროს, სიმპათიური მამაკაცი აღმოჩნდა. დღის განმავლობაში იმდენი დრო მრჩებოდა, რომ საკუთარი თავის მიხედვასა და ენის სწავლასაც ვახერხებდი. მამო (ასე ერქვა ჩემს მოსავლელს) საკმაოდ კარგ ხელფასს მიხდიდა. ენის შესწავლის შემდეგ, ერთმანეთთან ურთიერთობა გაგვიიოლდა. მას ჩემ შესახებ ყველაფერი აინტერესებდა: ვუყვებოდი ჩემს სოფელზე, შვილებზე, მეუღლეზე... ერთ დღეს ისიც კი მითხრა, — ასეთი მშვენიერი ქალი მეუღლემ აქ როგორ გამოგიშვაო?!. ვერაფერი ვუპასუხე, მხოლოდ გავუღიმე... გადიოდა დრო, შვილებს ყოველდღე ველაპარაკებოდი, ფულს ვუგზავნიდი. რაც უნდოდათ, ყველაფერი ჰქონდათ. ჩემს ქმარსაც ავუხდინე ის ოცნება, რომელის გამოც აქ, უცხო ქვეყანაში შეუბრალებლად გამომაგდო. ძალიან ბედნიერი იყო. კარგად იცვამდა და საოცნებო ავტომობილითაც დადიოდა. მხოლოდ მე ვიყავი უბედური. მართალია, სიყვარულით არ გავთხოვილვარ, მაგრამ თანაცხოვრების შედეგად, მეუღლე ძალიან შემიყვარდა. ის კი უჩემობას არ განიცდიდა, უფრო მეტიც — როგორც შემატყობინეს, საყვარელიც კი გაუჩენია. ყოველივე ამის შემდეგ, ჩემს თავს მკაცრად შევუძახე: ის თუ ჩემი ნაშრომით ბედნიერი იყო, მე დარდით რატომ უნდა მოვმკვდარიყავი?! საკუთარ თავზე ზრუნვა დავიწყე, ბოლო მოდაზე ვიცვამდი, სილამაზის სალონშიც დავდიოდი. მამო ყოველდღე კომპლიმენტებით მავსებდა; ვამჩნევდი, რომ ჩემ მიმართ გრძნობა გაუჩნდა. ხშირად საჩუქრებსაც მიძღვნიდა. ერთხელ მთხ-

ოვა, ყოველ დილით მაკიაჟით, მაღალქუსლიან ფეხსაცმელსა და ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი მივსალმებოდი. მისთვის უკვე მომვლელი აღარ ვიყავი. გამომიტყდა, რომ მოვწონდი. დაბადების დღე ათენის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში გადამიხადა. ისეთი რომანტიკული ვახშამი მომიწყო, რომ უბედნიერეს ქალად ვიგრძენი თავი. იმ დღესვე მთხოვა, ცოლად გავყოლოდი. მეც დაუფიქრებლად დავთანხმდი. ახლა მისი ცოლი ვარ. სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ შვილების სიახლოვე მაკლია. სულ მალე, სამივეს ჩემთან ჩამოვიყვან. სახლი დიდია და ყველას გვეყოფაო, — მითხრა მამომ. ჩემს ყოფილ ქმარს კი თვეში 200 დოლარს არ დავამადლი. მიუხედავად იმისა, რომ მეზიზღება, მაინც ჩემი შვილების მამაა და ბოლომდე არ გავწირავ. ცხოვრებაში რაც მაკლდა და რაც არასდროს მქონია, აქ ვნახე. ყველაფერი — სითბო, სიყვარული, კომფორტი და ბედნიერება ინვალიდმა მამაკაცმა მაჩუქა. ჩემს ყოფილ ქმარს კი ეს ყველაფერი ჩემით უნდოდა, მოეპოვებინა. შეიძლება, ახლა ნანობს კიდეც, მაგრამ უკვე გვიანია.

დიანა, *30 წლის:*

— მე და ჩემი მეუღლე გიო, თანაკლასელები ვიყავით. ერთმანეთი პირველი კლასიდანვე შეგვიყვარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მშობლების დაუკითხავად გავიპარეთ და ჯვარი დავიწერეთ. არც ჩემი და არც გიოს მშობლები მდიდრები არ იყვნენ. მართალია, არ უჭირდათ, მაგრამ ბევრი რამ გვაკლდა. ოჯახის შექმნის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, უამრავი პრობლემა იჩენს თავს. ერთი წელი, სიყვარულით გაბრუებულებს, გაჭირვებისა და პრობლემებისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია, შემდეგ კი თითქოს თვალები აგვეხილა, ყველა უბედურება ერთად დაგვატყდა თავს: ჩემი მამამთილი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო, გარდაიცვალა; მამის დაღუპვის შემდეგ, ჩემი მეუღლე ძალიან შეიცვალა, სულ გაღიზიანებული და ნერვებაშლილი დადიოდა. შრომას მიჩვეული არ იყო და მამის გარეშე ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. პროფესია არც ერთს გვქონდა და არც მეორეს. უფულობას და გაჭირვებას ისიც დაემატა, რომ არ ვორსულდებოდი, რასაც მეც და ჩემი მეუღლეც ძალიან განვიცდიდით. ერთ დღეს თბილისიდან გიოს ნათესავები გვესტუმრნენ. ჩვენი მდგომარეობა რომ შეიტყვეს, შევეცოდეთ და საზღვარგარეთ წასვლა შემოგვთავაზეს. გვითხრეს: ნათესავი ქალი გვყავს, რომელიც საბერძნეთში წასვლაში დაგეხმარებათ, გზის ფულსაც გიშოვით, იქ ჩასულებს, სამსახურსაც დაგახვედრებთ, ვალს კი ნელ-ნელა გადაიხდითო. იმ ღამით სიხარულით არც ერთს არ გვძინებია. ფიქრებში ოცნების კოშკები ავაგეთ... მოკლედ, გადავწყვიტეთ, რომ სექტემბერში თბილისში ჩავსულიყავით და საბუთების შეგროვება დაგვეწყო. ქალბატონი დალი სასწრაფოდ დატრიალდა და ყველა საბუთი გაგვიმზადა. ის გიორგის დეიდის მეგობარი იყო, რომელიც გვაიმედებდა, რომ იქ ჩასულებს ყველაფერი აგვეწყობოდა. გვანუგეშებდა — არ ინერვიულოთ, იქ ჩემი მეგობარი ქალი დაგხვდებათ და სამსახურის შოვნაში ორივეს დაგეხმარებათო. დალი მართლაც, კეთილსინდისიერი ქალი აღმოჩნდა, აეროპორტშივე დაგვხვდა და იმ საღამოს თავის სახლში წაგვიყვანა. მეორე დილით ჩვენთვის წინასწარ ნაშოვნ სამსახურებში მიგვიყვანა. მე 1 წლის ბავშვისთვის უნდა მომეკლო, გიო კი სამშენებლო კომპანიაში მიიყვანა. ორივეს გასამრჯელო იმდენი გვქონდა, რომ ვალი, რომელიც აქ წამოსასვლელად ავიღეთ, 3 თვეში დავფარეთ, ამის შემდეგ კი ფულის შეგროვება დავიწყეთ, რომ სოფელში სახლი გაგვერემონტებინა და ქალაქშიც შეგვეძინა ბინა. ერთი სიტყვით, სამომავლო გეგმებს ვაწყობდით. 6 თვის მუშაობის შემდეგ, გიორგიმ სამუშაოზე გული აიცრუა, ამბობდა, მძიმეაო... იქ თურმე ქართველი ბიჭები გაუცნია და დღედაღამ ქეიფობდნენ. ერთ დღესაც მოვიდა და მთხოვა, ჩვენი დანაზოგი, მისი „მეგობრისთვის“ გვესესხებინა: ძალიან უჭირს, ბავშვი ცუდად ჰყავს და ფული არა აქვთო. შემეცოდა და უარი ვერ ვუთხარი. გავიდა დრო და ფული ვერ დამიბრუნეს. როგორც შემდეგ გავიგე, ჩემი მეუღლე სამსახურში აღარ დადიოდა, ის ფულიც თვითონ დაუხარჯავს. მერე ყოველდღე მოდიოდა და ფულს მთხოვდა. ვეჩხუბებოდი, — სოფელში დაბრუნდი და ფულს აქედან გამოგიგზავნი-მეთქი. არ მიჯერებდა. ისე მოხდა, რომ სამსახური მეც დავკარგე: ბავშვი, რომელსაც ვუვლიდი, სხვა ქალაქში წაიყვანეს. ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგო, ძალიან „დამწუხრდა“. ერთ დღესაც მოვიდა და მითხრა: კარგი სამსახური გიშოვე; ერთი ასაკოვანი კაცია, ბევრი ფული აქვს, შენც კარგად გადაგიხდისო. სხვა გზა არ მქონდა და მის წინადადებას დავთანხმდი. ის კაცი მართლაც, ძალიან მდიდარი იყო. სახლში ისეთი ანტიკვარული ნივთები ჰქონდა, მეშინოდა, არაფერი გამტეხოდა. ზედმიწევნით ვფრთხილობდი. კარგად მიხდიდა, მაგრამ ხანდახან მისი ქცევები არ მომწონდა. გარდა იმისა, რომ ვუვლიდი, ზოგჯერ მოფერებას და თბილი სიტყვებით ლაპარაკსაც მთხოვდა. როცა ამის შესახებ ჩემს მეუღლეს ვუთხარი, გაეცინა, — მერე რა მოხდა, ასაკოვანი კაცია, ვერაფერს „დაგიშავებსო“... ამ სიტყვების შემდეგ ის გულიდან საბოლოოდ ამოვიგდე. ფულს აღარ ვაძლევდი. მაინც არ მასვენებდა. ბოლოს დავემუქრე, — თუ კიდევ შემაწუხებ, პოლიციას შევატყობინებ და დაგიჭერენ-მეთქი. მაშინ კი შეშინდა და საბოლოოდ შემეშვა... დღემდე ვერ ვინელებ, ჩემი ამდენი წლის ნაშრომი თავის „კაიფს“ რომ შესწირა. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ კაცმა, რომელიც მთელი ცხოვრება სიყვარულს მეფიცებოდა, ფულის გამო ვიღაც მოხუცს მიმყიდა. ახლა გავიგე, რომ დაუჭერიათ და ციხეში ზის. არ მეცოდება, სანახავადაც არ მივსულვარ. მან ხომ გამწირა და უცხო ქვეყანაში მარტო დამტოვა!.. უკვე რამდენი წელია, ამ კაცს ვუვლი. საქართველოში დაბრუნებას როდის შევძლებ, არ ვიცი. ან კი რა

გამოცემლობა
პალიტრა L

მარადიული
წიგნი!

სამაგიდო
ენციკლოპედია
პასუხი ყველა
კითხვაზე!

იკითხეთ
წიგნის
მაღაზიებში

იმედია, ის დროც დადგება,
როცა მასზე შურს მწარედ ვიძიებ...

მინდა, რომ დავბრუნდე?! ერთი, მამა მყავდა და ისიც დამელუპა. ერთადერთ იმედად ისღა დამრჩა, რომ აქ ერთი ქართველი ბიჭი გავიცანი, ძალიან მომწონს, მასაც მოვწონვარ, ყურადღებას მაქცევს. კარგი ადამიანია. მხოლოდ ის თუ შეძლებს, ამ ტანჯვისგან გამათავისუფლოს. თუმცა ჩემი ქმრის საქციელის შემდეგ, მამაკაცების ნდობა ძალიან გამიჭირდება...

თეა, *38 წლის:*

— როცა საქართველოში ცხოვრება გაჭირდა, მე და ჩემმა ქმარმა გადავწყვიტეთ, საზღვარგარეთ წავსულიყავით. ისე გვიჭირდა, რომ იყო დღეები, სახლში პურიც კი არ გვქონდა. საკუთარ თავს არ ვჩიოდით, ჩვენი შვილი თაკო მაშინ 6 თვის იყო. რძე არ მქონდა, სპეციალური საკვების ყიდვას კი ვერ ვწვდებოდით. მეზობლის ქალს ძროხა ჰყავდა, ძალიან ვეცოდებოდით და პატარა თაკოსთვის ყოველდღე ნახევარ ლიტრ რძეს გვაძლევდა. ამ რძეში მჭადის ფქვილს ვხარშავდი და იმას ვაჭმევდი. შვილი ერთ წლამდე ასე გავზარდე. როცა 1 წლის გახდა და უკვე ყველაფრის ჭამა შეეძლო, დედაჩემს დავუტოვე და მე და ჩემი ქმარი საბერძნეთში წავედით. იქ ჩასულებმა საქმე ისე კარგად ავაწყვეთ, რომ ოჯახსაც ვეხმარებოდით და ცოტ-ცოტა — ნათესავებსაც. ჩვენს შვილს არაფერს ვაკლებდით, სოფელში სახლი გავარემონტეთ, ბავშვს ყველანაირი კომფორტი შევუქმენით იმისთვის, რომ თავი კარგად ეგრძნო. თბილისში ბინაც ვიყიდეთ და ნათესავი გვირემონტებს. 8 წელია, რაც საქართველოში არ ვყოფილვართ, ყველა ძალიან მენატრება. ჩვენი შვილი ისე გაიზარდა, რომ მშობლების სითბო და სიყვარული არ იცის, რა არის. „დედას“ დედაჩემს ეძახის. გული მტკივა, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ მოვძებნე. ის უფრო მძიმე ასატანი არ იყო, ბავშვს რომ შიოდა და საჭმელი არ გვქონდა?! 8 წლის განმავლობაში, რაც კი გვაკლდა, ყველაფერი შევიძინეთ. მართალია, ცოლ-ქმარი ერთ ქალაქში ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვერ ვნახულობდით. ჩემი ქმარი ამ წლების განმავლობაში ერთი შეძლებული ქალის მდიდრული სახლ-კარის მეთვალყურედ მუშაობდა, გასამარჯელოც კარგი ჰქონდა. როცა ერთმანეთს ვნახულობდით, სულ იმ ქალზე მელაპარაკებოდა. ძალიან მოსწონდა, — კარგი ადამიანია, თბილად მექცევა და ყურადღებასაც მაქცევსო. ბოლო დროს, ამ ქალზე ლაპარაკს მოუხშირა, სულ მასზე უნდოდა, გვესაუბრა. სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, ეჭვიანობაც დავიწყე, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ქმრისთვის არ მიგრძნობინებია. ძალიან ვნერვიულობდი, მინდოდა გამეგო, რა ურთიერთობა ჰქონდათ. ერთხელაც ჩემს ქმარს ვთხოვე, დასვენების დღეს იმ ქალის სახლში წავეყვანე და ჩემთვისაც გაეცნო. ვუთხარი: ხომ უნდა ვიცოდე, ჩემს მეუღლეზე ვინ ზრუნავს-მეთქი?! სახე შეეცვალა, შევატყვე, რომ განერვიულდა. კარგა ხნის პაუზის შემდეგ კი მითხრა: რა საჭიროა? იმ ქალს არ უყვარს, როცა მის სახლში უცხო ადამიანები მიდიანო. მისი პასუხი არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი?! ყველაფერი ისევე დავტოვე, როგორც იყო და ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელეთ, თუმცა ეჭვი მაინც არ მასვენებდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი ქმრისთვის საქართველოში დაბრუნება შემეთავაზებინა. ჩვენ ხომ უკვე ყველაფერი გვქონდა: სახლი — სოფელში; ქალაქშიც — გარემონტებული და კომფორტულად მოწყობილი ბინა; ბანკშიც დაგვიგროვდა დანაზოგი. საქართველოში დაბრუნებულებს შევგვეძლო, მცირე ბიზნესი წამოგვეწყო და შვილთან ერთად, ბედნიერად გვეცხოვრა... როცა ჩემი გადაწყვეტილება მეუღლეს გავანდვე, მისგან მტკიცე უარი მივიღე; მითხრა, — ჯერ სხვა გეგმები მაქვსო, თუმცა არ დაუკონკრეტებია. სულ ცოტა ხანში კი „გეგმები“ თავად გამიზიარა: მაპატიე, მაგრამ აღარ მიყვარხარ, შეგიძლია, როცა გინდა საქართველოში მაშინ დაბრუნდე, მე ცოლად სხვა ქალს ვირთავ, იმედია, გამიგებო... ამის მოსმენის შემდეგ, თვალებზე ბინდი გადამეკრა და გული წამივიდა. აზრზე რომ მოვედი, ქმარს ვუთხარი, რომ ჩემგან თავისუფალი იყო. ერთადერთი, ვთხოვე, რომ შვილი, რომელიც ამდენი წელი გველოდებოდა, არ დაევიწყებინა. ამ ყველაფერს ისე უსმენდა, სინანულიც კი არ ეტყობოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ერთი სული ჰქონდა, საბოლოოდ როდის დამშორდებოდა და იმ ქალთან გაიქცეოდა, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში „ემსახურებოდა“... ახლა კი გულს მხოლოდ ის მიხარებს, რომ მალე ჩემს შვილთან ჩამოვალ და ბედნიერად ვიცხოვრებ. გადავწყვიტე — იმ კაცის გამო, რომელმაც ამდენი წლის შექმნილი ოჯახი, სიყვარული და შვილი, ფულის გამო ვიღაც ასაკოვან ქალში გაცვალა, არასოდეს ვინერვიულებ. იმედია, ის დროც დადგება, როცა მასზე შურს მწარედ ვიძიებ... ■

კალეიდოსკოპი

ტრასაზე გაბნეული მილიონები



აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფლორიდის შტატის ერთ-ერთ ტრასაზე სატვირთო ავტომობილი გადაბრუნდა, რომლითაც 187.000 დოლარის ოდენობის ხუთცენტიანი მონეტები გადაჰქონდათ. ფილადელფიიდან მაიამის მიმართულებით მოძრავი, ფულით დატვირთული საბარგო მანქანა ქალაქ ორლანდოსთან მეორე ავტომობილს შეეჯახა. ავარიის შედეგად მცველი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ორივე მძღოლი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავარიის მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. პოლიციამ ტრასა გადაკეტა. შტატის საგზაო პოლიციის განმარტებით, გზაზე მოძრაობა მანამდე არ აღდგება, ვიდრე სამართალდამცველები გზაზე მიმობნეულ მილიონებს არ შეაგროვებენ... ■

„ჩემი ქმარი კარგი ხელოსანია, მაგრამ ზარმაცია...“

მარეხ ჭონიშვილი

— ძალიან გამიჭირდა შვილის, ოჯახის შენახვა. ერთი პერიოდი, მაღაზიაში დამლაგებლად ვმუშაობდი, მაგრამ იქ აღებული 80 ლარი არაფერში მყოფნიდა.

— მეულლე არ გყავს?

— მყავს, მაგრამ 2 წელია, უმუშევარია, მე ვარჩენ. ის მანქანების ხელოსანია. კარგი ოსტატია, ამ საქმით შეუძლია ფული იშოვოს, მაგრამ ზარმაცია და არ მუშაობს. ამიტომ ოჯახს მე ვარჩენ. არ იფიქროთ, რომ ვწუწუნებ, პირიქით — ვერ ვიტანს ისეთ ადამიანებს, ვინც დღეებს ტირილში ატარებს. ღმერთის იმედით, ჯანმრთელად ვარ და შემწევს ძალა, რომ ვიმუშაო.

— რა პროფესიის ხარ?

— ყოფილი სპორტსმენი ვარ. წყლის თხილამურებში საქართველოში მეორე ვიყავი. ბევრ კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ძალიან კარგი სპორტია და გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ ექცევა.

— ხელობა ვინ გასწავლა?

— პირველად, გასარემონტებლად ჩემი მეგობრის სახლი ავიღე. ძალიან ვნერვიულობდი. ერთი პატარა სამზარეულოს გასაკეთებლად, ორი პარკი „შპაკლი“ დავხარჯე: ვინც ამ საქმეში ერკვევა, მიხვდება, რომ ეს ძალიან ბევრია. მეზობლად ერთი ხელოსანი მუშაობდა. როცა დამინახა, როგორ ვწვალობდი, მოვიდა და ამიხსნა, რა როგორ უნდა გამეკეთებინა. სხვა რაღაცებში კი მე თვითონ გავერკვიე. ყველაფერს ვაკეთებ — ელექტრობას, კაფელს, მეტლახს, ვღებავ კიდევაც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიონალი ხელოსანი ვარ და კონკურენციას ბევრ მამაკაცს გავუწევ.

— რამდენი წლის ხარ?

— 33-ის.

— შემოსავლით კმაყოფილი ხარ?

— უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ყველაფერს საკუთარი შრომით ვაკეთებ. ავტომანქანაც ვიყიდე. ფულს რომ ავიღებ, ნაწილს ოჯახში ვხარჯავ, ნაწილს კი — მეგობრებში. ბევრი მეგობარი მყავს. მიყვარს მათთან ერთად გართობა. ვიკრიბებით და ვქეიფობთ ხოლმე, ხშირად ვთამადობ კიდეც. ჩემი შემოსავლის მცირე ნაწილს ქმარსაც ვუყოფ, რა ვქნა — მეცოდება, რაც უნდა იყოს, ჩემი შვილის მამაა...

— ოჯახის წევრებმა რა გითხრეს, როცა ამ საქმეს მოჰკიდე ხელი?

— ქმარი თავიდან წინააღმდეგი იყო. მეუბნებოდა — ეგ რა ქალის საქმეაო?! მაგრამ როცა ვუთხარი, — მაშინ, შენ იმუშავე და ოჯახი შეინახე-მეთქი, — წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. რაც შეეხება ჩემს შვილს, 11 წლისა, კარგად სწავლობს და ამით ბედნიერი დედა ვარ. ხშირად მეუბნება: დედიკო, ვიცი, მძიმე სამუშაო გაქვს, მაგრამ რომ გავიზრდები, მე ვიმუშავებ, შენ კი დაისვენებო.

„სახლში ყველაფერს ვაკეთებ: შპალერს, ჭერს, კაფელს, მეტლახს. ყოფილი სპორტსმენი ვარ. ჩემი პროფესიით ოჯახის რჩენა რომ გამიჭირდა, ეს ხელობა ვისწავლე. ბევრი ამბობს, რომ ეს ქალისათვის შეუფერებელი სამუშაოა, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი შრომით ოჯახს ვინახავ. მინდა, ჩემს შვილს არაფერი მოაკლდეს,“ — მითხრა ეკა ბაბუნიძემ, რომელიც უკვე სამი წელია, ბინებს არემონტებს და ამით არჩენს ოჯახს. მან ხელობა თავისით ისწავლა.

ეკა შვილთან ერთად

— ეკა, ქალისთვის სახლის გარემონტება მართლაც, მძიმე სამუშაოა. არ გიჭირს?

— რა თქმა უნდა, მძიმე და შრომატევადია. დილიდან დაღამებამდე ვმუშაობ, ხარაჩოზე დღეში რამდენჯერმე მიწევს ასვლა და ჩამოსვლა. ხშირად მეუბნებიან: ეკა, გაჩერდი, დაისვენე, ნუთუ არ დაიღალეო? — მაგრამ სანამ საქმეს არ მოვრჩები, დასვენება არ მიყვარს.

— ალბათ ბევრს უკვირს, როდესაც ქალ ხელოსანს ხედავს, არა?

— ზოგს უკვირს, ზოგი კი თავიდან არ მენდობა, ალბათ ფიქრობს, — ამან რა უნდა გააკეთოსო?.. მაგრამ საბოლოოდ, ყველა კმაყოფილი რჩება.

ჩვენს საუბარში იმ სახლის პატრონი ჩაერთო, რომელსაც ეკა ბინას ურემონტებს:

— ეკას დიდი ხანია ვიცნობ. მისი გაკეთებული ბევრი ბინა მინახავს. ამიტომ არც კი დავფიქრებულვარ, ისე მივანდვე ჩემი სახლის რემონტი. არაჩვეულებრივი დედა და მეგობარია, მას მეგობრები мамас ეძახიან. იმიტომ, რომ ყველაფერზე — ой, мамас — გაიძახის.

— ეკა, უკმაყოფილო კლიენტი თუ გყოლია?

— არა. ჩემი შესრულებული საქმით უკმაყოფილო არავინ ყოფილა, პირიქით — რემონტს რომ ვამთავრებ, მადლობას მეუბნებიან. ბევრ ოჯახს დავუმეგობრდი. მათ ჩემი ნახვა უხარიათ და დიდი სიყვარულით მხვდებიან.

— თუ გქონია შემთხვევა, როცა კლიენტს მოუტყუებიხარ და თანხა არ გადაუხდია?

— რას ამბობ, მე მაგას ვინ გამიბედავს (*იცინის*)?! ჩემი „გადაგდება“ ჯერ არავის უცდია. პირიქით, ყველა ზრდილობიანად მექცევა. თან ადამიანს არ ვღალატობ, საქმეს პატიოსნად ვაკეთებ. შესრულებულ სამუშაოში კი ფული უნდა ავიღო.

— ამ საქმისთვის თავის დანებებას ხომ არ აპირებ?

— ერთი პერიოდი საზღვარგარეთ წასვლა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე. შვილს ვერ დავტოვებ. თან, რომ დავფიქრდი, შემოსავლით აქაც კმაყოფილი ვარ. სანამ შემწევს ძალა, ვიმუშავებ. სურვილი მაქვს, რომელიმე სამშენებლო კომპანიაში დავიწყო მუშაობა, რათა სტაბილური სამსახური მქონდეს.

— ახლა როგორ შოულობ სამუშაოს?

— ჩემი მეგობრების და იმ ადამიანების წყალობით, ვისთანაც მიმუშავია. ისინი მიწევენ რეკომენდაციას. მათი წყალობით, სამუშაო არ მაკლია.

— სხვა „მალიარ“ ქალებს თუ იცნობ?

— არავის ვიცნობ. ერთხელ განცხადება წავიკითხე, სადაც ქალი წერდა, რომ რემონტის გაკეთება შეუძლია. დავურეკე და ვუთხარი, — ქალბატონო, მეც ხელოსანი ვარ და იქნებ ერთად ვიმუშაოთ-მეთქი? უხეშად მიპასუხა: მე დამხმარე არ მჭირდება, მარტო ვმუშაობო. არადა, კარგი იქნება, ხელოსან ქალთა ბრიგადა რომ ჩამოვაყალიბო. დარწმუნებული ვარ, მამაკაცებს დიდ კონკურენციას გავუწევთ, იმიტომ, რომ ხელოსანი კაცების 80% სვამს. ■

მოგონებები, რომლებიც „ბაკებასეული“ ვეტერინარის გამო საქმეს ქურდულად არჩევდნენ

„ცელქობის გამო გემოზე მძუყნიდნენ ხოლმე“

„თინეიჯერები 19 წლამდე ასაკის გიჟები არიან. თავის დროზე მეც ასეთი ვიყავი... მაგრამ არა, ეს სიგიჟე მე დღემდე გამომყვა“, — მითხრა ვასო ფხაკაძემ, რომლის გამოც, თურმე გოგონებს ერთმანეთისთვის საქმეც კი გაურჩევიათ.

ლიკა ქაჯაია

— ჩემი თინეიჯერობა ძალიან ცუდ პერიოდს დაემთხვა — თბილისში ომი გახლდათ და თავი როგორ უნდა გამერთო? სად იყო მაშინ დისკოთეკა და ღამის კლუბი?! ჰო, ბიჭები მიზანში ვისროდით და ამით ვერთობოდით (*იცინის*).

— რას ისროდით?

— ყველაფერს, რისი სროლაც შეიძლებოდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— მესამე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ მერე „ავუშვი“. პრინციპში, საშუალო დონის მოსწავლე გახლდით.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— როგორ არა! გაკვეთილის ჩასაშლელად საკლასო ოთახში ხან „დიმაუშკებს“ ვანთებდი, ხან რაღაცებს ვიტყუებოდი.

— მაგალითად?

— ვამბობდი, რომ ვიღაც მოკვდა და მთელი კლასი არარსებულ პანაშვიდზე მიმყავდა.

— მერე, ამის გამო არ გიბრაზდებოდნენ?

— აბა, რას იზამდნენ? ცელქობის გამო გემოზე მძუყნიდნენ ხოლმე (*იცინის*). აუ, ერთი მასწავლებელი გვყავდა, რომელიც, თუ გააბრაზებდი, ფეხს ფეხზე დაგაჭერდა და „ბაკებს“ „აგახევდა“. ეგ რომ მახსენდება, ტანში სულ ჟრუანტელი მივლის. ხომ ხედავ, „ბაკები“ ახლაც რა დღეში მაქვს...

— მასწავლებელს ხელს არ უბრუნებდი?

— არა, ამას როგორ ვიკადრებდი?! მასწავლებელს საკლასო ოთახში ხელს როგორ შევუბრუნებდი?

— საკლასო ოთახის გარეთ?

— (*იცინის*) როგორ გეკადრება?! რას მეკითხები? ვიხუმრე, კაცო, ვიხუმრე... ისე, ყველა ჩემი მასწავლებელი მიყვარდა და ახლაც მიყვარს.

— ვასო, თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— მე ყოველთვის შეყვარებული ვარ ვიღაცაზე.

— ბევრი შეყვარებული გყავდა?

— (*იცინის*) შენ შეყვარებული სხვა რამეში ხომ არ გეშლება?

— არა, მაგრამ ბიჭებისგან გამიგონია, — ამ ასაკში რაც მეტი შეყვარებული გყავს, მით უფრო მაგარი ხარო.

— ეგ მე გოგონების შესახებ გამიგონია — ანუ მათ რაც მეტი „პაკლონიკი“ ჰყავთ, თავი უფრო მაგრები ჰგონიათ.

— კარგი, მაგრამ ამ მხრივ „მაგარი ბიჭი“ იყავი?

— ნუუ... არ ვიცი, რა გითხრა (*იცინის*).

— შენი პასუხი იმაზე მიუთითებს, რომ ამ საქმეში არ მოიკოჭლებდი?

— ჰო, ალბათ.

— თავმდაბლობ თუ რა გჭირს?

— კი, საოცრად თავმდაბალი ვარ, მატრაკვეცული რაღაცები არ მიყვარს.

— თინეიჯერობის ასაკში სიყვარულს როგორ გამოხატავდი? მაშინ მობილური ტელეფონები არ არსებობდა, შეყვარებულისთვის „ესემესი“ რომ მიგეწერა...

— გოგოს, რომელიც მომეწონებოდა, თმას ვაწიწკნიდი.

— ის ამაზე როგორ გპასუხობდა?

— შესაბამისად, ისიც თმას მწიწკნიდა (*იცინის*).

— ქალის გამო სისულელეები თუ ჩაგიდენია?

— აუ, ერთი ამბავი გამახსენდა. თინეიჯერი ვიყავი, როცა შეყვარებულის გამო ისეთი რამ გავაკეთე, რომ გაგიჟდა.

— ასეთი რა მოიმოქმედე?

— ისეთ ადგილას დავენახვე, სადაც არ მელოდა. ჩემს დანახვაზე სიხარულისგან ფერი შეეცვალა.

— შენზე შეყვარებული ბევრი გოგო იყო?

— როგორ არა! სხვათა შორის, ასეთები დღესაც ბევრნი არიან (*იცინის*). სასიამოვნოა, როცა ადამიანს ესიმპათიურები.

— როცა გოგოს მოსწონდი, შენ კი მის მიმართ არანაირი გრძნობა არ გქონდა, თავიდან როგორ იცილებდი?

— ვაგრძნობინებდი, — არ მომწონხარ და რა ვქნა-მეთქი?

— მას აბუჩად ხომ არ იგდებდი?

— არა, მსგავს რაღაცას არასდროს ვიკადრებ! საერთოდ, ადამიანის გრძნობებზე არ ვთამაშობ. ყოველთვის ვცდილობდი, თაყვანისმცემელი გოგო მიმეხვედრებინა, რომ მას ვერასდროს შევიყვარებდი, რადგან სხვა მომწონდა...

— შენ გამო გოგონებს კონფლიქტი არ მოსვლიათ?

— როგორ არა, ასეთი რაღაცა მომხდარა.

— მერე?

— რა მერე? ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ვიღაცები იტყვიან,— მარიაჟი და მატრაკვეცაა.

— არა მგონია, ეს თქვან, რადგან ამას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იტყვი, რომ ჟურნალმა „გზამ“ გთხოვა...

— კარგი, ჰო. გოგონებს ჩემ გამო უჩხუბიათ და ამ ფაქტს თავადაც შევსწრებივარ. დაახლოებით ისეთი სიტუაცია იყო, ბიჭები ერთმანეთს საქმეს რომ ურჩევენ.

— როცა ქალების ჩხუბს უყურებ, როგორი რეაქცია გაქვს?

— ამაზე მაგრად ვნალისობ, სხვა როგორი რეაქცია უნდა მქონდეს (*იცინის*)?

— სიგარეტის მოწევა რა ასაკში დაიწყე?

— ასაკი არ მახსოვს, მაგრამ სიგარეტი პირველად რაჭაში მოვწიე ინტერესის გამო. მახსოვს, ბიძაჩემს „კოსმოსს“ ვპარავდი ხოლმე.

— შენი თინეიჯერობის დროს „მაგარ ბიჭობად“ რა მიიჩნეოდა?

— მაშინ სხვა დრო, სხვანაირი აზროვნება იყო. მადლობა ღმერთს, თინეიჯერები კარგისკენ შეიცვალნენ კარგ გზას ადგანან და იციან, ვინაა მართლა „კარგი ბიჭი“. საერთოდ, „კარგი ბიჭის“ და „კარგი ტიპის“ ერთმანეთისგან გარჩევა უნდა ვიცოდეთ.

— მათ შორის რა განსხვავებაა?

— ამიხსენი, როგორ შეიძლება, ნარკომანი „კარგი ბიჭი“ იყოს?

— ამას ნამდვილად ვერ აგიხსნი.

— ამის ახსნა არც მე შემიძლია, მაგრამ

ვიღაცას მიაჩნია, რომ „თუ „გაიჩხერს“, ეს „მაგარ ბიჭობაში“ ჩაეთვლება. არადა, ასეთი ადამიანი „წამლის“ გამო ყველაფერს იკისრებს... ყველას ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს გასავლელი.

— რას ურჩევდი მათ, ვინც გასავლელად მრუდე გზა აირჩია?

— ადამიანი, რომელიც დადის ეკლესიაში და ჰყავს მოძღვარი, გამოსწორების გზაზეა; ხოლო ის, ვინც მთელი დღე ქუჩაშია და საქმე არა აქვს, მრუდე გზას ადგება. თუ დასაქმებული ხარ, სხვა რაღაცებისთვის (მაგალითად, დაბოლებისთვის) დრო არ დაგრჩება. ბავშვებმა არ იციან, რა აკეთონ და ამიტომაც, დროს კაიფში კლავენ. მათ ასაკში მე დაკავებული გახლდით.

— ვიცი, რომ ცეკვის გაკვეთილებზე დადიოდი. გარდა ამისა, რას აკეთებდი?

— მათემატიკასა და ქიმიაში ვემზადებოდი.

— ქიმია გიყვარდა?

— ისე, რა.

— როგორ ფიქრობ, რამდენადაა დამოკიდებული პედაგოგზე, მოსწავლე მის საგანს ისწავლის თუ არა?

— რა თქმა უნდა, ეს მასწავლებელზეა დამოკიდებული. მან თავის საგანი უნდა შეგაყვაროს... ისე, სიმართლე გითხრა, ტექნიკური საგნები ნაკლებად მიზიდავდა.

— აბა, მათემატიკასა და ქიმიაში რატომ ემზადებოდი?

— მჭირდებოდა — ვეტერინარულზე ვაბარებდი და იმიტომ.

— ვეტერინარულზე ჩაბარება შენი სურვილი იყო თუ შენს პროფესიულ არჩევანზე მშობლებმა იქონიეს ზეგავლენა?

— ამ ფაკულტეტზე ჩაბარება დედ-მამამ მირჩია. ისედაც, სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, ქიმია-ბიოლოგია გაძლიერებულად ისწავლებოდა.

— როგორ ფიქრობ, მშობლები შვილების პროფესიულ არჩევანში უნდა ჩაერიონ?

— გარკვეულწილად, უნდა ჩაერიონ... იცი, ჩემებმა მირჩიეს, მე მათი რჩევა გავითვალისწინე, მაგრამ საბოლოოდ, იმ საქმეს მოვკიდე ხელი, რომელიც თავად მომწონდა.

— შენი სიტყვებიდან გამომდინარე, ამ მხრივ, მშობლებმა შვილებს თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა მისცენ, არა?

— არა, შვილს რაღაც უნდა ურჩიონ, მაგრამ როცა ბავშვი ფორტეპიანოზე კარგად უკრავს, შესანიშნავად მღერის და ა.შ., არ შეიძლება, მას კონსერვატორიაში სწავლის უფლება არ მისცე. ეს დანაშაულია!

— კარგი ვეტერინარი ხარ?

— ამ საქმეში დიდი გამოცდილება ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ არც მთლად უცოდინარი ვარ. ხომ იცი, მთავარი პრაქტიკაა.

— როგორი გოგონები მოგწონს? და კიდევ მას შემდეგ, რაც დაღვინდი, ამ მხრივ გემოვნება ხომ რა შეგეცვალა?

— არა, მე ყოველთვის კარგი გოგონები მომწონდა.

— კარგი გოგო როგორი უნდა იყოს?

— კარგი, წესიერი და ბოლოში სამი წერტილი დასვი. კიდევ, უნდა იყოს თავმდაბალი, მშვიდი და არა — კაპარჩხანა.

— არ გეშინია, რომ ქალმა თავი ნაზ, მშვიდ არსებად მოგაჩვენოს და როცა მასთან ურთიერთობას გააბამ, კაპარჩხანა აღმოჩნდეს?

— ასეთმა ქალმა გაითვალისწინოს, რომ მე უფრო კაპარჩხანა ვიქნები (*იცინის*).

— წელს არჩეული ყველაზე ლამაზი ქართველი გოგო („მის საქართველოს“ ვგულისხმობ) მოგწონს?

— მე რა, მთავარი ისაა, რომ ჟიურის მოეწონა და „მის საქართველოდ“ დაასახელა კიდეც. შესაძლოა, მე სხვანაირი გოგონები მომწონდეს. ჟიურის წევრი რომ ვყოფილიყავი. ვინ იცის, იქნებ სულ სხვა გოგონასთვის მიმენიჭებინა უპირატესობა. ხომ იცი, გემოვნებაზე არ დაობენ... „მის საქართველოს“ წარმატებებს ვუსურვებ!

— და რას უსურვებ თინეჯერებს?

— მალე დაღვინდით, შვილებო.

— ნაადრევად დაღვინება კარგია?

— კარგია, როცა ხან ალთას ხარ და ხან — ბალთას, მაგრამ წლების მატებასთან ერთად ხვდები, რომ დრო უქმად დაგიკარგავს. აკვანში დაღვინება სასურველი არაა, მაგრამ სულ გიჟიც ვერ იქნები...

წერილები რედაქციას

„ამასაც ვადავიტანთ, რადგან ქლიშრეპი ვართ“

ბაია:

„ჰმ, მაოცებთ პირდაპირ. მოკლედ, სხვისი ცხოვრების განსჯაში მაგრები ხართ. ცოტათი საკუთარ ცხოვრებასაც გადაავლეთ თვალი. ნუ განსჯი სხვას და შენც არ განისჯები“...

ნოსტალგია:

„ომის პერიოდში ერთი უცნაური ფიქრი ამეკვიტა. მინდოდა, ბიჭი ვყოფილიყავი, რათა ომში წასვლა შემძლებოდა. ცხინვალსა და გორში მებრძოლი ჯარისკაცები ზოგს ეცოდებოდა, ზოგს კი ეშინოდა, მათ რაიმე არ დამართოდათ. მე კი ყველა საფიცარს გეფიცებით, მათი მშურდა. იქ არ წამიყვანდნენ, თორემ, მიუხედავად იმისა, რომ გოგო ვარ, სახლიდან გავიპარებოდი და მაინც წავიდოდი. მე და ყველა ჩემნაირმა უბრალო ადამიანმა რაც უნდა გავაკეთოთ, ჩვენი სიცოცხლე ერთი დაღუპული ჯარისკაცის ხანმოკლე სიცოცხლეს ვერ გაუტოლდება. იცით, ადრე როგორი ვიყავი? — მეგობრებს ვუმტკიცებდი, — პატრიოტიზმი პოეტების გამოგონილი სიტყვაა, რომელსაც მხოლოდ ლიტერატურაში თუ შევხვდებით-მეთქი. მეგონა, სულერთი იყო, ქართველი მერქმეოდა, რუსი, ამერიკელი თუ არაბი, ოღონდ კარგად ვყოფილიყავი. მაგრამ მაშინ, როცა ჩემს ქართველობას საფრთხე დაემუქრა, ღმერთს ვთხოვდი, — თუნდაც მომკლან, ოღონდ ქართველად მოვკვდე-მეთქი. რუსებო, თქვენ რა უნდა დააკლოთ ქართულ სულს? როცა საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, თქვენ ტყეში დარბოდით. იმ ცოდვისთვის, რაც ჩვენთან დაატრიალეთ, მუდამ „გადაუნიტაზებულ-გადაპუტინებულ“ ერად დარჩებით. იბერია გაბრწყინდება?!

იკუმკები:

„საშინლად აღშფოთებული ვარ. აღარ ვიცი, რა ხდება ჩვენ გარშემო. ნუთუ, საზოგადოების მხრიდან ასეთ გულრილობა დასაშვებია?! საქმე ისაა, რომ ორიენტაციაარეული ახალგაზრდების მომრავლებამ სერიოზულად შემაშფოთა. არ ვიცი, ამ უმსგავსობას რა დავარქვა. ასე უსირცხვილოდ რომ მოუწოდებენ ერთმანეთს, იბრძოლონ თავიანთი სიყვარულისთვის. ღმერთო ჩემო, ეს ენით აუწერელი თავხედობაა. ყოველთვის ვცდილობ, ნაკლებად კრიტიკული ვიყო იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ რუბრიკის მეშვეობით რჩევისთვის მოგვმართავს, იმიტომ, რომ წმინდანი არც მე ვარ, მაგრამ ზოგის მესიჯი მაღიზიანებს. ხალხნო, გონს მოდით. რას ნიშნავს ქალს ქალი უყვარდეს და კაცს — კაცი? ნუთუ, ამაზე მეტი სიბინძურე არსებობს? მათ არ ვაკრიტიკებ, ვისაც ვერ გაუგია, სინამდვილეში ქალია თუ კაცი, იმ ახალგაზრდებზე ვბრაზობ, რომლებიც ვითომდა მოდას აჰყვნენ და თავისივე სქესის ადამიანებთან სასიყვარულო თამაშს იწყებენ. ხალხო, ნუთუ დაგავიწყდათ, ვისი გორისანი ვართ? ნუთუ, თქვენთვის არაფერს ნიშნავს ტრადიციები, მენტალიტეტი? მშობლებო, რატომ არ ინტერესდებით იმით, თუ ვინ არიან თქვენი შვილების მეგობრები? ზოგიერთ თქვენგანს სულაც არ ადარდებს, სად ათევს ღამეს მისი 14 წლის ქალიშვილი. შვილს გაზრდა კი არა, პირველ რიგში აღზრდა სჭირდება. ზოგჯერ მგონია, გადაშენების გზაზე ვდგავართ. ხალხო, ერთმანეთის წარსულს და მომავალს თუ არა, იმ ბიჭების ხსოვნას მაინც ვცეთ პატივი, ვინც ვაჟკაცურად იბრძოდა ჩვენი მიწისა და ხალხის თავისუფლებისთვის. გოგონებო, იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, გმირი შვილის დედა რომ ხარ. ასე რომ, გონს მოეგეთ და ქალების დანიშნულებას — დედობას ეზიარეთ!“

„ მენს მიმს ომი ჰამოუცხადე“

„თუ საკუთარი თავი გეყვარება, სხვებიც შეგიყვარებენ“

„გზის“ №38-ში დაიბეჭდა მარიას მესიჯი, რომელიც გვწერდა, — როცა ჩემზე უკეთ ჩაცმულ ან ლამაზ გოგონას დავინახავ, მრცხვენია. მგონია, რომ დამცინებენ და ამის გამო, ბავშვებთან ერთად სასეირნოდაც არ მივდივარო. მარია იმედოვნებს, რომ თქვენი რჩევების წყალობით, ამ კომპლექსს დასძლევს და თანატოლებთან ურთიერთობა აღარ გაუჭირდება.

მის რეალი:

„ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და თითოეულს აქვს რაღაც ნაკლი; საკუთარი თავის ნუ შეგრცხვება! მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. შენი აზრით, ნიკოლ კიდმანს თავისი გარეგნობის უნდა შერცხვეს, როცა ანჯელინას შეხედავს? ეცადე, შინაგანად იყო კარგი. თუ ვილაც დაგცინებს, ეს მისი პრობლემაა“.

გრუზინკა:

„რატომ გრცხვენია? რაიმე ნაკლი გაქვს? ულამაზო ხარ? ჩემი აზრით, ეს შენი კომპლექსია, რომელსაც თავი აუცილებლად უნდა დააღწიო და მერწმუნე, ყველაფერი კარგად იქნება“.

ლიმუა, *ქუთაისი:*

„მე ვერაფერს გირჩევ. სჯობს, ფსიქოლოგს მიაკითხო და პრანჭიაობას თავი დაანებო“.

ლელუკა:

„ოოო... მარია, მარია, შენ კომპლექსისა და ბოღმიანობის სენმა შემოგიტია. სულ იმაზე ნუ ფიქრობ, რომ ვილაც დაგცინებს ან შეურაცხყოფას მოგაყენებს. მერე რა, თუ ვილაც ჩვენზე ლამაზი ან უკეთ ჩაცმულია? სხვებს მეტი კომპლიმენტი და თბილი სიტყვა უთხარი და უკან ორმაგად დაგიბრუნდება. აბა, შენ იცი“.

ჭრიჭინა:

„იცი, მსგავსი კომპლექსი როგორ ბავშვებს უჩნდებათ? — სკოლაში გაკვეთილს რომ მოგიყვებიან, რაღაც შეუშლებათ და ამის გამო, მათ მთელი კლასი თუ დასცინებს, ცდილობენ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტონ და თავიანთი არსებობა არავის შეახსენონ. ჩრდილში დგომას როდემდე აპირებ? ეს კომპლექსები კარგს არაფერს მოგიტანს. დაიმახსოვრე, ზოგჯერ სისულელეს ყველა ვამბობთ. ჰოდა, ვისაც შენი ნათქვამი არ მოეწონება, ცივი წყალი დალიოს! იყავი ხალისიანი, ენერგიული და მიხვდები, რომ ცხოვრება მშვენიერია!“

ფერა:

„რჩევისთვის ფსიქოლოგს მიმართე. მგონი, ძალიან ბავშვურად აზროვნებ. მე 18 წლის ვარ მაგრამ გარეგნობასა და ჩაცმულობაზე მეტად, იმაზე ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში სწავლით გამორჩეული სტუდენტი ვიყო, კარიერა გავიკეთო და ა.შ. თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ დროს უაზრო რაღაცების გამო კარგავ“.

უცნობი:

„ყველა და ყველაფერი „დაიკიდე“ და „მოგეშვება“. ყურადღებას ნურავის მიაქცევ და სხვებზე შენც იკაიფე“.

პანკუშკა:

„არ მგონია, მახინჯი იყო, ნუ დაკომპლექსდები და მეგობრებთან გულახდილი იყავი. საკუთრ თავს პატივი ეცი და ნურაფრის გრცხვენია!“

აზიელი:

„შენმა „ესემესმა“ გამაგიჟა. გოგო, ეგრე გაგონილა? რაც შენ გჭირს, ავადმყოფობაა. შენი უაზრო შიში, შესაძლოა, ბოღმასა და შურში გადაიზარდოს... შენ დასცინებ მათ, ვინც გარეგნულად შენზე ცუდია?.. ეცადე, გამოსწორდე. არასდროს აჰყვე საკუთარ გრძნობებს. მერწმუნე, ემოციებით მართული ადამიანი მუდამ დამარცხებისთვისაა განწირული. „ვოტ ტაკ“!

მის გრაციი:

„პრობლემას ძალით იქმნი. ხომ იცი, ყველა ერთნაირი ვერ იქნება, ჩაცმულობას კი მერწმუნე, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი, შინაგანი სილამაზეა. იყავი ისეთი, როგორიც ხარ და თანატოლებთან ერთად თამამად ისეირნე. ღმერთი გფარავდეს“.

ნოსტალგია:

„პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა დაარწმუნო იმაში, რომ ყველაზე კარგი და ლამაზი ხარ! მე ჩემი თავი ისე ძალიან მიყვარს, რომ მეგობრები ნარცისს მეძახიან. განა ანჯელინა ჯოლი ვარ, უბრალოდ, თუ საკუთარი თავი გყვარება, სხვებიც შეგიყვარებენ... ჩაცმულობაზეც ნუ დარდობ. მერწმუნე, ზოგჯერ 20-ლარიანი კედი უფრო ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე 700-ლარიანი ფეხსაცმელი. მარი, წამო, საყიდლებზე ერთად წავიდეთ :)). იცოდე, შენ ლამაზი ხარ!“

ფიფქია:

„თავს ნუ იკომპლექსებ. ირწმუნე, რომ სხვაზე ნაკლები არაფრით ხარ. ღმერთმა ყველა თავისებური სილამაზით დაჯილდოვა. საკუთარი თავის არასდროს შეგრცხვეს“.

ელე:

„ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს არაფრად აგდებენ. ვერ ვხვდები, დაქალებმა რატომ უნდა დაგცინონ? შენზე უკეთესები რით არიან? გარეგნობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა კარგი თვისებები არ გაქვს?.. გკოცნი“.

ენიგმა:

„მსგავსი არასრულფასოვნების კომპლექსი ბევრს აწუხებს. როგორც წესი, ასეთებს ადამიანებთან კონტაქტი უჭირთ, შენ კი დაქალები გყოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ისეთი მოსწონხარ, როგორიც ხარ და ბნელ ოთახში შავ კატას ნუ ეძებ! და კიდევ, ოქრო სიმცირით არ დაინუნება“.

ხუჭუჭა (ფსიქოთერაპევტი):

„ალბათ, მატერიალურად არ გილხინს, მაგრამ მაინც, იქნებ შეძლო და კარგ ფსიქოლოგს მიაკითხო. ჩემო კარგო, გემოვნებიანად ჩაიცვი, თამამი სტილი შეარჩიე (ღრმად დეკოლტრეებული და ტანზე მომდგარი სამოსი ატარე), ტელევიზორს უყურე და გაბედული სიარულის მანერა დამუღამე. ყოველდღე იბანავე, სურნელოვანი თავის მოვლის საშუალებები გამოიყენე, მეტი გაიღიმე, კბილები მუდამ გაწმენდილი გქონდეს და თან „ტიკ-ტაკი“ ან „ორბიტი“ ატარე. ჰო, კიდევ, საკუთარ თავს შთააგონე, რომ არაჩვეულებრივი, ერთადერთი და განუმეორებელი ხარ. P.S. დაიმახსოვრე, სურნელი მეტის მთქმელია, ვიდრე გარეგნობა“.

იკუშკეები:

„დარწმუნებული ვარ, ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი ხარ. შენი კომპლექსი კი უსაფუძლო მგონია. ვფიქრობ, თავდაჯერებულობა გაკლია. სარკეში ხშირად ჩაიხედე, საკუთარ თავს მაცდურად გაუღიმე, ცოტაოდენი კოსმეტიკა გამოიყენე, გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი ჩაიცვი და შენი შიში უკვალოდ გაქრება. თუ გინდა, დამიკავშირდი და დაგეხმარები. მერწმუნე, უშნო ქალები არ არსებობენ“.

ეშმაკუნა:

„ეცადე, შურიანი არ იყო. შენ ყველაფერი გაქვს და სხვისი რატომ გშურს? ხომ იცი, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და რა გასაკვირია, შენზე ლამაზი ან უკეთ ჩაცმული გოგო რომ დაინახო? ლამაზი გოგონების დანახვისას, გული შურით კი არ მექცევა, არამედ ვამყობ იმით, რომ ქართველები ასეთი კარგები ვართ... შენს შიშს ომი გამოუცხადე. კარი ჩაურაზე და ლაღად, თავაწეულმა იარე. იცოდე, რაც საჭირო იყო, ღმერთმა იმით დაგაჯილდოვა; უფალს ეპარებოდე“.

ლაი:

„2 წელი მეც შენსავით ვიყავი. ხშირად ვკიჟინობდი: რატომ უნდა დამცინოდნენ ვილაცები? რა მაკლია? მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორებიც ისინი? საკუთარ თავში დასაცინი ვერაფერი ვიპოვე... გთხოვ, ამაზე შენც დაფიქრდი. დარწმუნებული ვარ, ლამაზი გოგო ხარ (ფიქრობ, ყველა ადამიანშია თავისებური სილამაზე). თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

თამო:

„საკუთარი თავი ისეთი შეიყვარე, როგორიც ხარ, ღმერთმა ასეთი შეგქმნა. ის კი მერწმუნე, არასდროს ცდება. შენი საქციელით სცოდავ და უფალს გულს სტკივნ, რადგან მას ისეთი უყვარხარ, როგორიც ხარ!“

მარიკუნა:

„ეს არ არის ისეთი საკითხი, რომ ამაზე ფიქრით დაიტანჯო. ზოგს ჩვენზე კარგად ეცმევა, ზოგს — ცუდად. თანაც, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და თუ შენზე ლამაზ გოგოს დაინახავ, არ უნდა გეწყინოს“.

„დედობის უფლება ძალით წამართვეს“

„რადგან მამა მოგიკვდა, შენი შვილიც უნდა მომკვდარიყო?“

„გზის“ №38-ში დაიბეჭდა 18 წლის უცნობის მესიჯი; შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ თავის დროზე ცდუნებას ვერ გაუძლო, შეყვარებულთან დაწვა და დაორსულდა კიდეც. წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში გოგონას მამა გარდაეცვალა. „ქორწინებაზე როგორ ვიფიქრებდი? ამიტომაც, მწარე შეცდომა დავუშვი და აბორტი გავიკეთე... ახლა ძალიან გვინდა, შვილი გვეყოლოს, მაგრამ ველარ დავფეხმძიმდი, მეშინია, რომ შვილი აღარასდროს მეყოლება“.

უცნობი:

„რადგან მამა მოგიკვდა, შენი შვილიც უნდა მომკვდარიყო? რატომ გაიმეტე შენი პატარა, ის ხომ ცხოვრებას გაგილამაზებდა?! თუ ღვთისმშობელს მხურვალედ შეევედრები, დედობის ბედნიერებას კიდევ ერთხელ იგრძნობ. მჯერა, წმინდა მარიამი მძიმე ცოდვას შეგინდობს“.

სალუკა:

„შენი გაკიცხვის უფლება არ მაქვს. უზომოდ შემეცოდე. გირჩევ, ეკლესიაში იარო და ილოცო. მერწმუნე, ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება“.

უცნობი:

„მინდა გაგამხნევო და ჩემი ამბავი გიამბო. 18 წლის ვიყავი, როცა შეყვარებულმა დამიმორჩილა, შემდეგ კი ჩემზე უარი თქვა, გული დამეჯიჯგნა, მაგრამ 4 წლის შემდეგ. სიყვარული კვლავ მეწვია. დათომ ყველაფერი გადამავიწყა. მან ჩემი წარსულის შესახებ ყველაფერი იცოდა (აბა, საყვარელ მამაკაცთან დასამალი რა მქონდა?!). 2 წელი ერთად ვიყავით. ჩვენ ინტიმური ურთიერთობაც გვქონდა. ზოჯერ ვფიქრობდი, რომ უშვილო გახლდით, რადგან არ ვფეხმძიმდებოდი. ერთ მშვენიერ დღეს დათომ მითხრა, — უნდა დავშორდეთო. ბევრი ვიტირე, მაგრამ მისთვის ჩემთან ყოფნა მაინც არ მითხოვია. 1 თვის მერე გავიგე, რომ ორსულად ვიყავი და რადგანაც დათო ჩემ გვერდით არ იყო (თანაც, ვერც ოჯახის წევრები გამიგებდნენ), აბორტი გავიკეთე. ამან დიდი სულიერი ტრავმა მომაყენა. მერე მიფიქრია, რომ ჩემი უჭკუობის გამო შვილი აღარასდროს მეყოლებოდა. თანაც, ეს ამბავი ჩემებმა მაინც გაიგეს და 2 წლის განმავლობაში სახლში არ მიშვებდნენ... რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი გავიცანი. მან ყველაფერი მაპატია და დაახლოებით 1 წლის მერე დავქორწინდით. ის ძალიან კარგი ადამიანია. მე დღეს უბედნიერესი ქალი ვარ, რადგან გათხოვებიდან 6 თვის მერე დავფეხმძიმდი (ყოველგვარი მკურნალობის გარეშე) და დღეს 3 წლის ანა მყავს... ასე რომ, უცნობო, გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი მოწყალეა. მართალია, ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით, მაგრამ უფალი ამ შეცოდებას მოგვიტევებს!“

აზიელი:

„მედიცინა შორს წავიდა და შენს პრობლემასაც ეშველება. მთავარია, მოითმინო, ცოდვა მარიამ ღვთისმშობლის წინაშე მოინანიე და მას შეთხოვე, დედობის ბედნიერება კიდევ ერთხელ მოგანიჭოს“.

ბურდღუცელა:

„აბორტის გაკეთება ძალიან დიდი ცოდვაა და ეს არ უნდა გაგეკეთებინა. საინტერესოა, ამ დროს ღმერთის არ შეგეშინდა? შვილი აუცილებლად გეყოლებათ, მაგრამ ჯერ უნდა დაქორწინდეთ. ნურაფრის გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება“.

უცნობი:

„შვილი ხომ ღვთის საჩუქარია და ეს რატომ გააკეთე? ჩემო კარგო, უფალი მოწყალეა და თუ გულით მოინანიებ, ცოდვას მოგიტევებს, ბავშვს კიდევ გაჩუქებს“.

ნოსტალგია:

„მართალია, შეცდომა დაუშვი, როცა შეყვარებულთან ქორწინებამდე დაწექი და აბორტი გაიკეთე, მაგრამ შეგატყვე, რომ ამას ნანობ. თან, შენი განსჯის უფლება არ მაქვს. პირველ რიგში, მოძღვართან მიდი და ყველაფერი გულწრფელად მოინანიე, მერე კი ღვთისმშობელს შესთხოვე, დედობა განგაცდევინოს...“

ენიგმა:

„აბორტი მართლაც, უმძიმესი ცოდვაა, მაგრამ თუ შენი სინანული გულწრფელია, უფალი შეგეწევა. მოძღვართან მიდი, ილოცე და სასჯელი ჯილდოდ შეიცვლება. P.S. ლიკა, იმდენი გაჭირვებულის სატკივარს იხიარებ, რომ სამოთხე გარანტირებული გაქვს და იმედია, იქ თვალს არ ამარიდებ (სინტერესოა, თვალი რატომ უნდა აგარიდო? — ავტ.) ჯიგარი ხარ, ტო“.

ხუჭუჭა:

„შენი ამბავი ძალიან განვიცადე. გთხოვ, ერთხელ ეინც მიდი გია ნადარეიშვილთან. ჩემი თვალით მინახავს მომავალი დედები, რომლებსაც გიას წყალობით, შვილის ყოლის ბედნიერება ეღირსათ. მიდი, რას კარგავ? დამირეკე“.

მუკოგანძელი:

„მართალია, აბორტი ქალზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ ნუ გეშინია არსებობს ე.წ. შინაური წამლები, რომელიც შესაძლოა, დაფეხმძიმებაში დაგეხმაროს. თუ ჩემი დახმარება დაგჭირდება, ლიკას მეშვეობით დამიკავშირდი“.

ქრისტინე:

„უცნობო, დამიკავშირდი და ისეთ ექიმთან მიგიყვან, რომელიც გეტყვის, ოდესმე დაფეხმძიმდები თუ არა. მე 3 წელი არ მყავდა შვილი, ახლა კი იმ ადამიანის წყალობით, 4 თვის გაბერილი ვარ. ვიცი, უშვილობა როგორი ძნელია და მინდა, დაგეხმარო“.

ტირიფი, *13 წლის:*

„კარგი იქნებოდა, უფრო ძლიერი ყოფილიყავი და სურვილს არ აჰყოლოდი, მაგრამ რას იზამ... ქალები წლების განმავლობაში მკურნალობენ. ეჰ, ზოგიერთ ისეთ ქალს ჰყავს შვილი, რომელიც დედობის ღირსი არ არის. მთავარი ისაა, რომ შეცდომა მოინანიო და უფალი შეგეწევა“.

EKO BOY *(ქობულეთიდან)*

„ღმერთმა შვილი გაჩუქა, შენ კი ის სანაგვეზე მოისროლე. სანამ ამ ცოდვას არ გამოისყიდი, უფალი ამას ვერ გაპატიებს. ეკლესიაში სიარულს მოუხშირე და ილოცე. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ღმერთი უამრავ შვილს გაჩუქებს“.

ნათია, *18 წლის:*

„მსგავსი რამ მეც შემემთხვა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ დედობის უფლება ძალით წამართვეს. ღმერთი გფარავდეს. ჰო, იმედს ნუ დაკარგავ“. ■

„ნეთუ ბიჭების გამო ღაქალი უნდა შევიძულო?“

ტაია:

„რამდენჯერ მომხდარა ისე, რომ ბიჭს შევხვედრივარ, ერთმანეთი მოგვწონებია და უკვე მიფიქრია, რომ ურთიერთს მშვენივრად შევეწყვეთ-მეთქი, მაგრამ... რატომღაც, ბიჭებს ჩემი მეგობარი უფრო მოსწონთ, მე კი მეუბნებიან — შენ საყვარელი გოგო ხარ, მაგრამ რა ექნა, ის შემიყვარდაო. მართლა ულამაზესი დაქალი მყავს — შხვართი გოგოა, ჩემსიგრძე მარტო თმა აქვს. მე კი ჩვეულებრივი ვარ და ამიტომაც, აღარ ვიცი, რა ექნა. ნუთუ, ბიჭების გამო დაქალი უნდა შევიძულო? არა, მას არც ერთი კაცის გამო არ დავაკარგავ, მაგრამ იცით, ხანდახან ისე ვცოფდები, რომ საკუთარი თავის მიკვირს. ადამიანებო, გეკითხებით, როგორ მოვიქცე?“

„ქმარს ვირტუალურ სამყაროში ვულალატე“...

თათია, *19 წლის:*

„ვკითხულობ თქვენს რუბრიკას და ძალიან მომწონს. ახლა მეც დამჭირდა თქვენი დახმარება. მყავს მეუღლე. 2 წელია, ერთად ვართ და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ახლა ის საქართველოში არაა. მენატრებოდა უსაზღვროდ, მთელ დღეებს მასზე ოცნებაში ვატარებდი და რა თქმა უნდა, თავს მარტოსულად ვგრძნობდი, ამიტომაც, გულში ბრაზი შემეპარა. ჰოდა ჩათში მესიჯობას მოვუხშირე. ვფიქრობდი, რომ ეს მარტოობის დაძლევაში დამეხმარებოდა, მაგრამ ამას ისე მივეჩვიე, რომ ვირტუალურ სამყაროში ყოფნა უკვე მანიად მექცა. იქ ერთი ბიჭი გავიცანი, რომელთანაც, რა თქმა უნდა, ვირტუალური ურთიერთობა მქონდა (ალბათ მიხვდით, რასაც ვამბობ), ახლა კი ამის გამო თავს ცუდად ვგრძნობ, ძალიან მრცხვენია. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ განვაგრძო ცხოვრება? სიკვდილი მინდა“.

P.S. **მაშ ასე, თუ ტაიასა და თათიას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეკალილ

უბის წიგნაკიდან:

1. აფხაზეთის ომი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა.

2. ბეთჰოვენს საკუთარი მოსწავლე, ჯულიეტა დეკარდი შეუყვარდა და მას მიუძღვნა „მთვარის სონატა“.

3. აბისინია — იგივე ეთიოპია — ერთადერთი მართლმადიდებელი სახელმწიფოა აფრიკის კონტინენტზე.

4. „ედინსტვენნი სპოსობ ზასტავიტ ლიუდეი ვ რასიი საბლიუდატ ზაკონ, ეტო უზაკონიტ ვარავსტვო“, — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.

5. ნენსი რეიგანი ყველაზე უფრო ძლევამოსილ და ამავე დროს, ყველაზე მეტად არაპოპულარულ პირველ ლედიდ მიიჩნეოდა შეერთებული შტატების ისტორიის მანძილზე.

6. ბრიუს ლის შვილი, ბრენდონი, ფილმის გადაღებისას, რეკვიზიტური თოფით მოკლეს, რომელშიც შემთხვევით ნამდვილი ტყვია იყო ჩადებული.

7. არისტოტელე ონასისმა თავის უზარმაზარ იახტას საკუთარი ქალიშვილის სახელი „კრისტინა“ დაარქვა. ონასისის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ოჯახმა ეს იახტა სახელმწიფოს გადასცა საჩუქრად.

8. „მეორე მსოფლიო ომის დროს, ერთი ბრიტანელი ჯარისკაცი ათ იაპონელ ჯარისკაცს უდრიდა, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ამ ომში ერთ ბრიტანელ ჯარისკაცზე თერთმეტი იაპონელი ჯარისკაცი მოდიოდა“, — ჰყვებიან ბრიტანელი ისტორიკოსები.

9. რუსებს გერმანელ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში თავიანთი „პოლიტრუკები“ ჰყავდათ, რომლებსაც ტყვეთა შორის არჩევდნენ. „პოლიტრუკი“ ერთწლიან მომზადებას გადიოდა ანტიფაშისტურ სკოლაში და ისევ ბანაკში ბრუნდებოდა. ისინი საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და საკუთარ თანამემამულეებს საშინელ დღეში აგდებდნენ. ასეთ „ანტიფაშისტებს“ ტყვეები კაშისტებს ეძახდნენ (სიტყვიდან „კაშა“). მათ უფრო მეტი ფაფა ეძლეოდათ, ვიდრე დანარჩენ ტყვეებს.

10. ჯონ ლენონის მამა სამხედრო საზღვაო ფლოტში მსახურობდა. მსოფლიო ომში, ბრძოლის დროს შიში ვეღარ დასძლია, გემბანიდან წყალში გადაეშვა და გაცურა. მის ამ საქციელს სამხედრო ტრიბუნალმა დეზერტირობის კვალიფიკაცია მისცა, რის გამოც, მის ოჯახს ფულად დახმარებას აღარ აძლევდნენ.

11. შაჰ-აბასის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს ირანის მბრძანებლის საგანგებო ჯალათთა შესახებ,

„მე მამაკაცის ცხოვრების ჩემი ლეგენდა მაქვს“...

„კომედი შოუს“ ერთ-ერთი აქტიური და პოპულარული გოგონა, მამაკაცის როლის შემსრულებელი, თათია სულუაშვილი, გაგიკვირდებათ, მაგრამ საკმაოდ მორიდებული და გარკვეულწილად კომპლექსიანიც კი ყოფილა. ამბობს, რომ თაყვანისმცემლების სიმრავლით განებივრებულია, მაგრამ ჯერჯერობით მისი სიმპათია ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაიმსახურა. ჩვენმა „საპატარძლომ“ (რადგანაც ახლა სწორედ ის გახლავთ რუბრიკის სტუმარი) ისიც გაგვიზიარა, რომ ხშირად საკუთარ თავს „დებილსაც“ უწოდებს, იმის გამო, რომ პროტესტის გრძნობა არ გააჩნია.



სოფო ჭონიშვილი

— თათია, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მრავალშვილიანი დედა მყავს (*იცინის*). 4 დედმამიშვილი ვართ — 3 და და 1 ძმა. ყველაზე უმცროსი მე ვარ. მამა პროფესიით ეკონომისტია, დედა — ქიმიკოსი. ორივენი მუშაობენ. დედაჩემი პროფესიით არ მუშაობს, მცირე ბიზნესითაა დაკავებული. მყავს დისშვილები. ერთი სიტყვით, დიდი და ბედნიერი ოჯახი გვაქვს.

— რამდენი წლის ხარ?

— 22-ის. პროფესიით მსახიობი ვარ, ჰოროსკოპით — „კირჩხიბი“.

— შენს ჰოროსკოპს გამუდმებით ეცნობი?

— კი. ძალიან მაინტერესებს. თან ჰოროსკოპის კითხვით ვერთობი (*იცინის*). თუ მამაკაცს გავიცნობ და მისით სერიოზულად დავინტერესდები, პირველ რიგში მის ჰოროსკოპს წავიკითხავ და გავიგებ, ერთმანეთს ხასიათებით ვეწყობით თუ — არა. ჩემს ჰოროსკოპში რაც წერია, ყველაფერი ემთხვევა. ასე რომ, მეტ-ნაკლებად ჰოროსკოპების მჯერა.

— მაშინ ის მითხარი, „კირჩხიბები“ რით გამოირჩევით?

— მეოჯახეები ვართ! ოჯახში საკუთარი კუთხის მოწყობა გვიყვარს. „კირჩხიბები“ წყლის ნიშნებს იოლად ეწყობიან, მაგრამ ყველაზე კარგად ერთმანეთს ეგუებიან, მათ შორის იდეალური ურთიერთობა ყალიბდება, რაც ხშირად იმდენად მოსაბეზრებელი ხდება, რომ შესაძლებელია კონფლიქტამდეც მივიდეს. ამიტომ სურვილი არ მაქვს, ჩემი მომავალი მეუღლე ჰოროსკოპით „კირჩხიბი“ იყოს (*იცინის*).

— თუ შეგიძლია, შენი ცუდი თვისებები დამისახელე...

— საშინელი ბუტია ვარ. შეიძლება, ელემენტარული რამ მეწყინოს და გავბრაზდე. თუმცა, გულში ჩადება არ მახასიათებს. წყენა მალე მავიწყდება. მიყვარს ფულის ფლანგვა, რაც ცუდ თვისებად მიმაჩნია. ისეც მომხდარა, რომ ძალზე უმნიშვნელო ნივთში სოლიდური თანხა გადამიხდია და მეორე დღეს მივმხვდარვარ, რომ სისულელე ჩავიდინე. კიდევ... (*ფიქრობს*) ძალიან გულმავიწყი ვარ. ხშირად მეგობრების და ახლობელი ადამიანების დაბადების დღეები მავიწყდება, რასაც მსაყვედურობენ. არ მაქვს მოსმენის უნარი. როცა დაქალები თავიანთ პირადულ პრობლემებზე მესაუბრებიან, შეიძლება გავაწყვეტინო და სულ სხვა თემაზე წეამოვიწყო ლაპარაკი. ეს მათ ძალიან სწყინთ.

— შეყვარებული თუ ყოფილხარ?

— შეყვარებული არ ვყოფილვარ, თუმცა ერთი ბიჭი ძალიან მომწონდა, მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ მივხვდი, რომ ის ჩემი შესაფერისი არ იყო. ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულები ვიყავით.

— ამჟერად შეყვარებული ხარ?

— არა. სიყვარულის მოლოდინში ვარ. ჩემი ბუტიაობის გამო, ხშირად ვერ მიგებენ.

— ჯიუტი ხარ?

— ჯიუტი არ ვარ, თუმცა თუკი ადამიანის ტონი არ მომეწონა, მას არაფერს შევუსრულებ. თხოვნით კი — შეიძლება, საყვარელი ადამიანის გამო თავიც კი გავწირო.

— აღნიშნე, რომ „კირჩხიბები“ მეოჯახეები არიან. შენ როგორი მეოჯახე ხარ?

— შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან კარგი მეოჯახე ვარ. მიყვარს დალაგება, დასუფთავება, სადილების მომზადება, თუმცა ამისთვის ხშირად დრო არ მაქვს. მთელი დღის მანძილზე სახლიდან გასული ვარ. ოჯახის წევრებს დილით, „დილა მშვიდობისას“ ვეუბნები, საღამოს კი — „ძილი ნებისას“. ჩემი მათთან ურთიერთობა მხოლოდ ამ ორი წინადადებით შემოიფარგლება.

— გემრიელ კერძებს ამზადებ?

— ოო... ჭამა ვისაც უყვარს, ის გემრიელ კერძებს ამზადებს (*იცინის*).

— გათხოვების შემდეგ, მეუღლეს რომელი კერძის მომზადებით მოაწონებ თავს?

— გემრიელი სადილების მომზადებით ჩემს მეუღლეს მართლაც გავანებივრებ. საციკვს, ოჯახურს, ხაჭაპურს ძალიან გემრიელს ვამზადებ. ერთადერთი, ნამცხვრების გამოცხობა არ ვიცი. ოჯახში მე და მამა დიდი გურმანები ვართ. დედა გვეჩხუბება, — ამდენს ნუ ჭამთ, გასუქდებითო (*იცინის*).

— ქართული ტრადიციის თანახმად, გოგო რომ თხოვდება, მშობლები მას მზითევს ატანენ. შენ თუ გაქვს მზითევი?

— წინასწარ მზითვის დალაგება რა საჭიროა?! იქნებ ვერ ვთხოვდები და შინაბერა ვრჩები (*იცინის*)?! სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ამ თემაზე, დაქალს ვესაუბრებოდი. გამიკვირდა, რომ მითხრა, მზითევი უკვე მაქვსო. როცა ვკითხე, რა გაქვს-მეთქი? — მიპასუხა: ქვაბები, ტაფები, დანა-ჩანგალიო და ა.შ. მე კი გავეხუმრე, ეგ ემალის ქვაბები მოდაში აღარ არის, დედამთილი დაიწუნებს-მეთქი (*იცინის*). როცა გათხოვებას გადავწყვეტ, წინადღეს გავალ მაღაზიებში და ყველაფერს შევიძენ, რაც ოჯახში დამჭირდება.

— თათია, ხელსაქმე — ქსოვა, კერვა თუ გეხერხება?

— ქსოვა მეხერხება. კერვაში კი ძალიან უნიჭო ვარ. ნემსში ძაფის გაყრაც კი არ შემიძლია. ქსოვა დედამ მასწავლა. ჩემი მოქსოვილი რამდენიმე შარფიც კი მაქვს.

— როგორი მამაკაცები მოგწონს და ყველაზე მეტად რა თვისებებს აფასებ მათში?

— მამაკაცით რომ დავინტერესდე, ის ძალზე თბილი და ყურადღებიანი უნდა იყოს. უყურადღებო ადამიანთან ურთიერთობა არ შემიძლია. იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს. ეს მნიშვნელოვანია. სახლში სულ ვხუმრობ, რასაც ოჯახის წევრები შეჩვეულები არიან ჩემი იუმორი მომავალმა ქმარმა რომ ვერ გაიგოს, ვერ ავიტან. არ მიყვარს კონფლიქტური ბიჭები და კიდევ, რაც მთავარია, მამაკაცი სუსტი არ უნდა იყოს (*იცინის*). მამაკაცს სიძლიერე მოეთხოვება.

— შენ როგორი გოგონების კატეგორიას მიეკუთვნები — თამამი ხარ თუ შედარებით მორიდებული?

— თამამი ნამდვილად არ ვარ. ადამიანებთან ურთიერთობაში დისტანციას ყოველთვის ვიცავ. ვერ ვიტან, ყველასთან ზედმეტად „ათქვეფას". სხვათა შორის,

რაღაც კომპლექსებიც მაქვს, რაც თვითონაც ძალიან მიკვირს. პროფესიით მსახიობი ვარ და უფრო თამამი უნდა ვიყო. ახალგაცნობილ ადამიანს მაშინვე ვერ ვუახლოვდები, მით უფრო — მამაკაცს.

— ეი. მამაკაცი ძალიან რომ მოგეწონოს, ინიციატივას არ გამოიჩენ?

— არ შემიძლია. თვითონ მამაკაცი თუ იაქტიურებს და დამარწმუნებს იმაში, რომ ჩემზე მართლა „გიყდება", მერე შეიძლება ვაგრძნობინო, რომ მომწონს. მამაკაცის გარეგნობას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ძალიან სიმპათიური და მომხიბვლელი, მაგრამ შინაგანად ცარიელი მამაკაცებიც შემხვედრიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მახინჯი უნდა იყოს — ისეთი, მის გვერდით გავლის რომ შემრცხვეს. რაც მთავარია, დაბალი არ უნდა იყოს.

— მისი მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— საქმროს საბანკო ანგარიშებით ნამდვილად არ დავინტერესდები. ზოგი მამაკაცი თავს მამიკოს ფულებით იწონებს. მთავარია, შრომისმოყვარე იყოს და ჩემი ელემენტარული სურვილის შესრულება შეეძლოს.

— თაყვანისმცემლები ტელეფონზე გაწუხებენ?

— კი. ტელეფონის ნომერი უკვე 10-ჯერ გამოვცვალე.

— ყველაზე ხშირად მშობლები რის გამო გსაყვედურობენ?

— გულმავიწყობის გამო. გაფანტული გონება მაქვს. დედა სულ მეჩხუბება, — ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინეო. იმ დღეს, სარეცხი ჩამოვხსენი და „შპილკები" მაცივარში შევაწყვე. სამკაულები კი მოვიხსენი და ნაგვის ურნაში ჩავყარე. ასეთი რაღაცები ხშირად მემართება. მობილური ტელეფონი ზუსტად 10-ჯერ დავკარგე. ტაქსიში ჩანთა მრჩება. შეყვარებული არ ვარ, სიყვარულს რომ დავაბრალო. შეყვარებული რომ ვიქნები, მეშინია, საკუთარი თავი არსად დამრჩეს (*იცინის*).

— წყვილის ქორწინებამდე თანაცხოვრებაზე რა აზრის ხარ?

— ქორწინებამდე თანაცხოვრებას იმით ამართლებენ, რომ უნდა გავიგოთ, ერთმანეთს ვეწყობით თუ არაო. ჩემი აზრით, ადამიანის გასაცნობად ორი თვე მასთან ცხოვრება აუცილებელი არ არის. მე მამაკაცის კარგად გაცნობის ჩემი სპეციმეთოდი მაქვს (*იცინის*).

— არ გაგვიმხელ?

— თუ მამაკაცი ურთიერთობაში რაიმეს მალავს, უნდა დაათრო და ყველაფერს ათქმევინებ. ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს, შეყვარებული რომ მეყოლება, სახლში ავიყვანო, კარგად დავათრო და მერე ვალაპარაკო (*იცინის*). ცუდ თვისებას მთვრალი მამაკაცი ვეღარ დამალავს.

P.S. *აი, მორიგი „საპატარძლოც" წარმოგიდგენთ. თათიას თაყვანისმცემლებო! იაქტიურეთ, გამომიგზავნეთ მესიჯები და კითხვები, რაც მის შესახებ გაინტერესებთ. ის ყველა თქვენს გზავნილს აუცილებლად წაიკითხავს. გელოდებით, ტელეფონის ნომერზე 8(98) 23.09.21.* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

ების წიგნაკიდან:

რომელნიც ცოცხლად ჭამდნენ ადამიანებს. ისინი ხელიდან ჰგლეჯდნენ ერთმანეთს სიკვდილმისჯილს, ერთმანეთს ასწრებდნენ განწირულის ცხვირის, ყურის, ლოყის, ძუძუ-მკერდის თუ სასქესო ასოთა მოკბეჩას. მანამ ჭამდნენ, სანამ ნახევრად შეჭმულ კაცს სული არ ამოხდებოდა.

12. „მაძლევთ თუ არა ექვსი დღის სიცოცხლის გარანტიას?! — ეხვეწებოდა მკურნალ ექიმს ავადმყოფი ბალზაკი. — „ექვსი დღე არც ისე ბევრია, მაგრამ მე მოვასწრებ, სწრაფად გადავთვალიერო ჩემი ორმოცდაათი ტომი... ამოვიღო იქიდან, რაც ცუდია, კარგს მივცე მეტი ძალა! ადამიანის ძალას სასწაულების მოხდენა შეუძლია! მე შემიძლია, ექვს დღეში უკვდავვყო ის სამყარო, რომელიც შევქმენი..." — ეს გახლდათ მწერლის უკანასკნელი სიტყვები.

13. კეისარი ბასილი მეორე ბულგართმჟლეტი ტყვედ ჩაგდებული ყოველი ასი ჯარისკაციდან 99-ს თვალებს სთხრიდა. მეასეს კი მათ გამყოლად ტოვებდა. ამ უკანასკნელს მხოლოდ ცალ თვალს სთხრიდნენ.

14. მას შემდეგ, რაც ინკების უკანასკნელმა იმპერატორმა, სიკვდილმისჯილმა ატაჰუალპამ, კონკისტადორ ფრანსისკო პისაროს გამოსასყიდის სახით მთელი დარბაზი ოქროთი გაუვსო, ესპანელებს გული მოულბათ და იმპერატორს კოცონზე დაწვა ჩამოხრჩობით შეუცვალეს. სიკვდილით დასჯამდე ატაჰუალპა აიძულეს, ქრისტიანობა მიეღო. მონათვლიდან სამი საათის შემდეგ კი ჩამოახრჩვეს.

15. BUZZ-BOMB — „მოზუზუნე ბომბი" — ასე ეძახდნენ ინგლისელები გერმანულ FAU 1-ს, რომლითაც ფაშისტები საფრანგეთის ტერიტორიიდან ლონდონს ბომბავდნენ. ამ უპილოტო თვითმფრინავ-ბომბის ავისმომასწავებელი ზუზუნი ლონდონელებს შიშის ზარს სცემდა — კარგად იცოდნენ, როგორც კი ეს ხმა შეწყდებოდა, ბომბიც აფეთქდებოდა. საბოლოოდ, ინგლისელები გაიწაფნენ ზენიტური დანადგარებით მათ ჩამოგდებაში. ინგლისელი მფრინავები კი თვითმფრინავის ფრთით გაჰკრავდნენ ხოლმე FAU 1-ის ფრთას გვერდს და მანამდე აწყებინებდნენ პიკირებას, სანამ იგი დედაქალაქს მიაღწევდა.

თურქეთში მოღვაწე მილიონერი ქართველი ძოძღერალი და პოეზიდენტის სახელზე დახვრილი ნერილი

ის უკვე თხუთმეტი წელია, თურქული ესტრადის ვარსკვლავია. მღერის ცნობილ მუზიკ-ჰოლებში, აწყობს კონცერტებს ღია ცის ქვეშ და გასტროლებს მთელი თურქეთის მასშტაბით. თბილისის ქუჩებში ვერავინ ცნობს, თურქი თაყვანისმცემლებისგან კი უამრავ საჩუქარს და კომპლიმენტს იღებს. მომღერალი ძეზი ფერაძე, ახლა საქართველოში სტუმრად იმყოფება. სტუმრად — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ამჟამად თურქეთის მოქალაქეა. ამბობს, რომ ახლა თურქეთში რამაზანია და მასაც არდადეგები აქვს.

ემა ტუხიაშვილი

— ყველა შედეგი უდიდესი შრომის ფასად მიიღწევა. პირველად, თურქეთში ნათესავებთან ერთად წავედი. მაშინ არც ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა იქ ჩემი საესტრადო კარიერა დაწყებულიყო. ჩვენი მასპინძლის ოჯახში ინსტრუმენტს მივუჯექი და რამდენიმე სიმღერა შევასრულე. ეს საკმარისი გახდა იმისთვის, რომ მათგან შემოთავაზება მიმეღო. თურქული ენის შესასწავლად გარკვეული დრო დამჭირდა. ახლა კი სცენაზე თურქულ სიმღერებთან ერთად, ბულგარულად, რუსულად, ქართულად და ქურთულადაც კი ვმღერი. ვცხოვრობ საკურორტო ქალაქ თეკირდაგში. ხშირად ვხუმრობ კიდეც: ზღვაში ვცხოვრობ-მეთქი, რადგან ჩემი სახლის ფანჯრები ზღვის სანაპიროს გადაჰყურებს. თურქეთში მცხოვრები ქართველები, ხშირად მთხოვენ ქართული სიმღერების შესრულებას, ამიტომ მათთვის სპეციალური რეპერტუარიც კი შევადგინე. მინდა გითხრათ, რომ საქრთველოში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, თურქი ხალხის დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი: მოდიოდნენ, მამხნევებდნენ და დახმარებას მთავაზობდნენ. საქმე — საქმეა, ამიტომ ყველაზე მძიმე დღეებშიც კი სცენაზე ვიდექი და ვმღეროდი. აქ, საქართველოში, ჩემი შვილი, დედა, მამა და ძმა ცხოვრობენ. ჩემი მსმენელი გრძნობდა, როგორ მიჭირდა იმ დროს, როდესაც ჩემი ქვეყანა რუსების მიერ იბომბებოდა, ამიტომ თურქებიც კი მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ: არ გვინდა თურქული სიმღერები, შენს მშობლიურ ენაზე, ქართულად გვიმღერეო.

— საკონცერტო რეპერტუარს თავად არჩევ თუ გყავს პროდიუსერი, რომელიც გეხმარება?

— სიმღერებს, მსმენელის გემოვნებისა და მოთხოვნის შესაბამისად, თავად ვირჩევ. სასცენო კოსტიუმების დიზაინსაც მე თვითონ ვქმნი. უპირატესობას აღმოსავლურ სტილს ვანიჭებ — ღია, თავისუფალ კაბებს. შემდეგ, ესკიზების მიხედვით, ჩემი პირადი თერძი მიკერავს სამოსს. სხვათა შორის, სიმღერის ტექსტებს თავადაც ვწერ. დედაჩემი პოეტი გახლავთ და ჩემი რამდენიმე ლექსი თავის კრებულში გამოსცა. დროდადრო, ჩემს ლექსზე შექმნილ სიმღერებს, თურქი მსმენელისთვისაც ვასრულებ.

— ვიცი, რომ თურქეთში ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. როგორ გამოხატავენ შენდამი სიყვარულს?

— ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ ყვავილების დანახვა აღარ შემიძლია, რადგან თაყვანისმცემლებისგან თაიგულებით განებივრებული ვარ. ყვავილების გარდა, თურქეთში მომღერლისთვის სხვა საჩუქრების მირთმევაც მიღებულია. მაგალითად, ხშირად მიძღვნიან დიდ სათამაშოებს, ოქროს სამკაულებს და ფულს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მადლიერ მსმენელს, ჩემთვის რამდენიმე ასმილიონიანი თურქული ლირა უჩუქებია. ეს კი თურქული ფულის ყველაზე მსხვილი კუპიურაა. იმ საღამოს, სულ 600 მილიონი ლირა მაჩუქეს.

თაყვანისმცემლებისგან თაიგულებით განებივრებული ვარ

— როგორც ვიცი, სცენაზე ყოველთვის ცოცხლად მღერი. მითხარი, რომელი იყო შენთვის ყველაზე ხანგრძლივი საკონცერტო საღამო?

— ერთ-ერთ მიუზიკლ-ჰოლში ჩემს დაბადების დღეს აღვნიშნავდი. სცენაზე საღამოს ცხრა საათზე გამოვედი. იმ დღეს მიუზიკლ-ჰოლში სტუმრების ნაკადი არ შეწყვეტილა, მოდიოდნენ და დაბადების დღეს მილოცავდნენ. მერწმუნეთ, იმ დღეს, დილის ხუთ საათამდე ვმღეროდი. ბოლოს, ისე დავიღალე, რომ ფეხსაცმელები გავიხადე და სცენაზე ფეხშიშველი ვიდექი.

— მიუზიკ-ჰოლების პუბლიკა ალბათ, ძირითადად, მამაკაცებისგან შედგება, არა?

— ასე არ არის. მუსიკის მოსასმენად, ტრადიციულ თურქულ სამოსში გამოწყობილი და თავშალებით შემოსილი ქალებიც ხშირად შემოდიან. ასეთი დაწესებულებები თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს და უამრავი ადამიანი სტუმრობს.

— ცნობილ თურქ მომღერლებთან თუ ურთიერთობ?

— თურქული შოუბიზნესის ვარსკვლავი ტარკანი, ძალზე უკარება ადამიანია. მასთან საერთო ენის გამონახვა ძალიან ჭირს. ვმეგობრობ ბუკეტთან, რომელიც ასევე ცნობილი საესტრადო მომღერალია თურქეთში. სხვათა შორის, მას ბევრი ახლობელი ჰყავს საქართველოში და ხშირად ჩამოდის სტუმრად ჩვენს ქვეყანაში.

— როგორც ვიცი, შენ თურქეთის მოქალაქე ხარ...

— რამდენიმე თვის წინ, სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე დავწერე წერილი, ჩემთვის ორმაგი მოქალაქეობის მონიჭების თხოვნით. რამდენიმე დღეში დამირეკეს კანცელარიიდან და მითხრეს, რომ პრეზიდენტმა ჩემს თხოვნას რეზოლუცია დაადო. საჭირო დოკუმენტებისთვის მივაკითხე საქართველოს საელჩოს სტამბოლში, სადაც მითხრეს, რომ ჩემი ძველი ქართული პასპორტი და დაბადების მოწმობა დაკარგულია. იმედი მაქვს, რომ ამ ვითარებიდან გამოსავალი მოიძებნება და საქართველოს მოქალაქეობის მიღებასაც შევძლებ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მკითხველის შეკითხვები



— ჩემი შვილი ძილში კბილებს აკრაჭუნებს. ზოგი მეუბნება ჭიები ეყოლებაო, ზოგიც ნერვებს აბრალებს. გთხოვთ, ამიხსნათ, თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, რამდენად საშიშია და რით შეიძლება ვუშველო ბავშვს?

თინა ნათენაძე

— ხალხში გავრცელებული აზრი, რომ ძილში კბილების კრაჭუნის მიზეზი ჭიებია, სინამდვილეს არ შეეფერება. ამის თაობაზე ჩატარებულია კვლევები, რომელთა მონაცემების მიხედვით, „კბილებკრაჭუნა“ ბავშვებში ისეთივე სიხშირით გვხვდება ჭიები (ჰელმინთები), როგორითაც დანარჩენებში. მაგრამ ეს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ იძლევა და კბილების კრაჭუნის (ბრუქსიზმის) მიზეზი აუცილებლად უნდა გამოიკვლიოთ — თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ კრაჭუნი თავად კბილებს უქმნის საფრთხეს, იწვევს მათ ცვეთას, დაზიანებას, კარიესს და ა.შ.

კბილების კრაჭუნის ჭეშმარიტი მიზეზი დღემდე არ არის დადგენილი. იგი შეიძლება იყოს სტრესის გამოვლინება ან ღრმა ძილის მხრივ არსებული დარღვევები. ხშირად ეს შემთხვევა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გვხვდება; ან უკავშირდება მემკვიდრეობითობას და თანაც უფრო ხშირი ბიჭუნებშია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მიზეზს, როგორიცაა სტრესი, რადგან კბილების კრაჭუნი ხშირად სწორედ სტრესის შედეგია. სტრესს კი გაცილებით უარესი, ფიზიკური და ფსიქიკური, ჯანმრთელობისთვის საშიში გართულებების გამოწვევა შეუძლია. ზრდასრული ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს, რომ ბავშვთა ასაკის სტრესული სიტუაციები მეტად უმნიშვნელო და მსუბუქია, მათ ცხოვრებაში არსებულ კატაკლიზმებთან შედარებით. სინამდვილეში კი ბავშვები ნაკლებად არიან დაცულნი და უჭირთ ემოციებთან გამკლავება. სტრესის აღმოცენების მიზეზი შეიძლება იყოს კონფლიქტი მშობლებთან ან თანატოლებთან, ნანახი საშინელებათა ფილმი, ზეიმზე გამოსვლის მოლოდინი და სხვა მრავალი რამ.

თუ გინდათ, რომ თქვენს პატარას დაეხმაროთ, პირველ რიგში, დაელაპარაკეთ მას თავის პრობლემებსა თუ საწუხარზე და შეეცადეთ, გაუქარწყლოთ შიშები. ესაუბრეთ ბავშვს ძილის წინ, რათა დასაძინებლად პატარა უკვე დამშვიდებული გაემართოს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ბავშვი დაძინებამდე საათნახევრით ადრე, გაერთოს მშვიდი თამაშებით; შეგიძლიათ წაუკითხოთ მას ზღაპარი ან დაათვალიერებინოთ დასურათებული წიგნი. დროის ამ მონაკვეთში კუნთები დუნდება და ბავშვი მშვიდად დაიძინებს.

არ ღირს ბავშვის გამოკვება უშუალოდ ძილის წინ. ვახშმობის შემდეგ, უმჯობესია, მცირე ხნით გაასეირნოთ სუფთა ჰაერზე, თან ვაშლი ან სტაფილო შესთავაზოთ. სეირნობის შემდეგ კარგი იქნება, თუ ბავშვს სალბის ან გვირილის თბილ აბაზანას მოუმზადებთ და თან სახალისო თემაზე დაელაპარაკებით. საღამოს შეუზღუდეთ ტკბილეულის მიღება, ხილი კი შეგიძლიათ, სურვილისამებრ მისცეთ. ყოველივე ეს, ბავშვს მოდუნებაში დაეხმარება და იგი ღრმა და მშვიდ ძილს მიეცემა. აღსანიშნავია, რომ ბრუქსიზმი, მისი მიზეზის მიუხედავად, გარკვეული დროის შემდეგ გაივლის ხოლმე, რადგან ბავშვი სძლევს მას. მაგრამ თუ ის რამდენიმე თვე გრძელდება, მაშინ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს. გახსოვდეთ, რომ კბილებმა შეიძლება განიცადოს სერიოზული ცვეთა. თანაც, მთელი ღამე სახისა და თავის კუნთების გამუდმებული დაძაბვის გამო, ბავშვს დილით თავისა და კბილების ტკივილი შეაწუხებს.

დაბოლოს, დაუკვირდით რამდენ ხანს გრძელდება ბავშვის მიერ კბილების კრაჭუნი. მიიჩნევა, რომ თუკი კბილების კრაჭუნი, 10 წამზე ნაკლებ ხანს გრძელდება, მკურნალობას არ საჭიროებს. სხვა შემთხვევაში, საჭიროა ექიმთან მისვლა და მიზეზის გარკვევა. ■

მედიცინის სიახლეები

საკვების ღღიური

თავის აუტანელი ტკივილები, რითიც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იტანჯება, ამერიკელი მეცნიერების ფართომასშტაბიანი კვლევის ჩაატარების მიზეზი გახდა. სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ შემთხვევათა დაახლოებით ნახევარში, ტკივილს კვების თავისებურება განაპირობებდა. ფლორიდის შტატის ექიმმა ფრანკლინმა იმ პროდუქტების ნუსხაც კი გამოაქვეყნა, რომლებიც თავის ტკივილს იწვევს. ესენია: ყველი, გაყინული ხორცი, კაკალი, კაკაო, შოკოლადი და კოფეინის შემცველი სასმელები.

გამელოტება და ყავა

გერმანელმა მეცნიერებმა მამაკაცებს იმედი ჩაუსახეს: მათ მიაჩნიათ, რომ კოფეინის შემცველ პროდუქტებს გამელოტების პროცესის შეჩერება ძალუძს. იენის უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი პიოტრ ელსნერი ამტკიცებს, რომ ეს სტიმულატორი ძალზე ეფექტურად მოქმედებს მამაკაცებზე, რომელთაც ტესტოსტერონის (მამაკაცის ჰორმონი) მიმართ მგრძნობიარე თმის ძირები აქვთ (ამ ჰორმონების უკმარისობა გამელოტების ერთ-ერთი მიზეზია). მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყავის აქტიურ მო-



 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
შ.პ.ს. „ელვასერვისი“
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

მხმარებლებს „თავი ქუდში აქვთ“ და თმა არ გასცვივდებათ. შედეგის მისაღებად, პაციენტებს ყავის წასმა თავის ქალაზეც მოუწევთ. ამასთან, როგორც ექიმები ამტკიცებენ, სასურველი ეფექტი დღეში 6-8 ჭიქა ყავის მიღების შემთხვევაში მიიღწევა.

მარილიანი კერძები გულძმარვის პროვოცირებას იწვევს

მეცნიერებმა გამოკვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ მარილიანი კერძები და ნიკოტინი, შეიძლება, არა მარტო — ჰიპერტენზიისა და ათეროსკლეროზის საწინდარი, არამედ ქრონიკული გულძმარვის მიზეზიც გახდეს. გამოკვლევაში მონაწილეობდა 4120 ჯანმრთელი ადამიანი და 3153 პაციენტი, რომელიც გულძმარვას უჩიოდა. დადგინდა, რომ 1-2 წელი ნიკოტინის აქტიური მოხმარება რეფლექსის განვითარების (კუჭიდან საყლაპავში საკვების გადასვლა) რისკს 20%-ით ზრდის, ხოლო სიგარეტის მოხმარების 20-წლიანი „სტაჟი“ — 70%-ით. ადამიანები, რომლებიც გამუდმებით უმატებენ კერძს მარილს, 70%-ით ხშირად სნეულდებიან ამ დაავადებით, ვიდრე ისინი, რომლებიც მარილიან კერძებს არ ეტანებიან.

C ვიტამინის ინიექცია ავთვისებიანი (კიბო) სიმსივნური წარმონაქმნის ზრდას აფერხებს

ჟურნალ Proceedings of the National Academy of Sciences-ის ცნობით, დიდი დოზებით C ვიტამინის ინიექცია აფერხებს ტვინის, საკვერცხეებისა და პანკრეასის ავთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნის განვითარებას. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები თაგვებზე ჩატარებული კვლევების შედეგად.

აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ცენტრის მკვლევრებმა შეისწავლეს C ვიტამინის ეფექტურობა თაგვებში, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ გლიობლასტომით (ტვინის კიბო), საკვერცხეების ან კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი. ცხოველებს, სხეულის მასის ყოველ კილოგრამზე, ნაკადურად, ვენაში, 4 გრამამდე C ვიტამინი უკეთდებოდათ.

გაირკვა, რომ C ვიტამინის ინიექცია იწვევდა კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებას კიბოს უჯრედების 75%-ზე და არ აზიანებდა ჯანმრთელ უჯრედებს. კვლევის ხელმძღვანელის მარკ ლევინის თქმით, წამლის შეყვანა კიბოს ზრდასა და ზომას 41-53%-მდე ამცირებდა.

ლევინისა და მისი კოლეგების აზრით, C ვიტამინის კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება ძლიერი ოქსიდანტის (წყალბადის ზეჟანგის) წარმოქმნას უკავშირდება. ეს ნივთიერება წამოიქმნება C ვიტამინისა და კიბოს უჯრედების მიერ გამომუშავებული ქიმიური შენაერთის *ურთიერთქმედების შედეგად.*

მეცნიერებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ კიბოს წინააღმდეგ მოქმედებისთვის განკუთვნილი C ვიტამინის დოზა ორგანიზმში მხოლოდ ინიექციის სახით უნდა შეიყვანონ. აბების ან პროდუქტების სახით მიღებული ვიტამინით სასურველი ეფექტი არ მიიღწევა, რადგან ადამიანის ორგანიზმში ამ გზით მოხვედრილი ჭარბი ნივთიერება აუცილებლად იშლება. მეტიც, C ვიტამინის აბებით მიღებამ შეიძლება გააძნელოს კიბოს მკურნალობა, რადგან მას შეუძლია ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ეფექტურობის დაქვეითება.

ახლო მომავალში ამერიკელი მეცნიერები კლინიკური კვლევების ჩატარებას გეგმავენ, რათა ადამიანებში C ვიტამინის ვენაში შეყვანის უსაფრთხოების დონე დაადგინონ.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ოჯახი

ეფექტური ქალბატონებო!

ეჭვი – სენი თუ ხორციელი ძალა?

მარინა ბაბუნაშვილი

ანა ყველანაირად ეცადა, გაექარწყლებინა ქმრის ავადმყოფური და უსაფუძვლო ეჭვიანობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როცა მიხვდა, რომ მათ ერთად ყოფნას აზრი არ ჰქონდა, გაშორდა, მაგრამ მშვიდი ცხოვრების უფლება არც მერე მისცა ქმარყოფილმა... არადა, მათი ოჯახის შექმნას სიყვარული უძღოდა წინ („მასთან ყოფნა მაშინებს", — „კვირის პალიტრა", 2006 წ; 20 ნოემბერი).

ამბავი პირველი

კოშმარი, კოშმარის შემდეგ

ანა და გოჩა უნივერსიტეტში, სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდნენ. საერთო ამხანაგის დაბადების დღეზე გაიცნეს ერთმანეთი. ერთ კვირაში ბიჭი სიყვარულში გამოუტყდა გოგოს. ანამ ეს არასერიოზულად მიიჩნია და მომდევნო დღეებში ყურადღებასაც აღარ აქცევდა ბიჭს; თანაც, იმ პერიოდში ანას სულ სხვა მოსწონდა... გოჩა რას აღარ აკეთებდა ანას გულის მოსაგებად. ნელ-ნელა მიზანსაც მიაღწია. ანამ გადაწყვიტა, გოჩას ცოლად გაჰყოლოდა...

გოჩა ძალიან ყურადღებიანი იყო. ანას მეგობრებთანაც არ ტოვებდა დიდხანს, ტელეფონით შეეხმიანებოდა, მიაკითხავდა და წამოიყვანდა. ანას თავიდან ძალიან მოსწონდა გოჩას ეს თვისება. დრო რომ გავიდა. მიხვდა, ეს ყურადღება კი არა, ეჭვიანობა იყო. ანა იმედოვნებდა, რომ ბავშვის შეძენის მერე მაინც ცოტათი „დამშვიდდებოდა" ქმარი, მაგრამ პირიქით მოხდა.

ანა ძირითადად, სულ ბავშვთან იყო, მშობლებთან და მეგობრებთანაც იშვიათად დადიოდა. გოჩა კი საბაბს მაინც პოულობდა და შეურაცხმყოფელი კითხვებით მოსვენებას არ აძლევდა ქალს. ერთხანს აიჩემა: ბავშვი რომ სასეირნოდ მიგყავს, ვინმეს ხომ არ ხვდებიო. არადა, ისინი ვაკის პარკთან ახლოს ცხოვრობდნენ და დილა-საღამოს ანას უყვარდა ეკუნას გასეირნება. ანამ რამდენჯერმე დედამთილსაც შესჩივლა, აღარ შემიძლია გოჩას აუტანელი ეჭვიანობის ატანაო, მაგრამ დედამთილი აწყნარებდა: ასე იყო ჩემი ქმარიც, სულ ეჭვიანობდა და დაძაბული ვიყავი ამის გამო, მაგრამ ახლა ხომ ხედავ, როგორ დაწყნარდაო? გამოდის, რომ ანასაც 30-40 წელი შიშსა და დაძაბულობაში უნდა ეცხოვრა, სიბერე მშვიდად რომ გაეტარებინა.

მოთმინების ფიალა აევსო ქალს, მოჰკიდა თავის შვილს ხელი და მშობლებთან გადაბარგდა. იმ დღიდან დაიწყო კოშმარი. გოჩა ხან მთვრალი მიდიოდა ანას მშობლების სახლში, კარზე აბრახუნებდა, აყალმაყალს ტეხდა, ხან დილიდან საღამომდე ანას ქუჩაში უცდიდა და ყველას თვალწინ „სცენებს" უწყობდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ანამ პოლიციაში არ შეიტანა განცხადება. პოლიციელებმა ხელწერილი დაადებინეს გოჩას, რომ აღარ შეავიწროებდა ყოფილ ცოლს.

გავიდა რამდენიმე წელი და ანამ მუშაობა დაიწყო. იქ ერთ-ერთ თანამშრომელს, უცოლო, ინტელიგენტ ისტორიკოსს შეუყვარდა და ცოლობა სთხოვა...

ამონარიდი წერილიდან: *„გურამი თბილი და მოსიყვარულე პიროვნება იყო, ამიტომაც ბევრი არ მიფიქრია და ცოლად გავყევი. ქორწილი ძალიან ვიწრო წრეში გადავიხადეთ. ერთ დღეს ქუჩაში დამხვდა ქმარყოფილი, მოღალატე და კახპა მეძახა. ხმა არ გავეცი და გზა გავაგრძელე. მანქანით წამომეწია. მეგონა, მეჯახებოდა და შიშით თვალები დავხუჭე. ზედ ჩემს ფეხებთან დაამუხრუჭა. გადმოვიდა და ხვევნა-კოცნა დამიწყო: მაპატიე, ასე რომ გექცეოდი, მეც გაპატიებ, რომ გათხოვდი. მიატოვე ეგ შენი „წიგნის ჭია" (ასე ეძახდა ჩემს მეორე ქმარს) და დამიბრუნდიო. კვლავ მოვიშორე თავიდან. მომაძახა, განანებო და ჩემ თვალწინ მთელი ძალით დაეჯახა დიდ ხეს. ქუჩაში*



წიოკი ატყდა. მე გული წამივიდა... როცა მოვსულიერდი, გოჩა მოვიკითხე. მითხრეს, უგონოდ მყოფი საავადმყოფოში წაიყვანესო. რამდენიმე დღის მერე, გულმა არ მომითმინა და მივაკითხე. დედამისმა დამინახა თუ არა, მომაკივლა, — აი, ჩემი შვილის მკვლელიო. გოჩა, ღვთის ნებით, გადარჩა. ერთი წელი აღარც გამოჩენილა".

თუმცა ამ ინციდენტით არ დამთავრებულა ყოფილ ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებები.

ამბავი მეორე
შეშინია შვილის დაკარგვის

როცა ანას გააგებინეს, რომ გოჩამ მეორე ცოლი შეირთოო, შვებით ამოისუნთქა. ეგონა, ყველანაირი უსიამოვნება წარსულს ჩაჰბარდა... მას და გურამს ვაჟი შეეძინათ. უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, მაგრამ...

გურამს კუჭის სიმსივნე აღმოაჩნდა და ბიჭის დაბადებიდან ორი წლის მერე გარდაიცვალა. ანა კვლავ მარტო დარჩა. მის ცხოვრებაში კი კვლავ გოჩა გამოჩნდა. მართალია, იგი აღარ იყო ისეთი აგრესიული, როგორიც ანას ახსოვდა, მაგრამ მისი დანახვა, მასთან საუბარი ქალს აღარ სიამოვნებდა.

ანა:

— მატყობდა, რომ არ მინდოდა მასთან ურთიერთობა. ტელეფონზეც რომ დარეკავდა, ვცდილობდი, მოკლედ მეპასუხა. ეკას ნახვას მოუხშირა. ჩვენი შვილი უკვე მესამე კლასშია. როგორ ავუკრძალო მამასთან ყოფნა? არაფერს აკლებს, არც საჩუქრებს, არც სეირნობას. ამას წინათ ნოუტბუკი უყიდა და ეკუნამ სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა. მე ვმუშაობ. მაღალი ხელფასი არ მაქვს, მაგრამ არც დაბალი ჰქვია და არ ვწუწუნებ, თუმცა ბევრი რამით მაინც ვერ ვანებივრებ შვილებს. ბავშვი კი ხომ იცით, მაინც ბავშვია, იოლად შეიძლება მისი გულის მოგება საჩუქრებით და სიურპრიზებით. გოჩამ იმდენი ქნა, რომ ეკუნას სულ პირზე აკერია მამამისის სახელი. ის კი არა, ახლა ნიკუშას დასაჩუქრებაც დაიწყო. არ მინდოდა, იმ საჩუქრებისთვის ხელი მომეკიდა. ეკას ვთხოვე, ნიკას რაღაცები ისევ უკან წაეღო მამისთვის, მაგრამ შვილი ამის გამო ძალიან გამინაწყენდა. გამებუტა, ძლივს შემოვირიგე. რა ვქნა, აღარ ვიცი. არადა, გოჩასთან ურთიერთობის აღდგენაზე ფიქრიც კი მზარავს. ამას წინათ, ეკა მამამ მოაცილა, უკვე გვიანი იყო. არ ვიცი, ეგებ გოჩასგანაც იყო დარიგებული, ეკამ თავი მოიკლა, შემოდი, ყავა უნდა დაგალევინოო. შემოვიდა. ეკამ, ამ პატარა გოგომ უმასპინძლა, მე მინდოდაა მამა-შვილი დამეტოვებინა, მაგრამ გოჩამ მთხოვა, დარჩი ცოტა ხანს, შენთან სალაპარაკო მაქვსო. კვლავ უსიამოვნოდ გამკრა გულში „ნეტავ, რა უნდა? რას მეტყვის ახალს?" — გავიფიქრე ჩემთვის. მან კი — თუ მაპატიებ წარსულს, ერთი წუთიც არ დავფიქრდები, მივატოვებ ცოლ-შვილს (გოგონა ჰყავდა მეორე ცოლთან) და კვლავ ერთად ვიყოთო.



ამის წარმოდგენამაც კი ცუდად გამხადა, — ეგ სისულელე მეორედ აღარ გაიმეორო-მეთქი. ადრე ყოველთვის აფეთქდებოდა ჩემს უარზე (არაერთხელ უთხოვია შერიგება), გამომლანძღავდა და დამემუქრებოდა, ახლა კი თავი ჩაღუნა და ჩუმად გაიხურა კარი. ვატყობ, ეკას ჩემდამი უკმაყოფილება ეზრდება. არ მინდა, შვილს შევძულდე. მოთმინებით ველოდები მის იმ ასაკს, როცა დავჯდები და ყველაფერს ვუამბობ. აბა, ახლა, თითისხელა ბავშვს რა ავუხსნა? მამაა და უყვარს, თან ისეთ ყურადღებას ავლენს მის მიმართ, რომ გადაკრულადაც არ შემიძლია გოჩას აუგად ხსენება. არც მინდა, ბავშვი ჩვენს გაუთავებელ კონფლიქტს შევწირო. მე არ ვარ ისეთი ადამიანი, რომ შვილს მამაზე ცუდი ველაპარაკო. ეს ჩვენი, მხოლოდ ორის პრობლემაა, შვილი რა შუაშია? მაგრამ ის ეჭვიც არ მასვენებს, რომ გოჩა ყველანაირად ცდილობს ეკას მეშვეობით (რა მნიშვნელობა აქვს, ეს რა სახით იქნება) ჩემთან შემორიგებას. ვერ ვიტყვი, რომ ჩემზე ცუდს ელაპარაკება, მაგრამ აშკარად თავს აცოდებს. ეუბნება, თქვენთან მინდა, დედაშენი კი ამის უფლებას არ მაძლევსო. ამიტომაც, ეკამ მოუხშირა ამ ბოლო დროს: „მამიკოს უნდა ვკითხო", „რატომ არ დაელაპარაკე მამაჩემს გუშინ?" „რატომ ექცევი ასე ცუდად" და ა.შ.

— მიგაჩნიათ, რომ თქვენი ერთად ყოფნა გამორიცხულია?

— რა თქმა უნდა! ბევრი ცოლ-ქმარი გაყრილა და გარკვეული დროის მერე შერიგებულა, მაგრამ მე გოჩამ იმდენჯერ დამწყვიტა გული, მის მიმართ გრძნობის ნატამალიც აღარ შემრჩა. ნიკას მამა, გურამი კი ყოველთვის თბილად მახსენდება. იგი ისე უცებ გამომეცალა ხელიდან, მისი შეყვარება ვერც მოვასწარი, მაგრამ ძალიან კარგი ადამიანი იყო და ჩემგან პატივისცემას და სიყვარულს უსათუოდ იმსახურებდა. ძალიან მეშინია, რომ ეკამ ერთხელაც არ გამომიცხადოს, მამასთან ყოფნა მინდაო. მერე რა ვქნა, რა გავაკეთო, ეგ უკვე აღარ ვიცი.

— ჟურნალში თავისი მშობლების ამბავს რომ გაეცნობა, არ გაგინაწყენდებათ შვილი?

— არა მგონია! იქნებ, დაფიქრდეს და მიხვდეს, რა დღეშია დედამისი და ცალსახად არ დაუჭიროს მამას მხარი. თანაც, გოჩას ცოლ-შვილი ჰყავს და ჩემთვის წარმოუდგენელია, ყოფილ ქმართან და აწ უკვე სხვის მეუღლესთან ცხოვრება.

— მის მიმართ სიყვარულს რომ გრძნობდეთ, მაინც ასე იტყოდით?

— (*ფიქრობს*)... მაშინ ალბათ, გამიჭირდებოდა!



იმ ომმაც ბევრი ოჯახი გააუბედურა

„როდესაც „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე წერილი „კიდევ ერთ მსხვერპლს ველარ გადავიტანდი“, თავი ვერ შევიკავე და მწარედ ავტირდი,“ — *გვწერს თბილისელი ქალბატონი მაგდა ურუშაძე. მსგავსი ამბავი მის ახლობელსაც გადახდა თავს, რომელმაც მოუშუშებელი იარა დაუტოვა ოჯახს და ნათესავებს (პუბლიკაციაში მოთხრობილი იყო, როგორ დაკარგეს მშობლებმა ერთადერთი ვაჟი აფხაზეთის ომში, შემდეგ პატარა ბიჭი იშვილეს. მას კი ახლახან, როგორც რეზერვისტს, მოუწია წასვლამ სამხრეთ ოსეთში!).* — ჩემს დას და სიძეს ტყუპი ვაჟი ჰყავდა. ისეთი ცელქები იყვნენ, ჩემი მშობლებიც, მეც და ჩემი ძმაც ჩართულები ვიყავით მათ აღზრდაში, იქით კი — სიძის მშობლები. ხან რას დააშავებდნენ, ხან — რას. მერე გაიზარდნენ ჩვენი ბიჭები. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, 21 წლისანი იყვნენ. აიჩემეს, მთელი ჩვენი კლასიც და კურსიც (იურიდიულზე სწავლობდნენ) აფხაზეთში არიან და ჩვენ აქ ჭადრაკი ვითამაშოთო? ჩემმა დამ იმდენი ინერვიულა, ინსულტი დაემართა. 3 თვე გვერდიდან არ მოშორებიან დედას. როგორც კი ფეხზე დააყენეს და გამოაჯანმრთელეს, წავიდნენ. სოხუმის დაცემამდე, სექტემბრის დასაწყისში დაიღუპნენ. მათი რაზმიდან არავინ გადარჩენილა ცოცხალი ღამის ერთ-ერთი შეტევის შემდეგ, ვერ აღგიწერთ, რა ხდებოდა, როცა გიო და მიშო ჩამოასვენეს. ამხელა ტკივილს დედა როგორ გაუძლებდა? საწყალი ჩემი და შვილების დაკრძალვიდან ორ თვეში გარდაიცვალა. ჩემი სიძე დარჩა მარტო. იმასაც ნერვიულობის ნიადაგზე დიაბეტი ჩამოუყალიბდა და მხედველობა დაუქვეითდა. ახლა თავისი დისშვილების ამარაა ის უბედური. მეც და ჩემი ახლობლებიც ვეხმარებით, რაც შეგვიძლია, — მაგრამ რაღაა მისი სიცოცხლე? ერთ დროს ბედნიერი და ლაღი ოჯახი ომმა ასე გააუბედურა“;

მართლა არ უნდა ავყოლოდით „პროვოკაციას“?

„სოფელ ნულთან ბევრი ოსური სოფელია. წლის განმავლობაში მშვიდად არ უცხოვრია არც ნულს, არც შიდა ქართლის დანარჩენ სოფლებს, მაგრამ განსაკუთრებით იმ მოსახლეობას უჭირდა, რომელიც ოსებთან ახლოს ცხოვრობდა. ბოლო ხანს ისე გათავხედდნენ ოსები, ხელდახელ ჩხუბზე გადადიოდნენ. ახლა რომ ვუკვირდები და წარსულს ვაანალიზებ, სპეციალურად აკეთებდნენ ამას, რათა დინჯი და წყნარი ქართველები რამენაირად წყობილებიდან გამოეყვანათ. ისინი უმეტესად უთმენდნენ, ზოგჯერ ძაღლადაც არ აგდებდნენ, მაგრამ როდემდე შეიძლება, სიმშვიდე შეინარჩუნო? ხომ გაგიგონიათ, ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო?

შარშან, ნულის მკვიდრი, კოლია პაპა ტყეში შევიდა ურმით, რომ ხმელი ხეები და ტოტები მოეჭრა. ერთი ვირი ჰყავდა და ამ „ცოცხალ ძალას“ ხან ვინ და ხან ვინ თხოულობდა. სად იყო და სად არა, როგორც ზღაპრებში ხდება, ორი ოსი ბიჭი გადმოუხტა კოლიას. დაცინვა დაუწყეს, ვირის წაყვანა მოინდომეს, — შენ თვითონ ვირი ხარ, რაღად გინდა მეორე, ამას ჩვენ წავიყვანთო. ისე გაცეცხლდა ეს წყნარი კაცი, ერთს ხომ ხის მორით გაუჩეჩქვა თავი, მეორეს ცულით გამოუდგა და იმან ძლივს გაასწრო. თანასოფლელებმა ამ ინციდენტის შესახებ რომ გაიგეს, ეს ისე არ ჩაივლისო, — თქვეს და იმ ღამეს თავისებურად მოემზადნენ კიდეც. მათი ვარაუდი გამართლდა. ოსებმა იმ ღამეს ისეთი სროლა ატეხეს თურმე, თავი მსოფლიო ომის წინა ხაზე გეგონებოდა. ასეთი სროლების დროს ყველა სოფლის მკვიდრი სარდაფში აფარებდა ხოლმე თავს. ნულშიც ასე იყო. დილით, როცა გარეთ გამოიშალნენ, სახურავები — მინგრეული, კედლები კი სულ დაცხრილული იყო... ახლა ორაზროვნად კითხულობენ რუსები და ზოგიერთი ქართველიც — ვინ დაიწყო ომიო? ვინ დაიწყო და რუსმა დაიწყო კარგა ხნის წინ, ოღონდ აქ ოსის ხელით, იქ კი — აფხაზის. სირცხვილია, სხვა თუ არაფერი, იმის მტკიცება, რომ ოსების და რუსების პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდითო...

ჩვენმა კლასიკოსმა, მიხეილ ჯავახიშვილმა გენიალურად აღწერა უცხოს გაბატონებით და მის თავხედობაზე თვალის დახუჭვით მიღებული საშინელი სურათი „ჯაყოს ხიზნებში“. მეტს აღარ მოგაწყენთ. მოდი, საღად და რეალურად ვიფიქროთ და ყველაფერი ავწონ-დავწონოთ.

ამჟამად თბილისში მცხოვრები მერაბ ხიზანიშვილი.“

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით: mbabunashvili@posta.ge

ქართველი ქალის გულმოდგინეობას სულ სხვა ძალა აქვს

ვერ გეტყვით, რომ ომმა მეტი მკითხველი შეგვძინა (იგი ისედაც მრავლად გვყავდა), მაგრამ ფაქტია, მეტი მკითხველი განაწყო, რომ საკუთარი აზრი, შეხედულება და ემოცია გაეზიარებინა. განსაკუთრებით, ერთ-ერთი გოგონას, ხატიას გამოგზავნილმა წერილმა იმოქმედა მათზე და საპასუხო მესიჯებმაც არ დაიგვიანა:

„ხატია, შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. ისეთი თბილი და ლამაზი სიტყვებით მიმართე ჯარისკაცებს, რომ უზარმაზარი ძალა და ენერგია შემატე. მეც ჯარისკაცი ვარ, სხვათა შორის, შენი ქალაქიდან, ქუთაისიდან და მეამაყება, რომ დღეს საქართველოში შენისთანა გოგონები ცხოვრობენ. მათთვის პატრიოტობა მხოლოდ სიტყვა არ არის



და მართლაც, სამშობლოსადმი დიდი სიყვარულითაა გაჟღენთილი. ზვიადი“.

„მე მფრინავი ვარ (მართალია, ხანდაზმული, მაგრამ ყოფილი მფრინავი არ არსებობს!). ახლაც შემიძლია, თვალის დაუხამხამებლად შევასრულო ჩემი სამხედრო საქმე... იცით, მფრინავი მხოლოდ ერთხელ ცდება და ამ შეცდომას მისი სიკვდილი მოსდევს. თუმცა, რუსებს უყვართ გამოთქმა: „მფრინავი შეცდა“, „ჯარისკაცს შეეშალა“ და ა.შ. ასეთი ტერმინი სამხედრო სამსახურში სამარცხვინო რამ გახლავთ. რუსები ყველაფერზე წამსვლელები არიან. ჯერ კიდევ ჩემს ახალგაზრდობაში, როცა ვმსახურობდი, მთათუშეთში ჩამოყარეს ბომბები. მაშინაც თქვეს, შევცდითო. როდემდე უნდა გააგრძელონ ასეთი უგუნური, უნამუსო ცხოვრება? ისინი სიმართლეს არასოდეს იტყვიან, კარგა ხანია, გადაეჩვივნენ და იმიტომ. ბილწი სიცრუე მათ სისხლსა და ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი... მარინა, მე მიყვარს თქვენი წერილების კითხვა. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის. ანზორი პაპა. თბილისი“.

„ხატია, წავიკითხე „ცხოვრებაში“ თქვენი წერილი და აღფრთოვანება ვერ დავფარე. ნეტავ, ყველა თქვენსავით საღად აზროვნებდეს. მეც სამხედრო ვარ, საკუთარ თავზე გადავიტანე ყველაფერი და ვიცი, რას ნიშნავს ომი, ვიცი, მშვიდობიანმა მოსახლეობამ რაც გადაიტანა. სამწუხაროდ, ბევრს არ გააჩნია შენნაირი სულისკვეთება და ქილიკის მეტს არაფერს აკეთებს. ნეტავ, მანახვა, ეგენი რას გააკეთებდნენ ამ ომში, სხვებს რომ ასე მხურვალედ აკრიტიკებენ. არც ადრე ვიყავი მშიშარა, მაგრამ შენმა თანადგომამ, შენმა წერილმა ისეთი გამბედაობა შემმატა, ასე მგონია, მთას გადავდგამ. ღმერთი გფარავდეს შენ და სრულიად საქართველოს. უცნობი ჯარისკაცი“.

„მარინა, ღმერთმა სულ სიკეთით გატაროთ და სასიკეთოდ გეწეროთ, ბევრი ადამიანის გულისნადები სამზეოზე გამოგეტანოთ. გაიხარეთ და გამრავლდით... „ცხოვრებამ“ თავიდანვე ძალიან დამაინტერესა. ახლა კი როცა რუბრიკის ფურცლები ომსა და მის გამოძახილს ეთმობა, ვატყობ, რამხელა გრძნობა დუღს თითოეული მკითხველის გულში. ერთიანად შემძრა წერილმა „ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიჩოქებთ, როცა საქართველოს დროშას ვეამბორებით“. მე საზღვარზე ვარ (ვერ გეტყვით, სად ვიმყოფები!). თუ საჭირო გახდა, სამშობლოს სისხლის ბოლო წვეთამდე დავიცავ. ქართველი მანდილოსნის (სულერთია, იგი ჟურნალისტი იქნება, თუ სხვა პროფესიის ადამიანი) მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს. წლოვანებით არც ისე დიდი ვარ, მაგრამ ბევრი რამ გამომიცდია საკუთარ თავზე. ამ წერილმა სიამაყეც მომგვარა... იმ ერს — რომლის წიაღში, თუნდაც რამდენიმე ისე ფიქრობს, როგორც აქ არის გადმოცემული — გადაშენება არ უწერია. მ.ა.“

„მარინა, იცით რამხელა სტიმულია თქვენი და თქვენი რესპონდენტების წერილები ჩვენთვის? თქვენმა სულისკვეთებამ ფრთები შეგვასხა მეც და დანარჩენებსაც. ახლა ნაწილში ვარ და იქიდან გწერთ. გჯეროდეთ, დროებითი დანაკარგის, ცრემლისა და ტკივილის მიუხედავად, ჩვენ მაინც გამარჯვებულები ვართ. ბევრი რამ ითქვა აგვისტოს ომზე, ბევრ რამეზეც დამწყდა გული. რას ჰქვია, პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდითო? ომის დროს ბევრ რამეზე არ შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი, მაგრამ ერთს გეტყვით — ეს ომი ჩვენ არ დაგვიწყია; ის რუსეთმა დაიწყო ახლაც და 90-იან წლებშიც. მე მეამაყება ჩემი ქართველობა და მადლობას გეუბნებით, ამ სიამაყის შეგრძნებას ხშირად რომ „გვჩუქნით“. იქნებ, „პატარა კაცუნებმა“ წაიკითხონ ეს წერილები და სულ ცოტათი მაინც მიხვდნენ, რამხელა ტვირთი და რამხელა სიამაყეა ქართველობა. ცოტნე, თბილისი“.

„ვკითხულობ საქართველოდან გამოგზავნილ ჟურნალ-გაზეთებს და ცრემლებად ვიღვრები. რა ბარბაროსები ყოფილან რუსები! ნუთუ, არც დედა ჰყავთ, არც ცოლი, არც და და შვილები? ასე ერთიანად ამოწყვეტილები როგორ არიან? და თუ ჰყავთ, ასე რამ გაუქვავათ გულები? მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო იმ ოჯახებს, ვინც შვილი, მამა, ძმა ან სხვა ახლობელი დაკარგა ამ უთანასწორო ომში. სანთელსაკმეველმა გაანათოს მათი სავალი ბილიკები ზეციურ სამყოფელში. ჩემი დისშვილიც წინა ხაზზე იბრძოდა. ღმერთს მადლობა, რომ ცოცხალი დაბრუნდა... ვკოცნი შენს მიწას, ჩემო საქართველომ! მარინა, სალონიკი“. ●

ქალი კაცისკენ, იგივე ქალისკენ ქალი

ნუშის ნამცხვრისა და შემწვარი ქათმის სურნელი მთელ სახლში დატრიალდა. დედიკო დაიენი ძვირფასი სტუმრების მოლოდინში იყო. მას შვილი — ეშტონი და მომავალი რძალი უნდა სწვეოდნენ. მართალია, რძალი მის ლამაზ შვილს დედად უფრო შეეფერებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ცნობილი, მდიდარი და გავლენიანი ქალი გახლდათ. მის ადგილას ალბათ ყველა დედა შეშფოთდებოდა იმის გამო, რომ ხალხი ჭორაობით ენებს მოიფხანდა, როდესაც მისი შვილი უფროსი ასაკის ქალზე ჯვარს დაიწერდა და მისი 3 მოზრდილი გოგონას მეურვეობას იკისრებდა, რომელთა მამაც სუპერვარსკვლავია, მაგრამ დაიენმა ეშტონს ქორწინებაზე თანხმობა განუცხადა. მამაკაცმა საყვარელ ქალს ცოლობა მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვა და მშობლიურ სახლშიც დაპატიჟა. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 15 წელია.



მშვიდობით, ახალგაზრდობავ!

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, ტელევიზიისა და კინოს ახალგამომცხვარი ვარსკვლავი, რომელმაც სახელი გაითქვა ფილმებით — „სად არის შენი მანქანა, „ჩუვაკ?“ „ახალდაქორწინებულები“, „ჩემი ბოსის ქალიშვილი“, ვერც კი მოიფიქრებდა, რომ მისი უზრუნველი ცხოვრება ასე უცებ სერიოზულ, ოჯახურ სახეს მიიღებდა. თანაც, ვისთან? — დემი მურთან ერთად, რომლის სურვილიც თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში კლავდა. ყოველ შემთხვევაში, 12 წლიდან მაინც, როდესაც ის პირველად იხილა „მოჩვენებაში“. ამის გახსენებას მეგავარსკვლავი ჭკუიდან გადაჰყავდა.

როდესაც მისმა ბოლო შეყვარებულმა, ბრიტანი მერფიმ, რომელიც ნამდვილ ბარბის ჰგავდა, დემისა და ეშტონის ურთიერთობის შესახებ შეიტყო, ისტერიკაში ჩავარდა. ვერ წარმოედგინა, რომ მას, ასეთ ლამაზსა და ახალგაზრდას, მიატოვებდნენ „ბებერი“ ქალის გამო, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცებს მხოლოდ ვიბრატორის ნაცვლად იყენებს და სხეულიც ალბათ უკვე არასასურველი ნაოჭებითა და ნაკეცებით აქვს დაფარული. თუმცა, ბრიტანის სერიოზული ურთიერთობის იმედი არც თავიდან უნდა ჰქონოდა, რადგან ეშტონის ყველა რომანი მხოლოდ გასართობ ხასიათს ატარებდა. მას ეს ლამაზი ყმაწვილი უყვარდა და მზად იყო, მთელი ცხოვრება მის გვერდით ყოფილიყო.

გოგონები ხომ ასე მოუთმენლად ელიან ასეთ წინადადებას. ხანდახან ეჩვენებათ, რომ სიყვარულის ყველა „ზღაპარი“ იმისთვის არსებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მამაკაცმა ამოილუღლუღოს: „გამომყევი ცოლად“. გოგონა კი მკლავებს გაშლის და ჯერ აღტაცების შეძახილი აღმოხდება, შემდეგ საყვარელ მამაკაცს კისერზე ჩამოეკიდება და მორცხვად იტყვის: „ჰო“. ამის შემდეგ იწყება ჩვეულებრივი, ყოფითი პრობლემები, პრეტენზიები, ჩვეულებრივი, მოსაწყენი ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ხელისა და გულის თხოვნა ძალზე რომანტიკულია...

დემი მური



ეშტონ კუჩერი

აუტსაიდერი

ბრიტანის ეშტონთან განშორების შემდეგ დიდხანს არ მოუწყენია. მან ჩვეულებრივი, ვაჭრობის მენეჯერი გაიცნო და მასთან განაგრძო ურთიერთობა. მალე ისინი დაქორწინდნენ კიდეც. ბრიტანიმ ქორწინებაზე თანხმობა ისე განაცხადა, რომ ერთხელაც არ გახსენებია თავისი ვარსკვლავბიჭუნა და მისი „ბებერი“ ცოლი.

ისეთი სახის ნაკვთების მქონე მამაკაცები, როგორიც ეშტონია, ძირითადად ცისფრები არიან ხოლმე, მაგრამ ეშტონი

ჰომოსექსუალურ კავშირებში შემჩნეული არ ყოფილა. უფრო მეტიც, ვიდრე დემი მურის სასიყვარულო ბადეში გაეხვეოდა, ყველაზე სექსუალურ და ლამაზ ქალბატონებთან მეგობრობდა. მხოლოდ ერთი, „პლეიბოის“ გარეკანზე გაშიშვლებული ქალი რად ღირდა? მათი სიყვარული ხანმოკლე და ცეცხლოვანი იყო. ეშტონს ბერბიჭობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველას იმედი გაუცრუა და უეცრად დაქორწინდა.

ამის შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში აუტსაიდერობამ მოუწია. როგორც კინოში, ასევე დანარჩენ ქალბატონებში მისი შესრულებული პოპულარული როლები ხალხს დიდხანს არ ამახსოვრდებოდა. ასეთი იმიჯით კი შორს ვერ წავიდოდა. მისი ნაბიჯი ვერავინ ახსნა და მიიჩნევდნენ, რომ დემისთან კავშირი მის, როგორც ჰოლივუდის დამოუკიდებელი ერთეულის დისკედიტაციას მოახდენდა. ამის გამო მას 2 პროექტიც კი ჩაუვარდა, რადგან დემი მურის მორიგ „ბიჭთან“ საქმის დაჭერა არავინ ინდომა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ მისი, როგორც მსახიობის გაზრდა, დემის დამსახურება იყო. ცოტა ხნის წინ, ფართო ეკრანზე გამოსულ ფანტასტიკურ ტრილერში, „პეპელას ეფექტი“, ეშტონმა დრამატული როლი ითამაშა. მისი გმირი ახალგაზრდა მამაკაცია, რომელსაც ბავშვობაში დაბრუნება და „დიდური“ პრობლემების იქიდან მოგვარება შეუძლია.

საინტერესოა, რაზე იცინიან მომავალი რძალი და დედამთილი? მათ ბევრი საერთო აქვთ, ორივეს სამ-სამი შვილი ჰყავს. და რა თქმა უნდა, მათი საერთო სალაპარაკო თემა — ორივესთვის საყვარელი ბიჭუნაა. დემის ახალგაზრდა კავალერი ისე შეუყვარდა, რომ მას გადაღებების დროსაც კი არ შორდება. როგორც კი დროს გამონახავს, მიდის და შორიდან მისი ყურებით ტკბება. რაღა თქმა უნდა, ვიდრე დემი გადასაღებ მოედანზეა, გრძელფეხება ლამაზმანები ეშტონს 5 მეტრზე ახლოს არ ეკარებიან.

დემი გამონაკლისი სულაც არ არის იმ 40 წლის ქალებს შორის, რომელთაც ახალგაზრდა ქმრები ჰყავთ. როგორც კი ეშტონის სიყვარულმა თავბრუ დაახვია, მაშინვე თავი ახალგაზრდად იგრძნო და მოეჩვენა, რომ მეორედ დაიბადა და თვალის დაუხამხამებლად გადაიხადა ასი ათასი დოლარი პლასტიკურ ოპერაციებში. ეშტონთან შეხვედრამდე კი ის ასეთ დიდ თანხას მარტო შვილებისთვის ხარჯავდა და მთელ დროს მხოლოდ მათ უთმობდა. მათ გამო მან რამდენიმე ფილმში მონაწილეობაზეც კი უარი თქვა. ჰოლივუდური საზომით ეს დეპრესიის ღრმა ფორმაა.

უცნაური სამეული

დემი და ეშტონი ერთმანეთს პირველად ვარსკვლავურ საღამოზე შეხვდნენ. ახალგაზრდა მამაკაცი დემიმ მაშინვე იახტაზე მიიპატიჟა. ისინი კუნძულ სამოთხისკენ გაემგზავრნენ. გასეირნება საბედისწერო აღმოჩნდა.

ეშტონმა საყვარელი ქალის წინ დაიჩოქა, ხელზე ბრილიანტისთვლიანი სამაჯური შეაბა და ცოლობა სთხოვა. დედოფალმა თანხმობა განაცხადა.

სიახლე ქვეყანას რამდენიმე წუთში მოედო. მათ ფოტოებში ჟურნალები კოლოსალურ თანხებს იხდიდნენ. ეს თანხა გონიერი დემის ჯიბეში მიდიოდა. ეს ფოტოსესიები მისი პროვოცირებული იყო.

ბრიტანი მერფი

საინტერესოა, ჰკითხა თუ არა დემიმ აზრი ყოფილ ქმარს, შვილების მამას, ბრიუს უილისს? ისინი ხშირად არიან ფოტოზე ერთად დაფიქსირებული — დემი, ეშტონი და ბრიუსი... „ჩარლის ანგელოზების“ პრემიერაზე კი ერთად მივიდნენ. დემის ორივე ქმრისთვის ხელკავი ჰქონდა გამოდებული, რის გამოც ამ „შვედური“ ოჯახის შესახებ ჰოლივუდში ბევრს ჭორაობდნენ.

ფქვილი

საიდან მოვიდა კატჩერი ჰოლივუდში, მას ხომ სამსახიობო განათლება არ აქვს მიღებული?! უბრალოდ, ერთხელ ძალზე გაუმართლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა ბიოქიმიის ფაკულტეტზე განაგრძო. სწავლისთვის ფული სჭირდებოდა, რის გამოც, იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო. მან სამსახური ერთ-ერთ ქარხანაში იშოვა, სადაც ფქვილის მტვერს ხვეტდა. ის ქარხნის ბარში, ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს წარმომადგენლებმა შენიშნეს და სამსახური შესთავაზეს. კატჩერმა მამაკაცი მოდელების კონკურსში გაიმარჯვა და ვერსაჩესთან და კლაინთან კონტრაქტს მაშინვე მოაწერა აცახცახებული ხელი. შემდეგ მისი ფოტოები პრიალა ჟურნალების გარეკანზე დაიბეჭდა, სამოდელო ბიზნესში მეგობრები გაიჩინა, მსახიობებთან და მოდელებთან რომანი გააბა და ჰოლივუდის ბილიკებიც გათელა.

ახლა მას ახალი, ოჯახური ბილიკი აქვს გასათელი. ხუმრობა ხომ არ არის, მას და დემი მურს კიდევ ერთი შვილის გაჩენა აქვთ ჩაფიქრებული.

ბრიუს უილისი





დასაწყისი იხ. — „გზა", №38

1984 წლის 26 აგვისტო

ვერ მოვიცალე, რომ დღიურს ჩავჯდომოდი. რამდენი მილიციელი ინატრებდა ამ რვეულის ხელში ჩაგდებას... ფაქტობრივად, აღიარებით ჩვენებას ვწერ...

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმემ წაიკითხოს...

რა მოხდება?

მზის სინათლეს ვეღარ ვნახავ...

ციხეს სუნიც კი თავისებური აქვს...

ციხის სუნს ვერ ვიტან. სწორედ ამიტომ არც ერთ სასჯელს ბოლომდე არ ვიხდი. 1 კვირის წინ მეორედ ავწიე „პაბეგი". ჩემი ბიჭები რომ არა,- ვერაფერს მოვახერხებდი...

ჩემი ცემით რომ დაიღალნენ, მილიციელები წავიდნენ. დილით კი ადვოკატი მოვიდა.

— არ მინდა ადვოკატი, — განვაცხადე მედიდურად, მაგრამ ტუჩები ისე მქონდა დასივებული, რომ ადვოკატმა ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო და კითხვით აღსავსე მზერა მომაპყრო.

— ადვოკატი არ მჭირდება! — უფრო ხმამაღლა და როგორც შემეძლო — გარკვევით ვთქვი.

— ადვოკატი კანონით გეკუთვნის, — ჩაიცინა მაღალმა, ხმელმა მამაკაცმა, რომელიც რუსს არ ჰგავდა, — თანაც, მე ჩვეულებრივი ადვოკატი არ ვარ.

— აბა, არაჩვეულებრივი ხარ? — მაშინ, იმედი მაქვს, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გამათავისუფლებენ.

— ვნახოთ, შეიძლება, „დარბაზამდეც", — მრავალმნიშვნელოვანი მზერა მესროლა.

მისმა ნათქვამმა რაღაც მანიშნა, მაგრამ — რა? რას ნიშნავდა მისი ნათქვამი — „დარბაზამდე"?

ვერ გავიგე, მაგრამ იმედია, ოდესმე მივხვდები.

— კითხვებს ნუ დამისვამ, მაინც არ გიპასუხებ, — ჩემს აზრზე მყარად ვიდექი.

— კარგი, ის მაინც თუ იცი, რა გედება ბრალად?

— არა, მარტო ის ვიცი, რომ ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცთან ნაცნობობას მაბრალებენ.

— თუ ეს ნაცნობობა დამტკიცდა, იცოდე, რომ შეიძლება დახვრეტაც მოგისაჯონ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ „სველი" საქმეა. რიჟიმ ოქროულობის მაღაზია რომ გაიტანა, იქ 2 კაცი მოკვდა. პოლიციელი და მაღაზიის თანამშრომელი.

— მე არავითარ საქმეებზე არ დავდივარ, არც „სველზე" და არც „მშრალზე". კრიმინალებთან საქმე არ მაქვს.

— აბა, მოსკოვში რას აკეთებ?

— მანდარინს ველოდები საქართველოდან. 5 ვაგონი მანდარინი უნდა ჩამოვიდეს და უნდა გავყიდო, — გავიღიმე, როგორც შემეძლო.

— კარგი ვერსიაა, ვერაფერს იტყვი, — გულიანად გაიღიმა მანაც და წამოდგა, — წავალ, როგორც ვატყობ, მე და შენ საერთო ენას ვერ გამოვძებნით. აი, ეს დაიტოვე და მალევე მოიშორე თავიდან, — მითხრა და დაკეცილი ფურცელი გამომიწოდა.

უხალისოდ გამოვართვი და მის ზურგს თვალი გავაყოლე.

რკინის კარი ხმაურით გაიღო და დაიხურა. ადვოკატი წავიდა, მე კი მარტო დავრჩი. ახლა ალბათ ბადრაგი მოვა და საკანში წამიყვანს.

როგორ მაინტერესებს, რა წერია იმ ფურცელზე...

— თუ ეს ნაცნობობა დამტკიცდა, იცოდე, რომ შეიძლება დახვრეტაც მოგისაჯონ.

გავხსნა?

იქნებ, დავიცადო?

არა, ჯობია, დავიცადო...

დავიცადე და სწორადაც მოვიქეცი.

წერილი ჩემს მეგობარს, ვიტიას გამოუტანებია.

„სედოი", ყველაფერი კარგადაა, ადვოკატი ჩვენი კაცია, ენდე და დაუჯერე. მალე ახალ „ქსივას" შემოგიგზავნით. გაემზადე,

უშენოდ მოვიწყინეთ“.

არ ვიცი, დავუჯერო თუ არა წერილს. მართლა ვიტიას გამოგზავნილია? იქნებ, ადვოკატი მატყუებს და მილიციის მოგზავნილია?

ვნახოთ, რა იქნება...

ქაღალდი დავჭმუჭნე და ცეცხლი მოვუკიდე. საკანში კვამლი დადგა და ხველა ამიტყდა, ნარზე, ავძვერი და ცხვირი ფანჯარაში გავყავი.

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს — „გაემზადე, უშენოდ მოვიწყინეთ“? რა ჩაიფიქრეს ბიჭებმა?

ყოველ შემთხვევაში, თუ წერილი მართლა ვიტიას დაწერილია, იმედი უნდა მქონდეს, რომ ჩემს გაქცევას ამზადებენ.

ახლა მთავარია, არაფერი შემეშალოს, არ შევცდე.

დღეები ისე გადიოდა, დაკითხვაზეც არავინ მეძახდა.

გარედან კი „ქსივა“ „ქსივაზე“ მოდიოდა.

რიჟის სველ საქმეს ტენიან“, „რიჟის საქმეში შენს ჩათრევას ცდილობენ“,

„გაუმარჯოს „სვაბოდას“, რომელიც მალე მოვა“.

წერილები ჩემთან ერთ-ერთ პატიმარს მოჰქონდა, მასთან — მის მშობელს.

ადვოკატი კი აღარ გამოჩენილა.

ერთ დღეს, როგორც იქნა, დაკითხვის ოთახში გამიყვანეს, სადაც ადვოკატი დამხვდა.

— ჩამოვიდა შენი მანდარინი? — მკითხა და გაიცინა.

— არა, ჯერ არა.

— ჩამოვა, აუცილებლად ჩამოვა, — დამამშვიდა. ბიჭებს მოაქვთ და მალე ადგილზე იქნება. შენს პირველ სასამართლოზე უკვე აქ იქნება და მაგ დღეს შემოვა მოსკოვის სადგურში.

— კარგი იქნება, — გამომცდელად შევხედე. მივხვდი, ქარაგმებით მელაპარაკებოდა. თუ მისი ნათქვამი სწორად გავიგე, მანდარინი გაქცევას ნიშნავდა, რომელიც ჩემს პირველ სასამართლოზე იგეგმებოდა.

— სასამართლო აგვიანებს, — ისევ გამომცდელად შევხედე.

— ასე ჯობია, სამაგიეროდ, მანდარინის საქმე წინ მიდის, ხომ იცი, საბუთები გასამზადებელია, ბაზარში ადგილია მოსაძებნი, მერე — გამსაღებელი და ათასი პრობლემაა.

— კარგი, გავიგე, ხმადაბლა ჩავილაპარაკე, — შენ რუსი არ უნდა იყო, არა?

— არა, — ქართულად მითხრა და ცალი ფეხი ნერვიულად აათამაშა.

— ქართველი ხარ? — ძალიან გავოცდი.

— ებრაელი ვარ, საქართველოში გაზრდილი.

— გასაგებია, ქართველი ყოფილხარ, — გულით გამიხარდა, ეს ახალი ამბავი რომ გავიგე და ამ კაცის მიმართ ნდობა პირველად გამიჩნდა.

დრო ზლაზვნით გადიოდა. აქ არავის ვეკონტაქტებოდი. ქურდები არ იყვნენ, სხვებს არ ვენდობოდი. ჩემთვის, წყნარად ყოფნა მერჩივნა.

ერთ ორშაბათ დილით ციხის უფროსი მეწვია.

თანამშრომელმა წინასწარ გამაფრთხილა, ამიტომ მისი დანახვა არ გამკვირვებია.

— გამარჯობა, „სედოი“, — ხელი მეგობრულად გამომიწოდა.

— გაგიმარჯოს, — უხალისოდ ვუპასუხე.

— რიჟისგან მოკითხვა.

— რიჟის არ ვიცნობ, ვერ გაიგეთ? — მისმა ნათქვამმა გამაღიზიანა.

— ვიცი, რომ იცნობ, თანაც — კარგად. მანდარინსაც ერთად ელოდებით, — მითხრა და თვალი ჩამიკრა.

— მანდარინს მე ველოდები.

— შენც და რიჟიც. პირველ სასამართლოზე ჩამოდგება მატარებელი, მაგრამ ეგ იცოდე, რომ უჩემოდ „ტავარს“ ვერ ჩამოცლით.

ვერაფერი გავიგე. რა უნდოდა ამ კაცს?

თავიდან მეგონა, რომ ჩემი და ადვოკატის ლაპარაკს მოუსმინა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ჩემს გაქცევაში დიდი როლი მას უნდა ეთამაშა.

— ყველაფერი ერთი პირობით მოხდება, გაინტერესებს?

— კი, მაინტერესებს. მართალია, სისულელეს ბოდავ, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა პირობას წამიყენებთ.

— სვეტას ხელი არ უნდა ახლო. თუ ამ პირობაზე დამთანხმდები და მერე არ შეასრულებ, იცოდე, კიდევ ჩამივარდები ხელში და მერე მე ვიცი...

— რამდენს იღებ ამ საქმეში მონაწილეობაში?

— მაგას შენი ძმაკაცები გეტყვიან, ჩემი პირობა სვეტას ხელშეუხებლობაა.

— კარგი, სვეტა დავივიწყე. თუმცა, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ჩემი გაყიდვისთვის ღორივით გამოვჭრიდი ყელს.

— არა-მეთქი, გესმის? — უზომოდ გაბრაზდა და სახე წამოუჭარხლდა.

— კარგი, კარგი, მოვილაპარაკეთ, — უცებ გადავწყვიტე, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა. მერე კი მოვიფიქრებდი, რას გავაკეთებდი.

მარი Хაშარიძე

ჩა ევალება მდივანს?

ფრიდრიხ ნიცშემ თქვა: „ცოლებს ქმრები რომ უყვარდეთ, მდივნის აყვანა არავის მოუვიდოდა აზრად". თუ „დიდი ბოსი", წარმატებული ბიზნესმენი ან უბრალოდ, ძალიან დაკავებული ადამიანი ხარ, შენთვის აუცილებელიც ყია დამხმარე, იგივე – მდივანი. თავისი მდივნის მიმართ ყველა უფროსს სხვადასხვაგვარი მოთხოვნა აქვს.

ძველ რომში მდივანს აუცილებლად უნდა სცოდნოდა რამდენიმე უცხო ენა და სტენოგრაფია. ასეთ დამხმარეს მაშინ ნოტარიუსს უწოდებდნენ (ლათინური სიტყვის — მწერლისგანაა წარმოშობილი).

მდივანი არ უნდა იყოს ენაჭარტალა. პაპმა, კლიმენტი XIV-მ, ერთ-ერთი ქალბატონის შეკითხვაზე, — ხომ არ ეშინია მოლაყბე მდივნების, უპასუხა: ჩემი სამი მდივანი ჩემი მარჯვენა ხელის ცერი, საჩვენებელი და შუა თითებია, რომლებიც არასოდეს მიღალატებენო. ის გულისხმობდა, რომ არავის ენდობოდა, თავისი ნაწერის გარდა (წერის დროს სწორედ ამ 3 თითს იყენებდა).

მდივანს ყველა სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა უნდა შეეძლოს. ორლეანის ჰერცოგს სიკვდილის არ სჯეროდა და სასახლეში სიკვდილის ხსენებაც კი აკრძალა. ერთხელ მის მდივანს წამოსცდა: „ესპანეთის გარდაცვლილი მეფე"... „რაააა?" — წამოიძახა ჰერცოგმა. „ეს მისი ახალი ტიტულია", — არ დაიბნა მდივანი.

მდივანი უნდა იყოს დაკვირვებული. საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XI-ს ყოფილმა მდივანმა 1611 წლიდან დაიწყო „სკანდალური ქრონიკის" სახელწოდებით ცნობილი ტომეულის გამოცემა, რომელშიც ასახული იყო სასახლის კარზე მიმდინარე მოვლენები და განხილული იყო მათი მორალური მხარე. ამ გამოცემამ დასაბამი მისცა საგაზეთო-საჟურნალე ჟანრს, რომლის გარეშეც დღესდღეობით ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია.

მდივანი უნდა ფლობდეს უცხო ენებს. როდესაც ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორი გახდა, მდივანს ყოველ დილით მისთვის ევროპული პრესის მიმოხილვა დაავალა. მან თქვა: „ყველაფერი ვიცი, რასაც ფრანგული პრესა წერს, რადგან ისინი იმას წერენ, რაც მე მინდა. მე მაინტერესებს, რას წერენ სხვა ქვეყნის გაზეთები".

ალექსანდრე დიუმა-მამა ნაწარმოებებს ისე სწრაფად წერდა, რომ მდივანი მისთვის აუცილებელი იყო. მის მოვალეობაში შედიოდა არა მხოლოდ დაწერილი ნაწარმოების გადაწერა, არამედ

მოკლე ჩართვა

როგორ მასწავლებელს მივანიჭებდი უპირატესობას?

- ისე, არც მე ვარ დასაწუნი მასწავლებელი (რა ვიცი, კი მაქებენ და...). მართლა, პატარა ბიჭი-მოსწავლეები მეპრანჭებოდნენ კიდეც, აბაა! გამოუსწორებელი რომანტიკოსი.
- მასწავლებელი ჭრიჭინასნაირი მინდა. მასთან არ მოიწყენ და რაც მთავარია, სალაპარაკო თემა არ გამოგველევა. სიკვდილა.
- ბევრი მასწავლებელი მინახავს, რომელსაც დიდი ცოდნის მარაგი აქვს, მაგრამ გადმოცემის უნარი არ გააჩნია. მე თუ მკითხავთ, მოზარდებთან ურთიერთობის საშუალებას მხოლოდ პედაგოგის დიპლომი არ უნდა იძლეოდეს. უნდა არსებობდეს ცალკე კურსები და დამწყებ მასწავლებლებს ბავშვებთან ურთიერთობა ასწავლონ. აგატა.
- არაბულ ენაში ძალზე მკაცრი და მომთხოვნი ლექტორი მყავს. მასთან მილებული 7-იანი, ნებისმიერი სხვა ლექტორის 10-ს უდრის. მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან „გახალტურებას" შევძლებდით, მეორე კურსზეც მთელმა ჯგუფმა ეს ლექტორი ავირჩიეთ ანუ უპირატესობა მას მივანიჭეთ. ჩემი აზრით, სწორედ ისეთი ლექტორი და მასწავლებელია სასურველი, ვისი შიში კი არა, რიდი ექნებათ ბავშვებს. ლელუჩია.
- ისეთ მასწავლებელს მივანიჭებდი უპირატესობას, როგორიც გიო რაზმაძეა. უნიჭიერესი, მხიარული, იუმორით აღსავსე, უშუალო, მეგობრული და ცოტათი მკაცრიც, რაც სავსებით მისაღებია! ღმერთმა ამრავლოს მისნაირი მასწავლებლები. გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

>>>10



მასში გრამატიკული შეცდომების გასწორებაც.

მდივანმა უნდა იცოდეს, რა ჩაიცვას. ყველა უფროსს მდივნის გარდერობის მიმართ თავისი მოთხოვნა აქვს. ამერიკული ორგანიზაციების უმეტესობაში მდივნებს აკრძალული აქვთ, ზედიზედ 2 დღის განმავლობაში ერთი და იმავე ტანისამოსის ჩაცმა იმის გამო, რომ კლიენტს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მდივანს ღამე შინ არ გაუთევია.

მდივანი ძლიერი უნდა იყოს. ამერიკულ ქალაქ მანჩესტერში ყოველწლიურად ტარდება შეჯიბრება საბეჭდი მანქანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მდივან ქალბატონებს. შარშანდელი რეკორდი 10 მეტრი იყო.

მდივანს ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს. სწორედ ამიტომ, უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე იაპონური ფირმების მეპატრონეთა უმეტესი ნაწილი ელექტრონულ მდივანს ამჯობინებს. უპირატესობა აშკარაა: ობიექტურობა, კარგი მეხსიერება, დავალების დროული შესრულება, ბოსის მიმართ კარგი განწყობილება... რა თქმა უნდა, ასეთი მდივანი გარეგნულად უჩვეულოდ გამოიყურება, მაგრამ მერე რა?! ზოგიერთი ადამიანის გარეგნობამაც შეიძლება რაიმე კითხვები წარმოშვას. ერთ-ერთმა შეფმა თავისი ერთგული მდივანი გაათავისუფლა, მიზეზად კი დაასახელა: „მას ისეთი დიდი მკერდი ჰქონდა, რომ საბეჭდი მანქანის კლავიატურას ვერ ხედავდა და ბრმად ბეჭდავდა, რის გამოც ბევრ შეცდომას უშვებდა“.

●

მოკლე ჩართვა

<<<9

როგორ მასწავლებელს მივანიჭებდი უპირატესობას?

• მასწავლებელი, პირველ რიგში, მოსწავლის მეგობარი უნდა იყოს, მისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდეს. მოკლედ მოვჭრი — შენნაირ მასწავლებელს ვინატრებდი, მარი. გრუზინკა.

• გამარჯობა, საყვარელო მარი, მე ინგლისურის ლექტორი ვარ. უპირატესობას განათლებულ, კომუნიკაბელურ, თავისი საგნის კარგად მცოდნე მასწავლებელს ვანიჭებ. ასევე აუცილებლად უნდა იყოს ობიექტური სტუდენტის შეფასებისას; ურთიერთობისას — ზომიერად მკაცრი, ზომიერად მეგობრული. მასწავლებელმა არ უნდა გაათამამოს თავისი მოსწავლე და არც თავი დაიჭიროს მისგან შორს. ოქროს შუალედის პრინციპი ყველგან და ყველაფერში ამართლებს. დეა-25.

• ისეთ მასწავლებელს ვისურვებდი, რომელიც კლასის ბოლოდან გამოსროლილ მერხს ისევ უკან, კლასის სიღრმეში გააქანებს და ახალშელებილ კედელს დედას უტირებს. დალი მასწ, საღოლ რა! გუგეშა.

• ყველაზე კარგი მასწავლებელი მძინარე მასწავლებელია. რა საყვარლად ჩათვლემდით ხოლმე გრამატიკის წიგნზე, ცხონებულო ლიანა მასწ... :) ნოსტალგია.

• როგორ მასწავლებელს მივანიჭებდი უპირატესობას? ჰმ, ლამაზსა და ჭკვიანს, რა თქმა უნდა. მასტერა.

• რა თქმა უნდა, არა — ლენინისნაირს (ფუ, ეშმაკს!). როგორს და, თავადაც რომ გასწავლის და შენგანაც რომ სწავლობს. ენიგმა.

• მინდა, ჩემი ლიანა მასწავლებელი გავიხსენო. არ ვიცი, როგორ, მაგრამ 15 წელია, სკოლა დავამთავრე და დღემდე არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს თანაკლასელებს. ეს კი ლიანა მასწავლებლის დამსახურებაა.

●

ფოტო, რომელიც ლაღთელი ლაკარგა



ალბათ უკვე მიხვდით, რომ ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეს ასეთია:
„ლარისე ივანოვნე ხოჩე"

პროკლამაცია



ანას ამბავი დღეს სრულდება. მკითხველების უმეტესობა მის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი და ალბათ გული დასწყდება, ამბის „გმირებს“ რომ ველარ შეხვდება, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც ანა არ მოსწონდა. ახლა ჯერ თქვენს მესიჯებს გავეცნოთ, შემდეგ — ამბის დასასრულს.

„გული მიგრძნობს, ანას ამბავი შემდეგ ნომერში დასრულდება. მის თავგადასავალს გულისყურით ვკითხულობდი და ამ ადამიანის მშურდა კიდეც წარმატებული ქალია, ცხოვრება აწყობილი აქვს. როგორც ჭკვიანი, ახლა კარგი ქმარიც იშოვა და რაღა უჭირს? ალბათ მასაც ექნება პრობლემა, რომელიც სააშკარაოზე არ გამოაქვს. ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს“.

„ალბ ანამ რეცეპტი გვითხრას, როგორ მივაღწიოთ წარმატებას. მაგ ქალს ნამდვილად ბედი სწყალობს და რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოსდის. საშუალოა, რომ ამბავი მთავრდება ნაგლი“.

„ვისაც ანა არ მოსწონს, ბოლმიანი და შურიანია. მე გვიყდები მაგ ქალზე. ნეტავ ვიცნობდე“...

„დაახვიოს მაგ ქაჯმა „გზიდან“. გააბანძა ყველაფერი. რა უნდა, რას ბლატაობს? ნერვებს მიშლის“.

„მარი, იცი, რა მაინტერესებს? ჩემს მეზობელს ანა არ მოსწონს, საძაგელი ქალიაო, ამბობს, არადა, ყოველ ნომერს ელოდება, რომ ამბის გაგრძელება წაიკითხოს. თუ არ მოსწონს, ნუ კითხულობს. მე მიმწონს და ინტერესით ვეცნობი კიდეც არლვლიანი“.

ახლა კი ამბის გაგრძელება, რომელიც იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც ალენამ ანა სოფელში, დედასთან წაიყვანა და ვიდრე დიასახლისი სუფრის სამზადისში იყო, შეყვარებულები ეზოში, ტირიფის ხის ქვეშ დასხდნენ.

დასაწყისი — „გზა“, №11-38

მარი ჯაფარიძე

კარგა ხანს ჩუმად ვისხედით და ერთმანეთის სუნთქვას ვუსმენდით. თითქოს დედამიწაზე სულ მარტო ვიყავით და ჩვენ გარდა სულიერი არ ჭაჭანებდა. საოცარი სიჩუმე იდგა. აქა-იქ ძაღლის ყეფა თუ დაარღვევდა იდილიას.

თავი უხერხულად ვიგრძენი და გადავწყვიტე, მისი ხელი მხრიდან მომეშორებინა, მაგრამ ალენა გაჯიუტდა. ხელი არ დამანება, ამასობაში კი უფრო მიმიკრა გვერდზე და მისი მხრის ქვეშ შევიყუჟე. მერე თავზე მაკოცა, შუბლზე, თავი ამიწია და ტუჩები მომიახლოვა. გავინაბე და მოლოდინით სუნთქვა შემეკრა. კარგა ხანს ვკოცნიდით ერთმანეთს, მოწყურებულივით ვეწაფებოდი მის ალერსს და ვგრძნობდი, რომ ისიც იმასვე განიცდიდა, რასაც მე. სახე მის მკერდში ჩავმალე და გავისუსე. ხელით თმაზე მეფერებოდა, ლოყით შუბლზე მომეყრდნო და ამოიოხრა.

უსიტყვოდ შევხედე, მაგრამ მიხვდა, რისი კითხვაც მინდოდა.

— რომ იცოდე, რამდენი ხანია, დილით, გაღვიძებისას თავს პირობას ვაძლევდი, რომ იმ დღეს აუცილებლად გაკოცებდი, მაგრამ ვერ ვბედავდი.

— რატომ? გეშინოდა?

— არა, უბრალოდ, სხვა, უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადავდებდი ხოლმე. თანაც, არც ვყოფილვართ ისეთ სიტუაციაში, რომ ამის საშუალება მომცემოდა.

— და ახლა ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდი, არა?

— ჰო, ახლა ველარ გამექცევი.

— იქნებ არც მინდა, რომ გავიქცე?

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ არ გინდა. სადედამთილოსაც ძალიან მოეწონე.

— მეც მომეწონა...

— შეუძლებელია, დედაჩემი ვინმეს არ მოეწონოს, — რაღაცნაირად, ამაყად თქვა.

ამასობაში კარგა ხანი გავიდა და ეთერმა დაგვიძახა. ოთახში რომ შევედით, მოგვიბოდიშა.

— მაპატიეთ, რომ მყუდროება დაგირღვიეთ, მაგრამ ვახშამი გაცივდება, მიირთვით და მერე რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ.

ის იყო, სუფრას მივუსხედით, რომ ოთახში ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაბიჯა.

— ნიკა ჩამოვიდა? — შორიდანვე იკითხა და ჩვენკენ წამოვიდა.

ეთერმა მაგიდასთან მოიპატიჟა. ალენას კი მისი გამოჩენა რატომღაც არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. კარგა ხანს გაგვიგრძელდა ვახშამი. ალენა ცოტ-ცოტას სვამდა, მეზობელი ბიჭი კი ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდა და სასმელს ეძალებოდა. თან ცალი თვალით მიჭვრეტდა. როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი და ცნობისმოყვარეობით გატანჯულმა, როგორც იქნა, იკითხა.

— ნიკაავ, ეს გოგო ვინ არის?

— ჩვენი ოჯახის ახლობელია, სტუმრადაა, — შუბლი შეკრა ალენამ.

— გასათხუარია?

— ჰო...

— ეეე, — გაუხარდა სტუმარს, — მა მამიყვანია ცოლი და ეგაა...

— ენას კბილი დააჭირე, — შეუწყრა ეთერი.

— მაპატიეთ, — უცებ მოიბოდიშა მეზობელმა და ჩემი სადღეგრძელო წამოიწყო.

კარგად რომ შეთვრა, დედამისმა მოაკითხა და მისი შინ

წაყვანა სცადა, მაგრამ შვილი ჯიუტობდა და არ მიჰყვებოდა.

— დედიი, — უცებ ხმამაღლა წამოიძახა.

— დედა-ბნედა და ჯანდაბა შენა, რა გინდა? — „მიეხმატკბილა" დედამისი.

— გიტარა მაიტა, დედიიი...

— არ გინდა გიტარა, შინ წამო, — შეეხვეწა ქალი.

— გიტარა მაიტა-მეთქი, არ გესმის, შენა? — ხმაში ბრაზი შეერია.

— სახლში რომ არა გაქვს გიტარა, არ იცი? არ გახსოვს, მეზობელ სოფელში ქორწილში რომ იყავი და გიტარა იქ წაიღე? იქიდან ხომ აღარ მოგიტანია, — გამოსავალი იპოვა ქალმა.

— ვაა, მართლა?

— ჰო, მაა...

— ვაა, მაშინ ახლა წავალ იმ სოფელში და გიტარას მოვიტან...

სტუმრები წავიდნენ და ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ.

— ეჰ, რა ძნელია, ასეთი შვილი რომ გყავს. სიფხიზლეში კარგი ბიჭია, მაგრამ ერთ ჭიქას რომ დალევს, მერე ურევს ხოლმე. გიტარა კი სინამდვილეში ფანდურია და სულ თან დააქვს. კარგად კი მღერის, ეგ ოხერი, ეგა, — გაიღიმა ეთერმა.

— ახლა დედამისს რომ ს ჯემოს? — იკითხა ალენამ.

— ეჰ, შვილო, მიჩვეულია ეგ ქალი, რა ქნას საწყალმა?

რამდენიმე წუთის შემდეგ ხმამაღალი ჩხუბისა და ყვირილის ხმა გაისმა. ალენა გარეთ გავარდა, მე და ეთერიც უკან მივყევით. ალენამ გაგვასწრო და მეზობლის სახლში რომ შეეფეთ, ასეთი სურათი დაგვხვდა — მეზობლის ბიჭი ძირს ეგდო, ალენა კი თავზე დასდგომოდა, მისთვის ერთი ხელით ხელები დაეჭირა, მეორე ხელით კი მთელი ძალით ურტყამდა. დიასახლისი ოთახის კუთხეში მიმჯდარიყო და ტუჩიდან წამოსულ სისხლს კაბის ბოლოთი იწმენდდა. ძლივს გავაშველეთ.

— ამის მერე, დედაშენს თუ ხელს დაარტყამ, მოგკლავ, — გამოცრა კბილებში.

ბიჭი მხოლოდ თავს იქნევდა.

სახლში დავბრუნდით და სუფრის ალაგებას შევუდექით. ეთერი ხანდახან ისეთი სიყვარულით გამომხედავდა ხოლმე, რომ მიეხვდი, მისი გული მოვიგე.

მე და ალენა ისევ ტირიფის ხეს დავუბრუნდით, დედამისი კი დასაძინებლად ემზადებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ალენა იხმო და კართან რაღაცას ეჩურჩულებოდა. დედა-შვილმა კარგა ხანს ითათბირა, შემდეგ ალენა ჩემთან დაბრუნდა. სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

— რა იყო? — მისი სახის დანახვაზე უნებურად მეც გამეღიმა.

— დედაჩემმა მკითხა, ლოგინი ერთად გაგიშალოთ თუ ცალ-ცალკეო...

— მერე, რა უთხარი?

— შენ რა გინდოდა, რომ მეთქვა?

— ჩემს სურვილს რა მნიშვნელობა აქვს? რაც საჭირო იყო, ის უნდა გეთქვა.

— ჰოდა, სწორედ მასე მოვიქეცი...

— და რა უთხარი? — სული დამელია.

— ვუთხარი, რომ ერთად ვერ დავწვებოდით.

— ჰოდა, კარგად გითქვამს.

— როდის უნდა გადმოხვიდე ჩემთან? უფრო სწორად, შენ და სალო როდის გადმოხვალთ ჩემთან?

— ახლა სალოს დასასვენებლად ვუშვებ, მერე მე ერთკვირიანი საქმე მაქვს და როცა დავბრუნდები, მაშინ, — გადავწყვიტე, რომ ჩაფიქრებული დასვენება და ვენეციაში გამგზავრება არ გადამედო.

— ეგ როდის იქნება?

— 3 დღეში სალომე მიდის, 1 კვირაში — მე. სულ რაღაც 10 დღე და მერე გადმოვალ...

— 10 დღე ბევრია...

— რას იზამ, მოიცდი...

— ეს ერთკვირიანი საქმე რაღაა? — ეშმაკურად ჩაიცინა.

— დასავლეთში უნდა წავიდე, საქმეზე.

— კარგი, წადი, — რაღაცნაირად, ორაზროვნად მითხრა.

ცას ალიონი რომ შეეპარა, მაშინ დავიშალეთ და ჩვენს ოთახებში გავნაწილდით.

დილით სოფლის ხმაურმა გამაღვიძა და მაშინვე წამოვხტი.

სამსახურში წასვლა უკვე დაგვიანებული იყო, მაგრამ 12 საათზე მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა და ავჩქარდი. უცებ ვისაუზმეთ, ქალბატონ ეთერს გამოვემშვიდობეთ და წამოვედით.

ცხოვრებას თითქოს სხვანაირი აზრი მიეცა. ალენა ნამდვილი პატრონივით მექცეოდა და ყოველ წუთს მაკონტროლებდა, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი...

სალომეც ერთად გავაცილეთ. მზიას წასვლა არ უნდოდა, რადგან მახო არ გაჰყვა და თბილისში დარჩა, მაგრამ რაღას იზამდა?

აეროპორტში ალენამ სალომეს ჰკითხა:

— სალო, როცა დაბრუნდები, დედაშენი უკვე ჩემთან იქნება და შენც ჩვენთან იცხოვრებ. ეს იცოდი?

— არა, — გააქნია თავი სალომემ.

— ჰოდა, ახლა შენ იცი, მოუთმენლად გელით, — ალენამ სალომე გულში ჩაიხუტა და ჩაკოცნა. სალომე თვალცრემლიანი დაგვემშვიდობა. თან უნდოდა წასვლა და თან ფეხები უკან რჩებოდა.

მისი გამგზავრების შემდეგ მეც ძალიან მოვიწყინე. ერთი სული მქონდა, ჩემი გამგზავრების დრო როდის მოვიდოდა. ალენას კი არ ვუმხელდი ჩემი მოგზაურობის შესახებ, რადგან ვიცოდი, არ გამიშვებდა. არადა, ახალი ოჯახური ცხოვრების დაწყებამდე მარტო დარჩენა მინდოდა...

გამგზავრების წინადღეს ალენამ გაცილება შემომთავაზა, მაგრამ ვიუარე, დილით ძალიან ადრე მივდივარ-მეთქი. არ ჩამცივებია, რაც ძალიან გამიკვირდა.

იმ ღამით გვიან დავიძარი აეროპორტისკენ. გული უკან მეწეოდა და ლამის თვითმფრინავის ტრაპთან გადავიფიქრე გამგზავრება, რადგან სინდისი მქენჯნიდა, ალენას რომ ვატყუებდი. ბოლო წამს საკუთარ თავს შემოვუძახე და თვითმფრინავის სალონში შევედი. ჩემი ადგილი მოვძებნე და სავარძელში ჩავესვენე. აფრენამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც ჩემ გვერდით ცარიელი სავარძელი ვიღაც მამაკაცმა დაიკავა. არც შემიხედავს, სათვალე მოვირგე, რომ გარე სამყაროს გავმიჯვნოდი და ფიქრებში წავედი. ვიგრძენი, რომ ვიღაც ხელზე შემეხო. უეცრად შევხტი და გვერდით მჯდომ მამაკაცს ავად შევხედე...

ალენა თბილად მიღიმოდა და თავს იქნევდა...

— შენ? აქ რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა? ნუთუ საქორწილო მოგზაურობაში მარტო მიდიოდი? — გაოცებული სახე მიიღო.

— ჰმ, ე.ი. ყველაფერი იცოდი?

— დიახ, ქალბატონო, და შენ გეგონა, ტყუილი გაგივიდოდა? ახლა სადაცაა ავფრინდებით და ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო, სასიამოვნო და დაუვიწყარი თავგადასავლებისთვის მოემზადე...

ხელზე ხელი დავადე და შვებით ამოვისუნთქე...

სიურპრიზი ნამდვილად გამოუვიდა...

დასასრული

„ინდიგოს ბავშვები“ — ღვთის საჩუქარი თუ სასჯელი?

„გამარჯობა, გრაფო, ამას წინათ სადღაც წავიკითხე, რომ თურმე არსებობენ „ინდიგოს ბავშვები“, მაგრამ ზუსტად ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს და როგორები არიან ისინი. თუ შეგიძლიათ, გვიამბეთ ასეთ ბავშვებზე. ნინელი“.

ᲒᲠᲐᲤᲘ ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲘ

საფრანგეთში ასეთ ბავშვებს „ტეფლონის ბავშვები“ ჰქვიათ, ბრიტანეთში — „ათასწლეულის ბავშვები“, მაგრამ უფრო ხშირად, მათ „ინდიგოს ბავშვებს“ უწოდებენ.

როგორები არიან ისინი?

ფსიქოლოგ დორინ ვერჩეს თქმით, „ინდიგოს ბავშვების“ თანატოლებისგან გამორჩევა ძალზე იოლია. მათ შემოქმედებითი ნატურა, მაღალი ინტელექტი და ჯიუტი ბუნება აქვთ.

გარშემო მყოფები მათ საქციელს უცნაურს უწოდებენ და ნორმიდან გადახრად მიიჩნევენ. ჩვეულებრივი აღზრდის მეთოდები მათზე არ მოქმედებს და აღზრდის მკაცრ მეთოდზე, მუქარაზე, დასჯაზე, დამცირებაზე რეაგირებას არ ახდენენ.

მათ უცნაური გამოხედვა აქვთ და ნებისმიერი მცდელობა, რომ ეს მზერა შეაცვლევინო, აგრესიით ან საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვით სრულდება. ჩვეულებრივი ბავშვებისგან განსხვავებით, მათ ავტორიტეტი არ ჰყავთ. „ინდიგოს“ ბავშვები თავიანთი საქციელისთვის ახსნის მოძებნას საჭიროდ არ მიიჩნევენ. ამასთან, მათ ინტუიციაზე დაყრდნობით სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარიც აქვთ.

გარდა ამისა, ასეთი ბავშვები ბუნებაზე არიან შეყვარებული და ხშირად მის გარეშე ვერ ძლებენ. ისინი ყოველთვის დიდ ყურადღებას მოითხოვენ და ნამდვილ, მყარ, წრფელ მეგობრობას ეძებენ. დიდი სურვილი აქვთ, სამყაროს გადარჩენაში თავისი წვლილი შეიტანონ. ისინი უკონტაქტო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ და თავს კარგად თავისნაირ ადამიანებთან გრძნობენ.

როგორც წესი, „ინდიგოს ბავშვები“ თავს იმაზე უფროსი ასაკის ადამიანად მიიჩნევენ, ვიდრე სინამდვილეში არიან (თითქოს 13-ის კი არა, 43 წლისაა). მაღალი თვითშეფასების უნარი აქვთ, თავდაჯერებულნი და ამაყები არიან. მოზარდობის ასაკში ხშირად დეპრესიაში ცვივდებიან. მათ სისასტიკის ჩადენაც შეუძლიათ, თუ გულგრილობას წააწყდებიან. აგრესიულები ხდებიან იმ შემთხვევაში, თუ ვინმე რაიმის გაკეთებას აიძულებს მხოლოდ იმიტომ, რომ „ასეა საჭირო“ და „ყველა ასე იქცევა“.



ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში „ინდიგოს ბავშვები“ სახელმწიფოს ზრუნვის საგანია და ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან შესაძლოა, მომავალში სწორედ ასეთმა ბავშვებმა იხსნან ჩვენი ცივილიზაცია კრიზისისგან.

ისინი ჩვენგან მართლაც განსხვავებულნი არიან და მათი განვითარებისთვის ნოყიერი ნიადაგი უნდა შევქმნათ. წინათ შთამომავლობა წინაპართა საქმის გამგრძელებელი იყო — მეწარმის შვილი მეწარმე გამოდიოდა, გლეხის შვილი — გლეხი, იურისტის — იურისტი. „ინდიგოს ბავშვები“ კი თავიანთი მშობლებსა და წინაპრებს არაფრით ჰგვანან.

კაცობრიობა წინ მიდის და ყოველი შემდგომი თაობა გაცილებით ცივილიზებული და განვითარებულია. აქვს უფრო მეტი სურვილი, მისწრაფება და ეგოიზმი, ვიდრე წინა თაობას. უფროსი ასაკის წარმომადგენლები კი ცდილობენ, ასეთი ბავშვები თავიანთი ცხოვრების წესს მოარგონ. სინამდვილეში კი უფროსებს არ შეუძლიათ, „ინდიგოს ბავშვებს“ ის ინფორმაცია მიაწოდონ, რომელიც მათთვის აუცილებელია.

„ბავშვის აღზრდა მისთვის მხოლოდ ცოდნის მიცემას არ ნიშნავს. აღზრდის მთავარი პრინციპი მისი ცხოვრებაში ჩაბმაა. „ინდიგოს ბავშვებს“ ხშირად ისეთი კითხვები უჩნდებათ, რომელზეც დიდებს პასუხი არ აქვთ. „რა არის სიცოცხლის საწყისი?“

„რატომ ხდება ყველაფერი ისე, როგორც ხდება?“ „რისთვის ვცოცხლობთ?“ ჩვენი მოვალეობაა, ამ კითხვებზე პასუხი გავცეთ.

ნებისმიერი ბავშვის აღზრდის მთავარი ელემენტი დიდების მაგალითია. თუ ჩვენს შვილებს ბუნების კანონებს აკუსნით, საშუალებას მივცემთ, იმ რეალურ სამყაროში იცხოვრონ, რომელსაც დამოუკიდებელი ცხოვრების დროს შეეჩეხებიან და არა ისეთში, როგორიც თვითონ წარმოუდგენიათ. მთავარია, რომ პატარა ადამიანებს რეალობის სწორად დანახვა შეეძლოთ. თანამედროვე ბავშვი სამყაროს ერთიან სურათად აღიქვამს და ეს სამყაროსთან მის დამოკიდებულებაშიც აისახება.

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ თუ ადამიანი თავის შინაგან თვისებებს შეცვლის და მას ბუნების თვისებებს მიუახლოებს, მაშინ სამყაროსთან ჰარმონიულ კავშირს შეძლებსო. ბავშვის აღზრდის დროს სწორედ ეს უნდა გავითვალისწინოთ, მივცეთ მას წარმოდგენა სამყაროს შესახებ, რათა მან შინაგანი მისწრაფებების რეალიზება შეძლოს. თუ არ არსებობს სამყაროსთან ჰარმონიული კავშირი, მაშინ შინაგანი კრიზისი იჩენს თავს. ამის შედეგი კი სისასტიკე, ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაა.

ბუნების კანონების შესწავლა ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს, რადგან ასეთ ასაკში ნასწავლი, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. მიღებული ცოდნა მას ბუნების ინტეგრალურ ნაწილად აქცევს და საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად, კარატესა და ძიუდოს ილეთების შესწავლა არ დასჭირდება.

თუ ბავშვი ასეთ ცოდნას ვერ იღებს, მის წინააღმდეგ ბუნებაც კი აღდგება, არამცთუ „ბოროტი მტრები“ და იღბალი. ●

ფერების მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყანაში

„გრაფო, ამ ზაფხულს იაპონიაში ვიყავი და აღმოვაჩინე, რომ თურმე თეთრი მათთვის სამგლოვიარო ფერი ყოფილა. ვიცოდი, რომ ეს ფერი ინდოეთში მიაჩნდათ სამგლოვიაროდ, მაგრამ იაპონიაშიც? ძალიან გამიკვირდა. ხომ არ იცით, სხვა ქვეყნებში კიდევ რაიმე სხვა ფერს ხომ არ მიიჩნევენ სამგლოვიაროდ? თქვენ ხომ მრავალ ქვეყანაში ხართ ნამყოფი და თუ რაიმე იცით, მოგვიყევით“.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ფერს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა იაპონიისა და ინდოეთისა, თეთრი ჩინეთშიც სამგლოვიარო ფერად მიიჩნევა. ხშირად ადამიანი ტანისამოსის ფერსაც კი განწყობილების შესაბამისად ირჩევს. იმის მიხედვით, თუ ადამიანი რომელ ფერს ანიჭებს უპირატესობას, მისი ხასიათის ამოცნობაც კი შეიძლება. ასე რომ, ფერი ხშირად პოლიტიკაშიც კი ძალზე მნიშვნელოვანია.

თუ მტერს ნებდები, თეთრი ალამი უნდა ააფრიალო, ეს ნეიტრალური ფერია... საქორწილო კაბაც თეთრი ფერისაა, რაც სიწმინდის ნიშანია, ინდოეთში თეთრი ფერი ავადმყოფობის ნიშანიცაა, წითელი — სიცოცხლისა და სიყვარულის. სწორედ აქედან წარმოიშვა მედიცინის სიმბოლიკა — თეთრ ფონზე წითელი ჯვარი.

საფრანგეთში მიიჩნევენ, რომ წითელი არისტოკრატიული ფერია. ამით ფრანგები ეგვიპტელებს საფიქრალს უჩენდნენ, რადგან ეგვიპტეში წითელი სამგლოვიაროდ მიიჩნევა. ამის გამო ეგვიპტელებს ექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის მთელი არისტოკრატია მუდმივად გლოვობდა.

ჩინელებს ვერ აუხსნიათ, რატომაა, ამერიკელები ტერორისტული საშიშროების მაქსიმალურ დონეს წითელი ფერით რომ აღნიშნავენ. ჩინეთში წითელი ბედნიერების ფერია.

წითელი იაპონიაშიც საფრთხის მომასწავებლად მიიჩნევა. ისინი წითელი ფერითვე გამოხატავენ მრისხანებასა და ბრაზს. სწორედ ამიტომაა, რომ იაპონური მულტიპლიკაციური ფილმების პერსონაჟები წითლდებიან, როცა ბრაზობენ.

ამერიკაში ყვითელი სიმხდალისა და სულმდაბლობის ფერად მიიჩნევა, რაც ჩინელებსა და იაპონელებს აოცებთ, რადგან მათთვის ყვითელი ბედნიერებისა და სიმდიდრის ფერია. ინდიელებისთვის ყვითელი წარმატების ნიშანია.

ამერიკაში მწვანე უსაფრთხოების ფერია, საფრანგეთში კი ის დანაშაულის სიმბოლოდ მიიჩნევა.

ევროპაში შავი ფერი ბოროტების, ნგრევისა და სიკვდილის სიმბოლოა. აღმოსავლეთში კი სიყვარულის, ინტიმის, ბედნიერი ქორწინებისა და ოჯახური ბედნიერების სიმბოლოდ მიიჩნევა.

ეგვიპტეში ცისფერი ჭეშმარიტების ფერია, ამერიკაში — ვაუკაცობის. შეერთებული შტატების დროშაზე ცისფერი სწორედ საქმისადმი ვაუკაცური მიდგომის სიმბოლოა.

იაპონიაში კი ცისფერი ღალატისა და თაღლითობის სიმბოლოდ მიიჩნევა. ●

ბოლოს მინდა, მკითხველთა საინტერესო და უცნაური კითხვები გაგაცნოთ, რომელზეც პასუხის გაცემა გამიჭირდა. აი, რა აინტერესებთ „გზის“ მკითხველებს:

1. გრაფო, თუ იცით, რატომ არ ათავსებენ დაკარგული ფერების შესახებ განცხადებას ქალები ლუდის ბოთლებზე?

2. ჩვენს ბავშვებს ადრეულ ასაკში საკვებს პატარა ზომის კოვზით ვაჭმევთ. თუ იცით, როგორ კვებავენ იაპონელი დედები შვილებს? პატარა ზომის ჩხირებით?

3. გრაფო, პლასტიკური ოპერაციის გაკეთება მინდოდა, მაგრამ ექიმის მისაღებში კედლებზე პიკასოს ნახატები იყო გამოფენილი და თუ იცით, ასეთი ექიმის ნდობა შეიძლება?

4. გამარჯობა, გრაფო. მე საკმაოდ დიდი, ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, 4 ცოლი მყავდა და ახლა მეხუთეს ვეძებ. მაინტერესებს, უღრან ტყეში რომ წავიდე და ჩემი აზრი გამოვთქვა, მაინც მტყუანი ვიქნები?

5. სინათლის სიჩქარე 300 ათასი კილომეტრია წამში. გრაფო, ხომ არ იცით, როგორია სიბნელის სიჩქარე?

6. სადღაც წავიკითხე, რომ სასიკვდილო ინიექციის დროს ექიმები შპრიცის სტერილიზაციას ახდენენ. ხომ არ იცით, რატომ?

7. თუ გარეთ 0 გრადუსი ყინვაა და ამინდის პროგნოზში აცხადებენ, რომ ხვალ ორჯერ მეტი სიცივე იქნება, რამდენი გრადუსი ყინვა იქნება ხვალ? ●

17 წლის მეორე ლაღე

ეს ანგენტინელი გოგონა 17 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე 7 შვილის დედაა. პირველი შვილი 14 წლის ასაკში შეეძინა, შემდეგი 2 წლის განმავლობაში კი 2-ჯერ იმშობიარა და 3-3 შვილი გააჩინა. ბავშვებს მამა არ ჰყავთ, რადგან ჩოგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჩოდესაც



მამაკაცების უმეცრობა მეგობარი გოგონას ორსულობას შეიტყობს, მამობაზე უარს ამბობს და უკანმოუხედავად გარბის. გოგონას შვილები 3 სხვადასხვა მამაკაცისგან ჰყავს. ამჟამად პამელა მშობლებთან ერთად, პატარა ბინაში ცხოვრობს და შვილებს თავად უვლის.









მგზავნილები

25.09. – 1.10.2008

მარი ჯაფარიძე

ამინდი

სიდედრის მკვლელი და ქვლამოქმედი მგზავნელები ანუ მუზად ქცეული ძროხა

ყველას მოგესალმებით და გულით მოგიკითხავთ. რით დავიწყო? გკითხოთ, როგორ გაატარეთ ეს კვირა? ალბათ მიპასუხებთ, ჩვეულებრივადო... ვგობს, 1-2 მესიჯის მიმოხილვით დავიწყოთ. „მარ, მე შენგან წლის ანგარიშს ვითხოვ! სიკვდილა". კი, მაგრამ როგორც ვიცი, „წლის ანგარიში" წლის ბოლოს კეთდება. ახლა კი ჩემი „ლრმა გამოთვლითა" და ჩემი კალენდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ჯერ წლის 3/4-ც კი არ გასულა... ამიტომ, ეს საკითხი ამოწურულად უნდა მივიწვინოთ და „წლის ანგარიში" კიდევ 3 თვით გადავდოთ (სიკვდილა ნიკით ვერ შემაშინებს).

მეორე მესიჯი აშკარად მუქარას შეიცავს და ავტორს ჩემი დაშინება აქვს ჩაფიქრებული ისე, დედა შვილს რომ შეაშინებს, — „ფია ქამე, თორემ ბუა მოვა და შეგჭამსო". აი, ნახეთ, — „მარ, რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს? რადგან ახალი ვარ, იმიტომ? ასე არ შეიძლება... ღმერთმა ყველა აცოცხლოს, მაგრამ ეს ძველებიც ალარ იქნებიან და დარჩები მარტო. უნიკად". იმედი მაქვს, მართლა არ მიმატოვებთ და მარტო არ დავრჩები. მარტო კაცი ხომ ქამაშიაც ბრალია, არამცთუ „გზავნილების" წერაში. ახლა კი მესიჯები.

უსაქციელო ბიძა

„თემამ ჩემი ბავშვობიდან ერთი სასაცილო შემთხვევა გამახსენა. მაშინ 12 წლის ვიყავი და საზაფხულო არდადეგებს ბიძასთან სოფელში ვატარებდი. ბიცოლას დედულეთში შორეული ნათესავი მოუკვდა და 2 დღით წავიდა. მეორე დილით, ბიძამ, რომ არ მომეწყინა (მაშინ ასე მეგონა) თავის ძმაკაცებს სათევზაოდ გამაყოლა 2 დღით, თვითონ კი მოუცლელობის გამო ვერ წამოგვყვა. უფროს კაცებთან ყოფნა ვერ ავიტანე და მალე ავეფცქვენი, მოკლე გზებით სოფელში ავედი, მაგრამ ბიძა შინ არ დამხვდა. გამახსენდა, რომ როცა დათვრებოდა, სულ მარიაჟობდა ხოლმე, პაპაჩემის „ბერდენკა" მაღლა, სხვენში მაქვს დამალულიო და ბევრი აღარ მიფიქრია, ისე ავძვერი სხვენში. თოფის ძებნაში დიდი დრო გავიდა. უეცრად, ქვემოდან ყრუდ, მუსიკის ფონზე ქალისა და კაცის ხმა შემომესმა. სიტყვები ვერ გავარჩიე. ბიძის მკაცრი „როჟის" წარმოდგენაზე გავისუსე და ქვემოთ ჩასაძრომად ხელსაყრელ მომენტს დაველოდე. კარგა ხნის შემდეგ მომეჩვენა, რომ ხმები მიჩუმათდა და დასაზვერად სხვენიდან ოთახში ჩასასვლელს სახურავი ფრთხილად ავხადე. ჩავიხედე დაა.... დანახულმა სკოლაში ნასწავლი ზნეობრივი კოდექსი სულ დამავიწყა. ბიცოლას საძინებელ ტახტზე ბიძაჩემის შიშველი სხეული დავლანდე, მის ქვემოთ კი — ქალის გაოგნებული, წყვილი თვალი და ეს თვალები სულაც არ ეკუთვნოდა ბიცოლაჩემს. ვაი, მა-მაა-მაა... ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძახდა ქალი. ეტყობა, ბიძისთვის უნდოდა ეთქვა, მაღლა აიხედეო, მაგრამ ბიძაჩემს ისეთი სექსუალური ციებ-ცხელება ჰქონდა შეყრილი, რომ ქალს სიტყვის თქმის შანსს არ აძლევდა. ქალმაც, უღონოდ, მომაკვდავი გედის პოზით მილულა თვალები. მე ტუჩზე თითის დადებით ვანიშნე შიშველ ქალს, შენც სუ, მეც სუ-მეთქი და თვალის ჩაკვრით, ეტიკეტის სრული დაცვით, უხმაუროდ დავხურე სხვენის სახურავი და მეორე ჩასასვლელიდან ვძუძგე თავი ძირს. ენიგმა".

მოტაცების მოწმე

„მოტაცების უნებლიე მოწმე და მონაწილე გავხდი. ნათესავთან ერთად მდინარეზე ვიყავით მე და ნატა (სახელი შეცვლილია). ნესოს (ახლობელი) ნატას „ლოვესთვის" უთქვამს, იქ მოდი და ილაპარაკეთო. ამ დამთხვეულს კი მოტაცება დაუგეგმავს. ჰოდა, ჯერ ჩვენი ნაცნობი შეგვხვდა, ვილაპარაკეთ, მერე ნატას „ლოვემ" და წითელმა მანქანამ აიარა. ჰოდა, როცა ჩამოიარა, გაჩერდა, იქიდან 5 ახმახი გადმოვიდა, ჩაავლეს ხელი ნატას და მანქანაში ჩატენეს. ორმა ნესო დააკავა, ერთმა — მე და ორივე მანქანაში აღმოვჩნდით. წავედით ზუგდიდში. ნატა დარჩენაზე ძლივს დაითანხმეს, ჩვენ კი წამოვედით".

დანაშაულის მოწმე

„ღამის პირველი საათი იყო. ნიკო დასაძინებლად ემზადებოდა, როცა საეჭვო ხმაური შემოესმა. უჰ, მაგათი, ისევ ის „პაცნები" იქნებიანო, გაიფიქრა და გადაწყვიტა, ჩასულიყო და მათთვის ჭკუა ესწავლებინა. ნიკო 9-სართულიანი კორპუსის მე-7 სართულზე ცხოვრობდა. თავისებური კაცი გახლდათ, უყვარდა თავისი კორპუსი, მისი მცხოვრებნი, მათაც უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ ამ ცოტა უცნაურ, ახალგაზრდა კაცს. განსაკუთრებით კი ბავშვებს უყვარდათ ნიკო ბიძია. ყოველ ახალ წელს ეზოში ნაძვის ხეს რთავდა, თავად თოვლის ბაბუის მოვალეობას ასრულებდა და პატარებს გულს უხარებდა. ნიკო გარეთ გამოვიდა და ფეხაკრეფით ჩაიარა კიბე, დაბლა სარდაფის ქურდები ეგულებოდა და მათ გასაყრელად იატაკის საწმენდი ჯოხი მიჰქონდა. ჩაიარა VI, V სართული და IV-ზე, ერთ-ერთ კართან ვიღაცები დალანდა. — ბინას ტეხენო, — გაუელვა თავში, თუმცა მეტის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რადგან ერთ-ერთმა შენიშნა — მგონი, დავიწვით, ახლა ეს აქედან ცოცხალი თუ წავა, ნაღდად ჩაგვიშვებსო და, გადაჭრილი თოფი, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის თან წამოეღო, ნიკოსკენ მიმართა და სასხლეტს თითი გამოჰკრა. ვაიმე, დედა... ნიკო დაიღუპა. მისი მკვლელები გაიქცნენ და მიიმალნენ. პოლიცია არ ჩქარობდა მათ აყვანას. მათ კი მალე ახალი დანაშაული, ახალი მკვლელობა ჩაიდინეს იმავე რაიონში. მაღაზიაში შეცვივდნენ დასაყაჩაღებლად, მაგრამ გამყიდველის ყვირილზე დაიბნნენ და გარეთ გაცვენილები, მახლობელი სკოლისკენ დაეშვნენ, საიდანაც ახალგაზრდა წყვილი მოდიოდა. ყაჩაღებმა იფიქრეს, გზას გვიღობავენო და კვლავ გავარდა ტყვია. დაიღუპა სრულიად უდანაშაულო, 21 წლის ბიჭი და სამუდამოდ გაუბედურდა მისი ოჯახი. ის რამდენიმე თვეში მამა უნდა გამხდარიყო. ახლა კი მისცეს პასუხისგებაში დამნაშავეები, მაგრამ რაღა დროს? მინდა გითხრათ, ეს ამბავი არ მომიგონია. ნიკო ჩემი უსაყვარლესი ბიძა იყო, ახლაც მის გახსენებაზე ცრემლს ვერ ვიკავებ. იმ მართლაცდა ნაძირალებს კი არ შერჩათ ჩემი ლამაზი ბიძის მკვლელობა და სათანადო საზღაურიც მიეზღოთ. მანაველი".

პატარა მოწმე

„არ ვიცი, ამ ამბის „გმირები" თუ მიხვდებიან, მე ვინ ვარ, მაგრამ ეს ამბავი ენაზე არ მიმაგრდება და არც შედეგზე ვფიქრობ! ჩემი ახლობლის ბავშვი მშობლების ოთახში იძინებდა. :) ერთ საღამოს თურმე პატარას არ დაეძინა და დედიკოს და მამიკოს სიყვარულობანას მოწმე გახდა. ჰოდა, მეორე დღეს სტუმრად მისულ ნათესავებს მოგვიყვა და სკამზე მოჯირითესავით გადამჯდარმა გვაჩვენა, თუ როგორ აყვირებდა დედიკოს მამიკო. :) ამის თქმა იყო და, ვინ ვის ასულიერებდა, ვერ მივხვდით. პატარა კი გაიძახოდა — ლოჩა გავიძლდები, მამაც გავუბლაზდებიო. აი ასე, მშობლებო, გაფრთხილდით, რომ მსგავს სიტუაციაში თქვენც არ აღმოჩნდეთ. დიდი სიყვარულით, პატარა მავნე".

„უნარშეფერხებული"

„თემის შესაფერისი, ასეთი ცხელ-ცხელი ამბავი „გზისთვის" არასოდეს მქონია. ეს ამბავი გუშინ მოხდა: მეზობელი გარდამეცვალა. ის კი წავიდა იმ ქვეყნად, მაგრამ ამქვეყნად მამა დარჩა, რომელსაც მამაჩემმა მოფერებით ბარმალე დაარქვა. ბარმალემ არც ჭირი იცის, ლხინი — მით უმეტეს. მისმა ასეთმა ბუნებამ შვილის გასვენებაშიც იჩინა თავი. ჯერ იყო და, მიცვალებულის სულის საცხონებლად მისული მღვდელი სულ თავპირისმტვრევით გააგდო, მერე დამკვრელებს მიუბრუნდა და კაი ხოშიანი სიმღერაც შემოსცხო. ესეც არ იკმარა და კაცს, რომელსაც მისი

შვილი სასახლით უკანასკნელ გზაზე მიჰყავდა, მივიდა და ისეთი რამ უთხრა, რამაც ეს კაცი ძალზე გააბრაზა. ამ კაცმა დანარჩენ სამს უთხრა: ერთი წუთით, ბიჭებოო; ეს „სასახლე" მიცვალებულითურთ იქვე დაადებინა და... იქ ამბავი ატყდااا... ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. მეც ერთი გადავხედე მიცვალებულს (ალბათ იმის შიშით, ხომ არ ამდგარა-მეთქი) და რომ მივხვდი, თავისთვის, მშვიდად, უდარდელად „ეძინა", „ბრძოლის ველს" გულდამშვიდებული გავეცალეაი, ასეთი ამბის მომსწრე გავხდი. შეიძლება ბევრმა ეს ამბავი არც დაიჯეროს, მაგრამ ასეთი „უნარშეფერხებული" ადამიანებიც არსებობენ. SWEET-GIRL".

2 შარვალი

ცოტა ხნის წინ ჩემი მეზობლის გოგო გათხოვდა და მშობლებმა, როგორც წესი, სიძე-პატარძალი გადმოიპატიჟეს. ჩემი მშობლებიც საპატიო სტუმრების სიაში იყვნენ და როგორც ყოველთვის, სტუმრად წასვლისას, რიგიანად მოემზადნენ — სალონი, კლასიკური სამოსი, საჩუქარი და ა.შ. არაჩვეულებრივი დრო გაატარეს. ქართულ სუფრას ცეკვა, სიმღერა, სიცილ-კისკისი არ აკლდა და დროც გავიდა. შინ გვიან ღამით დაბრუნდნენ. მამაჩემი კარგად ნასვამი იყო, ჰოდა, სიცხემ და ღვინომ მოთენთა, დასცხა და სავარძელზე მჯდომარემ გახდა დაიწყო.

P.S. მამაჩემი თბილისელი რაჭველი კაცია და საკმაოდ ერუდირებული. ამ გახდაში აღმოჩნდა, რომ შარვალი სიჩქარეში საშინაო შორტზე ამოუცვამს და სტუმრიანობისას ამიტომაც გაწურულა ოფლში. იმ შორტზე, რომელზეც შარვალი ეცვა, რაჭაში, ჩვენს „დაჩაზე", ერთი იქაური ქალი, სახელად დოდონიკა ეხუმრებოდა ხოლმე მამაჩემს, ბაბუის ფოხანა ნიფხავი გაცვიაო და მისი სიტყვები გამართლდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მამაჩემი დედაჩემთან ერთად თურმე ძაااალიან სიმპოდ გამოიყურებოდა. რა ვქნათ? გვეპატიება. ლელუკა".

თანამედროვე ივანე კოტორაშვილი

„მოწმე მრავალნაირია, მეჯვარეებსაც ხომ მოწმეს ეძახიან, ჰოდა, ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ. თავის დროზე ჩემმა მშობლებმა ჯვრისწერა ვერ მოახერხეს, რადგან მათი ქორწილის დროს მარხვა ყოფილა. დედაჩემს ძალიან უნდოდა ჯვრის დაწერა, მაგრამ მამაჩემი დროს ვერ პოულობდა. ჰოდა, ერთ „უიკენდზე", როცა სოფელში ვიყავით, იქვე, პატარა ეკლესიაში, ყოველ შაბათ-კვირას თბილისიდან მღვდელი ჩამოდიოდა და წირვას ატარებდა. დედაჩემი წავიდა, ნახა ის მღვდელი და მოელაპარაკა. მეორე დღეს, როცა მოვდიოდით, მამას უთხრა, მოდი, ეკლესიაში შევიაროთო. როცა ეკლესიაში მივედით, მღვდელი უკვე მზად დაგვხვდა. მამაჩემი რაღას იზამდა, იქ მისული უკან ხომ არ გამოიქცეოდა? გაუთავებლად გაიძახოდა, სამშვილიან ქალზე ჯვარს არ დავიწერო... დედაჩემის მოწმე — თავისი დედამთილი, მამაჩემის კი თავისი მამიდაშვილი იყო. პუმა".

გამოშანშალებული ოჯახი

„არ ვიცი, შემრჩება თუ არა თავზე თმა და გადავურჩები თუ არა „ჯეჯგვას", მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს სააშკარაოზე მაინც გამოვიყვან. ჩემი ოჯახი მრავალი წევრისგან შედგება. თანაც, ყველა ოჯახის „მაყურებლობას" ანვება. მამაჩემმა სიმთვრალე იცის, მტრისას და ავისას. თუ ვინმემ გაიარა ჩვენი სახლის წინ, „დააპოტნის" თავპირს, შინ შემოიპატიჟებს და სანამ „კონეცს" არ გაუკეთებს, არ მოისვენებს. სტუმარს ფეხით ხომ არ გაუშვებს? „იასნია", მაგ საქმეს ტაქსი დასჭირდება. ტაქსი რომ დაიქირავო, ხომ უნდა დაურეკო მძღოლს? ჰოდა, ვისი ტელეფონით? მართალია, ჩემი ტელეფონით! მამაჩემის „ნახევრად ცოცხალი" სტუმრების გაცილებას ეწირება ჩემი ბალანსი. ჩემმა დამ კი ჭამა იცის „უტორმუზო". ჩემ მაგივრადაც ეგ ჭამს და ეტყობა კიდეც ცელულიტები. მე, როცა ვღვარვღვარებ კინოს ყურებისას, ჩემი და სიცილით კვდება და მეუბნება — შე უბედურო, რა გატირებს, ვერ ხედავ, რომ „გვაბოლებენო"? ბიძა მაგარი „პრიკოლი" კაცია, დადის და გაიძახის, — „არ გიკბინოს ძოხამ" (მაგარი ინტონაციით ამბობს)... ასე ორ, ვითომ „სვეტ" გოგოს უთქვამს, საქონლის დანახვისას და იმის მერე, სულ ამას იმეორებს. დედაჩემსა და ბიცოლაჩემზე არაფერს დავწერ, თორემ იმხელა კივილი იციან, ჩემი ყურები მეტს ვეღარ გაუძლებს. დავყრუვდები და ყრუ ვიღას ვენდომები? მოწმე ვარ ამ ამბების, გამოსავალი კი ვიპოვე და აგერ, „გავაშანშალე" ჩემი ოჯახი, მთელი საქართველოს წინაშე. ლუნა".

სინდის-დამშვიდებული

„ერთხელ, ახალშებინდებულზე გამოვედი სამსახურიდან და ელბაქიძის აღმარს ავუყევი. ჩემ წინ ერთი კაცი მიდიოდა, მის წინაც — ერთი. დავინახე, რომ პირველს რაღაც დაუვარდა, მაგრამ ვერ გაიგო და გზა განაგრძო. მეორემ მიირბინა, აიღო და გახსნა დაუპირა. ამ დროს შევძახე — აბა, რას აკეთებ-მეთქი? თან იმ პირველს ვეძახდი, გაჩერდიმეთქი. ეს კი მაჩუმებდა. მითხრა, გავიყოთ, რაც აქ არისო. ლამის ყელში ვწვდი. ვერ აღგიწერთ, როგორ გავბრაზდი. თან წარმოიდგინეთ, ფული ცხვირსახოცში იყო გამოკრული. ეს კი არ ჩერდებოდა — რა, იცნობ მაგ კაცს? რატომ ეძახიო? როგორც იქნა, იმან გაიგონა და მობრუნდა. — ეს დაგივარდათმეთქი, ვანიშნე ფულზე. მან გამოართვა კაცს და სიტყვის უთქმელად გაუჩინარდა. არც კარგი უთქვამს, არც — ცუდი. უცებ გაქრა, ბინდს შეერია. მე ამ კაცს გვერდი ავუარე და სინდისდამშვიდებულმა გზა განვაგრძე. ელისო".

გაცვლილებით ილოცა შეინარჩუნო ანი საყვარელი, რომელიც შენს ცხოვრებაში დარწმუნებული არ არის, ვიდრე ერთი — რომელმაც იცის, რომ ვიყვარს.

„ნაცნობები“

„ერთხელ მეტროთი ვმგზავრობდი. ჩემ წინ სამი კაცი იჯდა. ერთი მოხუცი იყო და თვლემდა, ორი კი რაღაცაზე საუბრობდა. მთვლემარეს ჯიბიდან მობილური ტელეფონი მოუჩანდა და ერთმა ჩუმად ამოაცალა. რას აკეთებ-მეთქი?! — რომ ვუთხარი, ჩვენი ნაცნობია და ვეხუმრებითო. გავჩუმდი და მეტროდან გამოსულებს ავედევნე. ამ კაცს გვერდით ამოვუდექი და ვანიშნე, დაებრუნებინა ნივთი. კიბეზე ყველა ერთად ავდიოდით და სიმართლე გითხრათ, მათი ნაცნობობა ვერ დავამტკიცე. ბოლოს იძულებული გავხადე, პატრონისთვის დაებრუნებინა მობილური. წელან დაგივარდაო, დააყოლა და განგმირე მზერით. P.S. ეს მანამდე იყო, ვიდრე პატრულში დავიწყებდი მუშაობას. ელისო“.

ოჯახური კონფლიქტი

„დიდი ხნის მკითხველი ვართ მეც და ისიც, ვისზეც ვწერ. უნდა დავწერო, თორემ გული მიმდის. რა ვუყო ამდენ გრძნობას, არ ვიცი. არაფერი ვყოფილვარ მისთვის, ქათამი ვყოფილვარ, ჩემი შვილები კი — წიწილები, ასე უმტკივნეულოდ რომ მოგვიშორა. მოვა ისევ, შეურაცხყოფას მომაყენებს და წავა... რატომ, ღმერთო, რატომ... ამდენი წელი ერთად ვიცხოვრეთ... მე ხომ იმიტომ გავუშვი, რომ მიმხვდარიყო, როგორ მეტკინა, როგორ დამეფლითა გული, როცა დაუმსახურებლად შეურაცხყოფა მომაყენეს. კი არ დამიცვა, აქეთ მომდგა. მაინც ვერაფერს მიხვდა, ისე მოგვისროლა, როგორც ზედმეტი ტვირთი. სუსტი ყოფილა, ვერ ზიდა ოჯახის უღელი. მე კი არა, შვილებიც ასე იოლად მოიშორა, თითქოს კვირაში ერთხელ ნახვა უშველის. როგორ ძლებს, ძილის წინ რომ არ ჩაეხუტება? ადრე ვერ იძინებდა უმაგათოდ. თურმე, შვილებიც არ ჰყვარებია. მართალი ვუთხარი, — შენ რომ შვილები გყვარებოდა, მე ასე გულს არ მატკენდი-მეთქი. ოჯახი თუ გინდა, ცოლს უნდა სცე პატივი და არ დაამცირო შენიანებთან. ნამდვილი კაცი თავის ცოლ-შვილზე არავის გააბედვინებს ცუდის თქმას, თუნდაც თავის დედას და დას. სინდისით ხმას როგორ იღებენ? ორი კვირა ვერ აიტანეს ჩემი ანგელოზები და ცოტა ხელი რომ წაეშველებინათ, იუკადრისეს და ძიძობა და მოახლეობა დაარქვეს. იმის მაგივრად, მათთვის გეთქვა, ასეთ რამეს როგორ ამბობთო, მე დამიწყე ჩხუბი. ლოგიკა სად გაქვს? ფისო“.

ბუზი

„ახლა „ჩავეხეთქე“ ლოგინში და წავიდა SMS-ები. ჩემი მეზობელი თამზო 19 წლისაა და უკვე მესამედ დაინიშნა. მესამე — ეკა სენაკელია და 16 წლის ახლა გახდა. ჰოდა, კვირადღეს წავიდნენ ლილოს ბაზრობაზე რაღაცების საყიდლად. რომ უყიდიათ, პატარძალს განუცხადებია, „აჩკები“ მინდაო. მისულან, სადაც სათვალე იყიდება და აურჩევია ეკას შავი, დიდშუშიანი, ვერ გავარკვიეთ, რა ფირმის სათვალე და თამზოსკენ შეტრიალებულა — მიხდებაო? — „დედამოუა“, აემ „აჩკებში“ სუ მძ...ის ბუზსა ჰგავხარ, გოო, — დაუყრანტალებია ამ ჩოკინას. იქიდან წასულან სამგორში, შესულან სახინკლეში, დაულევიათ არაყგარეული „ნატახტარი“. ისედაც მაგრად „ასხია“ ორივეს და მთვრალები რა მაზალოები იქნებოდნენ, წარმოიდგინე. ჰოდა, წნორის „მარშრუტკის“ მაგივრად ნორიოსაში ასულან. ვაზიანში ჩამოუსვამთ და იქიდან წამოსულან. მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?“.

დაღმაშენებელი

„სოფელში ერთი მეზობელი მყავს, „ანტიკვარი“. პატარა არ გეგონოთ, 32 წლის ბიჭია. ქობულეთში იყო, ძმაკაცებთან ერთად. ამ დროს ახლობელმა დაურეკა და უთხრა, რომ აღმაშენებელზე ელოდებოდა. კობაც წავიდა. საღამოს დაბრუნდა ძმაკაცებთან. რა ქენი, შეხვდიო? — ჰკითხა ძმაკაცმა. — არა, შე ჩემა, ვერ ვიპოვე ეს აღმაშენებელი, სადაც გავიარე, ყველგან დაღმაშენებელი ეწერა (დ. აღმაშენებელი). ერთხელ კიდევ, მეგობართან ერთად რესტორანში შევიდა. მეგობარმა ოფიციანტს სთხოვა, მენიუ მიეტანათ. გაკვირვებულმა კობამ შეხედა და იკითხა — „მენიუ“ ხორციანი საჭმელიაო? მასტერა“.

ღალატის მოწმე

„ახლა მოგიყვებით იმას, რასაც 3 წელია, საიდუმლოდ ვატარებ. მოკლედ, ერთ დღეს, როცა სკოლიდან ადრე დავბრუნდი (და ამის შესახებ ჩემმა კარის მეზობელმა არ იცოდა), ჩვეულებისამებრ, კარი საგულდაგულოდ ჩავკეტე და რატომღაც, რაღაცის მოლოდინში იქვე, ჰოლში ჩამოვჯექი. ჰოდა, ერთ-ორ წუთში გარედან კაკუნი შემომესმა. პოლიციელი მეზობლის ახალგაზრდა ცოლმა კარი გააღო და გარეთ გამოვიდა, რომ თავის ტურფასთან ეჭუკჭუკა. მე კი კაი ჭორიკანა დედაკაცივით მათი ულურტული ბოლომდე მოვისმინე. გაინტერესებთ, რაზე საუბრობდნენ პოლიციელის ცოლიკო და მისი ტურფა? არც მეტი, არც ნაკლები, ნარკოტიკებზე! ახლა წარმოიდგინეთ, რა გამალებით მოვუსმენდი მათ და როცა უკვე ყველაზე საინტერესოზე გადადიოდნენ, რეგვენი ქმრის „ჯართი“ მანქანის ხმა შემოესმათ და ბიჭმაც მოქუსლა. მე კი დამრჩა უამრავი „წვეტიანი“ აზრი და პასუხგაუცემელი კითხვა — თუ ასე უნდა ეწანწალა გოგოს, რას თხოვდებოდა? ან პოლიციელის ცოლს ნარკოტიკები რად უნდოდა? ან კიდევ მისი ორი ანგელოზი ჩემთან რატომ შემოდიოდა ატირებული, გვშიაო? ან ის რეგვენი რატომ ვერ ხედავდა ამ ყველაფერს? მაგრამ ახლახან ქმარმა დაიბრუნა აზროვნება, კაცობისა და ავტორიტეტის შეგრძნება და ის ტუტუცი სახლიდან გააგდო. ჰო, იმ საძაგელმა ლამის მთელი უბნის ბიჭებს ძალით ასწავლა „ქალის აგებულება“. მე კი, მისი არაერთი ღალატის მოწმე ვარ. აი, ასე ხდება ჩვენთან! პატარა მავნე“.

მფცქვნელი

„ერთი ჩვენი სოფლელი გოგო კარდანახში გათხოვდა. ახალი პატარძალი იყო და ვენახში



თუ ახლობლებს დიდი ხანია, ამ დაუბრუნდი, ე.ი. ყურადღებ ამბავ.

ხომ არ წაიყვანდნენ მეორე დღესვე? ჰოდა, დედამთილმა ტკბილად უთხრა — შვილო, ჩვენ „ადგილში“ წავალთ და შენ კარტოფილი დაფცქვენი მანამდეო. შეწვიო, აღარ უთქვამს. წავიდნენ. მოვიდნენ საღამოს და რას ხედავენ? მარანში ნაფცქვენების გორა დგას და ზემოდან წერილია: ადამიანები მეგონეთ და მხეცები ყოფილხართ, დედაჩემთან წავედი, მცოდნოდა, ასე უნდა გეხმარათ ჩემი თავი, აღარ გავთხოვდებოდიო. თურმე მიმდგარა და 4 ტომარა კარტოფილი გაუფცქვნია. არა, თუ წასვლას აპირებდა, რაღას ფცქვნიდა, ჰა? მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?“.

პრანჭია

„ჩემმა მეზობელმა ძმაკაცი წაიყვანა „ლოვეს“ დაბადების დღეზე. შუა ქეიფიდან ეს ძმაკაცი „მოტყდა“, ცოტა ხანში კი წვერგაპარსული დაბრუნდა. აქ არაფერია უცნაური, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მასპინძლის „ჯილეტი“ იხმარა. საწყალი, გოგონებს ეპრანჭებოდა, ისინი კი დასცინოდნენ, სახიდან სისხლი მოიწმინდეო. გგონიათ უტყდება, ასე რომ მოიქცა? ამბობს, ჩემზე უარესებსაც აკეთებენო. კახელო-616“.

ტრადიცია

„ჩემი ბიძაშვილი პირველად იყო რთველში. ძალიან გულუბრყვილოა. ჰოდა, ძმაკაცებმა გაუჩალიჩეს. ჯერ იყო და, მასპინძელი დაარიგეს და ათხოვნინეს, დიდი ქვა მოიტანე, ზედ შედექი, მერე 3-ჯერ დაიძახე — „ბარაქა“, რადგან მომავალ წელსაც კარგი მოსავალი გვქონდესო. მანაც, რა თქმა უნდა, დაიჯერა და შეუსრულა მასპინძლებს თხოვნა. შემდეგ უთხრეს, ასეთი წესია, პირველად ვინცაა რთველში, იმან უნდა გაზიდოს ვედროებიო. ჰოდა, აზიდვინეს მთელი დღე ვედროები. დღის ბოლოს, ქანცგაწყვეტილს ჭამის თავიც რომ აღარ ჰქონდა, მერე გამოუტყდნენ, რომ „ქვის მიტანის ტრადიციაც“ და ვედროების ზიდვის წესიც ბოროტი ხუმრობა იყო. იმის მერე ვინღა უხსენებს რთველს? მის რეალი“.

ვაიმეგობარი

„ერთმა ვაიმეგობარმა გამამწარა. საკმაოდ კარგ ადგილზე ვმუშაობ, ანაზღაურებაც სოლიდურია მაქვს და ჩემი მეგობარი, რომელიც თითქმის მშიერი დადიოდა, ჩემთან მოვაწყვე სამსახურში. თან მეჯვარედ უნდა წამეყვანა. მან კი, როგორც კი ფულს გემო გაუგო, მაშინვე შეიცვალა. იმდენი იჩალიჩა, უფროსმა მე დამითხოვა და ის ჩემს ადგილზე დანიშნა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩემს საცოლეს დაუწყო შებმა. აი, მაშინ კი გავუჩალიჩე... ახალი სიმბარათი ავიღე და ჩემს ყოფილ უფროსს (კაცია) შებმა დავუწყე ვაიმეგობრის სახელით, ვითომ გეი ვიყავი. ჰოდა, იქ ამბავი დატრიალდაااა... აი, ესაა სულ... მაპატიეთ შეწუხებისთვის. ფარაონი“.

ჩარჩენილი

„ამ რამდენიმე წლის წინ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი ფაკულტეტის ერთ-ერთი ლექტორი დაიჭირეს — ერთ გოგოს ყალბ დიპლომს უკეთებდა და მაშინ ეს ამბავი ტელევიზიით გახმაურდა. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: იმ ლექტორის მეზობელი ჩვენთან სწავლობდა. სწორედ ამ ბიჭთან მივიდა ერთი კაცი და სთხოვა, ჩემი გოგოსთვის დიპლომი მინდა და იქნებ, „მიპროტექციო“ ამ ლექტორთან, უცხო კაცს არ მენდობაო. ამ ბიჭმაც უარი ვერ უთხრა, გააცნო იმ ლექტორს ეს გოგო, როგორც თავისი ახლობელი, სანდო ადამიანი და მოლაპარაკების პროცესში ლექტორი აიყვანეს. დანარჩენმა ლექტორებმაც ამ ბიჭზე შური იძიეს და ჩემს კურსზე დატოვეს. მასთან ურთიერთობას ყველა ჩემი კურსელი გაურბოდა, მათ შორის — მეც. ერთხელ შემეცოდა და ერთი ნახაზი დავუხაზე (ის ბიჭი კარგად არ სწავლობდა) და ეს ამბავიც მაშინ მომიყვა: მისაღები გამოცდები იმ კაცის დახმარებით ჩავაბარე, სამი წელი კურსიდან კურსზე იმას გადავყავდი და ასეთ რამეს როგორ გავუჩალიჩებდი; რა ვიფიქრებდი, ის კაცი თუ მოგზავნილი იყო; ხომ ხედავ, ის რომ დაიჭირეს, მე კურსზე დამტოვესო. ასე გახდა პატიოსანი ბიჭი — მოღალატე. გოგა“.

„მისამარებული“

„ერთხელ უნივერსიტეტში იმიტირებული სასამართლო პროცესი უნდა ჩაგვეტარებინა. ლექტორმა როლების გადანაწილება რომ დაიწყო, მთელი აუდიტორია აყაყანდა, მე კი საშინლად ვერ ვიტან საუბარს მაშინ, როცა ყაყანია და ჩუმად ვიჯექი. გაჩუმებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ არც ერთი ვაკანსია აღარ დარჩა, გარდა მოწმისა, რომელსაც ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა მიეცა ჩვენება. ჩვენი ბრალდებული ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ბრალად სიდედრის წინასწარი განზრახვით მკვლელობა ედებოდა. უცებ წარმოვიდგინე, ამ უბედურს როგორ გაუმწარეს ცხოვრება ჩემმა ენაჭარტალა, რუსთაველმა კურსელმა (სცენარის მიხედვით, მისმა ცოლმა) და დედამისმა, რომელიც ნათიას გაჩენისთვის მართლა იყო ფანჯრიდან გადასაგდები და გადავწყვიტე, ყველა ღონე მეხმარა მის გადასარჩენად. ასე მოვირგე მოწმის როლი. სცენარით, მე მათი მეზობელი ვიყავი, რომელსაც უნდა ეთქვა, რომ სიძე-სიდედრს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. აბა, ეს რას უშველიდა მაგ უბედურს, როცა მეორე მეზობელი ქალი ამტკიცებდა, — მე შევესწარი, როგორ გადააგდო სიდედრი ფანჯრიდანო. მეორე დღეს დაიწყო პროცესი. ყველაფერი სცენარის მიხედვით მიდიოდა და ჩვენი უბედური სიძე ლამის იქვე „მიასამართლა“ ლინჩის წესით მისმა ვეშაპმა ცოლმა. ბიჭის ადვოკატიც, თუმცა ნაკითხი, მაგრამ მორცხვი გოგო გახლდათ. აი, მეც გამიძახეს და იმის მაგივრად, რომ ჩემი როლი მეთამაშა, ვთქვი, რომ გარდაცვლილის ქმარს რომანი ჰქონდა იმ ქალბატონთან, რომელიც, მისივე მტკიცებით, დანაშაულს შეესწრო, რომ ამის გამო გარდაცვლილსა და მას არაერთხელ უთრევიათ თმით ერთმანეთი და მოკვლითაც ემუქრებოდა. იმ ავბედით დღეს კი მე თვითონ შევესწარი მათ ჩხუბს, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა, რადგან „ქალბატონმა მოწმემ“ ის უბედური ფანჯრიდან გადააგდო, მერე მეც დამემუქრა, რომ ეს ამბავი არ მეთქვა. მეც, შიშით ვმალავდი, მაგრამ მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი და ავლაპარაკდი. ასე გაათავისუფლეს სასამართლოს დარბაზიდან ჩვენი უბედური სიძე, რომელიც ჩემნაირი მოწმის იმედით, იმედია, მართლა არ მიასამარებს თავის მომავალ სიდედრს. :) P.S. მე ისევ თქვენთან ვარ, ადამიანებო! ნოსტალგია“.

რომეო

„გუშინ მთელი უბანი, ღამის 4 საათზე მოწმე გავხდით, როგორ უმღეროდნენ ჩვენს მეზობელ ნანას სერენადებს... გოგოს ბებია გადმოდგა და დაუწყო ლანძღვა არასასურველ სიძეობის კანდიდატს — ჭკუასთან ერთად სმენაც არ გქონია, ტყუილად ყროყინებ და იმ შენი ვარდებით კაი ლიქიორებს ვაკეთებო. აქ კი ველარ მოითმინა შეზარხოშებულმა რომეომ და დაუძახა — ლამრო ბებო, ხვალ თქვენ მოგიძღვნით ყვავილებს, მაინტერესებს, „ვენოკის" მიხაკებისგან თუ გამოვა ლიქიორიო. იქ წყევლა წავიდააა"...

ასეც ხდება

„დისკოთეკებზე სიარული რატომღაც არ მიყვარს. ხანდახან მეგობრები დამიყოლიებენ ხოლმე. ამ ზაფხულს ერთ-ერთ ზღვისპირა ბუნგალოში შევიარეთ. ცეკვის ხასიათზე არ ვიყავი, მაგიდას მივუჯექი, თან წვენს ვწრუპავდი, თან ირგვლივ მყოფებს ვაკვირდებოდი (ეს ჩემი საყვარელი საქმიანობაა). იქაურობას თვალი მოვავლე და მზერა იქვე მჯდომ 4 ბიჭზე შევაჩერე, რომლებიც ისე ფაციფუცობდნენ, რომ აშკარა იყო, ვიღაცას ან ვიღაცებს ელოდებოდნენ. ეს ვიღაცები კი ჩემი პროგნოზით, გოგონები უნდა ყოფილიყვნენ. არც შევმცდარვარ, ცოტა ხანში 2 გოგო შემოიკლაკნა (მათ მოძრაობებს სხვა სიტყვას ვერ ვუწოდებ). ერთი დაბალი იყო, მეორეს კი ფეხები ყურებიდან ეწყებოდა. 10 წუთიც არ იყო გასული, რომ ეს უკანასკნელი კივილით წამოხტა და ერთი ნახტომით მოაჯირს ისე გადაევლო, მე კი არა, ოლიმპიურ ჩემპიონსაც გააკვირვებდა. მეორე კი მაგიდის ქვეშ შეძვრა. თურმე, ბუნგალოში ერთ-ერთი გოგოს მშობლები შემოვიდნენ. მიიხედ-მოიხედეს, ეტყობა, ადგილი ძალზე ხმაურიანი ეჩვენათ და უკანვე გაბრუნდნენ. გოგონებმა ერთმანეთს გადარჩენა მიულოცეს და იქაურობას გაეცალნენ. ბიჭები კი იდგნენ პირდაღებულები... ნეტავი, რას ფიქრობდნენ? თურმე ასეც ხდება... SWEET-GIRL".

არ არის...

„მამაჩემი სამხედრო პირია. ჯარში ერთი მეგობარი ჰყავდა, გვარად კარანაძე, რომლის ტყუპისცალიც ჯარში არ იყო. ჰოდა, ერთხელ თურმე ტყუპისცალი მოვიდა ნაწილში და თავისი ძმა იკითხა. მორიგე დაიბნა, არ იცოდა, კარანაძეს ძმა რომ ჰყავდა. მეორე დღეს კი მორიგემ მამაჩემს უთხრა: გიორგი რომაა, კარანაძე, სულ გადეირია წუხელ, მევიდა, საკუთარი თავი იკითხა და რომ ვუთხარი, კარანაძე არ არის-მეთქი, უკან გაბრუნდაო. ეს ადრე იყო, 15 წლის წინ, მაგრამ ვფიქრობ, გაგამხიარულებთ. ჩუპი".

„მე ბედნიერი ვარ და მე მოვედი!"

„ჩემი პარიზული სალამი ყველას! გულს მოენატრეთ, მგზავნელებო! ბევრი რამ შეიცვალა აქ. რამდენი ახალია და რა საწყენია, „გზავნილების" ძველი გმირები რომ აღარ ჩანან. მინდა, მოვუბოდიშო აქაურ მეგობრებს, რომლებსაც ვერ ვწერდი. მადლობა ვუთხრა მათ, ვისაც ვახსოვდი. განსაკუთრებით — მანაველს, ფელამუშას, ნიკოლს, ლიმონას. მარ, არ მოგენატრე? :) მე — ძალიან. იცი? შენ და „გზამ" ჩემი დიდი სიყვარული მაპოვნინეთ. ამ ულამაზესი გრძნობისთვის სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები უფლის და თქვენი. წასვლის წინ ვთქვი, რომ ჩემს წილ სიყვარულს ვიპოვიდი და დავბრუნდებოდი. სიტყვას ვასრულებ! მთელი სამყაროს გასაგონად მინდა ვთქვა: მე ბედნიერი ვარ და მე მოვედი! გკოცნით, თქვენი პარიჟანკა".

„პროფესიული ხურდა"

„ეს ამბავი ქუთაისში მოხდა. ერთ კაცს დედა მოუკვდა. წავიდა მეკუბოვეს კუბო დაამზადებინა და ფულიც გადაუხადა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეკუბოვეს ხურდა არ ჰქონდა თუ დაბრუნება არ უნდოდა და გადაწყვიტა, „პროფესიული ხურდა" დაებრუნებინა. კლიენტს კინაღამ გული გაუსკდა, როცა დაინახა კაცი, რომელსაც ხურდაში მისთვის პატარა კუბო მიჰქონდა. რა მოხდებოდა იქ, თავად წარმოიდგინეთ. LATENCY, იგივე აბსურდა. მომენატრეთ ძაან. მპუა".

გორველა

„ჰოოოდა, წავედით რთველში და ხიდს რომ გავცდით, ჩვენს მანქანას რაღაც „გიტარა" გასძვრა. ჩამოვედით. ოთხნი ვიყავით — მე, მაია, ნანი და ნაზიკო. წავედით ფეხით. გავსკდი მაყვლის ჭამით. უკაცრიელ გზაზე მივდიოდით. უცებ მაიამ თქვა — ქალებო, ახლა ვინმემ რომ დაგვიჭიროს და გვიხმაროსო (ქალები სულ ამაზე ლაპარაკობენ ხოლმე, კაცებზე)? ნანიმ უპასუხა — აეს პატარა გოგო (ვაპროტესტებ! ჰმ...) მივმალოთ სადმე და ჩვენ გვიხმარონ, რა უჭირს, მაინც არაფერი შეგვეტყობაო. ერთი უყურე!!! ასეც მოვახსენე. მე რად უნდა მიმმალოთ, რა, გორველა მირევია-მეთქი? დაიხოცნენ სიცილით. მე კი სერიოზულად გავბრაზდი. რა ვთქვი სასაცილო, ჰა? მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?"

ქველმოქმედი

„დღეს მე თვითონ გავხდი მოწმე იმისა, თუ როგორ ანიავებდა ვიღაც უცნობი ძია ჩემს სიმწრით ნაშოვნ ფულს, მე კი ვუღიმოდი და ამით ბედნიერი ვიყავი. იმერეთში ვარ. მაღაზიაში ბარათის საყიდლად შევედი. შესასვლელში შუახნის მამაკაცი შემხვდა, გარეთ გამოდიოდა. ბარათი ვიყიდე და რამდენიმე წამში, უკან რომ გამოვბრუნდი, კართან 50-ლარიანი დავინახე. ხელი ვტაცე და შორიახლო მიმავალ მამაკაცს დავედევნე. ერთი-ორჯერ კი დამქაჩა ეშმაკმა გულზე, აიღე და მოიხმარეო, მაგრამ იმ კაცის მოხრილ მხრებს და ნაბიჯებს რომ შევხედე, თავი დამნაშავედ ვიგრძენი მისი ოჯახისა და ჩემი სინდისის წინაშე. დავეწიე და ამაყად ვუთხარი — უკაცრავად, ფული დაგივარდათ-მეთქი. ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე გაგიჟდა სიხარულით. შენ გაიხარე ჯიგარო, წამო, „პივა" დავლიოთო. ვიუარე, მეჩქარება-მეთქი. თავი მოიკლა ლამის, თითქმის ძალით შემიყვანა სასადილოში. ზრდილობის გამო ორი ხინკალი და ერთი ჭიქა „ფანტა" მივირთვი და უდიდესი ბოდიშებით დავტოვე, უზარმაზარი ხინკლის თეფშისა და რამდენიმე კათხა ლუდის ამარა. თან მაგრად მიხაროდა, რომ ერთი სიკეთე გავაკეთე. სახლში რომ მივედი და ჩემი ჯიბის ბიუჯეტი მეცოტავა, მაშინ მივხვდი, რა დამცინავი ყოფილა ეს ცხოვრება ხანდახან. ისტერიკული სიცილი ამივარდა. იმ კაცისთვის ჩემი

ჯიბიდან ამოვარდნილი ფული მიმიცია. უჰ, ნეტავ გენახათ, რა გემრიელად ვუკურთხე კეთილები „უცნობ ძიას“. მართალია, გინება სართულების მიხედვით იყო, მაგრამ რაღა დროს... ეეჰ, ნეტავ ორი პური თუ მაინც მიიტანა სახლში იმ გასაცვეთმა? მადლია... მაესტრო“.

მუზად ქცეული ძროხა

„მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავს, მხატვარია და ცოტა უცნაური კაცია. 45 წლის იყო და ცოლის შერთვას ვერავინ უხსენებდა. დაბადების დღეზე ერთი ქალი გააცნეს. იმას თავი გაუგიუებია მწვანეთვალება მხატვარზე. ამისთვის უკითხავთ, მოგწონსო? — ვინ, ძროხაო (სულ რაღაც, 100 კგ ყოფილა საცოდავი)? იმ ქალს გაუგია და მაგრად სწყენია. იმდენი ქნა, 40 კგ დაიკლო და არ მოისვენა, სანამ ცოლად არ გაჰყვა. სამაგიეროდ, მერე არ დაიკლო ჭამა-სმა და ადრინდელზე მეტად გასუქდა. ზურა ბიძია დარდობდა, 45 წელი მუზას ვეძებდი და ძროხა შემრჩაო. ახლა გოგონა გაუჩნდათ და ცხოვრობენ ბედნიერად, მხატვარი და მუზად ქცეული ძროხა. მოწმე? თუ მიცნეს, ჩემზე დაწერილი ნეკროლოგის მოწმე გახდებით ყველა. პრანჭო“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მამაჩემი არ მიყვარს“...

„ერთხელ მეზობელი ქალისა და მისი საყვარლის პაემნის მოწმე გავხდი. აუ, რა რომანტიკა იყო... :-) თუ მიცნეს ახლა, მე ვიცი, ჩამარომანტიკ-ჩამომწყევლის ის ქალი და მინდა ახლა მე წყევლა, თანაც — რომანტიკული? არა, მაინც ვერ ვივიწყებ მათ შეხვედრას. ეჰ, რა დრო იყო, რა დრო... მა-ლი“.

„წელან მარიამ დამიძახა — ეთო, საათი დამიძახეო. მეც დავუძახე — საათი-მეთქი და კითხვა გავაგრძელე. — შენ მოუკვდი, შენს პატრონსო. ییი, რათთთა?“

„ერთხელ, სკოლაში დაგვიანებულმა, დერეფანი ღიღინით ჩავიარე, გამოვაღე საკლასო ოთახის კარი და გაღიმებულმა ისე შევაბიჯე, „შეიძლებაც“ კი არ მითქვამს. აზრზე დირექტორის ხმამ მომიყვანა: მანაგაძე, ალბათ დღეს გაკვეთილი კარგად იცი და იმიტომაც ხარ კარგ ხასიათზეო. ასე გახდა დირექტორი ჩემი დაგვიანების მოწმე. ფახუცანა“.

„ახლა მეზობელთან ვარ ასული და „გზას“ ვკითხულობთ. „მორიელის ნიშანი“ მოსწონს, ნამეტნავად. ისე, მაგარი ანტი-კვარი მეზობელი კი მყავს. დედამისი გაეხუმრა დილით, ნესვი საყინულეში ჩადეო და ამანაც არ დაიჯერა?! ამას კი ის მოჰყვა, რომ ახლა ეგ ნესვი ნაჯახით თუ არ დაჩეხეს, ისე ვერაფერს მოუხერხებენ. ახლა წავაკითხე შენთან მოსაწერი მესიჯი და რა გაუსწორდაა... უნიკალური ექსპონატი ვარო. P.S. ჰო, მართლა, მე ვბრუნდები და აწი ყოველკვირა მოგწერთ ხოლმე. აფხაზეთის პრინცესა“.

„სიმონას ეკითხება შვილი — მამი, O.K. რას ნიშნავსო? — ეგა მწვანე „კნოპკასა“ ნიშნავს ტელეფონშიო, უპასუხა სიმონამ“.

„78 ნომერს დავყვებოდი, ისნიდან ნუცუბიძის ზემო პლატომდე და უკან. ერთხელ მამაჩემმა დამინახა თავისი მანქანიდან. რუსთაველის მეტროს წინ რომ გაჩერებაა, იქ ჩამოვხტი და მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი გამწარებული მისიგნალებდა, მეტროში ვდურთე თავი. მე თბილისში სულ მარტო დავცუხცუხებ, არ ვიკარგები. მამაჩემი არ მიყვარს. რატომ? არ ვიცი“.

„4 წლის წინ გავთხოვდი. მაშინ ორივე 16 წლის ვიყავით. მერე მან საყვარელი გაიჩინა და დავშორდით. 5 თვის წინ უცოლო ბიჭმა ამიხსნა სიყვარული და ახლა ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ვისთანაც გავიცანი, ის ქალი ვითომ ხელს გვიწყობდა, მერე კი ეუბნებოდა, რად გინდა შვილიანი ქალი, რა გჭირს მაგის ფასიო. ამის მერე არანაირი მეგობრობის არ მჯერა. ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და თუ უფალი ინებებს, მაინც ერთად ვიქნებით. სიცილა“.

„ეეეეჰ, მარი, მარი, რა იქნება, ერთხელ მოწმე გამხადო იმისა, თუ როგორ დამიბეჭდავ მესიჯს. ყოველ ხუთშაბათს სიხარულით ვყიდულობ „გზას“ იმ იმედით, რომ ჩემს მესიჯს აღმოვაჩენ, მაგრამ რად გინდა? მარიკუნა, მთელი გულით გთხოვ, დამიბეჭდო ეს მესიჯი. გაკოცეთ ყველას! ფიფქია“.

„ერთხელ წვეულებაზე ერთი შეუხედავი გოგო ლამაზ ბიჭს ჩასცივებია, იცეკვე ჩემთანო. ბიჭს არ უნდოდა ამ გოგოსთან ცეკვა და უთქვამს, ცეკვა არ ვიციო. გოგო რომ არ მოეშვა, ბიჭმა თურმე ხალხის გასაგონად უთხრა: თავს რატომ არ მანებებ, კარგი ცეკვა ლოგინში ვიცი მეო“.

„გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. ბოდიშს გიხდი, რომ მესიჯს ვერ გწერთ. ხან ქუთაისში ვარ, ხან — სოფელში. ქუთაისში როცა ვარ, დედაჩემი დამირეკავს, ვკვდები და მოდიო. მეც გავრბივარ სოფელში. დღეს ჩემი სოფლის მეზობლის ქალმა კბილები დამიკრიჭა და მითხრა, რომ სარკეში არ იხედება. დღეს ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ ნახევარი კბილები ჭამის დროს გადაუყლაპავს და 5 კბილი დარჩენია. აი, იმის შედეგი, რომ სოფელში იმდენი საქმეა, ადამიანი თავისთვის ვერ იცლის. მე კი ევროპაში ნაცხოვრები ქალი ძროხას ვწველი და ძროხა ფუნიან კუდს სახეში მითხლაშუნებს. ეე, რა ძნელია სოფლის ხალხის ცხოვრება, რომ იცოდეთ, გაგიუდებით. გკოცნით ყველას. გერასიმე“.

მეიჭარალ ქალს სახლამდე ოფერა ლოლად მიაყვან, ვიდრე სახლამდე.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — დაუფასებელი ამაგი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვაა — ვის ავირჩევდი მეგობრად? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

რაში სჭირდებოდათ რუსებს „ქართული“ უნიტაზები?

ამ ბოლო დროს უნიტაზების თემა ძალზე აქტუალურია. ჰოდა, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ საჭირო მოწყობილობის შესახებ რაიმე ინფორმაციას მოვიპოვებდი. ბევრი ვიხეტიალე ინტერნეტში თუ ცოტა, რაღაცას მაინც მივაგენი და ახლა თქვენც გთავაზობთ. იქნებ, მივხვდეთ, რაში სჭირდებოდათ რუს ჯარისკაცებს ქართული უნიტაზები.

თურმე, ეს სასარგებლო მოწყობილობა 1596 წელს, ჯონ ჰარინგტონმა გამოიგონა, მისი აქტიური გამოყენება კი მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყეს. მოწყობილობის გამოცდის დროს მასში ათობით 4,5 სმ დიამეტრის მქონე ვაშლი ჩაყარეს, რომელიც უნიტაზმა უპრობლემოდ გაატარა და გამოგონების წარმატებად სწორედ ეს მიიჩნიეს.

1. უნიტაზების მასობრივი წარმოება 1921 წელს დაიწყეს და თავდაპირველად მას ლითონისგან ამზადებდნენ.

2. ყველაზე მოუხერხებელ უნიტაზებს ჰენრი ფორდის ქარხანაში ამზადებდნენ. სამუშაო დროის დაზოგვის მიზნით, უნიტაზის დასაჯდომები 30-გრადუსიანი დახრილობის უნდა ყოფილიყო, რის გამოც თანამშრომლებს მასზე დიდხანს ჯდომა არ შესძლებოდათ.

3. ბენ აფლეკმა თავის საყვარელ ჯენიფერ ლოპესს შესანიშნავი უნიტაზი აჩუქა, რომელიც ძვირფასი თვლებითაა გაწყობილი.

4. ევროკავშირის სტანდარტიზაციის კომისიამ გადაწყვიტა, უნიტაზებისთვის საერთო სტანდარტი შემოეღო, რასაც საფუძვლად გერმანული კონსტრუქცია დაუდო. ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ გახლავთ, ვინაიდან სხვადასხვა მოდელის უნიტაზების გამოცდა მიმდინარეობს.

5. იაპონიაში, ერთ-ერთ მუზეუმში ოქროს უნიტაზი დგას, რომელიც მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს. გიდი სტუმრებს ამაყად უცხადებს, რომ მისი ღირებულება 45 ათასი დოლარია.



6. და მაინც, იაპონიაში უნიტაზების დასამზადებლად სრულიად სხვა ნედლეულს ანიჭებენ უპირატესობას. მათ მიაჩნიათ, რომ ამ საქმისთვის საუკეთესო მასალა განსაკუთრებული ჯიშის ხეა. მისგან დამზადებულ უნიტაზს უჩვეულო ფერი, საუკეთესო აკუსტიკა (უფრო სწორად, აკუსტიკის არქონა) აქვს. ეს ყველაზე ჩუმი უნიტაზია.

7. ბელგიელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ამ მოწყობილობასთან კონტაქტს ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ 200 დღეს უთმობს.

ამის გამო დიზაინის მიმართ უფრო მომთხოვნი გახდნენ. მაიკროსოფტმა მომხმარებელი ინტერნეტუნიტაზით გაახარა, რომელსაც უამრავი მულტიმედიური მოწყობილობა და დისპლეი აქვს.

8. უნიტაზის მწარმოებლებმა მომხმარებლებს სიახლე შესთავაზეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პატრონის მიახლოებისას ის წითელ ან მწვანე ფერის ნათურას ანთებს — იმის მიხედვით, აწეულია თუ არა დასაჯდომი. სპეციალისტებმა უნიტაზი ოჯახური იდილიის შესანარჩუნებელ მოწყობილობად მიიჩნიეს, რადგან უმეტეს შემთხვევაში ცოლ-ქმარს შორის კამათი სწორედ დასაჯდომის ძირს დაშვებულ მდგომარეობაში დატოვება ხდება.

9. როტერდამის კოსმოსური კოშკის დამთვალიერებლებს ტუალეტის კარზე წარწერა აფრთხილებს, რომ სუსტი გულის პატრონებს შიგ შესვლა ეკრძალებათ. თუ შენობის ზედა ნაწილში იმყოფებით, არც ისე შესამჩნევია, როგორ ირხევა შენობა, მაგრამ თუ ტუალეტში შეხვალთ და საკუთარი თვალით იხილავთ, როგორ მოძრაობს წყალი უნიტაზსა და ჩასარეცხ ავზში, მაშინ შესაძლოა, გულმა გიმტყუნოთ.

10. იაპონიაში დაამზადეს უნიტაზი, რომელიც პატრონს თავისი ჯანმრთელობის შესახებ „ჩაურაკრაკებს“. მას შეუძლია დიაბეტის, თირკმელში კენჭის არსებობისა და ორსულობის დიაგნოზის დასმა. ამასთან, ის თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას მყისიერად აცნობებს ოჯახის ექიმს. შესაძლოა, ცოტა ხანში ისეთი უნიტაზიც გამოიგონონ, რომელიც მაცივართან იქნება დაკავშირებული და საჭიროების შემთხვევაში, დიეტაზეც დაგსვამთ. ისე ჩაკეტავს მავნებელ პროდუქტს, რომ მასზე ხელი არ მიგიწვდეთ. იაპონიაში ხომ უკვე გამოგონებულია მაცივარი, რომელიც პროდუქტების ვარგისიანობასა და შემადგენლობას ანალიზს უკეთებს და საჭირო პროდუქტს მაღაზიის ქსელშიც უკვეთს. ●

სიგარეტი, რომელიც ერსად იყიდება

ფილმის გადაღების დროს რეჟისორებს მრავალ პრობლემასთან ერთად ფარულ რეკლამასთან უწევთ ბრძოლა. როდესაც ფილმის გმირი მწეველია, ხოლო რეჟისორს სიგარეტის მწარმოებელ ფირმასთან ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული, იძულებულია, რაიმე იღონოს.



სავაჭრო მარკაზე უფლებების დასაცავად რეჟისორები იძულებული ხდებიან, იეშმაკონ და თავიანთი მარკის სიგარეტი გამოიგონონ.

ასეთი გამოგონებული მარკის ყველაზე ცნობილი სიგარეტია Red Apple, რომელიც ეკრანზე პირველად კვენტინ ტარანტინოს „ცოფიან ძაღლებში" გამოიყენეს. ამის შემდეგ, სიგარეტის ყვითელი კოლოფი, რომელზეც წითელი ვაშლი და ადამიანისსახიანი, მწვანე მატლია გამოსახული, ბევრ ფილმში გამოიყენეს.

სხვადასხვა ფილმში ასევე ხშირად გამოიყენება სიგარეტი Morley. თუმცა, კინომცოდნეები ვერ მისულან საერთო აზრამდე, როდის გამოჩნდა ეს სიგარეტი კინოში პირველად. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, Morley პირველად სერიალ „ბევერლი ჰილზში" გამოიყენეს, სხვა ვერსიის მიხედვით — „საიდუმლო მასალებში". თუმცა, ამ უკანასკნელში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სწორედ ამ მარკის სიგარეტს ანიჭებს უპირატესობას ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მეტსახელად — მწეველი. ერთ-ერთ ფილმში კი მძარცველები სწორედ Morley-ს გამომშვები ქარხნის შტაბბინას აყაჩაღებენ.

morley კინემატოგრაფში მუდმივ ატრიბუტად იქცა. ის გამოჩნდა ფილმებში — „შეუსრულებელი მისია", „გაქცევა", „ნეშ ბრიჯესი" და სხვა. ამ მარკის სიგარეტს კომპიუტერული თამაშების შემქმნელებიც კი იყენებენ.

კიდევ ერთმა ნიჭიერმა, ამერიკელმა რეჟისორმა, კევინ სმიტმა გამოიგონა სიგარეტის მარკა. თავის პირველსავე ფილმში — „კლერკი" სმიტმა კადრში სიგარეტი Nails გამოაჩინა. ლურსმნისგამოსახულებიანი წითელი კოლოფი ფილმის გმირს, ბობს ყველგან თან აქვს. უკანა ფონზე კი ხშირად ჩნდება ამ მარკის სიგარეტის სარეკლამო ბილბორდები, რომელზეც ადამიანის ფილტვებში მოგროვილი ლურსმნებია გამოსახული.

კევინ სმიტი თვითონაც აქტიური მწეველია. ის ხან მოუწოდებს ადამიანებს, ამ მავნე ჩვევას თავი დააღწიონ, ხან — სიგარეტის მომხმარებელთა უფლებებს იცავს, მაგრამ თავის პერსონაჟებთან ერთად აქცენტს ყოველთვის თამბაქოს მავნებლობაზე აკეთებს. ●

ზესვეღრე

16 სექტემბერს ყველაზე პატარა მამაკაცის, ჰე პინგპინისა და ყველაზე გრძელი ფეხების პატრონი ქალბატონის, სვეტლანა პანკრატოვას შეხვედრა შედგა. ჩინელი ჰე პინგპინის სიმაღლე 74,61 სანტიმეტრია, სვეტლანას ფეხების სიგრძე კი 132 სანტიმეტრი. პინგპინი ქალზე 16 წლით უმცროსია და ჯერ 20 წლისაა. გინესის 2 რეკორდსმენის შეხვედრა ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე მოხდა.

ჩინეთის მცხოვრები, 20 წლის პინგპინი დედამიწის ყველაზე პატარა კაცუნადაა აღიარებული.

შემუშავებული ნორმების შესაბამისად, რეკორდის დამდგენმა კომისიამ პინგპინის სიმაღლე 3-ჯერ გაზომა — დილას, შუადღისას და საღამოს. ის და სვეტლანა პანკრატოვა 2009 წლის გინესის რეკორდების წიგნში შევლენ.

პინგპინის მშობლები და მისი 2 და, ჩვეულებრივი სიმაღლის არიან. მამის თქმით, რეკორდსმენი დაბადებისას ისეთი პატარა იყო, რომ ხელისგულზეც კი ეტეოდა. ექიმების აზრით, მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანი ოსტეოგენეზითაა დაავადებული, რაც ძვლის სისტემის განუვითარებლობას ნიშნავს. ●

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. თუ ხარ სერიოზული, ვაჟკაცური, მატერიალურად უზრუნველყოფილი და გინდა შექმნა ტკბილი და თბილი ოჯახი, გამომეხმაურე. ვარ 36/170/68, ქერა, სიმპათიური. დანარჩენი — პირადად.

2. უბრალოდ მინდა, ვინმეს ვესაუბრო. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს. ვარ 22 წლის, საინტერესო გოგო. მისის ხვლიკი.

3. ვარ 27/165/75 გოგონა. აქ ზოგი ქონებას ეძებს, ზოგი — გასართობს. მე კი უბრალოდ მინდა, კარგი ადამიანის გაცნობა, ვინც იცის პატიოსანი ქალის ფასი და უნდა ლამაზი ოჯახი.

4. ვარ 50 წლის მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს, 45 წლის ზევით. დანარჩენი — პირადად.

5. ვარ 45 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ქვრივი ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს დასაქმებული სიმპათიური, არამსუქანი მამაკაცი, 40-დან 50 წლამდე.

6. მსურს გავიცნო სერიოზული მამაკაცი, 37-45 წლამდე, ოჯახი რომ უნდოდეს. ვარ 37 წლის, ქმარს გაცილებული. მყავს ერთი ბიჭი.

7. ძალიან ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული და კომუნიკაბელური მეგობარი მყავს, 45 წლის. დაოჯახების მიზნით გაიცნობს სერიოზულ მამაკაცს. ამ განცხადების გამო მომკლავს.

8. ვარ 29 წლის, მაღალი, უმაღლესი განათლებით, პატიოსანი, წყნარი, დასაქმებული ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-35 წლის, შრომისმოყვარე, დასაქმებულ, რუსთაველ ან თბილისელ მამაკაცს.

9. მაინტერესებს „გზა“ №38, მე-11 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

10. მინდა გავიცნო ნორმალური, განათლებული მამაკაცი, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს, 35-40 წლამდე ასაკის. გმადლობთ.

11. ვისაც სურს ოჯახის შექმნა და არის 40-დან 45 წლამდე, შემეხმიანოს. ვარ დასავლეთიდან, ძალიან მხიარული, კომუნიკაბელური, სამსახურით უზრუნველყოფილი.

12. ვეხმაურები „გზა“ №37, მე-12 მესიჯის ავტორს. ვარ 26 წლის, სიმპათიური, განათხოვარი. არ გამიმართლა სიყვარულში და მზად ვარ, ღირსეულს ვაჩუქო ჩემი სიყვარული.

კაცები

13. მაინტერესებს „გზა“ №38, პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გთხოვთ, დამაკავშიროთ მასთან ან თვითონ გამომეხმაუროს.

14. გავიცნობდი წესიერ მანდილოსანს. ვარ 33 წლის.

15. გავიცნობ „გზა“ №38, მე-3 ნომრის ავტორს. ვარ 26 წლის.

16. ვეხმაურები „გზა“ №38, მე-7 მესიჯის ავტორს.

17. ვარ 25 წლის, მაღალი, გამხდარი, სიმპათიური ბიჭი, ბინით და კარგი სამსახურით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას.

18. მაღალი, დასაქმებული, თბილისელი, ინტელიგენტი ეძებს ცხოვრების მეგზურს. გამომეხმაუროს მსგავსი თვისებებით დაჯილდოებული, 28-35 წლის, სიმპათიური ქალიშვილი, ოჯახის შექმნის მიზნით.

19. ვარ ბინით, სამსახურითა და მანქანით უზრუნველყოფილი, 32 წლის, ქვრივი მამაკაცი. გავიცნობ მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, 30 წლამდე ასაკის ქალბატონს. შესაძლებელია განათხოვარიც.

სანერვიანი

• თითო-თითოდ და ცალობით, ისევ ჩვენი ცანცარობით, იკარგება დიდებული, საჭირო და ღირებული, გაიყიდა ძირძველი, მამული და მიწები, როცა არ ხართ მართლები, შვილებს რას გვემართლებით? ყველაფერი ეწირება ბიზნესს, არაქართულ მანერებს და მიზნებს! ლექსი არ ჰგავს ლექსს, ქალი არ ჰგავს ქალს, ეროვნულს და ხარისხიანს, რატომ ვატანთ ქარს? ზოგი ვითომ კაცია და ორიენტაცია დაუკარგავს და ტრუსი „ბანტიანი“ აცვია. როგორ უნდა ავერიდოთ კრიზისს, სული შფოთავს, გამწარებით კივის. თუ გვიშველის — ეკლესია! რწმენის იქით ერესია, ამაზე უარესია, ოკუპანტთა აგრესია. აირია მონასტერი, ერიცა და ბერიცა, სანატრელი დამშვიდება, მგონი აღარ გვეღირსა. ბზე თავში და თავი — ქუდში, არ ვართ აზრის ბაიბურში, ჭკვიანი და ბაიყუში, ცხოვრების ტემპს მივდევთ კუდში! ვის

ხელშია ბერკეტი? ვის ხელშია ხელკეტი? სათავეში რომ სხედან, მათ ხელშია რეკეტიც, „სეკრეტიც“ და ეფექტიც. მათ ხელშია ჰიპნოზიც, მასობრივი ფსიქოზიც, რა გაუძლებს ამდენ ტინგიცს, ნაღდად არ გვაქვს დეფიციტი. ფსიქიატრის პაციენტის ტვინის კოეფიციენტი! მაგრამ ვის შერჩენია? ჭკვიანები რჩებიან, თავის პლუსით-მინუსით, საქართველო ჩვენია! ენიგმა.

• ერთ-ერთი მგზავნელის მესიჯში ჩემი სახელიცაა ნახსენები და მმმაგრად გამიხარდა. ე.ი. არც ისე შეუმჩნეველი ვყოფილვარ. ashley pcd, მეც დიდი სიამოვნებით გაგიცნობ. ნიკი შევიცვალე. sweeT-girl (მაგდალინა).

• ჩემს დაქალს ვუთხარი, მე და მის რეალმა მეორე ლექსი დავწერეთ-მეთქი. გამიღიმა და სერიოზული სახით მითხრა — რა გიჟუნია ხარ, რა გინდოდა „საბანკოზე“, „საპოეტოზე“ ვერ ჩააბარეო? კახელო-616.

• განძის მაძიებელი მაგარი ბიჭია, მდიდარ საცოლეს ეძებს. განძის მაძიებელო, მინდა გკითხო, რატომ არ შეგეცოდა მარი, რომ მისი ცხოვრება ფეხით გათელე? ნუთუ არ გაწუხებს სირცხვილის გრძნობა, რომ საცოდავი მარი სახლიდან გააგდე? კახა, მინდა გითხრა, რომ სხვის უბედურებაზე შენს ბედნიერებას ვერასოდეს ააგებ. ნათ. აფ.

• ერთგული მკითხველი ლუნაა, მე და ლიმონას რომ გვთათხავს. მარი, მინდა იცოდე, ამ აბსურდს არ ავყვები. დაე, ხალხმა განსაჯოს, ვინ რას წერს. მადლობა, რომ თეთრისა და შავის გარჩევა მასწავლე. აქ, „გზაში“ ყველა კეთილი და კარგი ჩანს. მხოლოდ ღმერთმა იცის, ვის რა გვაქვს გულში. მე ბედნიერი ვარ ლიმონას, ჩორის, უკარებასნაირი ადამიანების შეძენით. ისინი ნამდვილი მეგობრები არიან. მე არ მსურს ქება-დიდება/ აღარც ავყვები ინტრიგებს/ ვაცალოთ, დროის საზომით/ ყველა ჩვენს კუთვნილს მივიღებთ! მის რეალი.

• ახლა, როცა ამ სტროფებს ვწერ, შუადღეა, ძლიერ ცხელა/ დაწერეო ეს სიტყვები, გულიც ამას მეუბნება/ მგზავნელებო, თქვენთან ყოფნა მე უზომოდ მენატრება/ და უთქვენოდ გულში ჩუმად უხმო სევდა მეპარება/ ბათუმს იცავს იქით კიკო, ნონ სტოპი კი სენაკშია/ კახელო616, ჩემთან ერთად თელავშია/ მუხიანის სადარაჯოდ დგანან წყვილად გოგო ორი/ ციტრუსთ ასული — ლიმონა, გვერდს უმშვენებს ჩორი-ჩორი/ ქუთაისში მეფობს ოლე, თუმცა ახლა თბილისშია/ იკჩო-სიხჩოს სიხარული, „გზავნილებით“ სიცილშია/ ზოგის დიდი საიდუმლო, ასახსნელად მის ნიკშია/ „გზავნილებში“ მისი შეცვლა, ზოგისათვის ზენიტშია/ აზიელი აზიელობს, ფინტიკოზაც არის სხარტი/ კარგი ადამიანი ჩანს უკარებაც, ჩვენი ანი/ ჩუპი, დუჩი და ashley, იმსახურებს სიმპათიებს/ green girl-ი და გუ-ათენი მირჩევნია პირანიებს/ შეწირული და ვერმახტი აღარ სტუმრობენ „გზავნილებს“/ თუკი ვინმე გამომრჩება, იმედი მაქვს, რომ გამიგებს/ თელაველი და გრიმსიკო, ახლა ახლები არიან/ ფელამუშა და თოჯინაც მართლა მაგრები არიან!/ მის რეალს როგორ უყვარხართ? ძალიან, ძალიან, ძალიან!/ ერთგულო მკითხველო გიცანი, ბევრი ვიცინე, ძალიან!

• მაესტრო და ბოხო მიყვარს და ღვიძლ ძმაში არ ვარჩევ/ ლორეს, ილინს, ბაოს ვუსჯი სიყვარულის განაჩენს/ არც შეწირულს დავივიწყებ, არც ლეოს და მანაველს, თქვენი დიდი სიყვარულით მგონი რითმა დავღალე/ პენსიონერს ვკოცნი ულევს, აბეზარას, სესის, პარიჟანკა, რად წახვედი, შენ ვერავინ შეგცვლის/ დაგვიბრუნდი კანიბალკავ, სტიქიავ და პუპსიკა, მარიამულ, ექსკლუზიურად გკოცნი შენი გრუზინკა.

• კახელო და მის რეალი ისევ თქვენთან არიან/ ერთობლივად ნაწერ ლექსებს კვლავაც „გზაში“ გზავნიან/ მგზავნელების სიყვარულით ისევა ვართ გართულნი/ და „მობილი-ზაციაში“ გვსურს რომ ვიყოთ ჩართულნი/ გზავნილ-იორკის ქალაქში ერთი ქუჩაა თელავი/ ქუჩები დაგვიძმობილდნენ, მათ შორისაა სენაკი/ „გზას“ თურმე ბევრი ჰყოლია, როგორც ერთგული მკითხველი/ „გზავნილებშია“ სიმართლე, მაგრამ აქვეა მითებიც/ კიდევ ერთი „გზავნილ-ზვეზდა“ ამ ხუთშაბათს გახდა ჯეჯე/ იუმორში ჩაკარგული შევიცანით როგორც მეფე/ იკუშკები ხშირად გადის მარის face-კონტროლს/ ამაზე კი დიდი ჩარჩო — „ბაბუს სთორიც“ მოწმობს/ რატომ მესიჯს არ მიბეჭდავ? — ნიკი არის მაგარი/ „ჩიტო-გვრიტოს“ ვკითხულობდით და აგვიტყდა ხარხარი/ გაილექსა „გზავნილები“, ბევრსა სტუმრობს მუზები/ გთხოვთ, დავაარსოთ რუბრიკა — „პოეზიის წუთები“/ ახლა დაგემშვიდობებით, ჩვეულ ხუთშაბათამდე/ იმედია, არ მოიწყენთ შემდეგ „გზავნილ-ფართამდე“/ მის კახელო - რეალი 616.

• გამარჯობა მარი, ნინო ვარ ბურკაძე, თელავის რაიონის სოფელ რუისპირიდან, მე-2 ჯგუფის ინვალიდი. ჩემი გასაჭირი უნდა გაგიზიარო: პენსიას ვიღებთ პლასტიკური ბარათებით სოფლის ფოსტაში. მთელი დღე ვდგავართ ეს ინვალიდი და მოხუცი ხალხი, პენსიის რიგში. „სახალხო ბანკს“ თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ვთხოვო, რაიმე საშუალება გამონახოს, რომ ასე აღარ ვიწვალოთ, პენსიონერებმა. ნინო.

• ნუ მომატყუებ, რომ სინანული ყველა სევდას და დარდებს გაფანტავს, დღეს შენი დღეა, მაგრამ დრო მოვა და უჩემობა სულში გაატანს, ჯერ უდარდელი დღეები გიდგას და გატაცების ცეცხლით ენთები, ახლა არ გჯერა, მაგრამ დრო მოვა და მტკივნეული დარდი ვიქნები. მე ვარ, ვინც ნებით ოცნება დათმო და სინანულის მხარეს ეწვია. შენი სახით რომ აჩუქეს ღმერთი და უღმერთობას გადაეჩვია. სუსტი ხელებით ნაწვიმარ ცაზე ისე აგწიე, რომ ვეღარ შეგწვდი, ღმერთად გაქციე და ღმერთი რაღას გამიხსენებდი, ვინ ვი-

ნუ იქნები ჯიუტი. თუ საჭირო ნომერი მოდმივად დაკავებას იძლევა, სხვა ნომერი აკრიბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავ შენთვის. ჯერ უდარდელი დღეები გიდგას და სხვის ალერსში არ გახსენდები, მაგრამ მერწუნე, ის დროც დადგება, რომ სიგიჟემდე მოგენატრები. ათენი-23.

• მოღალატე აღმოჩნდა ჩემი მეგობარი, რომელმაც შეყვარებული ამახია. მარი, გულის დახუთვამდე მეზიზღები, შენ კი ვაუბატონო, ვიცი, ამას კითხულობ. უკანასკნელი ნაძირალასავით მოიქეცი. მარ, ნუ მბლოკავ, გინებები ნაირ-ნაირები ავითვისე. უკარება.

• ეჰ, რამდენი კვირაა, ფეისკონტროლი ვერ გავიარე. ვერ გავქაჩე და რა ვქნა? არა უშავს, მეც გავიზრდები დიდი გოგო და ვისწავლი საინტერესო ამბების მოყოლას. მანამდე კი ჩემთვის, ჩუმად მეყვარებით და არავის შევაწუხებ. გკოცნით. სო-ნი.

• აქ ვინმეს ლეჩხუმთან კავშირი აქვს? იქნებ ვინმე ნაცნობიც გაიჩითოს? საქართველოვ, მენატრებიიიიიი! სო-ნი.

• ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, მე და თამო. ერთი ლუკმა გვქონდა და ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებდით. მეგობარი ვუწოდე და ბოლოს, ამ მეგობარმა ჩემი ქმრის გაზიარებაც მოისურვა. მიპასუხეთ, რამდენი უნდა გადაიხადოს მან, რომ სინდის-ნამუსი იყიდოს? დამიბეჭდე მარ, გთხოვ, ვიცი, წაიკითხავს და იქნებ, პასუხიც გამცეს, შეიძინა სინდისი? მტირალა, ათენიდან.

• ომის პერიოდში ყველა ჟურნალ-გაზეთი გაგვიძვირეს. მიზეზად ის ოქვეს, რომ წალკაზე გადმოდიოდნენ ჭიათურაში და ბილეთი ძვირი ღირდა. ახლა ღმერთის წყალობით დავწყნარდით და ისევ ის ფასები დატოვეს ჟურნალებზე. მიპასუხეთ, რატომ? გთხოვ, იგნორი არ გამიკეთო.

• კომუნისტების დროს ერთმა ჩემმა მეზობელმა ადესა წაიღო გასაყიდად დედაქალაქში. მივიდა ერთი სამამულო ომის ვეტერანი და ჰკითხა, რა ღირსო? 2 მანეთიო. მანეთად მომეციო, არაო... რომ ევაჭრა ვეტერანი და არ დაუკლო, მერე უთხრა, მე ომში ფეხი დავკარგეო. ჩემმა მეზობელმა უთხრა — მერე, ჩემთან რა გინდა, მე ვიპოვე და არ გაძლევო? კობრა.

• ადანდალი, დანდალი, ჩვენი ოქროს ჩანგალი, მოუპარავთ, გამხდარა რუსის ჯარის ნადავლი, ვითომ რუსი ჩანგლით ჭამს? არ მგონია მართალი, არის რუსი მაგარი, ნაგავი და ვანდალი! შურნარევი ხარხარით ამოიცვეს რვა ცალი, იმ უნიფხო თაკოზე ჩვენი ნიფხავ-საცვალი, დათვს ტრუსიკი რად უნდა, მისაქინძად მზად არის... თითოს ოთხი ფიცარი, აი მათი წამალი. ენიგმა.

• აფერისტებსა და მატყუარებს „გზაში" რა უნდა? აქ ყველანი „სუფთა" ხალხი ვართ. რომელი ხარ, ნიკს რატომ მალავ? ათენი-23.

• ჟურნალ „გზას", მარის, გზავნილეთს, გულანთებული სალამი, ისევ გავმართე საწერად, კარგებო, ჩემი კალამი, ლიმონას და მის რეალის ნიჭი გულწრფელად მიქია, ლუნიტა ლექსის წერას კი, შეგასწავლიდა სტიქია, მონატრებით მოკითხვები, სესისა და იკჩო-სიხჩოს, გულით მინდა, კანიბალკა ისევ ჩვენთან ერთად იყოს,

• სიყვარულით მოვიკითხავ დუჩისა და სიკვდილას, ლელუჩიას, ილინს, ჩორის, ნონ სტოპსა და პრინცესას. ამოდენა სიყვარულის თესვისათვის იხარეთ, მუდამ ვარდით მიმოფენილ ბილიკებზე იარეთ, გაუმარჯოს სიყვარულით ანთებულ და აღვსილ გულებს, სიყვარული გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს და ჩვენ სულებს, სიყვარულით აქ შემოსვლა არ იყო ზოგის მიზანი, ერთ თათარ, მუსლიმან გოგოს, თავი ჰგონია წმინდანი. სხვის ლანძღვასა და თათხვაში, არ დარჩენია წვრილმანი, ისევ ისე თავს იფასებს, „გზის" ჰაინრიხ შლიმანი. დედის კალთის მიკერებით, ვერ მოიგებ შენ ბევრს, ვერა, აქ ჩვენ მხოლოდ სიმართლის და წრფელი სიყვარულის გვჯერა. ბილწი სიტყვების ჩმახვაში არ გყავს ენიგმა, ბადალი, თუ ძმაო, მასე განაგრძნობ, ხალხს ეგონები აბდალი. არ გამოგივათ ავებო, ყველა თქვენს ხმაზე ამღეროთ, ჩვენ გვინდა, რომ გზავნილეთი სულ სიყვარულით ვაშენოთ.

• მინდა მეც გავიზიარო, ბევრი ქართველის ჩივილი, ჩემს გულში ისევ დაგროვდა, უსაზღვროდ დიდი ტკივილი, პუტინის ტირანიამ კი შეძრა ერი და ბერია, მაგრამ ქართველ ხალხს ბოროტი სატანა ვერ მოგვერია, ერთიანია სამშობლო, ბევრია ამის მნახველი, არ დაეცემა, გატყდება, არასდროს სულით, ქართველი, ის დროა, მამულიშვილნო, ხელში ავიღოთ ხმალია, მტერს საკადრისი პასუხით გადავუხადოთ ვალია, დღეს ერთად დგომით დავიცვათ, სისხლით მორწყული სამშობლო, ღვთისმშობლის მადლმა და ძალამ ჩვენი ქვეყანა დალოცოს.

• გილოცავთ სწავლის დაწყებას! მოვიკითხავ შესანიშნავ სამეულს — ლუნას, გრუზინკასა და კამელიას. თურმე ჩემი პატარა დაიკო ოლეგარიოს იცნობს... გაკოცეთ! crazy girl.

• საშინლად ცუდად ვარ... ჩემი ბრალია ის, რომ გული საშინლად მტკივა... მგონი ყველაფერი დამთავრდა... ვასასი.

• გაუმარჯოს, როგორ ხართ? მე მაგრად ვარ. მაგარია, სწავლა რომ დაიწყო. ნეტავ იცოდეთ, რამდენს ვსულელობთ. მაგადიااااااა! ზესტაფონის ლამაზმანი.

• რატომ აღარ მწერ, გურულო? რაიმე გაწყენინე? არც დაინტერესდი, რა გადავიტანე ამ თვეების განმავლობაში. სულ 2 დღეა, დავიბრუნე ჩემი ნომერი. ისევ გელოდები. გიჟი გურული.

• ვაუ, განძის მაძიებელო, თუ ენიგმა მართლა შენ ხარ, მართლა ყოჩაღ! მადლობა შხამიან დამსმენს, ინფორმაციისთვის. არა, მაინც რამდენი ბოროტი დადის ამ ქვეყანაზე? ჰმ...

• უცნობო, ჩემი ნიკის უკან ვინ დგას, შენთვის არავის უკითხავს. თუ კალამიც ენასავით გიჭრის, მაგ პასკვილების ნაცვლად ბედი

ქალის სასოებისა საძესტოლი
მოსაძალებაა და
გამჭვირვალე ყაბაა.



კაცური კაცი

„გზავნილებში“ სცადე და თავი გამანებე. ენიგმა.

• ვინც „გზის“ ფურცლებს თვალს ადევნებს, მგზავნელების ადამიანობის დადგენა და შეყვარება არ გაუჭირდება. პარიჟანკა, აპოლონ, ლეო91, ხალისი დაიკარგა უთქვენოდ. ტირიფი73.

• კარგია, როცა ვიღაცას ელი, უფრო კარგია, როცა გელიან და რომ მიიღებ ამ მესიჯს ჩემგან, მიხვდები, ვიღაც ვერ შეგელია. ჭრიჭინა, ტირიფი თვით სიყვარულია. ტირიფი73.

• ჩემს სულს (კამელიას) ვთხოვ დამიბრუნდეს მალე, რადგან ჩემი სხეული მარტოა და უჭირს. შენს გულს ძალიან ენატრები. უფლებას გაძლევ, ის სიტყვა შენ დაწერო. გრუზინკა.

• თვალებს დავხუჭავ და კვლავ თქვენ მაგონდებით,/ გარეთ უდარდელად წვიმს, როგორ მიყვარხართ და როგორ მენატრებით,/ თქვენს მეტს ვის გავანდო, ვის?/ ტუჩებზე ცრემლები მოგორავენ და ჩუმად ტოვებენ კვალს,/ ღამით სიზმრებში რომ გეფერებით,/ თქვენს მეტს ვის გავანდო სხვას?/ ხატებს შევხედავ და გავჩერდები, სულ რაღაც ორიოდე წამს, თქვენს მეტს ვის ვარწმუნო, ამ ხატებზე მეტად/ რომ თქვენი 'სიყვარულის მწამს?/ p.s. ოცნების გმირო, მიყვარხარ! ეს ლექსი ერთმა მიუძღვნა — ერთს, მე კი გიძღვნით თქვენ. ლუნა.

• გრუზინკა, კარგი, დეი, ორივეს გვიყვარდეს ერთურთი. მომავალო ნათლიავ, კამელია, მიყვარხარ! ილინ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! ანგელოზი ხარ. ლორე, crazy girl, აზიელო, მპუა. ლუნა.

• sweeT-girl და გა-მა, საყვარლები ხართ. უცნობო, განძის მაძიებელი საზღვარგარეთაა. ქუთაისში მოვიკითხავ შაკო მაჭარაშვილს. მიყვარხართ, „გზაელებოო“. გაკოცეთ. ედელვაისი.

• იცით, ვინ ვარ? ნაადრევი გაზაფხული, ზაფხულის გრილი ჩრდილი, თქვენ რომ გჭირდებათ, შემოდგომის ფოთოლცვენა და ზამთრის სითბო და ფიფქად თოვა. ჩემო ბარტყებო... ტირიფი73.

• ისევ დაგკარგე უაზროდ, მაგრამ ალბათ ოდესმე მაპატიებ ყველაფერს. შენ ჩემს გულში იქნები მუდამ, გურულო. მისხალ იმედს ვიტოვებ, რომ დამირეკავ. მინდა შენთან.

• კეთილი იყოს ჩემი ფეხი. გესალმებით ყველას, პეპი. მგზავნელ-მკითხველებო, ძალიან საყვარლები ხართ, მიკალქალთ!

• თუ ქურდი არ ხარ, ჩემი გული რად მოიპარე? ან რა ქურდი ხარ, ნაქურდალი ვერ მოიხმარე. ლუკას სალისგან.

• მოვიარე მარაა, იმდენი ყურძენი ვჭამეეე... :-) ტირიფო, რატომ ასე სევდიანად? ადამიანებო, გთხოვთ აგრესიულ მესიჯებს არ მიაქციოთ ყურადღება. პავლიკ, რაფერ ხარ, თუ იცი? :-) სიკვდილა.

• არავისაც არ მოვიკითხავ, საკუთარი თავის გარდა. ვიცი, ამას მარიც წაიკითხავს და იცოდე, რომ გასკდე, მაინც არ წამოვალ თბილისში. აი, ასე! შენი შვილი, ეთო. ეს სხვა მარია, ჯაფარიძე არ გეგონოთ.

• „გზის“ კითხვას „მორიელის ნიშნით“ ვიწყებ. მაგარი რომანია. რეალურ „ბრძოლას“ ვერ ვიტანს, იმ კუდაბზიკა ანას გამო. დროზე დაახვიოს „გზიდან“.

• მშვიდობა თქვენდა, მინდა, საბერძნეთში მყოფი მგზავნელები მოვიკითხო. გაიხარეთ, ხალხო. ზესტაფონის ლამაზმანი.

• შენ გეიხარე, ჩემო გრუზინკა ისე, რავარც მე გამახარე, როცა შენს ლექსში ჩემი სახელი ამოვიკითხე. ე.ი. ჩემს შემოქმედებას არა უშავს? :) გკოცნით ყველას. იკუშკები.

• გამიტყდა, ენიგმა განძის მაძიებელი რომ აღმოჩნდა. რა იყო, ისე შეგაშინეს, რომ ნიკი შეიცვალე? სხვებმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეთ (არ გეწყინოთ). სიკვდილა.

• ჭრიჭინ, ბულალამაც მოგიკითხა. :-) პატარა მავნე, როზი, ჩორი, ლორე, როგორ ხართ, გვრიტებო? :-) გრუზინკა, იცი, როგორ მევასუნები? რაღაც, დარდიანი მეჩვენები, რატომ? სიკვდილა.

• ლუნა და გრუზინკა, ჩემი სულიერი დები ხართ, გულის იადონები! გა-მა, უღრმესი მადლობა. ენიგმა, ჩემი ფავორიტი ხარ, გაიხარე! მგზავნელებო, ყველანი მიყვარხართ! კამელია.

• საყვარელო გოგა, ორი ნიკით — არა, პირადი მიზეზების გამო ნიკი დროებით შევიცვალე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და დავბრუნდი კამელიად. გმადლობთ, მიყვარხართ!

• ვინაა ერთგული მკითხველი, მის რეალს თავს რომ არ ანებებს? კარგად ვხედავთ, ლიკა რასაც გზავნის. სად ხედავ ანეკდოტებს? თავად რას წარმოადგენ, სხვებს რომ აკრიტიკებ? გოგა.

• რაუიკუნა, რაო, მონადირეთა კავშირი თანაგიგრძობ-

თო, საყვარელი მურადა-პრინცის ტრაგიკული დაღუპვის გამოო? ჰა, ჰა, ახლაც არ მოეშვებით ძაღლებსა და ტურებზე ნადირობას?

• მეც რომ მიყვარხარ? არ შეიძლება, 1 მე უფრო დავწერო? კამი, ეს შენი სიტყვებია, ჰოდა დამიწერე, რომ შენ უფრო გიყვარვარ, თორემ გული გამისკდება ლოდინით. გრუზინკა.

• რაო, რაო, განძის მაძიებელი ენიგმაოო? თუ ასეა, ენიგმას გაუმაარ-ჯოოს! მერედა, რა ღრმა მწუხარებით გვაუწყა ერთმა ბაღლინჯომ ეს ოქროს ამბავი?! ასე გეწყინათ?

• ყურადღებას იმსახურებთ ისეთი ადამიანები, როგორებიც შენ, განძის მაძიებელი და ოჩოპინტრეა. თქვენნაირ კარგ ბიჭებს მივუძღვენი ის ლექსი. დავაშავე? ტირიფი73.

• გილოცავთ ღვთისმშობლობას! წმინდა მარიამის მადლიანი კალთა გფარავდეთ ყველას. ენიგმა, არ გამეცნობი, სიხარულო? კანიბალკა, ლეო-91, ილინ, სად დაიკარგეთ? crazy girl.

• გესალმებით ყველას. ბევრჯერ დავამესიჯე, მაგრამ რატომღაც არ დაიბეჭდა. კამი, როგორ ხარ, საყვარელო? წავიკითხე შენი ტკვივილიანი მესიჯები. გიგებ და მესმის შენი. ბოა.

• პრივეტ, ჯეჯე, როგორ ხარ? მინდა გითხრა, რომ როგორი კარგი იუმორიც გაქვს, ისეთივე კარგი ყოფილხარ. სანამ სახელს წავიკითხავდი, ჩემი რეაქცია ასეთი იყო — ვაააა, ეს ვინაა?

• სალამი! ორი წელია, სათვალე არ გამიკეთებია (ფერადი), იქნებ ვინმე კაი გოგო დავინახო, ბინიანი, მანქანიანი და რა თქმა უნდა, ლამაზი-მეთქი. ერთი სიტყვით, დამეცა მგონი ტუზი.

• „გზაელებს" სიცოცხლე, როგორ ხართ, კარგებო? იასამან, სად ხარ დაკარგული, რომ არ ჩანხარ? თუმცა, მე ისე მომდის, ანდაზა რომ არის — ჩემი შენ გითხარიო. შვებულებაში ვიყავი 1 თვით. დავბრუნდი და განვაგრძობ ჩემს მოღვაწეობას „გზაში". ისე, რამდენი პოეტი გამოჩნდა?! სხვათა შორის, არა უშავს, კარგად რითმავენ. აბა, ისაა პოეტი, ამას წინათ ქუჩაში რომ გავიცანი? მითხრა, წვიმაზე მაქვს გადასარევი ლექსებიო. მე ვუთხარი, წვიმას რად უნდა გოგო, ლექსი, წვიმას უნდა ზონტიკი-მეთქი. პკ, მომავალ ხუთშაბათამდე.



მინდა ვიყო „ლეიბი"...

• ახლა ბებოსთან ვარ, საწყალი ჩივის, 13 ქათამი გავზარდე და ისიც უნდა დამკარგვოდაო? მე კი გავამხნევე, 13 თარსია-მეთქი. აქ ამბავი ატყდა... ზესტაფონის ლამაზმანი.

• ჩემო ლამაზო, საყვარელო მამიდა, ძალიან მიყვარხარ. ნერვებს გიშლი ხანდახან, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიგებ. იცოდე, ჩემს გულში მუდამ ხარ და მიყვარხარ. ნანა.

• ჩემს მამიკოს, თამაზ მარგიანს! მამიკო, მენატრები და მიყვარხარ. დრო მალე გადის და ჩვენც მალე ჩამოვალთ. წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ. გკოცნით, სვეტა და ნანა.

• ყოველ ღამით სიზარში გხედავ, გია. მიყვარხარ, უღმერთოვ! უგულოვ! რამდენი სალაპარაკო დამიგროვდა... დადგება კი ნეტავ ის დრო, რომ ისევ გნახო? გიგლა, ჩემი გული მუდამ შენთანაა, შენზე ფიქრობს და დარდობს, ვიფიცებ ჩემს რუსოს და შენს თავს, ყოველთვის ვგრძნობ, როცა რაღაც გიჭირს. მეუბნებიან, რომ კარგად ხარ და ვისთანაც გინდა, მასთან ხარ, მაგრამ მე ეს არ მჯერა, ჩემო უგულოვ. ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები, გული ლამის ამომივარდა შენი ნომრის დანახვისას იმ დღეს, სიხარულით. გკოცნის სულელი ნატო.

• აჩიკო, ჩემო პატარა ხოტორიავ, მიყვარხარ მთელი გულით და მხოლოდ შენ გელოდები და შენი სიყვარული მინდა. შენი ცუნცულა.

• კობა გუგუტიშვილო, მენატრები და ისევ უზო-

მოდ მიყვარხარ, მიუხედავად ყველაფრისა. ჩემი სიცოცხლე ხარ. რობიმ ხომ მოგცა ჩემი ნომერი, დამირეკე. ნინი შუკვანი.

• უშენოდ ძნელია... დავრჩით მარტო მე, ზღვა და მთვარე. სამივეს გვენატრები. შენ ხომ ჩვენი მისზე მის მსოფლიო ხარ, ჩვენი სითბო და სიყვარული. მთვარე მიყვება შენს ამბავს, ჩუმად მოდის შენს სარკმელთან. მალე დაგიბრუნდებაო, მითხრა. ზღვასაც ენატრები, დაიბოღმა უშენოდ, ღელავს და ბობოქრობს. მე? მე ვზივარ და ვუცდი იმ წუთს, რომ მოხვალ და ღიმილით მეტყვი — მე დაგიბრუნდი! სიცოცხლე გრძელდება და ეს სიცოცხლე შენ ხარ. მიწიერო ანგელოზო, გკოცნი, მიყვარხარ. ბენდუ.

• მე მინდა ცაში, მე მინდა ღმერთთან, მაგრამ მანამდე მე მინდა ჩენთან. აჩიკო, ჩემო სიხარულო, მიყვარხარ გულით. შენი ირმა.



• ნესტან, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო, ყოველთვის ერთგულო, გილოცავ ლამაზ დღეს, 14 ოქტომბერს, შენს ლამაზ შვილთან ერთად. პატარა.

• 14 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს, ოზურგეთელ ნესტან ბაჯელიძეს. მიყვარხარ, ჩემო ნესტან. შენი პატარა მეგობარი, ბაჭია.

• ახალციხეში, 19 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, მერაბ აბრამიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას. დედიკო.

• ხათო (13.07), გილოცავ ბედნიერებას, დაიკო, გისურვებ ლამაზ და ულევ სიყვარულს. გფარავდეთ უფალი. ათენი-23.

• 29 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ ზვიად მეფარიშვილს. ვუსურვებთ ლამაზ ცხოვრებასა და ზღვა სიყვარულს. დიდი მონატრებით, კეთილის მსურველები.

• ათენში მზია ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, სულ ჯანმრთელი და ბედნიერი გვენახე. ლია, მამუკა და ქეთი.

• მცხეთაში ნონა ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. სულ გალაღებული გვენახე, შვილებთან ერთად. ლია, მამუკა და კობრიკო.

• ჩემს მონატრებულ დედიკოს ათენში ვულოცავ დაბადების დღეს, დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას გისურვებ. დათო გირდა.

• ჩვენო უსაყვარლესო დედიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთის წყალობა, ჯანმრთელობა, ულევი სიხარული და სიყვარული არ მოგშლოდეს, ოჯახთან ერთად. ხათო და თაკო.

• ჩვენო უსაყვარლესო და განუმეორებელო ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ულევ სიხარულს, ძალიან ლამაზ და ტკბილ სიბერეს, ბაბუსთან ერთად! მარი და თეკლა.

• ლუიზა ჯოყილაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ლუი, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და სწავლაში. ძალიან გვიყვარხარ. დედა, მამა, თოკა და ლელუჩია.

• ჩემო ლამაზო დედა, გილოცავ იუბილეს, ღმერთმა გაძლება მოგცეს, ჩვენს ხელში. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. მაპატიე, რომ გაბრაზებ ხოლმე. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ. ლუნა.

• ათენში, ჩემს უსაყვარლეს მაგულის, გიოს, სულოს და ლელუშკას ვულოცავ ღვთისმშობლობას. გფარავდეთ მისი კალთა და მადლი, ჩემო ძვირფასებო. მიყვარხართ. ზიგული.

• ათენში ლელა ღარიბაშვილს დიდი სიყვარულით ვულოცავ ღვთისმშობლობის წმინდა დღესასწაულს. გფარავდეს დედა ღვთისმშობელი, მისი წყალობა არ მოგკლებოდეს. უჩა.

• ათენში გიორგი ღარიბაშვილს, სულიკო ხილელიძეს და მაგული დეიდას სულითა და გულით ვულოცავ ღვთისმშობლობას. იყავით ჯანმრთელები და ბედნიერები. გფარავდეთ უფალი. უჩა.

• გუ, სიყვარულო, გილოცავ იუბილეს! უფალი გფარავდეს მუდამ, შენს ძვირფას ადამიანებთან ერთად. დიდ ბედნიერებას გისურვებ. სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. შენი ოცნება გოგო, ნათ.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ხიფათჩრდილ ტაწყალ

ბავშვობაში ალბათ ყველა ოცნებობდა განძის პოვნაზე. ზოგიერთი ბოსტანსაც კი გადათხრიდა, სანუკვარი სიმდიდრისთვის რომ მიეგნო. პრინციპში, განძის პოვნა ნებისმიერს შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს უმართლებს. განძის მიგნება უფრო ხშირად შემთხვევით ხდება და თანაც, იმ ადამიანების მიერ, ვინც სულაც არ ეძებს. თუნდაც მცირე განძის პოვნა არქეოლოგებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. აღარაფერს ვამბობთ ისეთ განძზე, რომელიც ფასდაუდებელია და რომლის რეალური ღირებულების ფულადი ნიშნებით გამოხატვა შეუძლებელია.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ფესეული განძი 1985 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, პოლონეთში აღმოაჩინეს. განძის დიდი ნაწილი მუზეუმში ინახება. ნაპოვნ ნივთებს შორის გახლავთ ოქროს გვირგვინი, რომელიც სავარაუდოდ იმპერატორის, ჩარლზ IV-ის ცოლის, ბლანშ ბალუას კუთვნილება იყო; XII საუკუნის 2 ოქროს კულონი; XIII საუკუნის 3 ოქროს კულონი; ძვირფასი თვლებით შემკული, შუა საუკუნეების ოქროს დისკი; 3 ბეჭედი; 39 ოქროს და 1924 ცალი ვერცხლის მონეტა.

1949 წელს, ბულგარეთში, ფილების დამამზადებელი ქარხნის სამი მუშა — ძმები დეიკოვები — მიწიდან თიხის ფენის მოჭრის დროს ბრჭყვიალა საგნებს გადააწყდა. რაც მათ ნახეს, ნამდვილი განძი იყო. ქოთანი და რამდენიმე კრატერი 164 კილოგრამი სუფთა ოქროთი იყო ამოვსებული. განძი ჩვ.წ.აღ-მდე IV-III საუკუნეს მიეკუთვნებოდა.

განძი, რომელიც „პრესლავის" სახელითაა ცნობილი, 1978 წელს, ბულგარეთში, ერთმა გლეხმა, ვენახში აღმოაჩინა. გათხრების შედეგად 170 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთი აღმოაჩინეს, რომელიც კონსტანტინე VII-ს ეკუთვნოდა. განძი არქეოლოგებმა ჩვ.წ. აღ-ით — VII საუკუნეს მიაკუთვნეს.



განძის ჩამონათვალი სრულყოფილი არ იქნება, თუ ტუტანხამონის განძს არ ჩავთვლით. 1922 წელს ჰოვარდ კარტერმა მუშების ქოხებქვეშ უზარმაზარი სიმდიდრე აღმოაჩინა. სწორედ მისმა ადგილმდებარეობამ გადაარჩინა განძი განადგურებას. განძის ყველაზე ცნობილი ნაწილი ტუტანხამონის „ოქროს ნიღაბია". გარდა ამისა, სამარხში ძვირფასი ქვებით მორთული ოქროს კუბო, ტახტი, კვერთხი და სხვა წვრილმანი ნივთები აღმოაჩინეს.

კიდევ ერთი განძი ბულგარეთში იქნა ნაპოვნი, რომელიც „პერეშეპინის" სახელითაა ცნობილი. 1912 წელს, მწყემსი ბიჭუნა ოქროს ჭურჭელს გადააწყდა, ფეხი წამოჰკრა და პირდაპირ კუვარტის (დიდი ბულგარეთის დაამარსებელი, ბულგარეთის იმპერიის დამაარსებლის ასპარუხის მამა) საფლავში ჩავარდა. სამარხში უამრავი ოქროსა და ვეცხლის ნივთი აღმოაჩინეს. მათ შორის ყველაზე ფასდაუდებელი ოქროს ხმალი გახლავთ, რომლის ვადაც ძვირფასი თვლებითაა მოოჭვილი.

განძი, რომელიც „ტილია ტეპეს" სახელითაა ცნობილი, ავღანეთში საბჭოთა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს. ავღანურ განძში 20 ათასზე მეტი ოქროს ნივთია, რომელიც 5 ქალისა და 1 მამაკაცის სამარხში აღმოაჩინეს. ნივთებს შორის გახლდათ მონეტები, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს სამკაულები, ქამრები, მედალიონები და გვირგვინები. განძი ჩვ.წ.აღ-ით I საუკუნითაა დათარიღებული.

ყველაზე ბოლო აღმოჩენა გახლავთ ინდონეზიის სანაპიროსთან, ოკეანის ფსკერზე ნაპოვნი ჩაძირული ხომალდი, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება. წყლის ქვეშ 14 ათასი მარგალიტი, 4 ათასი ძოწი, 400 მუქი წითელი საფირონი და 2000-ზე მეტი ბრილიანტი აღმოაჩინეს. ამასთან, ხომალდზე იპოვეს სუნამოს ფლაკონები, რომლებიც გამომწვარი თიხისგან იყო დამზადებული; ჩაიდნები, რომელზეც ლოტოსის ყვავილია გამოსახული; დრაკონისა და თუთიყუშის-გამოსახულებიანი თეფშები. განძი რამდენიმე მილიონ დოლარადაა შეფასებული და მისი ნახევარი სახელმწიფოს კუთვნილება გახდა.

XIX საუკუნის მეცხენაფის გზა

ლიონიდან ნუკრიანის სასაფლაოზე საკუთარი ხარჯით აგებული ტაძრის ძვალთშესალაგამდე...

სიღნაღის ცენტრში დღემდე დგას სახლი, რომლის ინტერიერი ამ ქალაქის არქიტექტურული სტილისთვის ძალზე უჩვეულოდ და არაორდინარულად გამოიყურება. ეს ორიგინალური სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი XIX ს-ის მიწურულს ააგო ლუკა მოსულიშვილმა. კაცმა, რომელმაც რევოლუციური კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქის ქიზიყში დემოკრატიული და თავისუფალი სამყაროს პრინციპებით ცხოვრება მოახერხა. მისი სახით, XIX ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ჰყავდა უდიდესი ქველმოქმედი ბიზნესმენი, რომელიც უზომოდ ბევრს გასცემდა და უშურველად იხარჯებოდა. თითქოს, ერთგვარ მაგალითს ანდერძად უტოვებდა შთამომავლობას.

მარინა გოგოლაშვილი

ლუკა მოსულიშვილი 1836 წელს, სიღნაღის მაზრის სოფელ ნუკრიანში, უბრალო გლეხის ოჯახში დაიბადა, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღო და გერმანიიდან პროვიზორის დიპლომით დაბრუნდა. მან პირველმა დააარსა საოფთიაქო ქსელი ლაგოდეხში, თელავსა და დედოფლისწყაროში, ხოლო სიღნაღში გახსნა დიდი აფთიაქი, თავისი ამბულატორიით, ლაბორატორიით და მედპერსონალის არცთუ მცირერიცხოვანი შტატით.

ჭეშმარიტი მამულიშვილობა ლუკამ არაერთხელ დაამტკიცა. ქართველი მებრძოლების გადასარჩენად მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ბრძოლაში, როგორც მედმუშაკმა, რისთვისაც ცნობილ პროვიზორს მიღებული ჰქონდა შვიდი ორდენი, მათ შორის, „წმინდა გიორგის ჯვრის“ ორგზის კავალერი გახლდათ. ალბათ, ამან თუ განაპირობა, რომ სიღნაღში სტუმრად ჩამოსული რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამე მეუღლითურთ, სწორედ ლუკას სახლში ცხოვრობდა, რომელიც იმ დროისთვის ქალაქ სიღნაღის მერი გახლდათ.

მეფის კეთილგანწყობილება უღალატო ქიზიყელმა საკუთარი ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენა: მან თანხა გაიღო და საქართველოს საზღვრების დასაცავად, რუსეთის სამხედრო არსენალიდან ზარბაზნების შესყიდვის ნებართვა სთხოვა იმპერატორს.

თავის ბიზნესსაქმიანობით ლუკა მოსულიშვილს უმდიდრესი კაპიტალი დაუგროვებია. ის ეწეოდა სხვადასხვა სახის მეწარმეობას, მეღვინეობას, მეფუტკრეობას, ფლობდა უამრავ მამულს არა მარტო სიღნაღის რაიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ლუკა მოსულიშვილის საკუთრებაში შედიოდა ყოფილი სტამბისა და „ფინგანის“ შენობები (მის ადგილას დღეს ბანკი „რესპუბლიკის“ ფილიალი და ფრანგული კაფეა განთავსებული), აგურის ქარხანა ნუკრიანში, ფერმები, მიწის ნაკვეთები და აგარაკი გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის შენობა გურჯაანში, „დაცული ტყე“ სოფელ ზემო ბოდბეში, ორსართულიანი სახლი ნუკრიანში, წისქვილები ანაგის ხევზე, აგარაკი კარდანახში. არსებობს გადმოცემა, რომ ლუკა მოულიშვილს საფრანგეთის ქალაქ ლიონის ბანკში ყველა შვილის სახელზე შეტანილი ჰქონდა ფული, რომელიც შთამომავლობამ ვერარ გამოიტანა. გარდა იმისა, რომ საჭირო იყო, რაღაც საბუთის წარდგენა, რაც ლუკას შთამომავლობამ ვერარ მოიძია, ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მთლიანი თანხის ნახევარი უნდა მოხმარებოდა გარკვეული სახის ქველმოქმედებას, რისი ორგანიზებაც, აგრეთვე, ვერ მოხერხდა.

ლუკა მოსულიშვილის ის შთამომავლობა, რომელიც დღესაც ცხოვრობს სიღნაღში, ადასტურებს, რომ ლიონის ბანკში შეტანილი თანხის შესახებ საბუთები ნამდვილად არსებობდა მათ ოჯახში, მაგრამ 1921-24 წლებში იმის შიშით, რომ რეპრესიების ქარტეხილი თავზე არ დასტეხოდათ, რადგანაც თავად ლუკა საბჭოთა ხელისუფლებამ „კულაკად“ გამოაცხადა, ოჯახის წევრები იძულებულნი გახდნენ, გაენადგურებინათ ლიონის ბანკის საბუთები.

ჩანს, ლუკა მარტო საკუთარ შვილებზე არ ზრუნავდა. ის განსაკუთრებით მფარველობდა და წყალობდა ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს. მეფის ხაზინაში ქველმოქმედებისთვის შეტანილი ჰქონდა ნახევარი მილიონი რუსული რუბლი. ეს თანხა ნაწილდებოდა ღარიბი და ნიჭიერი სტუდენტების სწავლის გადასახადებად და სტიპენდიებად. ლუკას დიდბუნებოვნების დასტურია ის გადმოცემაც, რომლის თანახმადაც, გასესხებულ ფულს, რა რაოდენობისაც უნდა ყოფილყო ეს თანხა, ლუკა მოსულიშვილი უკან აღარ იბრუნებდა, ვალს არავის ართმევდა.

ლუკა მოსულიშვილს 8 შვილი ჰყოლია: კოტე, თომა, ლუკა, მარო, ნინო, თამარი, ანეტო და ელო. თუმცა არსებობს ვერსიაც, რომლის მიხედვით, მისი შვილების რაოდენობა 24-ს აღწევს, რაც ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს, რადგან ლუკას ერთი რჯულისმიერი მეუღლე ჰყავდა და ცხადია, ერთ ქალს 24 შვილის შობა გაუჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ იგი არცთუ ისე ხნიერი — 51 წლისა გარდაცვლილა.

თავად საზღვარგარეთ ცოდნამიღებულმა ლუკამ შვილების სათანადო სწავლა-განათლებაზეც შესაბამისად იზრუნა, რისთვისაც ისინი ხარკოვში, პოლონეთსა და გერმანიაში გაგზავნა. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი შვილი ვაჟა-ფშაველას მასწავლებელი ყოფილა. მის ერთ-ერთ ქალიშვილს უკავშირდება ამბავი, რომელიც ლეგენდას უფრო წააგავს, ვიდრე რეალობას. თუმცა, ხნიერ ნუკრიანელებს ნამდვილად ახსოვთ სოფლის სასაფლაოზე მდგარი ახალგაზრდა ქალის ქანდაკება. ამბობენ, რომ ეს ქანდაკება, 19 წლის ასაკში გარდაცვლილი ქალიშვილის უკვდავსაყოფად, მისსავე საფლავზე დაუდგამს ლუკა მოსულიშვილს. საამისოდ კი საფრანგეთიდან და იტალიიდან სპეციალურად ჩამოუყვანია ქვის ოსტატები.

ღვთისმოშიშ ლუკა მოსულიშვილს საკუთარი სულის ცხონებაზეც უზრუნია. მან საკუთარი ხარჯებით, კალატოზ ნოდარ ნადირაშვილს წმინდა გიორგის სახელზე ეკლესია ააგებინა. არაჩვეულებრივი ტაძარი, ულამაზესი თაღოვანი სისტემით, დღესაც დგას სოფელ ნუკრიანში.

სწორედ ამ ეკლესიაში პოვეს სამუდამო ძვალთშესალაგი დიდმა მეცენატმა, ლუკა მოსულიშვილმა და მისმა მეუღლემ — ელისაბედმა. აქვეა დაკრძალული ამ ტაძრის ამშენებელი ნოდარ ნადირაშვილი, რომელიც 1907 წელს გარდაცვლილა. იმავე წელს, 71 წლის ასაკში ლუკა მოსულიშვილი მოუკლავს ვინმე მირიანაშვილს, სოფელ ანაგის მკვიდრს, სავარაუდოდ, რევოლუციონერს, რომელიც, აგრეთვე სავარაუდოდ, პარტიულ დავალებას ასრულებდა...

„უკვე მესამე ოლიმპიადაზე ჩავედი ველოსიპედით“

ტანჯვა-ნამებით გავლილი 13700 კილომეტრი

ცნობილი ქართველი ველომოგზაური, ჯუმბერ ლეძავა პეკინის ოლიმპიადიდან განაწყენებული დაბრუნდა. როგორც თავად ამბობს, აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის წუთიდან გზად უამრავ ხიფათს გადაეყარა, დამცირებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ატანაც არაერთხელ მოუხდა, მაგრამ ყველაზე მეტად, პეკინში ჩასვლისას, ისევ ქართველებმა დასწყვიტეს გული. 69 წლის კაცს, რომელმაც ქართველების საგულშემატკივროდ 13700 კმ ველოსიპედით გაირა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად აკრედიტაცია არ მისცა.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ჯუმბერ, აკრედიტაციაზე უარი რა მოტივით გითხრეს?

— არ ვიცი, ჩემთვის გაუგებარია. ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა ემზარ ზენაიშვილმა მითხრა — სააკრედიტაციო სიაში არ შეგვიყვანიხარ, მაგრამ რაღაც ბილეთებს გაგიხერხებო. ექვსი ბილეთი მართლაც მომცა, მაგრამ იმით ოლიმპიური თამაშების ვერც გახსნის და ვერც დახურვის ცერემონიას ვერ დავესწარი. ასევე ვერ დავესწარი ქართველი სპორტსმენების გამოსვლებს. ამ ბილეთებით, რუს გულშემატკივრებთან ერთად, მათ სპორტსმენთა შეჯიბრებებს ვესწრებოდი. არც ერთ რუსს ჩემთან გასაუბრებაც კი არ უცდია. მათ შორის, ქართული ხუთჯვრიანი დროშით ხელში, ჯიუტად და უხმოდ ვიჯექი. პეკინში ქართველ სპორტსმენთა საგულშემატკივროდ ჩავედი. როგორც საქართველოსა და მსოფლიოს დესპან-ჩოხოსანს, მინდოდა, რომ ოლიმპიადის ღონისძიებებზე ქართული ჩოხით მევლო. ჩოხის გამოგზავნა გოგი დოლიძეს ვთხოვე, გამომიგზავნა კიდეც, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონისა და ღირსეული მოქალაქის — რობერტ შავლაყაძის დახმარებით, მაგრამ რატომღაც, ბატონმა ემზარმა მითხრა — ჩოხა არ ჩამოგვიტანიაო.

— ჩოხა დაკარგეთ?

— არა, მაგრამ ბატონმა ემზარმა ის მხოლოდ თბილისში ჩამოსვლისას დამიბრუნა. ასეთი რამ რატომ გამიკეთეს ვერაფრით ვხვდები. უკვე მესამე ოლიმპიადაზე ჩავედი ველოსიპედით. ადრე ასეთი მოგზაურობის ბოლოს, ოლიმპიური ფორმით მასაჩუქრებდნენ, ახლა კი ამაზეც უარი მითხრეს. ერთადერთი, ვინც ჩემ მიერ პეკინამდე გავლილი გზის მნიშვნელობა დააფასა, ქალბატონი ნანა ალექსანდრია იყო. მან, ჩვენს ქართველ ჩემპიონებთან ერთად, ოქროს ოლიმპიური საპატიო მონეტით მეც დამაჯილდოვა. არ მინდა, ოლიმპიური კომიტეტის მიმართაც უმადურობა გამოვიჩინო, ამიტომ აღვნიშნავ, რომ პეკინიდან, საქართველოში თავიანთი ხარჯით წამომიყვანეს. სხვათა შორის, რომელ ქვეყანაშიც ჩავედი, აზერბაიჯანში, ირანში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ყაზახეთსა თუ ჩინეთში, ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები ყველგან დამეხმარნენ.

— ოლიმპიურ კომიტეტს წინასწარ თუ სთხოვეთ აკრედიტაციის გაკეთებას?

— პეკინის ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად მზადება ორი წლის წინათ დავიწყე და ოლიმპიურ კომიტეტსაც მაშინ ვთხოვე — ჩემთვის ოლიმპიადაზე დასასწრები აკრედიტაცია გაეკეთებინა. ვიდრე მოგზაურობას დავიწყებდი, აკრედიტაციის შესახებ კიდევ ერთხელ შევახსენე. გამგზავრებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შემქმნია, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტმა, ოლიმპიურმა კომიტეტმა, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ქალბატონმა სანდრა რულოვსკამ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გამიწიეს. მართალია, საჭირო თანხა სრულად ვერ შეეგროვე, მაგრამ წინა მოგზაურობასთან შედარებით, უკეთეს პირობებში შემეძლო დასახული მიზნის განხორციელება.

— მოკლედ ხომ ვერ გვიამბობთ თქვენი მოგზაურობის შესახებ?

— თბილისიდან სტარტი 7 მარტს ავიღე და ლაგოდეხის გავლით საინგილოში ჩავედი. მინდოდა, რომ მოგზაურობა საქართველოს ისტორიული საზღვრიდან — ძველი ჰერეთიდან დამეწყო. კახში, ჩემს მასპინძელთან, ქართული ფოლკლორული ანსამბლის — „ლაზარეს“ ხელმძღვანელთან, ემზარ სუყაშვილთან ერთად ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მოვინახულე. იქვე ჩემს ველოსიპედზე ქართული დროშა დავამაგრე და აზერბაიჯანის დედაქალაქისკენ გავემართე. გზაზე ახალგაზრდები დამხვდნენ, რომლებიც ჩემი ველოსიპედიდან საქართველოს დროშის მოხსნას შეეცადნენ. რა თქმა უნდა, არ დავემორჩილე და მათთან სერიოზული ჩხუბი მომივიდა. საბედნიეროდ, ადგილობრივმა პოლიციამ დროულად აღმომიჩინა დახმარება და ხულიგნები დააპატიმრა. ამ ინციდენტის შემდეგ გზა განვაგრძე, 5 თუ 6 დღე ვიარე, მაგრამ მსგავსი პრობლემა აღარ შემქმნია.

თბილისიდან სტარტი
7 მარტს ავიღე

— აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ქართული დროშა რატომ არ მოეწონათ?

— ასე მითხრეს — ჩვენს ტერიტორიაზე ჯვრიანი დროშებით სიარული არ შეიძლებაო. სხვათა შორის, ბაქოში ძალიან კარგად მიმიღეს; ჩემი მოგზაურობით ადგილობრივი პრესაც კი დაინტერესდა. რამდენიმე დღის შემდეგ, გეზი ირანისაკენ ავიღე. თეირანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა ისტორიული ღირსშესანიშნაობები და მუზეუმები დამათვალიერებინეს, ახალი რუკებით დამასაჩუქრეს და გამომაცილეს. იქიდან დაშტის უდაბნოს გავლით, ქალაქ მეშხედში ჩავედი. გზად, იქაც კონფლიქტი მომივიდა ახალგაზრდებთან, რომლებსაც ასევე არ მოეწონათ ჩემი ქართული ხუთჯვრიანი დროშა. იქაც ადგილობრივი პოლიცია დამეხმარა. მინდოდა, რომ ქალაქ მეშხედიდან ავღანეთში გადავსულიყავი, მაგრამ ვიზა არ მომცეს.

— რატომ?

— უარის მიზეზი ავღანეთში არსებული საბრძოლო მოქმედებები იყო. იძულებული გავხდი, თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადისკენ ამეღო გეზი. ერთ-ერთი უღელტეხილის გადალახვისას, უცხო პირებმა ცივი წყალი მომაწოდეს, დავლიე თუ არა, სუნთქვა გამიჭირდა, რის შედეგადაც გული გადამეღალა. აშხაბადში რამდენიმე დღე დავრჩი, რომ გულის ნორმალურ რეჟიმში ჩასაყენებლად სპეციალური ვარჯიშები ჩამეტარებინა. კიდევ კარგი, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები დამეხმარნენ, თორემ არ ვიცი, როგორ მოვახერხებდი ფიზიკური ძალების აღდგენას. ამის შემდეგ გავიარე ყარაყუმისა და ყიზილყუმის უდაბნო, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ჩავედი ყაზახეთში — ქალაქ ალმა-ათაში. ამ მოგზაურობის დროს სულ 14 უღელტეხილი გადავიარე, მაგრამ ხორგოსიდან გასვლის შემდეგ, 3634 მ სიმაღლის უღელტეხილის გადავლა განსაკუთრებულად გამიჭირდა. 200 კილომეტრი საშინელ პირქარში, სულ ქვებსა და ბელტებზე ვიარე.

თანაც ღამის გათევა გზის პირას მიწევდა, რადგან ახლომახლო დასახლებული ადგილები არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ სინძიანის პროვინციაში 26 მილიონი კაცი ცხოვრობს, პროვინციის მნიშვნელოვანი ტერიტორია დაუსახლებელია. მოსახლეობის უმეტესობა ქალაქში ცხოვრობს. როგორც იქნა, ჩავაღწიე ქალაქ ურმუჩიში (ავტონომიური პროვინციის დედაქალაქია). იქაური პოლიცია ჩემდამი რატომღაც ცუდად განეწყო.

— რას გულისხმობთ?

— რამეს რომ ვკითხავდი, საერთოდ არ მპასუხობდნენ ან მატყუებდნენ.

— პოლიციელებთან რა ენაზე ურთიერთობდით?

— ინგლისურად. ძალიან გამიჭირდა, რადგან პოლიცია არასწორ მიმართულებას მაძლევდა და აქეთ-იქით უაზროდ სიარული მიწევდა. რუკა თან მქონდა, მაგრამ მასზე ზოგჯერ საერთოდ არ იყო აღნიშნული ის დასახლებები, რაც რეალურად არსებობდა. თავად ურმუჩიში მაიძულებდნენ — გინდა თუ არა, ღამე ძვირად ღირებულ სასტუმროში გაათიეო. ჩემი ფინანსური მგომარეობიდან გამომდინარე, მათი მოთხოვნა ვერ დავაკმაყოფილე, ამიტომ, საერთოდ არც ერთ სასტუმროში აღარ შემიშვეს. ღამე გარეთ, სკამზე გავათენე. ამას კიდევ როგორღაც ავიტანდი, მაგრამ გვერდით ჩინელი ლოთები მომისხდნენ, წერისა და დასვენების საშუალება არ მომცეს. იძულებული გავხდი, დილის 4 საათზე ტაკლამაკანის უდაბნოსაკენ დავძრულიყავი. ქალაქიდან გასვლისთანავე აღმართები დაიწყო. მესამე დღეს 4562 მ სიმაღლის უღელტეხილი გადავლახე და ქალაქ კორლაში ჩავედი. ულამაზესი ქალაქია, არქიტექტურულად იაპონიის ქალაქებს ჰგავს. სხვათა შორის, ახალი ჩინეთი ძალიან ლამაზ სტილში შენდება. ტაკლამაკანის უდაბნოში, რომელიც ასევე დაუსახლებელია, 800 კილომეტრი გავიარე. რუკაზე აღნიშნული ქალაქები სინამდვილეში არ არსებობს, მათ მაგივრად პატარა, 20-25-ოჯახიანი დასახლებებია. ძალზე ძნელია ამ უდაბნოს გავლა, რადგანაც თავშესაფარი არსადაა, წყალსაც კი ვერსად იშოვი. მზის მწველი სხივებისაგან თავდასაცავად სამი ჯემპრი მეცვა და ქუდი მეხურა. დასასვენებლად ვერსად ვჯდებოდი, რადგან მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, გავარვარებულ ქვიშას კი ცხელი ორთქლი ასდიოდა. როდესაც ძალიან ვიღლებოდი, ქვიშას ამოვყრიდი, მკვრივ გრუნტამდე ჩავიდოდი და იმაზე ვწვებოდი, ის შედარებით გრილი იყო. ერთხელაც, დასასვენებლად რომ ვიყავი წამოწოლილი, პოლიციელები თავს დამადგნენ. გამესაუბრნენ, მომიკითხეს, ცივი წყალი მომაწოდეს და წავიდნენ. გზის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ მოულოდნელად ძალა გამომეცალა და ველოსიპედზე დაჯდომა ველარ მოვახერხე. მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა.

— რა მოხდა?

— ადრე რომ ვმოგზაურობდი, წყლით, ჩაით და რძით ვიწამლებოდი, რაშიც ბუნებრივია, ადამიანის ხელი ერია. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, იგივე განმეორდა. ამ უდაბნოში, გარეთ ერთი ღამეც რომ დავრჩენილიყავი, დილით მხოლოდ ჩემს ჩონჩხს იპოვიდნენ. როგორღაც თავს ვძლიე და ველოსიპედზე ბარბაცით დავჯექი. ყოველი ათი მეტრის გავლის შემდეგ, ძირს ვვარდებოდი; ასეთი წვალებით, დაახლოებით 2 კილომეტრი გავიარე და ჩემდა ბედად, შენობა დავინახე. იქ თურმე ახალგაზრდა მეცნიერები მუშაობდნენ, რომლებიც ტაკლამაკანის უდაბნოს ჰავასა და გრუნტს იკვლევდნენ. იმდენი მოვახერხე, რომ იქამდე მივაღწიე. ახალგაზრდებმა სამი დღე მიმკურნალეს. იცით, რა დღეში ვიყავი? კუნთები სულ ჩამომეკიდა. კანი ცარიელ ძვალზე მქონდა გადაკრული. იმ ახალგაზრდებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ადამიანს დავმსგავსებოდი. მხოლოდ მეოთხე დღეს შევძელი გზის გაგრძელება.

— თქვენი მოწამვლა რაში დასჭირდათ?

— ეს უდაბნო თავად ჩინელებს არ ჰქონდათ გავლილი და არ უნდოდათ, რომ ეს პირველად სხვას გაეკეთებინა. იქიდან სრულიად განსხვავებულ, ჩაიდამუს უდაბნოში გადავედი. თუ ტაკლამაკანი დაბლობზეა და საშინლად ცხელი ჰავით გამოირჩევა, ჩაიდამუ 3000 მ-ზე მაღალ ზეგანზე მდებარეობს და იქ ძალიან ცივა. ეს უდაბნო 12 დღეში გავიარე და ქალაქ გარმუში ჩავედი, რომელიც თურმე მთელ ჩინეთში ბანდიტებისა და ქურდების ქალაქად ყოფილა ცნობილი. ჩემი გეგმის მიხედვით, იქიდან ავტობუსით უნდა ჩავსულიყავი ლჰასაში — ტიბეტის ავტონომიური რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და შემდეგ, უკან — გარმუში ველოსიპედით დავბრუნებულიყავი. როდესაც ავტოსადგურში ბილეთის შესაძენად მივედი, სალაროში მოლარე არ დამხვდა. იქვე ერთი ახალგაზრდა იდგა, რომელმაც ბილეთი სამმაგი თანხის საფასურად შემომთავაზა. მეორე დღეს, საღამოს, ამ ყმაწვილის მიერ მითითებულ ავტობუსში ჩავჯექი (წინადღეს, ბანკიდან მთლიანად გამოვიტანე ჩემს ანგარიშზე დარჩენილი თანხა, იმიტომ რომ იქ ზოგიერთი ქალაქის ბანკიდან ფულის გამოტანა შეუძლებელია). მოულოდნელად, ავტობუსმა ბნელ ადგილზე გააჩერა. მძღოლის თანაშემწემ მთხოვა — დაბლა ჩამოდიო. ჩავედით თუ არა, ავტობუსი ადგილს მოსწყდა და სიბნელეში გაუჩინარდა. კიდევ კარგი, უცებ გავერკვიე ვითარებაში, მძღოლის თანაშემწეს დავარტყი და ავტობუსს გავეკიდე. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ბანდიტებს, იქვე ახლოს მანქანა ელოდათ, რომლითაც ჩემს გატაცებას გეგმავდნენ. კიდევ კარგი, სიბნელე იყო და ვერ დამინახეს, საით გავიქეცი. გავრბოდი და თან მანქანებს ვუქნევდი ხელს. ყურადღებას არავინ მაქცევდა. ბოლოს, როგორც იქნა, ტაქსიმ გამიჩერა. 13 კილომეტრის გავლის შემდეგ, ერთ-ერთ პოსტზე, ჩემი ნაცნობი ავტობუსი დავინახე. გაქანებული ტაქსიდან გადმოვხტი, პოლიციას დავუძახე — არ გაუშვათ, ბანდიტები არიანმეთქი და უკვე დაძრულ ავტობუსში შევხტი. ვეცი მძღოლს, წავართვი გასაღები, ხელები უკან გადავუგრიხე, დაბლა ჩამოვათრიე და პოლიციას ჩავაბარე. ოდნავ მოგვიანებით, ხალხში ის გამცილებელიც შევნიშნე, ავტობუსიდან რომ ჩამიყვანა. ისიც დავიჭირე და პოლიციას ჩავაბარე. ჩემი კუთვნილი ბარგი მანამადე ვერ დავიბრუნე, ვიდრე საქართველოს საელჩო არ ჩაერია საქმეში. პოლიცია აშკარად ბანდიტებთან იყო შეკრული. ჯერ ავტობუსი გადამალეს, რომ ბარგი არ მეპოვა. მერე, პოლიციამ ბილეთი მომპარა, ვითომ უბილეთო მგზავრი ვიყავი. ბოლოს, ჩემ მიერ დაჭერილი გამცილებელიც გააპარეს. მეორე დღეს ისევ მივედი ავტოსადგურში, სალაროში ბილეთზე ისევ უარი მითხრეს და იქვე მყოფმა უცხო ახალგაზრდამ ბილეთი სამმაგ ფასში შემომთავაზა. გადაწყვიტე, რომ გზად მიმავალ მანქანას გავყოლოდი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ძლივს გამიჩერა ერთმა მანქანამ, მაგრამ ისევ ქურდების გარემოცვაში აღმოვჩნდი. იქიდანაც ჩამოვხტი და ისევ გარმუში დავბრუნდი. მეორე დღეს პეკინისკენ ავიღე გეზი. თავიდან შესანიშნავი გზები და ქალაქები გავიარე. საკმაოდ ბევრი ფოტო და ვიდეომასალა გადავიღე და მივადექი ლანჯოუს. იქიდან პეკინისაკენ ორი გზა მიდიოდა, ერთი ნორმალური, მეორე საშინელი — სიკვდილის გზა. მე სიკვდილის გზა ავირჩიე.

საკმაოდ ბევრი ფოტო და ვიდეომასალა გადავიღე

— ნამდვილად სიკვდილის გზა ერქვა თუ თქვენ შეარქვით ასე?

— მე არაფერი მომიგონია, ნამდვილად ასე ერქვა. გზად ჩონჩხების ნიშნულებიც კი დგას. უასფალტო, ვიწრო, დანგრეული გზა არის. მარჯვნივაც უფსკრულია და მარცხნივაც. სიგანეში მხოლოდ ერთი მანქანა ეტე-

გაგრძელება იხ. გვ. 82

ქორიელის ხიმალი

დასაწყისი „გზა“ №24-38

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შეხედულება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ასეთი რამ ირაკლის ცხოვრებაში ჯერ არ ყოფილა, არასდროს, არასდროს! გულისცემას თითქოს თავის არეში გრძნობდა და არა მკერდში, ყურებში ჩაესმოდა მისი ბაგაბუგი. ყველა სიკეთესთან ერთად, ხელებიც უკანკალებდა და თაკოს რომ არ შეემჩნია, ქურთუკის ჯიბეებში ჩამალა. ახლა მძღოლი იკითხავს, საით წავიდეთო. რა უპასუხოს? თაკოს სად სურს? ალბათ, არც იცის. მან? მან კი იცის? წარმოდგენა არა აქვს.

მგონი, აჯობებს, თუ თავისთან წაიყვანს სახლში.

ტაქსის მძღოლმა სწორედ ამ დროს მოაბრუნა თავი და იკითხა.

— საით მივდივართ?

გოგონას სახეზე უმწეო დაბნეულობა აღებეჭდა. მამაკაცმა ალმაცერად გახედა და ხმადაბლა თქვა.

— ცენტრში გადი, რომელიმე კაფეს ავირჩევთ და ჩამოვალთ, — და გამამხნევებლად გაუღიმა პრინცესას.

ტაქსი დაიძრა... მასთან ერთად თითქოს სამყაროც დაიძრა და დატრიალდა სარკმლის მიღმა. მორიელს დაუჯერებლად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი. ნუთუ, თავიდან იწყება მათი ურთიერთობა? ისევ ისე, უცნობებივით შეხვდნენ ერთმანეთს... როგორც მაშინ, თაკომ ახლაც არ იცოდა, ვინ იყო ირაკლი, რა ერქვა, რას წარმოადგენდა. ისევ კაფეში უნდა დასხდნენ ფინჯანი ყავითა და ანანასის წვენით ხელში... განსხვავება მხოლოდ ერთია — მაშინ თაკო ცდილობდა, მოეწონებინა მისთვის თავი, ახლა ირაკლის უნდა ეზრუნა ამაზე.

ყველაფერი თავიდან, კვლავ თავიდან...

მძღოლი დუმდა... დუმდა თაკოც... ირაკლიც...

მხოლოდ მისი გული ხმაურობდა...

მორიელმა მარჯანიშვილზე მყუდრო კაფე შეარჩია. გოგონა გაფართოებული თვალებით იყურებოდა აქეთ-იქით. როგორც იქნა, პირადმა მცველმა შეძლო თავის ხელში აყვანა და ოდნავ დამშვიდდა. შოკოლადი, ყავა, წვენი შეუკვეთა და თაკოს გახედა.

გოგონა გამხდარიყო, სახეც გასცრეცოდა. საავადმყოფოში მისთვის თმა შეეჭრათ, რის გამოც ასაკით კიდევ უფრო პატარა ჩანდა. ამწუთას მორიელი ამას აღარ დაეძებდა. ახალი ვარცხნილობა რაღაცით ცვლიდა კიდეც თაკოს, მაგრამ რით — ვერ ხვდებოდა, თუმცა კი უხდებოდა პატარას. მას ყველაფერი უხდებოდა — გახდომაც, სიფერმკრთალეც, მოკლე თმაც, სევდიანი გამოხედვაც და იდუმალი ღიმილიც...

ისხდნენ და მდუმარედ სვამდნენ, ირაკლი — წვენს, თაკო — ყავას.

— ხომ არ მოიწყინეთ? — მხიარული ტონით ჰკითხა მამაკაცმა.

— როგორ გითხრათ...

— როგორც არის: თუ მოიწყინეთ, თქვით, არ მეწყინება.

თაკომ თვალები დახარა.

— რა საოცარია, არა? მიაქციეთ ყურადღება? — ირაკლიმ ეშმაკურად გახედა.

— რას? — შეშფოთება დაეტყო თაკოს.

— თითქმის ერთი საათია, ერთად ვართ და ერთმანეთის სახელებიც კი არ ვიცით.

— ა! ჰო! მართალი ხართ!

— მე ანრი მქვია, — დაახეთქა უცებ მორიელმა, მაინცდამაინც ეს სახელი საიდან მოაფიქრდა?

— მე... თამარი.

— ლამაზი სახელია, ძველისძველი, ისტორიული... მეგობრები როგორ მოგმართავენ?

— მეგობრები? — სახე წაეშალა თაკოს, ვინ არიან მისი მეგობრები? რომ არ ახსოვს? სამაგიეროდ, ის ახსოვს, ექიმი ხან თამარს რომ ეძახის, ხან თაკოს, — შეგიძლიათ თაკოთი მომმართოთ.

— ასე უკეთესია, უფრო შინაურულად ჟღერს. შოკოლადს რატომ არ მიირთმევთ?

— არ მიყვარს, არ ვჭამ, — მხრები უხერხულად აიჩეჩა გოგონამ.

ირაკლიმ წარბები აზიდა... არადა, ვინ-ვინ და, ირაკლიმ მაინც იცის, როგორ უყვარს პატარას შოკოლადი.

— კიდევ ავიღებ ყავას, გინდათ?

— არა, დიდი მადლობა, საკმარისია, თორემ ღამით არ დამეძინება.

„ღამით“... — ამ სიტყვის გაგონებაზე ირაკლის სუნთქვა გაუჩერდა. რა იქნება ღამით?

— წვენი? ღვინო? ან იქნებ შამპანური გესიამოვნებათ? — ჩქარ-ჩქარა მიაყარა.

— არა, არ მინდა... თუმცა, ანანასის წვენს მეც დავლევდი, თუ...

გოგონა ნელ-ნელა დამშვიდდა. მოეწონა გარემოც და კავალერიც, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობდა მისი გულის მოგებას. კარგია, საავადმყოფოს იმ სპეციფიკურ სუნს რომ ვერ გრძნობს. არც არავის ელოდება და არც არსად ეჩქარება. ის ახლა თავისუფალია. არც ექიმი მოაბეზრებს თავს და არც თავისი საქმრო. არც ისე ცუდი ყოფილა გარეთ. რა ჯანდაბა დაემართა, საიდან მოვიდა ეს ამნეზია! რატომ უნდა დაავი-

წყდეს ადამიანს ის, რაც იყო გუშინ, გუშინწინ? ამის გაფიქრებაზე, გული შეეკუმშა. მას თურმე დანაშაული ჩაუდენია. საინტერესოა, რა დააშავა ასეთი. ესეც არ ახსოვს... მაგრამ ყველაფერი არ დავიწყებია?.. იცის, რომ არსებობს ასეთი კაფეები, ქუჩები, ქალაქები, არსებობენ ადამიანები — კეთილები და ბოროტები... მხოლოდ... მას ეს ყველაფერი თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ აქვს ნანახი, ბავშვობაში თუ სხვა სამყაროში...

რა უნდა ქნას, ეს კაცი რომ დაემშვიდობება? სად წავიდეს? რაღაცას მოიფიქრებს, პატარა გოგო ხომ არ არის. ამწუთას ეს სულაც არ ანაღვლებს, ისე კარგად გრძნობს თავს.

წვენი და მეორე ფინჯანი ყავა მოიტანეს. ირაკლიმ კვლავ შესთავაზა თაკოს შოკოლადი. გოგონას ამჯერად უარი არ უთქვამს.

თაკომ წვენი მოსვა და ფიქრი გააგრძელა. „ფული რომ არ მაქვს? ამ კაცს ხომ არ ვესესხო? მერედა, რა ვუთხრა? იქნებ მოვუყვე, რაც ხდება? დაიჯერებს? ისევ უკან არ დამაბრუნოს, საავადმყოფოში. მაგრამ თუკი მოვწონვარ? რას ვიცინებ, თავისთან რომ შემომთავაზოს წასვლა და ღამე დარჩენა. რა უჭირს?! არ ვიცი... ალბათ უკვე მეძებენ. ვაითუ, მთელი პოლიცია ფეხზე დგას. რა სულელი ვარ, არ უნდა გავქცეულიყავი... მაგრამ აქ ისე კარგია... აბა, რა მექნა, იქ დავრჩენილიყავი და მეცადა? რისთვის? როდის დამიბრუნდებოდა მეხსიერება, თუ როდის მომაკითხავდა პოლიცია? იქნებ, ჩემს მომავალ ქმარს დავლოდებოდი? არა, კარგი ვქენი, რომ გამოვიპარე. მართალი ვიყავი, მისი ნახვა რომ არ მინდოდა. ის ისეთი... ისეთი უსიამოვნო კაცია... ნეტავ, რაც მითხრა, მართალია? იქნებ, მომატყუა? იქნებ, არც დანაშაული ჩამიდენია და არც პოლიცია მეძებს? მაგრამ რაში სჭირდებოდა ტყუილი?.. საოცარი რამეა ეს ამნეზია...“

ირაკლიმ საათს დახედა. თაკომ შენიშნა მისი ეს ჟესტი. „მორჩა, ახლა ადგება, დამემშვიდობება და წავა. ალბათ, საქმეები აქვს, ან ცოლთან და შვილებთან მიეჩქარება... რა მეშველება? — მოულოდნელად შიშმა აიტანა. — სულ მარტო დარჩება. ეს ვიღაც ანრი კი მისთვის ახლა ერთადერთი იმედია, ერთადერთი დასაყრდენი ამ უცხო გარემოში“.

თავადაც შეირხა, რითაც მიანიშნა ირაკლის, რომ წასასვლელად მზად იყო.

— რას ვშვრებით, წავედით? — საქმიანად იკითხა მორიელმა.

— სად? — სუნთქვა გაუხშირდა გოგონას.

— ჩემთან, სახლში...

— თქვენთან? რატომ გადაწყვიტეთ ასე? — შიშით უკან დაიხია თაკომ.

— არაფერიც არ გადამიწყვეტია, საიდან მოიტანეთ. უბრალოდ, ვხვდები, რომ სხვაგან წასასვლელი არ გაქვთ და ამიტომაც გეპატიჟებით. ასე არ არის? ხომ არ ვცდები?

— ცდებით... მე მაქვს წასასვლელი.

— კარგი, კარგი...

ირაკლი დადუმდა. თაკო კოპებშეკრული მისჩერებოდა მამაკაცს და ყოყმანობდა, ეკითხა, საიდან იცოდა ამ უცხო კაცმა, რომ მას არსად ჰქონდა წასასვლელი?

— თქვენ რა, გეშინიათ ჩემი? —

ირაკლიმ საჩვენებელი თითი მკერდზე მიიდო.

— საიდან მოიტანეთ.

— ნუ გეშინიათ, მე მშვიდობიანი ადამიანი ვარ, პატარა ბავშვებს არ ვჭამ, არც გამხდრებს, სხვათა შორის. ასე რომ, სანამ არ წამოიზრდებით და ცოტათი არ მოსუქდებით, არაფერი გემუქრებათ.

თაკოს გაეღიმა. მის ნათქვამზე დაძაბულობა მოეხსნა და შვებით ამოისუნთქა. ისე, მარტო დარჩენას მასთან წასვლა სჯობია, საშიშროების რისკი ნაკლები იქნება. ღამით, უფულოდ, უმისამართოდ, უმეგობროდ დარჩენა ამ დიდ, ლამაზ, მისთვის უცხო და საშიშ ქალაქში, კარგს არაფერს უქადის.

სანამ თაკო ოთახს ათვალიერებდა, ირაკლიმ ცეცხლის დანთება დაიწყო. ბუხართან ჯდომა უფრო რომანტიკულია, პარალელურად გამათბობელიც ჩართო.

— მარტო ცხოვრობთ? — თაკომ ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

— ჰო... არა, — წამით დაიბნა მამაკაცი, — ძმასთან ერთად, მაგრამ ამჟამად თბილისში არ იმყოფება, რუსეთშია... — იცრუა ყოველი შემთხვევისთვის.

ხომ შეიძლება, ვინმემ შემოიაროს ან დარეკოს და ირაკლი იკითხოს, ამ დროს „ანრი“ სააბაზანოში იყოს, ან მაღაზიაში გასული?

— ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში, არ მოგერიდოთ. მე ცოტა ხნით დაგტოვებთ, მარკეტში გავალ, რამეს ვიყიდი, თორემ გამოცარიელებულია მაცივარი.

თაკომ მორჩილად დაუქნია თავი.

ირაკლი ქუჩაში გავიდა, გახურებული შუბლი ნიავს მიუშვირა და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. სასიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. ისევ ძველებურად უწევს თაკოზე ზრუნვა — მისი დაცვა, მაღაზიაში გასვლა სურსათისთვის, ვახშმის მომზადება... რამდენი ხანია, მსგავსი რამეებით არ დაკავებულა! საოცარია პირდაპირ, თაკო ახლა მას თავის სახლში ელოდება, მის ჭერქვეშ... როგორც ცოლი, ორსული ცოლი... კმაყოფილმა თავი გააქნია, თითქოს ახლა მიხვდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ცხოვრებაში სრულიად უბრალო რამეები — შინ მეუღლე გელოდებოდეს, იზრუნო მასზე, იარო ბაზარში, მოამარაგო ოჯახი...

ერთი სიტყვით, გაისარჯო მისთვის, ვინც გიყვარს. ამის გარეშე სიყვარული ხომ აბსტრაქტული და მოსაბეზრებელი ხდება, საბოლოოდ კი შეუმჩნევლად ქრება კიდეც...

უამრავი რამ იყიდა, ტკბილეული, ყველი, პური, კარაქი, ყავა, შაქარი, სოსისი, კვერცხი...

როცა მიბრუნდა და კარი გააღო, ადგილზე გაშეშდა. თაკოს ფეხები მოეკეცა და სავარძელში ჩამჯდარიყო ისე, როგორც ამას ადრე აკეთებდა, ყოველ საღამოს, როცა ერთად იყვნენ მის სახლში.

— აბა, როგორ ხარ უჩემოდ? — ბედნიერებისგან სახეგაბადრულმა ცელოფანები მაგიდაზე დააწყო.

„შენობით მომმართა“, — ეხამუშა თაკოს.

— მაპატიეთ... — შეასწორა ირაკლიმ, — მიჩვეული ვარ მალე გაშინაურებას, არ მიწყინოთ.

— არა უშავს, თუ ასე უფრო გეადვილებათ, შეგიძლიათ, შენობით მომმართოთ, ჩემთვის სულერთია, — გულგრილად თქვა გოგონამ.

მტკივნეული იყო ამის მოსმენა. რა ცუდია, რომ ირაკლი მისთვის უკვე სულერთია და ისიც, როგორ მიმართავს იგი თავის სასურველ ქალს. თუმცა ეგ ყველაფერი გაივლის, ნელ-ნელა ამასაც მიეჩვევა. ჯერ ყველაფერი წინაა.

— საჭმლის გაკეთება იცით? — ღიმილით გახედა ფეხმორთხმულს მამაკაცმა და პროდუქტის ამოლაგებას შეუდგა.

საინტერესოა, რას უპასუხებს. ფაქტობრივად, პრინცესას ხომ კერძების მომზადება არ ეხერხება, უფრო სწორად, ცუდად „ეხერხება“.

— გააჩნია, რისი, — ყოყმანით წარმოთქვა გოგონამ.

— მაგალითად, სოსისის მოხარშვა.

— ო! ეგ ვიცი, ეგ ნამდვილად შემიძლია, — გამხიარულდა პრინცესა.

ივახშმეს, სუფრა აალაგეს, ჭურჭელი დარეცხეს და დასხდნენ. თაკო მხიარული და კმაყოფილი ჩანდა. ირაკლი თვალს არ აშორებდა მას. „არსად გაგიშვებ, პატარავ, მეტჯერ აღარსად გაგიშვებ...“

— გაიფიქრა თავისთვის.

„ალბათ, უკვე მეძებენ. კარგია, რომ აქ ვარ. აქ ვერავინ მომაგნებს“, — გაიფიქრა თაკომ.

— ჩაი ხომ არ ავადულო?.. იქნებ, გესიამოვნოთ ლიმონიანი ჩაი? — ჰკითხა მორიელმა.

— კარგი იქნებოდა.

— ნამცხვარიც ამოვიტანე. მართალია, ტკბილეული მაინცდამაინც არ მიყვარს, მაგრამ შოკოლადის ტორტზე უარს ვერ ვამბობ, — ტყუილების კორიანტელი დააყენა პირადმა მცველმა.

— მეც მიყვარს ლიმონიანი ჩაი, შოკოლადის ტორტიც მიყვარს. ერთნაირი გემოვნება გვქონია.

— მართლა? — გაიკვირვა მამაკაცმა, თანაც სათანადოდ, ძალზე ბუნებრივად გაიკვირვა.

— თქვენ რა პროფესიის ხართ? — ეს ყველაზე უსიამოვნო შეკითხვა იყო ირაკლისთვის მთელი ამ ხნის განმავლობაში.

— მხატვარი ვარ, — წამოისროლა უცებ.

— რა საინტერესოა. რას ხატავთ, პორტრეტებს?

— არა... ახლა არაფერს, შევეშვი, — აფორიაქდა დაბნეული მამაკაცი.

— რატომ?

— აბა... დღეს ვიღას სჭირდება ხელოვანი კაცი, მით უმეტეს — მხატვარი. მეგობართან ვმუშაობ... მას ბიზნესი აქვს... მე ვეხმარები. ხატვისთვის ვერ ვიცლი, — დაამთავრა და იგრძნო, როგორ დაეცვარა შუბლი ოფლით.

რცხვენოდა, ტყუილების თქმა რომ უხდებოდა, თან ეგონა, არ გამოსდიოდა და მისი ყოველი სიტყვა ყალბად ჟღერდა. დაძაბული იჯდა და შოკოლადის ტორტის გრძელ ნაჭრებს თეფშზე დიდი მონდომებით ალაგებდა.

— ეს გაგვასუქებს, — გაიცინა გოგონამ და თითით ნამცხვარს შეეხო.

— თქვენ ნამდვილად არ გაწყენდათ, მე ვიკითხო თორემ, — დაინუნუნა მორიელმა. — რამდენი კოვზი შაქარი ჩაგიყაროთ? — ყასიდად ჰკითხა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ თაკო ჩაის უშაქროდ სვამდა.

— არც ერთი, დაშაქრული ჩაი არ მიყვარს, გემოს უკარგავს. აი ლიმონზე კი უარს არ ვიტყვი, — თქვა და შუაზე გაჭრილი ლიმონი ფინჯანში ჩაინურა.

— აბა, ახლა თქვენი ამბავი მომიყევით, — შეაპარა ირაკლიმ.

— რა ამბავი? — დაფრთხა გოგონა.

— რატომ გამოიქეცით საავადმყოფოდან. ხომ ნამდვილად გამოიქეცით, თუ მომეჩვენა?

თაკო მოიღუშა.

— არაფერიც... თქვენ მოგეჩვენათ.

— შესაძლებელია...

— მე სულაც არ ვყოფილვარ საავადმყოფოში... უფრო სწორად, ვიყავი, მაგრამ არა როგორც პაციენტი. დაქალის სანახავად მივედი.

მორიელმა ღიმილი ვერ შეიკავა. თაკოც უნიჭოდ იტყუებოდა, არც მას გამოსდიოდა ბუნებრივად.

— და დაქალს გამოექეცით?

— არ გამოვქცეულვარ, — თავის მართლებას შეეცადა გოგონა.

— ნუთუ? — ირონიულად იკითხა მამაკაცმა.

— მართლა დაქალი მოვინახულე, იქ კი... იქ ერთი ტიპი დამხვდა... რომლის ნახვაც არ მინდოდა. არ მიყვარს ის კაცი. ამიტომ, მასთან შეხვედრაც არ მინდოდა.

„მგონი, ჩემზე ლაპარაკობს“, — ნაღვლიანად გაიფიქრა მამაკაცმა და დაკვირვებით შეხედა.

— ჰოდა, გამოვიქეცი. არა, კი არ გამოვიქეცი, თქვენ გთხოვეთ, გამიყვანეთ-მეთქი, რომ იმას ჩემთვის არ მოექცია ყურადღება.

— აჰა, გასაგებია, — მორიელმა თითები ერთმანეთზე გადააჯვარედინა და ნიკაპით ზედ დაეყრდნო.

— არ გჯერათ ჩემი, არა?

ირაკლიმ არ უპასუხა. რამდენიმე წამით დუმილი ჩამოვარდა, მერე კი თაკომ უცებ ავტომატის ჯერივით დააყარა შეკითხვები.

— საიდან იცით, რომ საავადმყოფოდან გამოვიქეცი? თქვენ რა, მიცნობთ? იცით, ვინ ვარ? თავად რას აკეთებდით იქ?



ოჰო! რა შეტევაა?! ჩაელიმა პირად მცველს, თუმცა ამ კითხვებზე მას პასუხი დიდი ხანია, მზად ჰქონდა.

— ჩემი დეიდაშვილი წევს, მის სანახავად ვიყავი. რაც შეეხება თქვენს გამოქცევას, ამის მიხვედრა ძნელი არ ყოფილა. მნახველი რომ ყოფილიყავით, ხელჩანთა გექნებოდათ, უფრო მშვიდიც იქნებოდით. თანაც, ზიხართ აქ ჩემ წინ, არც შინ მიგეჩქარებათ, არც სადმე სხვაგან... არც დედიკოსთან, არც მამიკოსთან... გარდა ამისა, იქ, ეზოში მითხარით, დაქალის სანახავად მივდივარო... ანუ კი არ მოინახულეთ ვიღაცა, მაშინ უნდა შესულიყავით მის მოსანახულებლად. ამის მერე სხვა რა უნდა მეფიქრა?

— მე მაშინ მოგატყუეთ, — ხმადაბლა თქვა თაკომ.

— მივხვდი... და ახლაც იტყუებით.

— გადასარევია! თქვენ ჩემზე ყველაფერი იცით! — წამოიყვირა უცებ გოგონამ, — როდის ვამბობ მართალს და როდის — ტყუილს. კიდევ რა იცით ჩემ შესახებ?

ირაკლიმ გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

— რატომ გგონიათ, რომ საერთოდ გიცნობთ? უბრალოდ, მივხვდი... ეს სულ სხვადასხვა რამეა. და თუ თავის მოკატუნებას შეწყვეტთ და ყველაფერს მომიყვებით, მაშინ მართლა ბევრი რამ მეცოდინება თქვენზე.

თაკო უნდობლად მისჩერებოდა მორიელს, მაგრამ ირაკლი იმდენად არაფრის მთქმელი გამომეტყველებით უყურებდა, რომ ნელ-ნელა დამშვიდდა.

— არანაირი განსაკუთრებული ამბავი არ მაქვს, — თქვა ბოლოს, — მე ამნეზია მჭირს.

— რას ამბობთ, მართლა? თუ მატყუებთ, რომ თავი დაგანებოთ?

— არ გატყუებთ, ეს სიმართლეა.

— საინტერესოა... და გინდათ მითხრათ, რომ არაფერი გახსოვთ?

— აბსოლუტურად არაფერი, მხოლოდ ბავშვობა მახსოვს ბუნდოვნად. დედა მახსოვს. მე ძალიან ლამაზი დედა მყავდა.

— ამაში ეჭვიც არ მეპარება.

— და მხიარული, სიცოცხლით სავსე. მამაც მახსოვს თითქოს... ის ორივეს გვეფერებოდა.

— იცი, პატარავ... — წამოსცდა ირაკლის და ენაზე იკბინა. — პატარაობა მეც კარგად მახსოვს, — გამოასწორა შეცდომა. — მაგრამ ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ვარ, მინდა, არაფერი მახსოვდეს, ყველაფერი დავივიწყო. რომ შემეძლოს, სიამოვნებით დავიწყებდი ცხოვრებას თავიდან, მაგრამ არ გამომდის. თქვენ... როგორ დაგემართათ ამნეზია?

— თავი დავარტყი.

— რას?

— მიწას. თურმე მეორე სართულიდან გადმოვვარდი.

— აუჰ! გადარჩენილხართ. იღბლიანი ყოფილხართ. გაგიმართლათ, რომ ცოცხალი გადარჩით. ამნეზია გაგივლით, ეს დროებითია. არ შეშინდეთ. რა იცით, იქნებ, ასე უკეთესია. იქნებ, არაფერი იყო თქვენს წარსულ ცხოვრე-

ბაში ისეთი, რაც გაგახარებდათ, — და ირაკლიმ კვლავ იკბინა ენაზე!

შეცდომა დაუშვა, ეს არ უნდა ეთქვა. არადა, მხოლოდ მის გასამხნევებლად წამოროშა, მეტი არაფერი.

არ შეიმჩნია, წამოდგა და ბუხარს შეშა შეუკეთა.

— ჰო, კიდევ რა უნდა მეკითხა... გათხოვილი ხართ?

— როგორც ვიცი, ჯერ არა, მაგრამ საქმრო მყოლია, — გულგრილად უპასუხა, უსიამოვნო ტონით.

„რატომ არ გიყვარვარ, პატარავ?" — ფიქრებში შეეპასუხა, ხმამაღლა კი სულ სხვა რამ იკითხა.

— ისიც არ გახსოვთ?

— ა-რა, — თითქოს ყოყმანი იგრძნობოდა მის ხმაში.

„რატომ? რატომ თქვა ასეთი ტონით? მას ხომ არ ვახსოვარ, ეს ფაქტია. აბა, რა ახსოვს?"

— მერე? რომ ნახეთ, მოგეწონათ? — ფრთხილად დასვა შეკითხვა.

— ვინ?

— თქვენი საქმრო.

გოგონას შიში ჩაუდგა თვალებში, წამით გახევდა. რა მოსდის პატარას? რატომ ეცვლება სახე, რატომ? რას ნიშნავს ეს?

— რატომ მისვამთ ასეთ უცნაურ შეკითხვებს? თქვენ რაღაც იცით ჩემზე. მითხარით, რამე იცით? — და თაკო სავარძლიდან წამოხტა.

— რა მოგივიდათ? რატომ შეგეშინდათ, თამარ? მაპატიეთ, არ მინდოდა თქვენი განერვიულება... გეფიცებით, არაფერი ვიცი. ან კი საიდან უნდა ვიცოდე? თქვენ თვითონ მოხვედით ჩემთან, მე ხომ არ გამომიჩენია ინიციატივა? ვიჯექი ჩემთვის მშვიდად... დამშვიდდით, სანერვიულო არაფერია. როგორც ჩანს, ჯერ ბოლომდე არ ხართ გამოჯანმრთელებული. თქვენთვის ბევრი ნერვიულობა არ შეიძლება.

— ჯანმრთელი ვარ, სრულიად ჯანმრთელი! მითხარით, რა იცით ჩემ შესახებ!

— ღმერთო ჩემო, არაფერი! ა-რაფე-რი ვიცი. უბრალოდ, გკითხეთ, მორჩა და გათავდა. ეს ხომ ნორმალურია, როცა საქმრო საცოლის სანახავად მიდის. უბრალოდ, დამაინტერესა, როგორ შეხვდით მას მეხსიერების დაკარგვის შემდეგ. რა არის ამაში უცნაური? რა, რამის გეშინიათ? თუ მასზე საუბარი არ გსიამოვნებთ, თქვენი ნებაა, ოღონდ დამშვიდდით. მორჩა, კრინტსაც არ დავძრავ ამ თემაზე. ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი. კარგი?

თაკო ისევ დაჯდა.

— ბავშვები გყავთ?

— საბედნიეროდ, არა.

— რატომ, საბედნიეროდ?

— იმიტომ, რომ ისინიც დამავიწყდებოდა. ეს კი საშინელება იქნებოდა.

— მართალი ხართ, — დაეთანხმა მამაკაცი.

თაკოს ნაღვლიანი გაუხდა გამომეტყველება, თვალებზეც ცრემლი აუკიაფდა.

— თქვენთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რა უცნაური რამეა ეს ამნეზია, — ცოტა ხნის შემდეგ ჩაფიქრებული სახით წამოიწყო გოგონამ, — არც საკუთარ თავზე და არც სხვებზე არაფერი იცი. გეუბნებიან, რომ გყავს მამა, დედინაცვალი, საქმრო... ამ დროს არაფრის გაგებაში არა ხარ. არ გაქვს წარსული და მთელი ქვეყანა შენთვის სრულიად ახალია, თითქოს ახლა დაიბადე... არადა, შენ გარშემო არსებობენ ადამიანები, რომლებიც გიცნობენ! იციან შენ შესახებ ყველაფერი, ისეთი რამეები, რაც თავად არ იცი... თითქოს შიშველი ხარ და ამას შენ გარდა ყველა ხედავს. ამიტომაც მგონია ხანდახან, რომ თქვენც იცით, ვინ ვარ. მე კი არ გიცნობთ. ამ ყველაფერში კი რაღაც ბოროტი იდუმალებაა, რის გამოც არ გინდათ გამოტყდეთ, რომ მიცნობთ.

— მე თქვენ არ გიცნობთ.

— მესმის, ეს ისე, მაგალითად მოვიყვანე, რომ თქვენთვის გასაგებად ამეხსნა...

— მერე? რატომ არ გინდათ, შეხვდეთ ამ ადამიანებს, დაელაპარაკოთ, იქნებ გაგახსენდეთ ყველაფერი? ისინი მოგიყვებიან თქვენს ცხოვრებაზე... და თქვენც აღარ შეგეშინდებათ წარსულის, უკვე აღარ იქნება იგი ასეთი ბუნდოვანი...

— აი, ისევ! — ნერვიულად შეირხა თაკო, — ისევ ისე მელაპარაკებით, თითქოს ყველაფერი იცით ჩემზე!

— მაგალითად, რა? — მშვიდად იკითხა ირაკლიმ.

— რა და ის, რომ... უარი ვთქვი შეხვედრაზე.

— კი, მაგრამ ამწუთას არ მიყვებოდით, არ ვიცნობ იმ ხალხს, ვინც მე მიცნობსო? აბა, სხვა რა დასკვნა უნდა გამომეტანა?

— ჰო... მართალი ხართ, რა სულელი ვარ.

— ამიტომ, ახლა ის მითხარით, რატომ და ვისთან შეხვედრაზე თქვით უარი — მამასთან და დედინაცვალთან? მეგობრებთან? — არ ჩაიჭრა პირადი მცველი.

— მამა ამერიკაშია, ჯერ არ ჩამოსულა. დედინაცვალი კი რაში მჭირდება, დარწმუნებული ვარ, ვერ ვეგუებოდი... თუმცა... მამას ალბათ შეეხვდებოდი, აქ რომ ყოფილიყო. დანარჩენი უკლებლივ ყველასთან...

— რატომ ყველასთან, შეიძლება გკითხოთ?

— თვითონაც არ ვიცი. ამას წინათ, მამის მეგობარი მოვიდა, პალატაში არ შემოვაშვებინე.

— კი, მაგრამ მაინც რატომ, რაღაც მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს?

— თქვენ რაში გაინტერესებთ?

— ცნობისმოყვარეობის გამო. ყოველდღე ხომ ვერ შეხვდები ადამიანი საავადმყოფოდან გამოქცეულ გოგონებს, მით უფრო, როცა ისინი შენთან მოდიან დახმარების სათხოვნელად, — ირაკლიმ მზერა მისკენ გააპარა, — მერე კი გამოგიცხადებენ, რომ ამნეზია სჭირთ, არაფერი ახსოვთ და ა.შ. ეს უჩვეულო შემთხვევაა, ხომ მართალია?

— არ ვიცი... ასე მგონია, რომ ჯერ მზად არ ვარ სიმართლის მოსასმენად. ფაქტია, რომ მეორე სართულიდან უმიზეზოდ არ გადმოვხტებოდი. მიზეზს არ მეუბნებიან, შემთხვევით გადმოვარდიო. ასე არ ხდება. ალბათ, რაღაც ძალიან ცუდი ჩავიდინე ან გადამხდა. ამის გაგების საშინლად მეშინია.

— რამდენი წლის ხართ, თაკო?

— მითხრეს და დამავიწყდა.

— ყოველ შემთხვევაში, ოცდახუთზე მეტის არ იქნებით.... უცნაურია, საიდან მოგდით ასეთი აზრები? ასეთ პატარა გოგოს რა საშინელება უნდა გადაგხდენოდათ? თქვენ ხომ ჯერ ახლა იწყებთ ცხოვრებას.

— შავი ყუთის მეშინია.

— რისი? — თვალები გაუფართოვდა პირად მცველს.

— როცა წარსულზე ვფიქრობ, შავი ყუთი მიდგება თვალწინ, მასში კი მგონია, რომ ბოროტი სულები არიან გამომწყვდეული.

— საშინელებათა ფილმები გყვარებიათ, პატ... პატივცემულო, — კინაღამ კვლავ „პატარავ" წამოსცდა მორიელს.

— თქვენ ვერ გამიგეთ. აი, შემომხედეთ, ხომ ხედავთ, როგორი ვარ. ვუყურებ ჩემს თავს და სხვისი თვალით რომ შევაფასო, მომწონს იგი.

— მეც.

თაკოს გაეღიმა.

— თითქოს არ უნდა ვიყო ცუდი ადამიანი. რატომ უნდა დამეშავებინა რამე წარსულში? რატომ უნდა ჩამედინა დანაშაული?

— რა სისულელეა. ეს ვინ გითხრათ? წამოდით, — ირაკლი წამოდგა, თაკოს ხელი ჩასჭიდა და სარკესთან მიიყვანა, — ჩაიხედეთ. ჰგავხართ დამნაშავეს? ამის დიდი სურვილიც რომ გქონოდათ, ფაქტია, რომ არაფერი გამოგივიდოდათ, — და გაუღიმა.

— ჩემთან შედარებით, იცით, რა უპირატესობა გაქვთ? — თაკომ მზერა მამაკაცზე გადაიტანა და ყურადღებით დააშტერდა ისე, რომ მისგან ხელი არ გაუთავისუფლებია.

— არა და ვერც კი წარმოვიდგენ, თუ მსგავსი რამ შეიძლება იყოს

— ის, რომ ჩემზე არაფერი იცით.

— გასაგებია, — თავი დაუქნია მორიელმა, — თქვენ თუ იცით, თქვენი უპირატესობა რაში მდგომარეობს?

— რაში?

— იმაში, რომ არც თქვენ იცით არაფერი ჩემ შესახებ.

ორივეს გაეცინა. ირაკლიმ გოგონას ხელს ხელი შეუშვა.

ამასობაში ძილის დროც მოვიდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საპარტიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

პასუხების სმენტისკენ არ გაგეხედოთ შეგალლი

1. მიქელანჯელოს ქანდაკება „დავითი“, რომელიც ფლორენციის მოედნის შუაგულში უნდა დაედგათ, ფლორენციის მმართველმა დაიწუნა — ცხვირი აქვს დიდიო. მიქელანჯელომ საჭრეთელს მოჰკიდა ხელი და ფლორენციის მმართველმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ ცვიოდა ძირს ქვის ნამტვრევები. სამუშაო მალე დასრულდა, მმართველი კმაყოფილი დარჩა, თუმცა სინამდვილეში ქანდაკება ოდნავადაც არ შეცვლილა. რა მოხდა სინამდვილეში?

2. რა არის ავანგი?

3. „ჩუტ ნე ედინსტვენნი ტრეზვი კუჩერ ვ რასიი“, — ვის მოიხსენიებენ მოსკოველები ასე?

4. განთქმული ყაჩაღი არსენა ოძელაშვილი, ხშირად იყალთოში იმალებოდა. რატომ ახარებდა ეს ამბავი იქაურ გლეხობას?

5. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მთავარ ინჟინერს ავარიის შემდეგ 10 წელი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. რა მოტივით?

6. დაასახელეთ მეცნიერი, რომელმაც „ჯოკონდაზე“ დაკვირვებისა და მისი სახის გამომეტყველების შესწავლის შედეგად გამოაქვეყნა სტატია ლეონარდო და ვინჩის ჰომოსექსუალისტობაზე, რითიც მსოფლიო სკანდალი დაიტეხა თავს.

7. ვის ეძახდნენ ამერიკელები „მისტერ ჰელიკოპტერს“?

8. რაჭველების წინაპრებს მაცივარი რომ ჰქონოდათ, რა არ ექნებოდათ მათ შთამომავლებს?

9. ტელეარხმა „დისქავერიმ“ ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენა ამერიკელი მათხოვარი, რომელიც იჯდა ყულაბით ხელში და მღეროდა. კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა წარწერა: „მაჩუქეთ 25 ცენტი და...“ დაასრულეთ ტექსტი.

10. დაასახელეთ ქართველი მწერლის, გიორგი ქუჩიშვილის ნამდვილი გვარი.

11. დაასახელეთ ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი.

12. „ს ლუკომ, ს იაიცამი, ნო ნე პერაჟოკ?“ — რა არის ევგენი პეტროსიანის მტკიცებით ამ გამოცანის პასუხი?

13. დაასახელეთ ქართველი მსახიობი, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლისას, „სვან ბელმონდოს“ ეძახდნენ.

14. რომელი ამერიკელი პრეზიდენტის მეტსახელი იყო „ღარიბი რიჩარდი“?

15. ეს ადამიანი კინოისტორიაში შევიდა როგორც რეკორდული რაოდენობის — 32 „ოსკარის“ მფლობელი. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

***

— ოფიციანტო, ჩემს წვნიანში ბუზია!

— დიდი და მომწვანო-მოსადაფისფრო ხომ არა?

— დიახ.

— გაგახარებს ღმერთი, ძლივს არ დავიჭირეთ!

***

მიხოს აჩერებს პატრული:

— რატომ გადაკვეთეთ ღერძული ხაზი?

— მა, ქვემოდან ხომ არ გავძვრებოდი?!

***

დედა ბავშვს აძინებს:

— დაიძინე, დედიკო, უკვე გვიანია. აი, ხედავ, ტელევიზორში დეიდებმა ტანსაცმელი უკვე გაიხადეს.

***

ორი მამაკაცი საუბრობს:

— ასე ადრე რატომ მოდიხარ სამსახურიდან?

— სადილი უნდა მოვამზადო.

— ცოლი სამსახურშია?

— არა, შინაა.

— ავადაა?

— არა, დილიდან მშიერია.

***

ჭიჭიკია ამერიკული ფილმის აფიშას კითხულობს. „მძაფრსიუჟეტიანი ფილმი. ეროტიკა, კაცის კვლა და სისხლის ღვრა. ბავშვები 18 წლამდე არ დაიშვებიან“.

— ბედნიერი ბავშვები! — აღმოხდა ჭიჭიკიას.

***

— ამ საღამოს ნატაშასთან ეგდე? — ეჩხუბება ცოლი ქმარს.

— რომელ ნატაშასთან? — მიამიტად კითხულობს ქმარი.

— რომელთან?!.. რომელთან და ბაკურიანში რომ გაიცანი!

— ცდები ძვირფასო, ბაკურიანში გალინა გავიცანი!

***

დიასახლისმა მოახლე დაითხოვა სამსახურიდან. გამწარებულმა მოახლემ პირში მიახალა:

— თქვენ ავი, ბოროტი და უქნარა ქალი ხართ! ლოგინში კი ათი თავით მე გჯობივართ!

— ეგ ვინ გითხრა, შე გათახსირებულო, ჩემმა ქმარმა?!

— არა, თქვენმა მძღოლმა!

***

ჭიჭიკიას სიდედრი მოუკვდა და კუბოს არჩევს.

— რას მირჩევთ, რომელი სასახლე ჯობია? — ეკითხება დურგალს.

— საერთოდ, გამძლეობით „ცინკი“ ჯობია, მაგრამ ჯანმრთელობისთვის მაინც ხე სჯობს — ეკოლოგიურად სუფთაა.

***

— შესანიშნავი სპორტია კრივი. მისი წყალობით, ბინაც შევიძინე და მანქანაც.

— თქვენ ალბათ ჩემპიონი ბრძანდებით.

— არა, ბატონო, მე კბილის ექიმი ვარ!

***

მიხო ქუჩაში საყელურშებმულ ნიანგს დაასეირნებს. ხალხი შიშისგან აქეთ-იქით გარბის.

— მიხო, წაიყვანე ეგ ნიანგი ზოოპარკში! — უყვირიან გამვლელები.

— ზოოპარკში გუშინ მყავდა. ახლა კინოში მიმყავს.

***

— ნუ გეწყინება, მაგრამ მაგარი ვირი ხარ, ჩემო მეგობარო.

— არ მწყინს, მაგრამ ერთი რამ ამიხსენი — მაგარი ვირი რომ ვარ, იმიტომ ვარ შენი მეგობარი, თუ შენი მეგობარი რომ ვარ, იმიტომ ვარ მაგარი ვირი?!

***

ჭიჭიკიას სახლში საყვარელი ჰყავს მიყვანილი. ამ დროს მისი ცოლი დაბრუნდა სამსახურიდან.

— ვაიმე, შენ აქ რა გინდა, საყვარელო?

— შეყვირა ჭიჭიკიამ ცოლის დანახვაზე.

— ადრე დავბრუნდი.

— აბა, ის შობელძაღლი ვინღაა, ჩვენს ლოგინში რომ აგდია?!

***

წყვილი კინოში ზის და მელოდრამას უყურებს.

— როგორ ფიქრობ, ბოლოს იქორწინებენ?

— რა თქმა უნდა, ასეთი ფილმები ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება.

***

სვანი წყალში იხრჩობა. ვაუკაცობაზე დებს თავს და მიშველეთო, არ ყვირის.

— მიჭირს! მიჭირს! — გაიძახის განწირული ხმით.

— პაწა ყველას გვიჭირს, ძამა, მარა უნდა მეითმინო, აპა, რავა გინდა! — გასძახა ნაპირიდან გურულმა.

***

— რა იყო, ანზორია, შენი ძაღლი მთელი ღამე რომ ყეფდა!

— არა უშავს, შე კაცო, დღისით გამეიძინებს.

***

— ბრალდებულო ივანოვ, აღიარებთ, რომ მთვრალ მდგომარეობაში შეხვედით მუზეუმში და იქ დებოში ატეხეთ?

— რა თქმა უნდა, პატივცემულო მოსამართლე, აბა, ფხიზელს მუზეუმში რა შემიყვანდა!

***

— მამიკო, მესიზმრა, ვითომ ოცი ლარი მაჩუქე!

— აბა, შენ იცი, შვილო, ერთბაშად ნუ დახარჯავ.

***

გახურებული ქეიფია.

— ნახვამდის, ბოგდანიჩ, ნახვამდის, კირილიჩ, ნახვამდის, ქალბატონო ჟანეტა.

— მიბრძანდებით, ბატონო სევერიან?

— არა, მაგრამ წასვლის დროს მაგის თავი აღარ მექნება.



***

— გუშინ რატომ გააცდინე გაკვეთილები? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— უნდა მაპატიოთ, მასწავლებელო, გუშინ ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შეემატა.

— მართლა?! დაიკო თუ ძამიკო?!

— მამიკო!

***

— თქვენ დღეს გაცილებით უკეთ ახველებთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— რა თქმა უნდა, წუხელ მთელი ღამე ვვარჯიშობდი.

***

— ეეჰ, — მძიმედ ამოიოხრა ქმარმა, როცა დაინახა, რომ მის მიერ ნასროლი მომინანქრებული ჯამი ცოლს საკმაოდ დიდი მანძილით ასცდა, — სადღაა ის დიდებული დრო, როცა ერთმანეთს ფაიფურის თეფშებს ვესროდით!..

***

ქმარი ამბობს მეოცნებე ხმით:

— ნეტავ, ახლა ტელევიზორში ეროტიკულ ფილმს უჩვენებდნენ!

— მე უკეთესად შემიძლია, — ეუბნება ცოლი და გახდას იწყებს. — აი, შეხედე, ხომ კარგია! რით ვარ ტელევიზორზე ნაკლები!

— შენ სხვა არხზე ვერ გადაგრთავ!

ჟურნალის საფარჯირო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მიქელანჯელო, ფლორენციის მმართველის თვალის ასახვევად, ნამტვრევებს საკუთარი ჯიბეებიდან ყრიდა.
2. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულას ავანგი ჰქვია.
3. მოსკოვში, დიდი თეატრის ფრონტონზე გამოსახულ აპოლონის ქანდაკებას, რომელიც კვადრიგას (ოთხცხენიან ეტლს) მართავს.
4. ოძელაშვილის შიშით, ლეკები ველარ გადმოდიოდნენ სათარეშოდ.
5. მან სრულიად დაკარგა აზროვნება.
6. ზიგმუნდ ფროიდი.
7. ვერტმფრენის გამომგონებელ იგორ სიკორსკის.
8. რაჭული ლორი.
9. „...გავჩუმდები!".
10. ჩხეიძე.
11. კვირკველია.
12. რობინ ჰუდი.
13. სოსო ჯაჭვლიანი.
14. ბენჯამინ ფრანკლინის.
15. უოლტ დისნეი.

***

ქმარი ეუბნება ცოლს:

— დღეს მოხუცებულთა სახლიდან იყვნენ მოსულები!

— საწყლები! გაატანე რამე?!

— აბა, ხელცარიელს ხომ არ გავუშვებდი?! დედაშენი გავატანე!

***

დედა ეუბნება შვილს:

— თუ კარგად ისწავლი, ველოსიპედს გიყიდით, თუ ცუდად — პიანინოს!

ჩვენი ფოტოგალერეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის" (ლიტერატურა და ხელოვნება) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

რჩევები მათთვის, ვისაც ფინ ტირანი მეუღლე ჰყავს

ცოლ-ქმრის ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც შელაპარაკდნენ და ქალს საყვარელი ადამიანისგან შეურაცხყოფის მთელი კორიანტელი დაატყდა თავს. მეორედ, მამაკაცმა ეს აღარ იკმარა და უდანაშაულო ქალზე ხელიც კი აღმართა; მესამედ რაღაცაზე გაბრაზებულმა, ცოლს შინიდან გაგდებაც დაუპრა...

როგორ უნდა მოიქცეთ ამგვარ სიტუაციაში? შესაძლებელია თუ რა აგრესიის განეიტრალება ან მისი თავიდან აცილება?

ასეთი „ბრძოლების" უმეტესობა, როგორც წესი, შელაპარაკებით იწყება. უნდა შეეცადოთ, მაშინვე აღკვეთოთ იგი და მანამ განმუხტოთ ვითარება, სანამ უთანხმოება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდება. თუკი ეს შეუძლებელია, ჯობს, იქაურობას საერთოდ გაეცალოთ.

ერთი რამ კი კარგად დაიმახსოვრეთ: საკუთარ თავს ჩაუნერგეთ, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა დაგატყდათ, თქვენი ბრალი არ არის — ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებთ. მაშასადამე, საპასუხოდ რაც უნდა მოიმოქმედოთ, მაინც მართალი იქნებით. ამიტომ, თუ აგრესორის გამოსწორება გაქვთ მიზნად დასახული, წინასწარ დაგეგმეთ თავდაცვის საშუალებანი. სრული უფლება გაქვთ, ისეთსავე ხერხებით იმოქმედოთ, როგორსაც თქვენი მეტოქე პარტნიორი იყენებს.

ქალი, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილების მქონე მამაკაცის გვერდით ცხოვრობს, სათანადოდ ვერც კი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის თავს; გაურბის რეალობას და გარკვეული დროის მანძილზე თავს იტყუებს; უნდა, დაიჯეროს, რომ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია — პირიქით, ამგვარ საქციელს პარტნიორის ძლიერ სიყვარულს მიაწერს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა გარკვეული ტესტი შეიმუშავეს. რაც უფრო მეტ პუნქტს დაეთანხმებით, მით მალე უნდა გაწყვიტოთ კავშირი ამ ადამიანთან. მაშ ასე:

- მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებით, რადგან მისი რისხვის გეშინიათ;
- ცდილობთ სხვებთან გაამართლოთ მისი საქციელი;
- მისი ეჭვიანობა სიგიჟის ზღვარზეა;
- მას თქვენი ცხოვრების ყოველი წუთის გაკონტროლება სურს;
- ცოფდება, როცა მეგობრებთან ერთად, მის გარეშე ატარებთ დროს;
- მხოლოდ მან — ერთმა იცის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს — ქალი იქნება ეს, ბავშვი თუ მამაკაცი;
- თავის წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ან გარშემო მყოფებს ადანაშაულებს. არასოდეს იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე;
- თქვენი მხრიდან სულ უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის დროსაც კი მუქარაზე გადადის;
- არავის ენდობა;
- ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მისთვის დამნაშავე მხოლოდ დაზარალებულია.

პასუხების შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, აქვს თუ არა თქვენს ურთიერთობას მომავალი. კარგია, თუ თქვენს მეუღლეს ჯერ არ გადაულახავს საშიში ზღვარი.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მასთან განშორება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდება?

ჯერ ერთი, იმედი ნუ გექნებათ, რომ ხვალვე რაიმე შეიცვლება — ეს ასე არ მოხდება, რადგან ძალადობისკენ მიდრეკილება ქრონიკულ ხასიათს ატარებს. მეორეც, თუ ფსიქიკურად ან ფიზიკურად დაინვალიდების პერსპექტივა არ გიზიდავთ, მისი თვალთახედვის არიდან გაუჩინარებისთვის უნდა მოემზადოთ, რადგან გამორიცხული არ არის, წინა დღის ცემა-ტყეპის შემდეგ, მეუღლემ დევნა და მუქარა დაგიწყოთ, თან საწყალობლად გევედრებოდეთ დაბრუნებას. შიშის ან სიბრალულის გამო კი შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომ ჯობს, ისე წახვიდეთ, რომ მისამართი არავის დაუტოვოთ. შეიძლება მატერიალური პრობლემებიც შეგექმნათ, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსაცია — თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოებაა.

გახსოვდეთ: ჯობს მარტო იყოთ, ვიდრე ისეთი ადამიანის გვერდით იცხოვროთ, ვინც თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

ძეხვის სალათა

მასალად საჭიროა:

250 გ შებოლილი ძეხვი;
300 გ კარტოფილი;
3 თავი ხახვი;
1 ცალი კიტრი;
თითო-თითო ს/კ ძმარი და მცენარეული ზეთი;
მარილი, მაიონეზი, შავი პილპილი, კამა, ოხრახუში — გემოვნებით.

მომზადების წესი:

დაჭერით ძეხვი წვრილად, მოხარშული კარტოფილი და კიტრი კი — კუბურებად. დაუმატეთ მარილი, ძმარი, ზეთი, მაიონეზი, კამა, ოხრახუში და კარგად აურიეთ. სალათა შეგიძლიათ მწვანე სალათის ფოთლებით გააფორმოთ.

10 მითი სილამაზის შესახებ

1. ივარჯიშეთ და წონაში დაიკლეგთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ — მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

2. საუნაში ზედმეტ წონას დაკარგავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები“ ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

3. არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთიანელ და სამუდამოდ გახდებით

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშემწყობია. ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ აკონტროლეთ კვების რაციონი, არ შეზღუდეთ ცხიმებისა და ნახშირწყლების მიღება.

4. რაც უფრო იშვიათად ჭამთ, მით მალე იკლეგთ

ადამიანი დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს; ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უწევს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ველარ ახერხებს ზედმეტი კალორიების დაწვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესამჩნევი მატება დაეტყოთ.

5. ხილი არ ასუქებს

ნებისმიერი ხილი შაქარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ეხმარება“ ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე ცომეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამიტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ჟოლო, მარწყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც საკმაოდ მდიდარია შაქრით, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელინს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმების წვას უწყობს ხელს.

6. ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები, სხეულის ისეთ ადგილებში გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა; ან ისინი ფერსა და ზომას იცვლიან, აუცილებლად უნდა მოიცილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

7. დეკორატიული კოსმეტიკა კანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზეა დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელ, მოვლილ კანს კოსმეტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

8. ტონალური კრემი და მაკიაჟის ძვეშ გაკეთებული დამცავი საფარი, კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს

თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ წარმოუდგენელია, კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი მეშვეობით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მავნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

9. A ვიტამინი ხარისხიანი ნამზეურის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზეურთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს მცდარი აზრი შესაძლებელია იქიდან წარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

10. სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამოწვეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანს ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიმვილმა

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
www.elva.ge
ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲛᲐᲡ „ᲔᲚᲕᲐᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ“

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. № 49
ᲢᲔᲚ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-38

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ჯაფარ მამარი ვერცხლით მოპირკეთებულ დაბალ ტახტზე ფეხმორთხმით იჯდა. აბუბაქარს უმალ თვალში ეცა უფროსი ძმის სამზადისი: ტანთ აბჯარი აესხა, წელზე ხმალი და სატევარი მოუჩანდა, ირგვლივ კი ათამდე მცველი შემოერტყა. ჩანს, მარტოს აშინებდა მულიდთა წარგზავნილთან შეხვედრა.

მომიახლოვდიო, — დარბაზში შესვლისთანავე ანიშნა უმცროს ძმას მამარმა.

აბუბაქარმა სწრაფად გადაკვეთა დარბაზი, თეთრსამოსიან მცველებს შორის გაიარა, ძმას მდაბლად დაუკრა თავი და მოსვლის მიზეზი ჩურჩულით აუწყა.

— ალამუთის წარგზავნილი გეწვია, ბატონო.

— ნამდვილად ისაა? — ჯაფარმა ეჭვით შეათვალიერა შავმოსასხამიანი მუროჩი, რომელიც სელჩუკს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე მულიდს.

— ნიშანი აქვს.

— რა ნიშანი?

— მულიდთა ხანჯალი — ზუსტად ისეთი, როგორიც სიმაგრის ჭიშკართან ვნახეთ, — უპასუხა აბუბაქარმა.

— მარტო იყო? — გამოკითხვა განაგრძო ჯაფარმა.

— მარტო იყო, — დაუდასტურა აბუბაქარმა.

ჯაფარმა ეჭვით გახედა. თავადაც ძალიან ცოტა რამ იცოდა მულიდთა წესების შესახებ, მაგრამ მისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ მთის ბერს მარტო გაებედა სელჩუკთა სამფლობელოების გადმოკვეთა.

— შეიძლება შორიახლოს ამხანაგებიც ჰყავს, მაგრამ მზვერავებმა გზად მომავალი მარტო ნახეს.

ვიდრე აბუბაქარი ამას იტყოდა, ჯაფარს მისი მრჩეველი და მარჯვენა ხელი — ამინი მიუახლოვდა და რაღაც ჩასჩურჩულა.

— არც ერთი?! — გაოცებით გახედა ჯაფარმა.

ამინმა უხმოდ გაიქნია თავი.

— ეგ კაცი ვინ მოიყვანა სიმაგრეში? — ძმას მიუბრუნდა ჯაფარი.

— ჩვენმა მზვერავებმა, — მშვიდად უპასუხა აბუბაქარმა.

— ჩვენმა მზვერავებმა თუ შენმა მხედრებმა?! — მკაცრად ჰკითხა ჯაფარმა.

— რა განსხვავებაა?! აქ ყველა შენი მსახურია.

— მე გეკითხები: ვინ მოიყვანა-მეთქი ეს კაცი სიმაგრეში? — ბრაზი მოერია ჯაფარს.

— ჩემმა მხედრებმა? — ჩაილაპარაკა აბუბაქარმა.

— გზის მეთვალყურეობა ჩემს მცველებს დავავალე. სად არის ჩემი ხალხი?!

— ისინი ახლაც გზას უთვალთვალებენ. ალამუთელი მაცნის გამო, გზას უპატრონოდ ხომ არ მივატოვებთ?! იქნებ სელჩუკებმა რაიმე იყნოსეს და მულიდს კვალში ჩაუდგნენ.

— ეგ შენი მხედრების ვალი იყო. ჩემს ხალხს კი მაცნე სიმაგრემდე უნდა მოეცილებინა!.. ასეთი იყო ჩემი ბრძანება!.. — ჯაფარი აბუბაქარს მრისხანებით ჩააცქერდა სახეში და მერე დასძინა: — რა გემართება, ძმაო?! ეს უკვე მერამდენედ არ ასრულებ ჩემს ბრძანებას?!

— მხოლოდ შენი გულისთვის მოვიქეცი ასე. ვიცოდი, როგორ ელოდი ალამუთის წარგზავნილს და ვერავის ვანდე მისი სიმაგრემდე მოცილება. თავად გამოვყევი და საუკეთესო მხედრებიც თან ვიახლე.

— მზვერავებთან იყავი?! — გაუკვირდა ჯაფარს.

— არა... ჩემს მხედრებთან ერთად ულელტეხილს ვუთვალთვალებდი, როცა მზვერავთა მალემსრბოლმა მაცნობა: ბარიდან შავსამოსიანი სელჩუკი ამოვიდა და ბატონის სიმაგრეში მიყვანას ითხოვსო. მივხვდი, ის ალამუთის წარგზავნილი უნდა ყოფილიყო და თავად დავეშვი გზაზე.

— ესე იგი, ჩემ გამო დაარღვიე ჩემივე ბრძანება? — დამცინავად ჰკითხა ჯაფარმა.

— ალაჰს ვფიცავ, სხვა განზრახვა არ მქონია! — უყოყმანოდ უპასუხა აბუბაქარმა.

— სხვა დროს ასე აღარ მოიქცე. გააკეთე ის, რასაც გეტყვი. იცოდე, ეს ბოლო გაფრთხილებაა! — თქვა ჯაფარმა და მუროჩის ხელით ანიშნა: აქ მოდიო.

მუროჩი აუჩქარებლად მიუახლოვდა ტახტს და ჯაფარის წინ შედგა. მუსლიმანთა წესით მისალმება აზრადაც არ გაუვლია. ამის მაგივრად მამარს ჯიქურ ჩააცქერდა სახეში.

— უზრდელი ყოფილხარ, უცნობო! — ბრაზით მიუგდო მამარმა, — ქედი მოიდრიკე, თუ შეგახსენო, ვის წინაშეც დგახარ?!

— ვიცი, ვინცა ხარ, — მშვიდად მიუგო მუროჩიმ, — მაგრამ შენი ყმა არ ვარ!

— ამ მიწებზე ყველა მუსლიმანის ბატონი ვარ!

— მე მუსლიმანი არ ვარ!

მამარმა თავადაც იცოდა, რომ მულიდები ისლამს არ აღიარებდნენ. ისინი ისმაილიტები იყვნენ და ცოცხალ ღმერთს, ისმაილს ეთაყვანებოდნენ. ამიტომაც თავი მიანება მისალმებას და კარანაუსელთა სამფლობელოში მოსვლის მიზეზზე გადავიდა.

— რა დაგაბარა ჩემთან ალამუთის ბატონმა?

— ეს მიგახვედრებს, — უპასუხა მუროჩიმ და მულიდებისთვის ართმეული ხანჯალი ფერხით დაუგდო.

ჯაფარმა გაოცებით ახედა. წვერმოკაუჭებული ხანჯალი, მულიდთა მუქარის ნიშანი იყო. მაგრამ რისთვის უნდა დამუქრებოდნენ მთის ბერები?! მან ხომ ბოლომდე შეასრულა ბრძანება, ალამუთს მტრად მოკიდებული სელჩუკი დაატყვევა და დილეგში გამოამწყვდია... უცნაურად ეჩვენა მულიდის საქციელი. თავად სტუმარიც უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ჯაფარი არასოდეს შეხვედროდა მთის ბერებს, მაგრამ ასეთებად მაინც არ წარმოედგინა. მაცნე სელჩუკი მოლაშქრესავით იყო ჩაცმული. ლურჯი თვალებით კი ფრანკს უფრო ჰგავდა, ვიდრე ალამუთელ მულიდს. თავისი ქვეშევრდომების ნაამბობიც კი გაახსენდა, — მთის ბერებს სულ ადვილად შეუძლიათ სხვა ხალხის, თუნდაც სელჩუკების მიბაძვაო. მაგრამ გაუგებარი იყო, რისთვის შეარჩიეს ადამიანი, რომელიც ფრანკს ჩამოჰგავდა?

ვიდრე ჯაფარი ამას ფიქრობდა, მუროჩიმ უფრო ახლოს მიიწია და ცივად გამოცრა:

— სად არის დატყვევებული სელჩუკი?

— ნუ ჩქარობ. ჯერ უნდა დამიდასტურო, რომ ნამდვილად ალამუთის ბატონის წარგზავნილი ხარ, — შეაგება ჯაფარმა.

— ეგ ხანჯალი დაგიდასტურებს!

— ეგ ხანჯალი არაფრის მთქმელია!

— მაშინ ელოდე იმ დღეს, როცა მის

ფხას ბეჭქვეშ შეიგრძნობ! — დამცინავად მიუგდო მუროჩიმ.

თავხედურმა პასუხმა ირგვლივ მყოფი კარანაუსელები გააშმაგა. რამდენიმემ უმალ მოზიდა იარაღი და მისკენ წაიწია, მაგრამ ჯაფარმა შეძახილით შეაჩერა მცველები.

— უკან დაიხიეთ!

მცველები უხალისოდ დაემორჩილნენ და ხმლები ჩააგეს.

— შენი ბატონის მტერი აქ არის... არჩევანი შენზეა — ცოცხალი მოგგვარო, თუ მისი თავი მოგართვა? — განაგრძო ჯაფარმა.

— ცოცხალი მომგვარეთ!

ჯაფარი მცველებს მიუბრუნდა და ხელით ანიშნა: ტუსაღი მოიყვანეთო, მაგრამ ვიდრე ისინი ადგილიდან ფეხს მოიცვლიდნენ, ამინი წინ წარდგა და ბრაზით შესძახა:

— შესდექ, ბატონო!.. ეს კაცი ტყუის. ის ალამუთის წარგზავნილი არ არის. სელჩუკთა მსტოვარია, სიმაგრეში ჩვენს საცდუნებლად შემოპარული!..

ჯაფარი დაიბნა. თუ ამინი მართალი იყო, მსტოვარი სიკვდილით უნდა დაესაჯა. მაგრამ ვაითუ, ცდებოდა და სელჩუკი მსტოვრის მაგივრად, მულიდთა წარგზავნილი შემოჰკვდომოდა? ეს უკვე საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა იქნებოდა. მაგრამ ვიდრე ჯაფარი ყოყმანობდა, ყველაფერი თავისთავად გაირკვა: აბუბაქარი ელოდა, ძმის მიმდევრებიდან თუ ვინ შენიშნავდა სიყალბეს. ეს ამინი აღმოჩნდა — ჯაფარის მრჩეველი. სხვა რამ აბუბაქარს აღარ აინტერესებდა. ის დარწმუნებული იყო, ერთგული მსახურის სახით მის წინაშე სიმაგრეში ჩაბუდებული ისმაილიტი იდგა და მანაც უმალ მოიხმო დარბაზში თავისი მეომრები.

ამინი მაშინვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა აბუბაქარის შეძახილი და მის მარჯვენაში გაელვებული ხმალი.

— ორივე მოკალით! — მთელი ხმით შეჰყვირა მცველებს და თავადაც ხმალს წაეტანა, მაგრამ ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო. მუროჩიმ, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა მასთან, ნაცადი ილეთით გადაუქნია გორდა და მარჯვენა მტევანი ხმალთან ერთად წაჰკვეთა. ამინი მოიკრუნჩხა და გაბმული კივილით გაგორდა იატაკზე. ამასობაში კი დარბაზში ნამდვილი ბრძოლა ატყდა. გარედან შემოცვნილი აბუბაქარის მეომრები, მშიერი მგლებივით დაერივნენ ჯაფარის მცველებს. ხმლების ჟღრიალი სიმაგრის ეზოშიც გაისმა. აბუბაქარის შავმოსასხამიანი მეომრები იქაც იბრძოდნენ, მაშხალებით მიმორბოდნენ ეზოსა და დერეფნებში და უფროსი მამარის მომხრეებს უმოწყალოდ ხოცავდნენ.

მოულოდნელმა თავდასხმამ ისე დააფრთხო ჯაფარი, რომ ხმალი აღარც კი გახსენებია. მცველები აბუბაქარის მეომრებს შეატოვა, თავად კი სირბილით გაქანდა დარბაზის საპირისპირო მხარეს, სადაც მეორე გასასვლელი ეგულებოდა. მაგრამ მუროჩიმ წასვლა არ აცალა, ერთი ნახტომით წამოეწია, ძლიერ დარტყმით იატაკზე დასცა, ხმალი ყელში მიაბჯინა და გამყინავად ჩასძახა:

— შენს ხალხს უბრძანე, იარაღი დაყარონ, თორემ თავს წაგაგდებინებ!..

— დაყარეთ იარაღი!.. — გაჭირვებით დაიხრიალა ჯაფარმა.

ბატონის ბრძანებას მხოლოდ რამდენიმე მცველი დაემორჩილა. უმეტესობამ მაინც ბრძოლის გაგრძელება არჩია. ხმლების ჩახაჩუხი და მეომართა ყიჟინა იმაზე მიანიშნებდა, რომ აბუბაქარისგან შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდათ; და რადგან მაინც უნდა დაღუპულიყვნენ, მცველთა უმეტესობამ ხმლით ხელში სიკვდილი არჩია. აბუბაქარის მეომრებაც არ დააყოვნეს და გაჯიუტებული მცველები ერთიმეორის მიყოლებით აჩეხეს. მერე ტყვედ დანებებულთა ჯერიც დადგა. აბუბაქარმა ზიზღით გახედა მუხლებზე მდგომ რამდენიმე მცველს და თავის ხალხს მათი დახოცვაც უბრძანა. დარბაზში ისევ აელვარდა ხმლები და იატაკზე თავმოკვეთილი სხეულები აფართხალდნენ. ამის დანახვისას ჯაფარმა ნადირივით დაიღმუვლა.

— ღმუი?! — აბუბაქარი დამცინავი ღიმილით წამოადგა ძმას თავზე.

— მართალი იყო ამინი, როცა შენს მოკვლას მირჩევდა. ბავშვობიდან მუხთალი იყავი, არასოდეს გენდობოდი, მაგრამ მოსაკლავად მაინც ვერ გიმეტებდი. არ მინდოდა ძმის სისხლის დაღვრა და ამიტომაც წავაგე თავი! — კბილების ღრჭიალით წარმოთქვა ჯაფარმა.

— მუხთალი გგონივარ?! მუხთალი მე კი არა, შენ ხარ!.. შენ გვიღალატე. მე... შენს ოჯახს... გვარს და ყველა ქვეშევრდომს!.. ისლამს განუდექი და შაითნის მოციქულ ისმაილიტებს მიემხრე. შენ ვერც ხვდები, რომ შენი გასაკეთებელი გავაკეთე. შენი ისმაილიტებთან დაძმობილება არ დაიმალებოდა, ადრე თუ გვიან სელჩუკები მაინც შეიტყობდნენ ამას. განდგომას არავინ გაპატიებდა. სულთანი სიკვდილით დაგსჯიდა. შენზე არც ვიდარდებდი — ალაჰის მოღალატე და მულიდთა მეგობარი, სიკვდილის მეტს არაფერს იმსახურებს. მაგრამ ვინღა დააჯერებდა სელჩუკებს, რომ ჩვენ, შენი ოჯახი და საგვარეულო მართლები ვიყავით და მულიდებთან დაძმობილება აზრადაც არ მოგვსვლია?! ჩვენ ხომ შენთან ერთად დაგვაყრევინებდნენ თავებს და ვის დარჩებოდა მერე ჩვენი მხარე; მხარე, რომელსაც საუკუნეები განაგებდნენ ჩვენი წინაპრები, მამარები?!

— ფლიდი და ორპირი ხარ. მულიდები არაფერ შუაშია. დიდხანს ემზადებოდი ჩემს მოსაკლავად და ახლა მოგეცა ამის შესაძლებლობა. ნუ ზეიმობ, ძმის მკვლელი სამოთხეში ვერ მოხვდები. ჯოჯოხეთის შაითანთა შორის დაიფერფლები! — ავად შესძახა ჯაფარმა.

— ძმის მკვლელი?! არა, ჯაფარ. მე ძმას არ მოვკლავ. მე ალაჰისგან განდგომილ ურჯულოს დავსჯი. ამისთვის სამოთხით მომეზღვება. შენ კი მულიდებთან დაძმობილებისთვის თავად დაიფერფლები ჯოჯოხეთში. ბეცი იყავი და სიცოცხლეც ამიტომაც დაამთავრე ასე. შენ გვერდით მულიდთა მსტოვრის ამოცნობაც კი ვერ შეძელი და ვინ იცის, რამდენი კარანაუსელის სიცოცხლე გაწირე მათი კარნახით!

— რას ამბობ?! რა ესაქმებოდათ მულიდებს ჩემ სიახლოვეს?!

— რა ესაქმებოდათ?! — ბრაზი მოერია აბუბაქარს. — მაშ, საიდან გაჩნდა მათი ბრძანება და ხანჯალი სიმაგრის ალაყაფთან?! ჩვენი მზვერავები ყველა გზასა და ბილიკს უთვალთვალებენ. იმ დღეებში ბარიდან არავინ ამოსულა, წერილი და ხანჯალი კი მაინც გამოჩნდა!

— განა არ იცი, რანი არიან მულიდები?! მათ არ გაუჭირდებოდათ ჩემს სიმაგრემდე ფარულად მოღწევა. მეც ამან დამაშინა. თუ სიმაგრემდე ყველასგან უხილავად მოღწევა შეძლეს, ჩემს მოკვლასაც მოახერხებდნენ, — დაიხრიალა ჯაფარმა.

— ბეცი ხარ... ბეცი!.. გაიხსენე, ვინ ჩაგჩიჩინებდა: ერთი სელჩუკიც არ უნდა გავაჭაჭანოთ ჩვენს მიწაზეო; გაიხსენე, ვინ ამოაწყვეტინა შენი ქვეშევრდომები სულთნის ჯარს; გაიხსენე, ვინ მოითხოვდა გააფთრებით ჰასანის დატუსაღებას და მულიდებისთვის გადაცემას... — ამ სიტყვებთან ერთად აბუბაქარი ამინს მიაუახლოვდა, რომელიც იატაკზე ჩამხობილი გმინავდა და ჩასძახა: — უთხარი... შენ თვითონ

უთხარი, ვინცა ხარ და რისთვის ხარ სიმაგრეში!..

ამინმა გააფთრებულმა ამოხედა და მთელი ხმით იყვირა:

— ვიცი, რომ მოვკვდები, მაგრამ ნუ იზეიმებთ. თქვენ საუკუნო ჯოჯოხეთი გელით, მე კი — სამოთხე, რამეთუ მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის და ჩემი ბატონისა და სამოთხის კარიბჭის მპყრობლის, ისმაილის ერთგული...

აბუბაქარმა სიტყვის დამთავრება არ აცალა. ხმლის ვადა ორივე ხელით ჩაბღუჯა და მთელი ძალით დაჰკრა სახეში. დარბაზში ძვლის ამაზრზენი ჭახანი გაისმა. ხმალმა სახის ნახევარი ჩამოათალა ამინს და იქაურობა მისი ტვინის შხეფებით მოირწყა.

— ძაღლს ძაღლური სიკვდილი ერგო! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა აბუბაქარმა, მერე სისხლიანი ხმალი მოსასხამის კალთაზე შეიწმინდა, ისევ ჯაფარს მიუბრუნდა და წარმოთქვა: — კიდევ რამეს იტყვი შენს შორსმჭვერეტელობასა და გამჭრიახობაზე?.. მულიდებთან დაძმობილებასა და მათი ბრძანებით სელჩუკი ვაჭრის დატუსაღებას, ღაჩრობად ჩაგითვლიდი. ვიფიქრებდი, რომ ზურგში ღალატით ჩაცემულმა ხანჯალმა შეგაშინა. მაგრამ რას იტყვი ამინზე? შენს მულიდ მრჩეველზე, რომელიც მრავალი წელი გიბიძგებდა სულთანთან ომზე?!. ხვდები, საით მიგყავდა შენი ხალხი?! ჯარს, რომელსაც ალამუთი უნდა დაელაშქრა, ჩვენთან ომში ღვრიდა სისხლს. სელჩუკთა სისხლი და ხევებში დაგორებული თავები არ მადარდებს. ისინი მუდამ ჩვენი მტრები იყვნენ, მაგრამ იმ ომებში ჩვენი თანამოძმეები იღუპებოდნენ და არა ალამუთელი ისმაილიტები!.. შენ ბეცი და ბრმა ხარ, რომელიც არ იმსახურებს კარანაუსელთა ბელადობას!..

— მათ გახედე! — ჯაფარმა იატაკზე გართხმულ მცველთა ცხედრებზე მიანიშნა უმცროს ძმას. — რას იტყვი? იქნებ ისინიც ისმაილიტები იყვნენ?!

— ეს სასჯელია ყველა შენი მიმდევრისთვის. მათ კარანაუსელთა მთავარ წესს ულალატეს. ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ. არ დავემორჩილეთ სულთანს და არც მულიდებს მივეყიდებით. მათ იცოდნენ, რომ შენ მულიდთა ბრძანებით დაატყვევე სელჩუკი ვაჭარი, მაგრამ არც ერთ მათგანს ამის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. ისინი ბრმად გემსახურებოდნენ და ჯოჯოხეთშიც გამოგყვნენ. იქამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა. დილით ყველაფერი დამთავრდება. ჩვენ არავის შევიწყალებთ და არც გაქცევის საშუალებას მივცემთ. შენ და შენი მიმდევრები ჩირქოვანი წყლული ხართ, რომელიც ხმლის ერთი მოქნევით უნდა მოიკვეთოს!

— ტყუი!.. — გაშმაგდა ჯაფარი. — ჩემმა ხალხმა მულიდების შესახებ არაფერი იცოდა. ის წერილი მარტო მე, შენ და ამინმა ვნახეთ!

— დაგავიწყდა, ვინ იყო შენი მრჩეველი? — ჩაიცინა აბუბაქარმა.

— ამინს თავად უნდოდა, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩენილიყო.

— არა, ჯაფარ. ეს ხმა ამინმა გაავრცელა. რაც მეტ ხალხს ეცოდინებოდა სელჩუკი ვაჭრის მულიდთა ბრძანებით დატუსაღების შესახებ, მით მალე დაიძვრებოდა სულთნის ლაშქარი ჩვენი სამფლობელოებისკენ! აქ დაიწყებოდა ომი! მაგრამ ეს აღარ მოხდება. დილით შენი, ამინისა და შენი მომხრეების თავებით დასაპალნებულ აქლემს ბალქში გავგზავნი.

— მულიდები?.. მთის ბერებს რაღას მოუხერხებ?! დიდხანს ვერ დატკბები კარანაუსელთა ბელადობით. მალე შენი დროც დადგება. ან მულიდები მოგიღებენ ბოლოს, ან — შენი შავმოსასხამიანი ავაზაკები, რამეთუ თავად უკარნახე, რომ ჯანყითა და თანამოძმეთა სისხლისღვრით, ბელადის ტახტიდან ჩამოგდება ყოფილა შესაძლებელი! — ავად მიუგო ჯაფარმა.

— მაგაზე ნუ იდარდებ. მე ჯაფარი არ ვარ. მე აბუბაქარ მამარად მიცნობენ და შენგან განსხვავებით, ორგული ქვეშავრდომი ჩემ სიახლოვეს ვერ გაიჭაჭანებს! — თქვა აბუბაქარმა, მერე კი მუროჩის ყელში ხელის გამოსმით მიანიშნა: სათქმელი აღარაფერი მაქვს. თავი მოჰკვეთეო.

პასუხად მუროჩიმ ბღვერით შემოხედა.

— მოკალი! — ბრძანება გაიმეორა აბუბაქარმა.

მაგრამ მუროჩის აზრადაც არ მოსკლია ჯაფარის მოკვლა. ამის მაგივრად უკან გადგა და იატაკზე დაგდებული ხმალი, ფეხის გაკვრით გააცურა მისკენ. ჯაფარი უმალ გამოცოცხლდა. ხმალს ხელი სტაცა, ფეხზე წამოიჭრა და თავდაცვისთვისთვის მოემზადა.

ამის დანახვაზე, მეომრებმა ხმლები და შუბები შემართეს და ჯაფარისკენ გაცვივდნენ, მაგრამ აბუბაქარმა შეძახილით შეაჩერა.

— უკან!... არავინ გაეკაროს!.. — მერე კი ხმალი შეათამაშა და წელში მოხრილი, უფროსი ძმისკენ გაემართა. ჯაფარი გაქვავებული სახით შეეგება. იცოდა, აბუბაქარი საუკეთესო მოფარიკავე რომ იყო, მაგრამ გამოცდილებით, თავად სჯობდა. თანაც რა ჰქონდა დასაკარგი?! წინასწარ იცოდა, რომ დარბაზიდან ცოცხალი ვერ გააღწევდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა ორთაბრძოლაში?! აბუბაქარი რომც მოეკლა, მის მეომრებს მაინც ვერ დაამარცხებდა, მაგრამ ბრძოლას მაინც ჰქონდა აზრი. ჯაფარს არ სურდა ამ ქვეყნიდან დამარცხებული წასულიყო და სიცოცხლის ბოლო წუთებში მოზეიმე ძმისთვის ემზირა. ის მოკვდებოდა, ამას უკვე შეგუებული იყო, მაგრამ მანამდე მოღალატე ძმის ჯოჯოხეთში გასტუმრება უნდოდა. ამას თუ მოახერხებდა, თავს გამარჯვებულად მიიჩნევდა და მშვიდად შეხვდებოდა სიკვდილს, რომელიც უკვე თავს დასტრიალებდა.

ორთაბრძოლა აბუბაქარმა დაიწყო. ახალგაზრდული სიფიცხით გახტა წინ და ხმალი მოიქნია. ჯაფარი უშიშრად შეეგება, დარტყმა მოიგერია და თავად შეუტია. ხმლის პირველ მოქნევას, მეორე მოჰყვა, მერე — მესამე... მეხუთე. ჯაფარი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს, ელვის სისწრაფით იქნევდა ხმალს და დარტყმას დარტყმაზე აყენებდა. აბუბაქარი კი მძიმედ იქნევდა ხმალს და თანდათან უკან იხევდა. მალე ის დარბაზის კუთხეში აღმოჩნდა. ვინაიდან მეტოქეს აღარსად ჰქონდა წასასვლელი, ჯაფარმა უფრო მარჯვედ იწყო ხმლის ქნევა. მუროჩი უკვე დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ჯაფარს სისხლის გუბეზე დაუსხლტა ფეხი და წონასწორობადაკარგული გვერდზე გადაქანდა. აბუბაქარმა უმალ ისარგებლა ამით და ხმალი გამეტებით შემოუქნია. ჯაფარმა ხმალი შეაგება, მაგრამ მკლავის ბოლომდე გამართვა ვეღარ მოასწრო. ფოლადს დაძგერებულმა აბუბაქარის ხმალმა ნაპერწკლები ბღუჯად გაყარა და ჯაფარს მძიმედ დაეხეთქა მხარზე. ჯაჭვის პერანგმა გაუძლო, მაგრამ ძლიერმა დარტყმამ ჯაფარი ძირს დასცა. აბუბაქარმა მეორედ მოიქნია ხმალი. ამჯერად ხმალმა ჯაჭვის პერანგით დაუფარავ კისერს უწია. ჯაფარმა დაიგმინა, ხმალი გააგდო და ორივე ხელი ჭრილობაზე იტაცა, საიდანაც შადრევანივით იფეთქა სისხლმა. გამარჯვებაში დარწმუნებულმა აბუბაქარმა შუბლს მომდგარი ოფლი შეიმშრალა, მერე წიხლი ჰკრა ძმას, ზურგზე გადააბრუნა და მოზეიმე ხმით ჩასძახა:

— ჩემი ხელით არ მომკვდარხარ, ჯაფარ. ხმალში ვერასოდეს დაგჯაბნიდი, მაგრამ ასეთი იყო ალაჰის ნება. მისი ხელით დაისაჯე!

— რა შეუძლია თქვას, საკუთარ სისხლში მობანავე ადამიანს?! — გაჭირვებით დაიხრიალა ჯაფარმა. — მაგრამ მაინც გთხოვ, მომაკვდავს ერთი თხოვნა შემისრულე: შვილებს ნუ დამიხოცავ, ისინი ხომ შენი ჯილაგისა არიან.

— ალაჰის მოღალატე და მისი ნაშიერი, ჩემი ჯილაგისა ვერ იქნება, თანაც შენ დაიგვიანე. ისე გაერთე ხმლის ქნევაში, რომ ეზოდან შემოჭრილ კივილში საკუთარი ცოლ-შვილის ხმაც ვერ იცანი. ისინი უკვე დაიხოცნენ და ჯოჯოხეთში გელიან!

— მოკვდი, შაითანო!.. — კბილები გააღრჭიალა ჯაფარმა და ხმალს წაეტანა, მაგრამ აბუბაქარმა აღარ აცალა, ახლოს მდგომ მეომარს მიუბრუნდა და ძმის მოკვლა უბრძანა. მეომარმა ჯაფარს მკერდზე დააჭირა ფეხი და ხმლის დაკვრით თავი გააგდებინა.

აბუბაქარმა ზურგი შეაქცია ძმის აფართხალებულ სხეულს და გააფთრებულმა, მუროჩის შეუტია.

— გაბედული უდავოდ ხარ, მაგრამ ძალზე თავხედიც ყოფილხარ. როგორ შემომბედე უარი? დაგავიწყდა, სად ხარ?! საკმარისია ჩემი ერთი სიტყვა და, ამ თავებს შენიც შეემატება!

— ჯერ ტუსაღი დამიბრუნე და მერე სცადე, ჩემი კისრის ხმლით მოსიჯვა! — ცივად უპასუხა მუროჩიმ.

აბუბაქარი ბრაზით ჩააცქერდა თვალებში, მაგრამ მუროჩის წარბიც კი არ შეუხრია. მშვიდად ელოდა, რას მოიმოქმედებდა კარანაუსელთა ახალგამომცხვარი ბელადი.

— ჯერ ჩემს ხალხს დავხედავ, მერე კი შენთვისაც მოვიცლი, — ჩაილაპარაკა ავად, თავის მეომრებს უბრძანა, — უდარაჯეთო და გასასვლელს მიუბრუნდა.



ბრძოლა მზის ამოსვლისას შეწყდა. იმ დროისთვის სიმაგრის ეზო, დერეფნები და დარბაზები სასაკლაოს დაემსგავსა. იქაურობა სისხლის გუბეებითა და ცხედრებით იყო მოფენილი. აბუბაქარის სისასტიკემ ცუდი შედეგი გამოიღო. სიმაგრის მცველთა უმეტესობამ არ იცოდა ძმებს შორის მომხდარი შეტაკების მიზეზი და აბუბაქართან ბრძოლას არც აპირებდა, მაგრამ ტახტის მაძიებელი მამარის მომხრეები არავის ინდობდნენ, შავ მოსასხამებში გამოხვეულები მოჩვენებებივით დაქროდნენ სიმაგრის დერეფნებში და ყველას განურჩევლად ხოცავდნენ. ამით სიმაგრის მცველებისთვის ცხადი გახდა, რომ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდათ და მათაც იარაღს მოჰკიდეს ხელი. კარანაუსელთა ნაწილმა გაქცევა სცადა, მაგრამ აბუბაქარის მომხრეებს სიმაგრისთვის საიმედო ალყა ჰქონდათ შემორტყმული. ყველა, ვინც ალაყაფს მიღმა გაღწევა შეძლო, მათი შუბებითა და ისრებით დაიღუპა. ტახტისთვის ბრძოლას ვერც ჯაფარის ცოლ-შვილი გადაურჩა. აბუბაქარის ბრძანებით, ისინი ბრძოლის დაწყებისთანავე დახოცეს. უმცროსი მამარი იმთავითვე იმაგრებდა ტახტს და სამომავლოდ ყველა შესაძლო შურისმაძიებელი თუ ტახტის კანონიერი მემკვიდრე თავიდან მოიშორა.

ბრძოლის დამთავრებისთანავე, აბუბაქარი სიმაგრის მთავარ დარბაზში დაბრუნდა, სადაც თავხედი მოკავშირე ეგულებოდა. დარბაზში ნანახმა სურათმა გაოგნებული დატოვა. მუროჩი მამართა საგვარეულო ტახტზე იჯდა, მისი მეომრები კი გაავებული მზერით უთვალთვალებდნენ.

— როგორ გაბედე ტახტზე დაჯდომა?! — უმალ იფეთქა აბუბაქარმა.

— რატომაც არა?! — დინჯად უპასუხა მუროჩიმ. — ამ ტახტის დაცლაში მეც მიმიძღვის წვლილი.

— ადექი! — მრისხანედ უბრძანა აბუბაქარმა.

— მართალი ხარ. ეს ტახტი შენ გეკუთვნის. არავის გაუღია ისეთი მსხვერპლი, როგორიც შენ გაიღე, — უპასუხა მუროჩიმ და ადგა.

— რატომ მეურჩებოდი, ჯაფარის სისხლმა ხომ არ აგიკანკალა ხელი?! — ბრაზით განაგრძო აბუბაქარმა.

— მე ჩემი სიტყვა შევასრულე. დაპირებულზე მეტიც გავაკეთე, მაგრამ შენთვის ჯაფარის მოკვლის პირობა არ მომიცია.

— უარი შემომბედე. არა აქვს მნიშვნელობა, რატომ და რისთვის. ამისთვის კარანაუსელები სიკვდილით სჯიან!

— მე არც კარანაუსელი ვარ და არც შენი ყმა!

— მაგრამ ჩემს სამფლობელოში იმყოფები! — ცივად შენიშნა აბუბაქარმა.

— იმაზე ბრიყვი ყოფილხარ, ვიდრე თავიდან მეჩვენა, — მშვიდად ჩაილაპარაკა მუროჩიმ.

— რაო?! — გაშმაგდა აბუბაქარი.

— ამბობენ, ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო... თანაც ჩემი ხალხი, წაქცეულს არ ურტყამს. ეს ვაუკაცთა წესი არ არის. მტერს თანაბრად უნდა შეება. სხვაგვარ გამარჯვებას რა ფასი აქვს!.. ჩემი მეგობრის გათავისუფლება სხვანაირადაც შეიძლებოდა. შეგეძლო, დაგეყოლიებინა შენი ძმა, გამოსასყიდად ოქრო გაგეღო, მაგრამ შენ მისი მოკვლა არჩიე. ამით სულთნის გულსაც მოიგებ და ძმის ტახტსაც დაიკავებ. ეგ შენი ომი იყო და არა — ჩემი!.. თანაც, მე ერთი სიკეთეც გაგიკეთე...

— რა სიკეთე? — სწრაფად ჩაეძია აბუბაქარი.

— შენი ხალხისთვის იმის დამტკიცების საშუალება მოგეცი, რომ მართლაც უფროს ძმაზე ძლიერი იყავი. არც ხელი აგკანკალებია, ხმლის ვერაგულად მოქნევაც გცოდნია. დღეიდან შენს ხალხს შენი დიდი შიში ექნება. ვინ გაუბედავს ურჩობას კაცს, რომელმაც საკუთარი ძმა და მისი ცოლ-შვილიც კი არ დაინდო?! და თანაც ისეთ კაცს, რომელიც წაქცეულზეც აღმართავს ხმალს?!

— უცნაური კაცი ყოფილხარ, — დინჯად ჩაილაპარაკა აბუბაქარმა, — ყველა თვისება მოჭარბებული გაქვს: უშიშარიც ხარ, გაბედულიც, გონიერიც და თავხედიც... ახლა უკვე მართლა ვეჭვობ, ღირს თუ არა, შენი ცოცხლად დატოვება?..

— ჩემი მოკვლა გინდა? — გაეღიმა მუროჩის.

— ჰო, — თავი დაუქნია აბუბაქარმა.

— შენ ალაჰი დაიფიცე, რომ მე და ჩემს მეგობარს უვნებლად გაგვიშვებდი, — პირობა შეახსენა მუროჩიმ.

— მე ჩემს ძმასაც შევფიცე, რომ მისი ერთგული ვიქნებოდი, — მშვიდად შენიშნა აბუბაქარმა.

— იყოს ასე. მაშინ შენს ხალხს კიდევ დაუმტკიცე, რომ ჭეშმარიტი ბელადი ხარ, — მუროჩიმ ხმალი შეათამაშა.

— ბრძოლაში მიწვევ?

— ცხვარივით სიკვდილს არ ვაპირებ და თუ ვინმეს შემოვკრავ ხმალს, პირველი შენ იქნები!

— შენი მოკვლა მინდა, მაგრამ არ მითქვამს, ამას მართლაც ვაპირებ-მეთქი. ანდა, რისთვის უნდა გაგწირო?.. ენაჭარტალა კაცს არ ჰგავხარ, გონიერიც ხარ და თავადაც ხვდები, რომ არ ღირს აქ მომხდარის ვინმესთვის მოყოლა. შენ თუ მოგკალი, შენი ამხანაგის მოკვლაც მომიწევს. ის კი ბევრ კარგ სიტყვას შემაწევდა სულთანთან. თანაც... არა მგონია, მარტო ხმლის ამარას გაგებედა ჩემს სიმაგრეში მოსვლა. შენ თუ შეძელი ქარავნის კარანაუსელ მზვერავთა შეუმჩნევლად დატოვება, სხვაც მოახერხებდა ამას. იქნებ ახლა რომელიმე შენი ამხანაგი, ბალქის ამირას უყვება სელჩუკი ვაჭრის დატუსაღების ამბავს?

მუროჩი მაშინვე მიხვდა, რაც აშინებდა აბუბაქარს.

— ვინ იცის, იქნებ უყვება, იქნებ — არა...

— ეგ შენ უკეთ გეცოდინება, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემი ძმის მსგავსად არ გავბრიყვდები და სულთანს არ გადავიმტერებ, — თქვა აბუბაქარმა, მერე კი თავის მეომრებს მიუბრუნდა და ბრძანა: — სელჩუკი ვაჭარი დილეგიდან გამოიყვანეთ და აქ მომგვარეთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 68

ვა. სატვირთოები ძალიან დაბალი სიჩქარით დადიან. საშინელი მტვერი და გამონაბოლქვის ბუღი დგას. ერთი სიტყვით, იქაც გვარიანად დავიტანჯე. ერთი-ორჯერ პოლიციასთანაც მომიწია შეტაკებამ. მომიტევეთ და, ვაგინე კიდეც.

— ქართულად, ბატონო ჯუმბერ?

— აბა, მე ინგლისური გინება არ ვიცი. სხვათა შორის, ჩემი გინება, ვიდრე ჩინელებს არ გადავეყარე, კაციშვილს არ ჰქონდა გაგონილი. იმ უსინდისოებმა მდგომარეობიდან გამომიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ჩინელ პოლიციელთა შანტაჟი გახშირდა ქალაქ გარმუში მომხდარი ინციდენტის შემდეგ. ამის დამადასტურებელი ფაქტებიც მაქვს: მოგზაურობისას სპეციალური ჟურნალი დამაქვს, რომელშიც პოლიცია ყოველდღიურად აღნიშნავს, რომელ რაიონში ან ქალაქში ჩავედი და ამას ბეჭდის დარტყმით ადასტურებს. ამ საზიზღრებმა ჟურნალის გაფუჭებაც მოინდომეს. ჯერ რაღაც ისეთი ჩამიწერეს, რაზეც თვითონვე დაიხოცნენ სიცილით, მერე მითხრეს — ახლა წავალთ და დიდ ბეჭედს მოვიტანთო. მოვიდნენ და ერთი ციდა „სათამაშო" მოიტანეს. გავბრაზდი, ვუყვირე — სულ არ მინდა თქვენი ჩანაწერი, არც თქვენი ბეჭედი-მეთქი. ავიღე ჩემი აღნიშვნის წიგნი და წამოვედი. იცით, კიდევ რა გამიკეთეს? ერთ-ერთ უღელტეხილზე გვირაბია, რომელშიც შუქი არ არის და ველოპედით ან ფეხით გასვლა ძალზე სახიფათოა. გადავწყვიტე, მანქანა გამეჩერებინა და მძღოლისათვის მეთხოვა — ან წინ გავეშვი და თავად უკან გამომყოლოდა, ან ნელა ევლო და უკანა ფარების შუქზე გავყვებოდი. ორი საათი ვიდექი გვირაბის შესასვლელში, არავინ მიჩერებდა. ბოლოს, უცხოელი ტურისტების ავტობუსმა გამიჩერა. მათ მიშველეს. მე წინ გამიშვეს და ისინი უკნიდან მინათებდნენ გზას. იქვე 2 კილომეტრში პოლიციის პოსტი გაღმოჩნდა. ჩემს დანახვაზე სიცილი დაიწყეს და მაშინვე მივხვდი, რომ ყოველივე მათ მიერ იყო მოწყობილი.

— რას გულისხმობთ?

— ავტომობილიან მგზავრებს აფრთხილებდნენ, ჩემთვის არ გაეჩერებინათ. ასე წვალებით ჩავაღწიე პეკინამდე. წონაში 7 კგ მქონდა დაკლებული. ჩვენის ელჩის მრჩეველმა — სოსო აბაშიძემ თავის ოჯახში წამიყვანა და საათობრივი კვების რეჟიმი დამიწესა, რომ როგორმე წონა აღმედგინა. რამდენიმე დღეში ვარჯიში დავიწყე და სამი კილოგრამი მოვიმატე. ერთი სული მქონდა, როდის შეეხვდებოდი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომ მათთვის ოლიმპიადაზე დასასწრები აკრედიტაცია და ჩემი ჩოხა გამომერთმია, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ...

— მოგზაურობას კიდევ აპირებთ?

— რასაკვირველია, ველოსიპედით 238 ქვეყანაში ვარ ჩასული, მხოლოდ ხუთი ქვეყანა დამრჩა და ამ ქვეყნებსაც აუცილებლად უნდა ვესტუმრო. სხვათა შორის, პეკინში დრო არ დამიკარგავს და საქართველოში რუსეთის ბარბაროსულად შემოჭრის წინააღმდეგ, ადგილობრივ ქართველებთან ერთად რუსეთის საელჩოს წინ დიდი საპროტესტო აქცია მოვაწყვე.

ჯგუფის – METALLICA ახალმა ალბომმა ამერიკული და ბრიტანული ჩარტები დაიპყრო

ჯგუფის — Metallica ახალმა სტუდიურმა ნამუშევარმა Death magnetic ამერიკული და ბრიტანული ჰიტაღლუმები დაიპყრო. ამერიკაში ალბომის 490000 ეგზემპლარი რამდენიმე დღეში გაიყიდა. Death magnetic გაცილებით უკეთ იყიდება, ვიდრე ჯგუფის წინა ნამუშევარი St Anger (2003 წ.). გაყიდვის რაოდენობით ახალი ალბომი მხოლოდ 1996 წლის ნამუშევარს — Load ჩამორჩება, მაშინ 6 დღეში ამ ალბომის 680000 ეგზემპლარი გაიყიდა.

ალბომი Death Magnetic ჯგუფის მეექვსე ჩანაწერია, რომელიც Billboard 200 ჩარტებში მონაწილეობს. Metalica ყველაზე დიდი მოთხოვნილების მქონე შემსრულებელთა სიაში ბოლოს 2004 წელს შევიდა სინგლით Some Kind of Monster. ალბომის Death Magnetic ბრიტანეთში გაყიდულ ეგზემპლართა ზუსტი რაოდენობა არ დასახელებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ჯგუფმა პირველობა წაართვა Glasvegas-ს და მომღერალ რიანას მეორე ადგილი დაუკარგვინა. ფირფიტის ოფიციალურ რელიზამდე (რომელიც 12 სექტემბერს შედგა) ათი დღით ადრე, ჩანაწერი ინტენეტში მოხვდა და სწრაფად გავრცელდა. მაგალითად: 17 სექტემბრისთვის ტორენტსაიტზე — Demonoid ფირფიტა 10000-ჯერ გადაქაჩეს.

ემი უაინჰაუსის მეუღლემ ციხიდან ვადამდელ გათავისუფლებაზე უარი განაცხადა

ბრიტანელი მომღერლის ემი უაინჰაუსის ქმარმა ბლეიქ ფილდერ-სივილმა პატიმრობიდან ვადამდელ გათავისუფლებაზე უარი განაცხადა. ფილდერ-სივილს საფოლკის საპატიმროდან იმ პირობით გაათავისუფლებენ, თუ იგი პოლიციის აღრიცხვაზე დარჩება, ნოტინგემშირში დედასთან იცხოვრებს და საღამოს 7 საათის შემდეგ სახლიდან არ გამოვა. ფილდერ-სივილს კი საკუთარი სახლის გარდა არსად ცხოვრება არ უნდა. როგორც ამბობენ, ემი უაინჰაუსის მეუღლეს საყვარელი ცოლისა და მეგობრებისგან შორს ცხოვრება კატეგორიულად არ სურს. პოლიცია კი შიშობს, რომ ჩვეულ გარემოში ყოფილი პატიმარი ვადამდელი გათავისუფლების პირობებს დაარღვევს.

2008 წლის ივლისში სასამართლომ ბლეიქ ფილდერ-სივილს ბარის მეპატრონის ცემისა და შემდგომ, დაზარალებულის მოქრთამვის მცდელობის გამო, 27-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. დამნაშავე 2007 წლის ნოემბერში დაუკავეს. საგამოძიებო იზოლატორში ყოფნის პერიოდი პატიმრობის ვადაში შეევიდა. ვადამდელ გათავისუფლებაზე უარის თქმის გამო, ფილდერ-სივილს ციხეში ყოფნა 2008 წლის დეკემბრამდე მოუწევს.

ბრიტნი სპირსის ახალი ალბომი

ბრიტნი სპირსის რეკორდკომპანიამ — Jive Records მომღერლის ახალი ალბომის სახელწოდება და გამოსვლის თარიღი გამოაცხადა. ბრიტნის ბოლო ალბომი Blackout საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. მის ახალ ნამუშევარს — Circus, მსმენელი მომღერლის 27-ე დაბადების დღეს, 2008 წლის 2 დეკემბერს მიიღებს. „ცირკის" პირველ სინგლს, რომლის გამოსვლის თარიღი ჯერ უცნობია, Womanizer ეწოდება. ცნობილია, რომ ახალი ფირფიტის შესაქმნელად ბრიტნი მომღერალთა და პროდიუსერთა ჯგუფთან იმუშავებს, რომელთა შორის არიან: მაქს მარტინი და ფლოიდ ჰილზი (ნელი ფურტადოსა და ჯასტინ ტიმბერლეიკის პროდიუსერი). 2008 წლის სექტემბერში, სპირსმა ბევრისთვის მოულოდნელად, MTV Video Music Awards-ის ცერემონიაზე სამი ჯილდო დაიმსახურა. ბრიტნის სიმღერის — Piece of me მიხედვით გადაღებულმა კლიპმა კი მთავარ ნომინაციაში — „წლის ვიდეო" გაიმარჯვა.

საუკეთესოდ ჩაცმულ ცნობილ ადამიანთა რეიტინგი

ჟურნალმა People 2008 წლის საუკეთესოდ ჩაცმულ ცნობილ ადამიანთა რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის პირველ ნომრად შემსრულებელი ფერჯი დასახელდა. რეიტინგში აგრეთვე მოხვდნენ მსახიობები კეიტ ჰადსონი, გვინეტ პელტროუ, შარლიზ ტერონი, ევა მენდესი და ენ ჰეტაუეი, მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი, სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი და მომღერალი რიანა. საპატიო ათეულში ბოლო ადგილი ამერიკის პოტენციურ პირველ ლედის, მიშელ ობამას ერგო, რომლის სახელიც მსგავს რეიტინგებში საკმაოდ ხშირად ფიგურირებს. აღსანიშნავია, რომ ფერჯის ხშირად ასახელებენ ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ცნობილ ადამიანთა შორის. ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა და კრიტიკოსმა ბლეკველმა ფერჯის ჩაცმის სტილს „ბრენდთა გროვა" უწოდა.

ნიკოლ კიდმანი „მერვე სასწაულის" ძიებაში

კინოსტუდიის 20th Century Fox ახალი ავანტიურული ფილმის — The Eighth Wonder პროდიუსერი და მთავარი როლის შემსრულებელი ნიკოლ კიდმანი იქნება. სურათის შინაარსი მკაცრად არის გასაიდუმლოებული, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ მოქმედება არქეოლოგიური აღმოჩენის გარშემო ვითარდება, რომელიც ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გამალებული დევნისა და თავგადასავლების მიზეზი გახდება. გამოცემის The Hollywood Reporter ინფორმაციით, ახალი სურათი გახმაურებული ფილმის „დაკარგული კიდობნის მაძიებლები" ერთგვარი გადამღერებაა. ფილმის — „მერვე სასწაული" — სცენარს საიმონ კინბერგი (ის გახლავთ შემდეგი ფილმების სცენარისტი: „ტელეპორტი", „სამი იქსი: ახალი დონე", „მისტერ და მისის სმიტები", „იქსის ადამიანები: უკანასკნელი ბრძოლა") შექმნის. ამჟამად კინბერგი გაი რიჩის „შერლოკ ჰოლმსისა" და შონ ლევის „ღამე მუზეუმში-2" სცენარებზე მუშაობს, ახალი სურათის სცენარზე მუშაობას კი შემოდგომაზე დაიწყებს. საიმონ კინბერგმა და ნიკოლ კიდმანმა ერთმანეთი ფილმზე — „მისტერ და მისის სმიტები" მუშაობის დროს გაიცნეს. მოგვიანებით კიდმანმა პროექტი დატოვა, მაგრამ კინბერგს ავსტრალიელ ვარსკვლავთან ერთად ფილმზე მუშაობის იმედი არ დაუკარგავს.

26 ნოემბერს აშშ-ის ეკრანებზე გამოვა ბაზ ლურმანის ახალი ფილმი „ავსტრალია". სურათში მთავარ როლებს ნიკოლ კიდმანი და ჰიუ ჯეკმანი თამაშობენ.

მაიკლ დუგლასი და დენი დე ვიტო კვლავ ერთად ითამაშებენ

სტუდიის — Millennium Films ახალ ფილმში Solitary man ყოფილი საავტომობილო მაგნატის როლს მაიკლ დუგლასი ითამაშებს. სტუდია სიუზენ სარანდონთან და დენი დე ვიტოსთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას. მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ახალი სურათი Solitary man დენი დე ვიტოსა და მაიკლ დუგლასის მეოთხე ერთობლივი ნამუშევარი იქნება. მსახიობებმა ერთად ითამაშეს ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „ქვის რომანი", „ნილოსის მარგალიტი" და „ცოლ-ქმარ როუზების ომი". სურათს რეჟისორები ბრაიან კოპელმანი და დეივიდ ლევიენი (სტივენ სოდერბერგის ფილმის „ოუშენის 13 მეგობარი" სცენარის ავტორები) გადაიღებენ. ამჟამად შემოქმედებითი წყვილი რეჟისორ მაიკლ მენის განგსტერული სურათის „ფრენკი მანქანა" (რობერტ დე ნირო მთავარ როლში) სცენარის შექმნაზე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ფილმის — Solitary Man პროდიუსერი სტივენ სოდერბერგი იქნება. გადაღებები 2008 წლის ნოემბერში ნიუ-იორკში დაიწყება.

კირა ნაიტლი დებიუტანტი რეჟისორის ფილმში ითამაშებს

სცენარისტ მესი ტაჯედინის სადებიუტო სრულმეტრაჟიან ფილმში — Last Night კირა ნაიტლი ითამაშებს! ფილმისთვის მსახიობთა შერჩევა უკვე დასრულდა. ცნობილია, რომ სურათში ბრიტანელი კირა ნაიტლის გარდა ითამაშებენ: ამერიკელი მსახიობი ევა მენდესი, ავსტრალიელი სემ უორტინგტონი და ფრანგი გიომ კანე. გადაღებები 2008 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკში დაიწყება. პროექტს ფრანგული კომპანია Gaumont და პროდიუსერი ნიკ ვეკსლერი დააფინანსებს, რომელმაც დარენ არონოფსკისთან ერთად გადაღებული ფილმის მეშვეობით გაითქვა სახელი. მომავალი ფილმის მთავარი გმირი ოჯახური წყვილია. ცოლ-ქმარი ერთი ღამით შორდება ერთმანეთს. ქმარი მომხიბვლელ კოლეგასთან ერთად მივლინებაში მიემგზავრება და ცდუნებას ებრძვის, ცოლი კი შემთხვევით ყოფილ შეყვარებულს ხვდება... კირა ნაიტლიმ ერთხელ უკვე ითამაშა მესი ტაჯედინის სცენარის მიხედვით გადაღებულ ფილმში — The Jacket (რეჟისორი ჯონ შეიბერი). მის კალამს ეკუთვნის მეხდი ნოროვზიანის გახმაურებული ფილმის — Leo სცენარიც.

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

„ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ მქონდა საშუალება მემუშავა ისეთ გენიალურ მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, დოდო აბაშიძე, გიორგი შავგულიძე და მრავალი სხვა. ამ ადამიანებთან ბევრი მოგონება მაკავშირებს, მაგრამ დღეს სესილია თაყაიშვილს და მალხაზ გორგილაძეს გავიხსენებ. ქალბატონ სესილიას სულ ახლახან 102 წელი შეუსრულდა“, — მითხრა გიგა ლორთქიფანიძემ, რომელიც ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმარი გახლავთ.

„ის ყველას პატია იყო...“

მარეხ ჭონიშვილი

„ჩემი და ქალბატონი სესიალიას პირველი შეხვედრა მარჯანიშვილის თეატრში შედგა. როდესაც ნოდარ დუმბაძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონს“ ვდგამდი. ვფიქრობ, ჩემს სპექტაკლებსა და ფილმებში თუ ვინმემ განსაკუთრებული და საინტერესო სახეები შექმნა, ერთ-ერთი გამორჩეული სესილია თაყაიშვილი გახლდათ. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ, სესილიას სურათი ბევრს სახლში ეკიდა, როგორც საკუთარი ბებიის ფოტო. ქალბატონმა სესილიამ, ამ სპექტაკლში, ბებიის საოცარი სახე შექმნა. როდესაც ფრანგმა რეჟისორმა, პარიზის ნაციონალური თეატრების გენერალურმა დირექტორმა, უან დერკმანტმა ჩვენი სპექტაკლი ნახა, ძალიან მოეწონა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ის ჩემთან კაბინეტში შემოვიდა და მითხრა: ეს თქვენი კი არა, ჩემი ბებიაა და ახლა პარიზში ცხოვრობსო. მერე კი მთხოვა, სესილია გამაცანიო. წავიდნენ სესილიას დასაძახებლად. შემოვიდა სესილია, მას გრიმი უკვე მოშორებული ჰქონდა. დერკმანტს ვუთხარი: აი, ეს არის ბებიის როლის შემსრულებელი-მეთქი. თავიდან არ დაიჯერა, მაგრამ როდესაც ყველამ ერთხმად დაუდასტურა, გაოცდა. დაუჩოქა, კაბის კალთაზე ემთხვია და უთხრა: სპექტაკლის ნახვისას ასეთი სიამოვნება ჯერ არ მიმიღიაო. შემდეგ, პარიზში ჩასულმა ამ სპექტაკლზე თავისი შთაბეჭდილება პრესაში დაწერა: „ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ აზიაში (მაშინ აზიად მოიხსენიებდნენ ჩვენს ქვეყანას) ასეთი ევროპული დონის თეატრი არსებობდა. სესილია თაყაიშვილი კი ნებისმიერ ფრანგ მსახიობს გაახუნებს“. როცა სესილია ამ სპექტაკლში თამაშობდა, 53 წლის, საკმაოდ ახალგაზრდა და ენერგიული ქალი იყო. ბებიას რომ დამსგავსებოდა და ეჩიფჩიფა, პროთეზი მოიხსნა. ის როლში მთელ თავის ენერგიას დებდა. ერთხელ, სპექტაკლის დროს, შესვენებაზე, მასთან ლილი იოსელიანი შევიდა, ფრანგული სუნამო ყურს უკან აპკურა და უთხრა: ნახე, რა სასიამოვნო სუნი აქვს, ფრანგმა ემიგრანტმა ნათესავმა გამომიგზავნაო. სესილია ამაზე ძალიან გაბრაზდა, ლამის ისტერიკა დაემართა. ამბობდა: მე ახლა ფრანგული სუნამოს სურნელი კი არა, ცერეცოს სუნი უნდა ამდიოდესო. საგრიმიოროში ჩამოიბანა სახე, რომ სუნამოს სუნი მოსცილებოდა და ისე გავიდა სცენაზე.

მიყვარდა სესილიასთან ლაპარაკი, ამიტომ მასთან საგრიმიოროში ხშირად შევდიოდი. საოცრად განათლებული და წიგნიერი ქალი იყო. ლაპარაკში ხშირად გურულად მოუქცევდა ხოლმე. ერთხელაც, როდესაც მასთან საგრიმიოროში შევედი, წერილი მანახვა, რომელსაც მას 49 წლის კაცი სწერდა: „ჩემი მეუღლე და დედა ერთმანეთს ვერ ეგუებიან, დედა სოფელში მარტო ცხოვრობს. თქვენი სპექტაკლის ნახვის შემდეგ, პირდაპირ სადგურში მივდივარ, დედა უნდა ჩამოვიყვანო და მასთან ვიცხოვრო. თუ ჩემი ცოლი ვერ შეეგუება, ის წავიდეს სახლიდან“. აი, როგორ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე თეატრი და კინო, კერძოდ კი ისეთი გენიალური მსახიობი, როგორიც სესილია თაყაიშვილი გახლდათ. ქალბატონ სესილიას მე მაშინ ვუთხარი: ეს არის ყველაზე დიდი შეფასება, რაც კი ოდესმე მიგიღია-მეთქი.

ჩემი და ქალბატონი სესიალიას პირველი შეხვედრა მარჯანიშვილის თეატრში შედგა

სესილიას ერთი თვისება ჰქონდა, რა როლიც უნდა შეგეთავაზებინა, თავიდან ყოველთვის უარს ამბობდა. ასე მოხდა მაშინაც, როცა „დათა თუთაშხიაში“ ასინეთას როლი შევთავაზე. შემდეგ კი თვითონ მოიფიქრა, რა უნდა ჩაეცვა, გრიმი გაიკეთა და გადასაღებ მოედანზე მოვიდა. რომ დავინახეთ, ყველანი გაოცებულები დავრჩით. როგორ შემოვიდა იცით? თუ გახსოვთ ის კადრი ასინეთა რომ შედის სეთურთან და პირში თითი აქვს ჩადებული. დღესაც რომ ვუყურებ ამ ფილმს, მიკვირს, თუ საიდან დაებადა ასეთი აზრი. ის საოცრად თავისუფალი შემოქმედი იყო, რეჟისორს ბრმად არ ენდობოდა.

...როდესაც უკანასკნელად ვნახე, ძალიან ცუდად იყო. დედამისის სურათი დამანახვა და მითხრა: ამ სურათის უკან, ჩემი ანდერძია, რომ აღარ ვიქნები, შენ წაიკითხე და რაც იქ წერია, შემისრულე. თორემ იცოდე, უკან გაგიყოლებო. სესილიას გარდაცვალების შემდეგ, მართლაც ვნახე წერილი, სადაც ეწერა: გთხოვთ, არ გამომასვენოთ თეატრიდან, არ დამიყენოთ საპატიო ყარაული და არ დამასაფლავოთ პანთეონში. გამომასვენეთ ჩემი სახლიდან და საბურთალოზე, ჩემი ძმის, აკაკი თაყაიშვილის ახლოს დამასაფლავეთ. ამ ანდერძიდან ზოგი სურვილი შეკუსრულეთ, ზოგი — ვერა, რადგანაც შეუძლებელი იყო, სესილია ჩუმად, უხმაუროდ დაგვეკრძალა. იმ დღეს, მის დასაფლავებაზე ნახევარი გურია იყო ჩამოსული.

მინდა ასევე გავიხსენო ნიჭიერი მსახიობი, მალხაზ გორგილაძე. მან ჩემს ფილმში „თეთრი ბაირაღები“ ზაზა ნაკაშიძის როლი ითამაშა. მალხაზი ჩემზე უმცროსი იყო. მასთან მამაშვილური ურთიერთობა მქონდა. ერთად ვმუშაობდით მარჯანიშვილის თეატრში. შემდეგ, თაობათა დაპირისპირება რომ მოხდა და მე რუსთავის თეატრში გადავედი, მალხაზი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც წამომყვა. რუსთავის თეატრში მან შესანიშნავი როლები ითამაშა. სამწუხაროდ, ის ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ძალიან მატკინა გული. მალხაზი ულამაზესი კაცი და შესანიშნავი მსახიობი გახლდათ“...

პირველი ქართული კომპიუტერული თამაში და პატარა ბიჭის დიდი ბიზნესგეგმები

ჯერ მხოლოდ თექვსმეტის არის, მაგრამ ცხოვრებას უკვე სერიოზულად უდგება კომპიუტერული კოლეჯის მოსწავლე ზურა ლეონიძე, კომპიუტერული თამაშის ქართულ ვერსიაზე მუშაობს ეს პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც კომპიუტერულ თამაშში, თარგმანის გარდა, ქართული იქნება მენიუც და ვირტუალური გარემოც. მაგალითად, ვირტუალურ სამყაროში, პირობითად მანჰეტენის ნაცვლად, თქვენ ვირტუალური ავტომობილით, რუსთაველის გამზირზე გაივლით და გზად არც მეტი — არც ნაკლები, ჰოლანდიური ყვითელი ავტობუსები შეგხვდებათ, აქტუალური წარწერით: STOP RUSSIA!

ემა ტუხიაშვილი

— ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რომ ჩემი ყველაზე საყვარელი კომპიუტერული თამაში „ჯე-ტე-ა“ ქართულად მეთარგმნა. მახსოვს, ერთხელ, დისკების მაღაზიაში შევედი და ჩემი ყურადღება სარეკლამო წარწერამ მიიპყრო, რომელიც იუწყებოდა, რომ დახლზე ქართულად ნათარგმნი ხსნებული კომპიუტერული თამაში ჰქონდათ. სასწრაფოდ ვიყიდე დისკი, მაგრამ გაწბილებული დავრჩი, რადგან მცირე დიალოგის გარდა, თამაშში ქართული არაფერი იყო. ამის შემდეგ შევუდექი ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას და შეიძლება ითქვას, თამაში სანახევროდ უკვე გადმოვაქართულე. თამაშის ჩემებურ ვერსიაში, ქართულია არა მხოლოდ ვირტუალური მონაწილეების დიალოგები, არამედ გარემოც, რომელშიც ისინი მოძრაობენ. მაგალითად, კომპიუტერული თამაშის ამ ვერსიაში ნახავთ კინოთეატრ „საქართველოს“, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადონს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს და თბილისელებისთვის ბევრ ნაცნობ ადგილს. თამაშში, ბევრ ადგილას ჩავსვი ე.წ. ყვითელი ავტობუსები, რომლებსაც წითელი ასოებით რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგოდ მიმართული მოწოდებები წავაწერე. თამაშის მონაწილე, გზად აუცილებლად შეხვდება ქართულ საპატრულო პოლიციას და არა უცხოელ „პოლიცმენს“. ეს ცოტა მოძველებული თამაშია, ამიტომ გრაფიკულად გავაუმჯობესე, სათამაშოდ რომ მეტად ეფექტური იყოს.

— როგორც ვიცი, დიალოგებში ბევრი ცნობილი ქართული ჟარგონი გამოიყენე, არა?

— მაგალითად, როდესაც ერთი მოთამაშე კლავს მეორეს, ეკრანზე ჩნდება წარწერა: „დაიბრიდე!“ თამაშის ჟანრი ისეთია, რომ ჟარგონები უხდება კიდეც. მაგრამ თამაშში აუცილებლად შევცვალი ეპიზოდს, სადაც ნარკოდილერები ვითომდა ნარკოტიკს ყიდიან. მინდა, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილ თამაშში, ნარკოტიკი საერთოდ არ ფიგურირებდეს, მის ნაცვლად, რომელიმე ქართული ბრენდის პროდუქციას ჩავსვამ. ეს კი, კონკრეტული კომპანიისთვის, გარკვეული რეკლამაც იქნება. თამაშში, მრავლად არის სარეკლამო ბილბორდები. დაინტერესების შემთხვევაში, ყოველი მათგანი შეიძლება რომელიმე ქართული კომპანიის რეკლამირებისთვის გამოიყენონ.

— ვიცი, კომპიუტერთან მუშაობა ისე ისწავლე, რომ თავად არ გქონდა კომპიუტერი.

— რამდენიმე თვეა, რაც ჩემი კომპიუტერი მაქვს. მანამდე კი ინტერნეტკეფეში დავდიოდი, ხან ნათლიასთან და ხანაც ბიძასთან მივდიოდი და მათ კომპიუტერებზე ვსწავლობდი მუშაობას. ბიძაჩემის კომპიუტერი ხუთჯერ გავაფუჭე. სამაგიეროდ, ახლა ისე კარგად ვფლობ კომპიუტერულ პროგრამებს, რომ ჩემი კომპიუტერი, სხვადასხვა ნაწილისგან მე თვითონ ავაწყვე. მოსწავლეებიც მყავს, კომპიუტერზე მუშაობას ვასწავლი და ჩემი ჯამაგირიც მაქვს.

თხუთმეტამდე საჭირო პროგრამის მოძიება დამჭირდა, რომ საქმე დამეძრა

— ტექნიკური თვალსაზრისით, რამდენად რთულია კომპიუტერული თამაშის გადაკეთება?

— თხუთმეტამდე საჭირო პროგრამის მოძიება დამჭირდა, რომ საქმე დამეძრა. თავიდან ბევრი რამ არ გამომდიოდა. მახსოვს, უამრავი ვიწვალე, თბილისის აეროპორტის წინა ხედი რომ გამეკეთებინა. თითქმის წელიწადია, რაც ამ თამაშის ქართულ ვერსიაზე ვმუშაობ და ვფიქრობ, რომ კიდევ ორი თვე დამჭირდება საქმის დასასრულებლად. ჩემი კომპიუტერის შესაძლებლობები, გასაგები მიზეზების გამო, ჩემი საქმისთვის საჭირო მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ამიტომ, უფრო თანამედროვე კომპიუტერი რომ მქონდეს, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებასაც შევძლებდი და დროსაც მოვიგებდი.

— შენ უფრო შორს მიმავალი გეგმებიც გექნება. ხომ არ ფიქრობ შენი საქმიანობის უფრო მეტად გაფართოებას?

— ვფიქრობ, რომ ქართულად კარგად ნათარგმნ კომპიუტერულ თამაშებზე მოთხოვნა გაჩნდება. მით უფრო, რომ ეს პირველი ქართული კომპიუტერული თამაში იქნება. ამ თამაშის დისკს მხოლოდ იმიტომ იყიდის მომხმარებელი, რომ ვირტუალურ თბილისის ქუჩებში, ვირტუალური ყვითელი ავტობუსით გაიაროს. მომავალში, კიდევ ერთი კომპიუტერული თამაში მინდა ვთარგმნო, „სპარსეთის პრინცი“ ჰქვია. საკმაოდ რთული თამაშია, ქართული მენიუ მას გაამარტივებს და ქართველი მომხმარებლისთვის უფრო გასაგებს გახდის. უფრო შორეულ პერსპექტივაში კი მინდა, ჩემს საქმიანობას ოფიციალური სახე მივცე, ჩემი ბიზნესი ავაწყო და ქართველ მომხმარებელს, ქართული კომპიუტერული თამაშების დიდი არჩევანი შევთავაზო. ■

27 სექტემბერს, უღიდეს ქრისტიანული ღღესასწაულს — ჯვართამაღლებას ვიზეიმებთ ამ ღღესასწაულით მატიანესნი და ცხოველმყოფელი ჯვრის პოვნას განვადიდებთ, რომელზეც ვაჯრეს და ევნო უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მხსნელი კაცობრიობისა. ჯვარი ცხოველმყოფელი, სიცოცხლის მაუწყებელი ძალად იწოდება, რადგან სწორედ ხის ძალისგან შექმნილი ჯვარზე აღესრულა კაცობრიობის ხსნა; მისი მეშვეობით მოგვენიჭა მარადიული ცხოვრების, სიცოცხლის — ზეციური სასუფევლის მოპოვების შესაძლებლობა, რაც პირველ ეშმაკეთა შეცოდების გამო, უფლის ჯვარცმამდე შეუძლებელი იყო. პირველქმნილი ცოდვის შედეგად, კაცობრიობა მარადიული სიკვდილისა და ეშმაკის მონობის ტყვე შეიქმნა.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემა ხის ნაყოფისგან მოხდა, ადამში ეკლია ადამიანმა შესცოდა და ამიტომ, პირველქმნილი ცოდვა მთელი კაცობრიობაზე ერცელებოდა. ადამიანები მარადიული სიკვდილის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა კაცობრიობას ღმერთისგან მიცემული აქონდა აღთქმა, რომ მათი ცოდვა გამოსყიდული იქნებოდა. კაცობრიობის გამოხსნის ერთ-ერთი სიმბოლო კი სწორედ ძალი იქნა გამდიდარეული მართლაც ძალი დაითრგუნა ჯვრით, რომელზეც ევნო მაცხოვარი (ის ხის ორი ძალისგან იყო გაკეთებული) მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილმა განაარა პირველქმნილი ცოდვა და ცოდვის შედეგები ამიტომაც ინება უფალმა ადამის მიდგმის გამოხსნა ჯვარზე გაკრით. მას შემდეგ ჯვარი ქრისტეს მიძღვნილთათვის, ქრისტიანებისთვის უღიდესი კრძალვისა და პატივისცემის საგნად იქცა. მაცხოვრის ჯვარცმამდე, ჯვარზე გაკვრა ყველაზე სამარცხვინოდ მიიჩნეოდა. მასზე ყველაზე სასტიკ და მძიმე დასამუქებს აკრავდნენ, ამიტომ, ჯვრის ნიშანს (ძველ ქართულში ეს სიტყვა სასწაულის, ნიშნის მნიშვნელობასაც იხმარებოდა — აგ.) თაყვანს ვცემ და სამრწმუნო საგნად მიიჩნეოდა. გვესაუბრება ევანსა და ბალდათის ეპარქიის მიტროპოლიტი,

მამა იოანე ეფთიმაშვილი.

რას გვასწავლის და რისკენ მოგვიწოდებს მართლმადიდებელი ეკლესია ჯვართამაღლების სადღესასწაულო განდიდებით

მორენა მერკვილაძე

— როგორც ცნობილია, მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, ჯვარი, რომელზეც უფალი იესო ქრისტე აღესრულა, საგანგებოდ ამოჭრილ ღრმა ორმოში ჩაფლეს და მიწა მიაყარეს. უფლის ჯვარცმის შემდეგ, გოლგოთაზე ადამიანებს აღარ აწამებდნენ. ის ადგილი, სადაც ცხოველმყოფელი ჯვარი დაფლეს, ჯვარცმული მაცხოვრის დასამცირებლად სიბინძურითა და ნაგვით დაფარეს. მოგვიანებით, იმ ადგილას, რომის იმპერატორმა ადრიანემ ქალღმერთ ვენერას პატივსაცემად წარმართული ტაძარი ააგო. ადამიანების მეხსიერებიდან თანდათან ამოიშალა პატიოსანი ჯვრის ადგილსამყოფელი, მაგრამ ღვთის ნებითა და კონსტანტინე დიდისა და დედამისის — ელენე დედოფლის ღვაწლით, მეოთხე საუკუნეში, ცხოველმყოფელი ჯვარი კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანებს...

ბიზანტიის იმპერატორი, მოციქულთასწორი — კონსტანტინე დიდი პირველი გახლდათ რომის იმპერატორთა შორის, რომელმაც ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამის საფუძველი კი იმპერატორ კონსტანტინეს ცხოვრებაში მომხდარი სასწაული გახლდათ. ერთ-ერთი ბრძოლის წინ, იმპერატორმა და მისმა მებრძოლებმა ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავებით გამოსახული ჯვარი იხილეს წარწერით: „ამით სძლევ!“ მეორე დღეს, კონსტანტინე დიდს თავად უფალი გამოეცხადა ჯვრით ხელში და უთხრა: „გააკეთე მსგავსი ამ ნიშისა და ბრძანე, ლეგიონებს წინ წაუძღვარონ. მაშინ, არა მარტო მაქსენციუსს (ვის წინააღმდეგაც იბრძოდნენ), არამედ შენს ყველა მტერს დაამარცხებ“. კონსტანტინე დიდი ასეც მოიქცა და სძლია რიცხობრივად უპირატეს მტერს. იმპერატორ მაქსენციუსს უამრავი მებრძოლი დაეღუპა, თვითონ კი გაქცევით უშველა თავს, მაგრამ მდინარე ტიბრზე გადასვლისას, ხიდი ჩაინგრა და მხედრებთან ერთად მდინარეში დაიხრჩო.



ამის შემდეგ კონსტანტინე დიდმა ჯვრის ძალითა და უფლის შეწევნით, კიდევ ორგზის დაამარცხა მტერი. იმპერატორი საბოლოოდ დარწმუნდა ჯვარცმული უფლის ძალაში. ირწმუნა, რომ სწორედ იგია ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის მოძიების სურვილით აღენთო, რომელზეც ევნო მაცხოვარი. ამ მიზნით, იერუსალიმში წარგზავნა დედამისი ელენე. თან დიდძალი საბოძვარი და იერუსალიმის პატრი-

არქ მაკარისათვის გადასაცემი წერილი გაატანა, რომელშიც პატრიარქ მაკარს სთხოვდა, ამ წმინდა საქმეში ხელი შეეწყო დედოფალ ელენესთვის. პატრიარქი საკადრისი პატივით შეხვდა დედოფალს და დახმარება აღუთქვა. ელენე დედოფალმა იუდეველები შეკრიბა და სთხოვა, ის ადგილი ეჩვენებინათ, სადაც ცხოველმყოფელი ჯვარი იყო დაფლული, თუმცა ამაოდ. მათ განუცხადეს, რომ ამის შესახებ არაფერი უწყოდნენ. დედოფალი მათ წამებითა და სიკვდილით დაემუქრა. მაშინ იუდეველებმა მოხუც იუდასთან მიიყვანეს, რომელმაც ჯვრის ადგილსამყოფელი იცოდა. იუდა დიდხანს დუმდა, მაგრამ როდესაც დედოფლის ბრძანებით ხაროში ჩააგდეს, ყველაფერი გაამხილა. იუდამ ყველანი გოლგოთაზე მიიყვანა, სადაც იმჟამად ქალღმერთ ვენერას სახელობის ტაძარი იყო აღმართული. დედოფალმა საკერპო დაანგრევინა. პატრიარქმა მაკარმა ლოცვა აღავლინა. დაიწყეს მიწის თხრა, ჰაერში საოცარი კეთილსურნელება დატრიალდა და მიწაში დაფლულ სამ ჯვარს მიაგნეს (მოგეხსენებათ, მაცხოვართან ერთად კიდევ ორი ავაზაკი აცვეს ჯვარს); იქვე აღმოჩნდა სამსჭვალებიც და ფიცარიც, რომელზეც პილატემ სამენოვანი — ებრაული, ლათინური და ბერძნული წარწერა — „იესო ნაზარეველი მეფე ჰურიათა“ გააკეთებინა. ჯვრები მიწიდან ამოიღეს და გასუფთავეს. იმის გარკვევა, რომელი იყო უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი, ცხედარზე მისი შეხებით გახდა შესაძლებელი — მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ეს სასწაული უამრავი ადამიანის თვალწინ მოხდა. დედოფალმა, მისმა მხლებლებმა და პატრიარქმა თაყვანი სცეს ჯვარს, მაგრამ მრავალმა ადამიანმა სიწმინდესთან მიახლება ვერ მოახერხა. ამიტომ, პატრიარქს სთხოვეს, ჯვარი აემაღლებინა, რათა ყველას შესძლებოდა მისი შორიდან დანახვა და თაყვანისცემა. პატრიარქმა ხალხს თხოვნა შეუსრულა. ჯვარი შემაღლებულ ადგილზე დადგა და აღამაღლა. ხალხმა ერთხმად შეჰღაღადა: „უფალო შეგვიწყალენ!“ ეს მოხდა 326 წელს. სწორედ აქედან დაედო სათავე ჯვართამაღლების დღესასწაულს.

იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ცხოველმყოფელი ჯვრის პოვნის ადგილას, აღდგომის სახელობის ტაძარი ააგებინა, რომელიც გოლგოთასაც მოიცავს და უფლის საფლავსაც. ტაძარი თითქმის ათი წლის განმავლობაში შენდებოდა — 335 წლის 13 სექტემბერს (ძველი სტილით) აღდგომის ტაძარი ქრისტიანულად ეკურთხა. მისი კურთხევის მეორე დღეს ახალი სტილით 27, ძველი სტილით კი 14 სექტემბერს დაწესებული იქნა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

— ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლება არ ყოფილა მხოლოდ ისტორიული მოვლენა, რას გვასწავლის, რისკენ მოგვიწოდებს მართლმადიდებელი ეკლესია ამ მოვლენის სადღესასწაულო განდიდებით?

— ცხადია, იმ ნიშის პატივისცემისკენ მოგვიწოდებს, რომელზეც უფალი გაეკრა და სიკვდილს სძლია. იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოხსნა ხომ სწორედ ჯვარზე აღსრულა. მას შემდეგ ქრისტეს მორწმუნენი უდიდეს პატივს მიაგებენ ჯვარს, როგორც ძლევისა და გამარჯვების დიად ნიშანს. ჯვრის ნიშით არა მხოლოდ მარადიული სიკვდილი, არამედ ადამიანზე ეშმაკის მეუფებაც დასრულდა. ბოროტი სული, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იესო ქრისტე ჯვარზე გაეკრათ, რადგან ეგონა, რომ ამით სძლევდა, სწორედ ჯვრით იქნა ძლეული — მისი მეუფება ადამიანზე, ჯვრით დაემხო.

— საინტერესო იქნება ცხოველმყოფელი ჯვრის ისტორიის გახსენებაც, რომელზეც ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

— ხის ძელის ისტორია, რომლისგანაც ცხოველმყოფელი ჯვარი გააკეთეს, დასაბამს „ძველი აღთქმის“ მამამთავრის — აბრაამისა და მისი დისწულის, ლოთის ცხოვრებიდან იღებს. „ძველი აღთქმა“ გვაუწყებს, რომ წმინდა და მართალი ცხოვრებით მცხოვრები ლოთი დიდხანს ცხოვრობდა გარყვნილებითა და ცოდვებით სავსე ქალაქ სოდომში; ერთხელაც ლოთს საშინელი ცოდვით დაცემა მოუხდა. სინანულით შეპყრობილი ლოთი ღვთის სათნო აბრაამთან მივიდა და სთხოვა, მისი სული უფლისთვის შეევედრებინა. აბრაამმა სამი ხმელი ტოტი მისცა და უთხრა, რომ ისინი გვერდიგვერდ დაერგო და ყოველდღე მოერწყა. თუ ტოტები განედლდებოდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ღმერთმა ცოდვა შეუნდო. ლოთი ასეც მოიქცა, მაგრამ ტოტების მოსარწყავად მიმავალს, გზად ყოველთვის წინ უხვდებოდა უცნობი მგზავრი, რომელიც წყალს სთხოვდა. რადგან წინაპრებისგან იცოდა, რომ მშიერი უნდა დაეპურებინა და მწყურვალისთვის წყალი მიეწოდებინა, დოქს აწვდიდა. უცნობი მგზავრი დოქს ბოლომდე ცლიდა და ხელში ცარიელი დოქიღა რჩებოდა. ბოლოს, ლოთმა ცრემლებით მორწყო ხმელი ტოტები, შემდეგ აბრაამთან მივიდა და ყოველივე აუწყა. აბრაამმა ორი ტოტი ჯვრის სახით გადააჯვარედინა, დოქის პირს დაადო, დისწულს გაუწოდა და უთხრა — როდესაც გზად მიმავალს კვლავ შეგხვდება უცნობი მგზავრი, ასე მიაწოდეო. ლოთი ასეც მოიქცა. ჯვრის ნიშის დანახვაზე მგზავრი ყვირილით განეშორა ლოთს. აბრაამმა აუხსნა, რომ უცნობი მგზავრის სახით, მას გზაზე დემონი ხვდებოდა, რომელიც ჯვრის ნიშის ხილვამ დააფრთხო.

ამის შემდეგ, სამი წელი რწყავდა ლოთი მის მიერ დარგულ ხმელ ტოტებს. სამი წლის შემდეგ, ტოტები განედლდა, ერთ ტანად შეერთდა და უზარმაზარ ხედ გაიზარდა. სოლომონ მეფეს მასზე უთქვამს: „კურთხეულია ეს ხე, მისგან ადამიანები გადარჩებიან“.

იერუსალიმის ტაძრის მშენებლობისას, სამშენებლო მასალად გამოყენების მიზნით, ლოთის მიერ დარგული ტოტებისგან გაზრდილი საკვირველი ხე მოუჭრიათ, მაგრამ გაუგებარი მიზეზის გამო, აღარ გამოუყენებიათ და იქვე, ტაძრის კედელთან დაუდვიათ. წლების შემდეგ, ხის ვეებერთელა ძელი ტაძრის მახლობლად ჩამომავალ ნაკადულზე ხიდად გაუდვიათ. ათასწლეულების მანძილზე მიმოდიოდნენ ამ ხიდზე ადამიანები. ამ ხნის განმავლობაში ძელი ტალახითა და მტვერით დაიფარა. როდესაც მაცხოვრის ჯვარცმის დრო მოახლოვდა, მისმა მტრებმა, განკაცებული უფლის უკიდურესად დამცირების მიზნით, სწორედ იერუსალიმის ტაძრის წინ, ხიდად გადებული ხის ძელი ახსნეს და მისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც უფალი გააკრეს.

— ჯვართამაღლების სადღესასწაულო მსახურებისას ჯვრის ამაღლების რიტუალიც სრულდება. იქნებ, ამის შესახებაც მოგვითხროთ.

— მწუხრის მსახურების შემდგომ, ჯვარს ღვთისმსახურნი სპეციალურ ლანგარზე ათავსებენ და ყვავილებით რთავენ, რაც ცხოველმყოფელი ჯვრის მიმართ ერთგვარი პატივის მიგებაა. ჯვრიან ლანგარს საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე დგამენ, სადაც ჩვეულებისამებრ წმინდა „სახარება“ დევს („სახარებას“ კი ამ დროს მაღალდასაჯდომელზე გადააბრძანებენ). შემდეგ ლანგარზე დაბრძანებულ ჯვარს კმევითა და გალობით შუა ტაძარში გამოაბრძანებენ და ტაძრის შუაგულში ანალოგიაზე დააბრძანებენ, რათა მორწმუნეებს მასთან მიახლებისა და თაყვანისცემის საშუალება მიეცეთ. მსახურების დასრულების შემდეგ კი ჯვარს აამაღლებენ — ხდება მისი საზეიმოდ აღმართვა. მერე მას საკურთხეველში შეაბრძანებენ და კვლავ ტრაპეზზე დებენ.

ჯვრის ამაღლებას მორწმუნენი ხილულად განიცდიან და ამ გზით, თანაზიარნი, თანაგანმცდელნი ხდებიან ჯვართამაღლებისა, რაც მეორე მხრივ, ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების სიმბოლური გახსენებაცაა. ■

კრიშტიანუ რონალდუსთვის ბურთი კვლავ სათამაშოა



პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა — კრიშტიანუ რონალდუმ, გასულ სეზონში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, თუ რამე პრიზი იყო მოსაგები, ყველა მოიგო. იგი პრემიერ-ლიგის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი გახდა და ანალოგიური მიღწევა ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმეორა.

მისი დიდი დამსახურებაა, რომ მანჩესტერელები ევროპის ყველაზე პრესტიჟული საклუბო ტურნირის გამარჯვებულები მესამედ გახდნენ.

ინგლისის ჩემპიონატში გატანილი 31 გოლით, 23 წლის პორტუგალიელმა ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუცი“ დასაკუთრა, რომელიც ფეხბურთელს კუნძულ მადეირაზე საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

რონალდუ პორტუგალიური ფეხბურთის მესამე წარმომადგენელია, რომელსაც ეს საპატიო ჯილდო ერგო. მანამდე „ოქროს ბურთის“ მფლობელები — ეუსებიო და ფერნანდუ გომეში იყვნენ. პირველი მათგანი ჯილდოს 1973 წელს დაეუფლა, ხოლო მეორემ საუკეთესო გოლეადორის ტიტულის მოგება — 1983 და 1985 წლებში შეძლო.

გთავაზობთ ინტერვიუს რომელიც რონალდუმ პრიზის მიღების შემდეგ ერთ-ერთ გამოცემას მისცა.

ლაშა თაბაგარი

— ათი წლის წინ, ღარიბ კვარტალში მცხოვრები ბიჭი იყავით. ამჟამად, სუპერვარსკვლავი ხართ, მდიდარი ადამიანი, რომელსაც ყველაფერი აქვს. ძნელია, თქვენს ცხოვრებაში მომხდარი ასეთი მასშტაბური ცვლილებების ბოლომდე გააზრება?

— არსებობს ცვლილებები როგორც უკეთესობისკენ, ასევე, უარესობისკენ. ბუნებრივია, პირველის გადატანა გაცილებით იოლია. თუმცა, გარწმუნებთ, განვლილ

წლებში მომხდარმა, მე ნამდვილად არ შეცვალა. რა მნიშვნელობა აქვს კერძო, კეთილმოწყობილ სახლში ცხოვრობ თუ ქოხში? ან მილიონი გაქვს ჯიბეში თუ ცარიელი საფულე? პირადად მე, იგივე ამბიცია და მიზანი მაქვს — ვითამაშო ფეხბურთი და ცხოვრებით დავტკბე.

— პოპულარობა მომაბეზრებელი არ არის?

— ცხადია, ამან ჩემი ცხოვრება კარდინალურად შეცვალა. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცნობენ, რაც ერთი მხრივ სასიამოვნოა, მაგრამ არცთუ მოსახერხებელი, რადგან მუდმივად უნდა ვაკონტროლო, ვის ვესაუბრები, რას ვიტყვი. რადგან შესაძლოა, თითოეული გადადგმული ნაბიჯი სხვაგვარად წარმოაჩინონ. ბუნებრივია, ეს ცხოვრებას მირთულებს, თუმცა თავად უკვე გადავწყვიტე, რომ ჩემთვის მთავარია საფეხბურთო კარიერა და მხოლოდ მასზე უნდა ვიფიქრო. სხვები ჩემზე რას ლაპარაკობენ, ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, ჩემი თამაშის შეფასებაა, რადგან ამ შემთხვევაში, სხვისი აზრის მოსმენა სასარგებლოა.

— კინომსახიობის კარიერაზე ჯერ არ გიფიქრიათ?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ შესაძლოა, ოდესმე დავფიქრდე. ხალხი ჩემში მხოლოდ ფეხბურთელს ხედავს, თუმცა კარგად ვიცი, რომ სხვა რამის კეთების ნიჭიც მაქვს. ახლა არ ვიტყვი კონკრეტულად რის, მაგრამ დამიჯერეთ, ნამდვილად ასეა.

— ეუსებიოს შემდეგ, პორტუგალიას არაერთი მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყოლია, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა, მას პოპულარობით ვერ აჯობა. ჩანს, თქვენ ამის ყველაზე დიდი შანსი გაქვთ. მზად ხართ, რომ ერთ დღეს პორტუგალიური ფეხბურთის ახალი სახე გახდეთ?

— რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენა მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა, რომ დიდ პორტუგალიელ ფეხბურთელებს მადარებენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მირჩევნია, რომ ეს არ გააკეთონ. უპირველეს ყოვლისა, არ მსურს, ვინმეს ვგავდე. ამასთან, გაცილებით დიდი ამბიცია მაქვს — მსურს, რომ ფეხბურთის ისტორიაში არა მხოლოდ როგორც პორტუგალიის საუკეთესო ფეხბურთელი შევიდე, არამედ, მსოფლიოს ყველა დროის გამორჩეული ფეხბურთელების რიცხვშიც მოვხვდე.

— „ოქროს ბუცი“ უკვე მოიპოვეთ და მიმდინარე წელს, როგორც „ოქროს ბურთის“, ასევე, ფიფას ვერსიით, საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მოპოვების მთავარი პრეტენდენტი ხართ. თუ აღნიშნულ პრიზებსაც დაეუფლებით, ფეხბურთის ისტორიაში პირველი იქნებით, ვინც ერთი სეზონის განმავლობაში, სამივე პრესტიჟული ჯილდოს მოგება შეძლო...

— „ოქროს ბურთის“ მოპოვება უკვე ძალიან კარგი შედეგია. ჩემთვის ეს დიდი მიღწევაა, რადგანაც ფლანგის მოთამაშე ვარ და არა ცენტრფორვარდი. თუ არ ვცდები, აღნიშნული პრიზს აქამდე, მხოლოდ გამოკვეთილი თავდამსხმელები ფლობდნენ. დიდი ბომბარდირების რიცხვში მოხვედრა საუცხოოა. რაც შეეხება დანარჩენ ორ ტიტულს, მოდი, ჟიურის გადაწყვეტილებას დაველოდოთ. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მათი მოპოვება მთავარი არ გახლავთ, რადგან თავს ისედაც მშვენივრად ვგრძნობ.

— მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ? ცხადია, თუ საკუთარ თავს არ ჩათვლით...

— კრიშტიანუ რონალდუს! თუ სერიოზულად ვისაუბრებთ, არც ვიცი, რა გითხრათ. მსოფლიოში არაერთი მაღალი დონის მოთამაშეა, მაგრამ გასულ სეზონში, ჩემზე მეტს ვერც ერთმა მათგანმა ვერ

მიაღწია. თავად მიკვირს, ამდენი პრიზი როგორ მოვიპოვე — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის ჩემპიონატი მოვიგე, თან ორივე ტურნირში საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი გავხდი. საუცხოო სეზონი მქონდა. თუმცა, საკუთარ თავზე საუბარი უხერხულია, ჯობს, ეს სხვამ გააკეთოს.

— ფეხბურთში კიდევ რისი მიღწევა გსურთ?

— ჯერ 23 წლის ვარ და იმედი მაქვს, რომ კიდევ დიდხანს ვითამაშებ. მომავალში შევეცდები, რაც შეიძლება მეტი ტიტული, პრიზი და მედალი მოვიპოვო. მსურს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ინგლისის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა კვლავ მოვიგო, ხოლო პორტუგალიის ნაკრებში მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედლებს დავეუფლო. მესმის, რომ სანაკრებო დონეზე შედეგის მიღწევა გაცილებით რთულია, მაგრამ არა წარმოუდგენელი.

— კარლუშ კეირუში, რომელთან ერთადაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ გიმუშავიათ, ამჟამად, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია. მისი წასვლით რა დაკარგა კლუბმა და რა მოიგო ნაკრებმა?

— ბუნებრივია, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ კეირუშის წასვლა სერიოზული დანაკლისია. მასთან ოთხი წელი ვიმუშავე და გარდა იმისა, რომ იგი საუცხოო სპეციალისტია, ასევე, შესანიშნავი ადამიანია. კეირუშს ძალიან საინტერესო სავარჯიშო მეთოდიკა აქვს. ეროვნულ გუნდისთვის ის დიდი შენაძენია. გამოკითხვა რომ ჩაატარონ თემაზე, თუ რამდენი წლით უნდა დარჩეს კეირუში ნაკრებში და მასში მონაწილეობა მივიღო, მაშინ, კარლუშის ეროვნულ გუნდში ხუთი წლით დატოვებას მხარს უსიტყვოდ დავუჭერ.

— გასული სეზონის დაწყებამდე პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირობა თუ დაისახეთ მიზნად?

— ამაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, მოედანზე გამოვდიოდი და პარტნიორებთან ერთად გამარჯვების მოპოვებას ვცდილობდი. ამასთან ერთად, თუ ბურთიც გამქონდა, მით უკეთესი. თუმცა, სეზონის შუაგულში, როდესაც გოლები საკმარისად დამიგროვდა, გონებაში აზრმა გამიელვა — „ოქროს ბურთის“ მოპოვებას ხომ არ ვეცადო-მეთქი? თან, პარტნიორებმაც იგრძნეს, რომ თამაში მიმდიოდა და პასებით უფრო მეტად მამარაგებდნენ. ცხადია, მათი დახმარების გარეშე, ვეც ერთ ტიტულს ვერ მოვიგებდი.

— კონკურენტებს თვალს ადევნებდით?

— რა თქმა უნდა. თუმცა, სეზონის ბოლოს უკვე ნაკლებად, რადგან კონკურენტებს დიდი სხვაობით ვუსწრებდი.

— ის ფაქტი, რომ „ოქროს ბუცი“ თქვენი ამპლუის ფეხბურთელს შეხვდა, კრიშტიანუ რონალდუს სიძლიერეზე მეტყველებს, თუ ამჟამინდელი ფორვარდები არ არიან მოწოდების სიმაღლეზე?

— ცხადია, როდესაც გამოკვეთილი თავდამსხმელი ხარ, გოლის გატანის მეტი შანსი გაქვს, მაგრამ ჩემს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ფეხბურთი იცვლება და ბომბარდირი განაპირა თავდამსხმელიც შეიძლება გახდეს. შედეგიან თამაშს დიდწილად იმას უნდა ვუმადლოდე, რომ მწვრთნელები მოედანზე სხვებზე მეტ თავისუფლებას მაძლევენ, ასევე, ჯარიმებისა და პენალტების შესრულებას მანდობენ. ნომინალურად ფლანგზე ვთამაშობ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშის მსვლელობისას, შეტევის დროს, ტევესთან და რუნისთან ადგილებს ხშირად ვცვლი. ამიტომ, მხოლოდ ფლანგიდან ფლანგზე კი არ ვინაცვლებ, არამედ, ცენტრფორვარდის პოზიციაზეც ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე. ეს გაცილებით უფრო მომწონს, ვიდრე მკაცრი სქემები.

— საჯარიმო დარტყმებს საუცხოოდ ასრულებთ. თითქოს ისე ურტყამთ, როგორც სხვები, მაგრამ ბურთი წარმოუდგენელი ტრაექტორიით მიფრინავს. რაშია თქვენი საიდუმლო?

— ფეხის თითებზე ფრჩხილები განსაკუთრებულად მეზრდება! ცხადია, ყველაფერი ვარჯიშზეა დამოკიდებული. ყოველთვის ბევრს ვმუშაობდი და ვმუშაობ „სტანდარტების“ შესრულებაზე.

— საკუთარი ფინტებით, ხშირად მეტოქის მცველებს „კლოუნებად“ აქცევთ ხოლმე. ამას განზრახ აკეთებთ?

— ასეთი სათამაშო სტილი ბავშვობიდან მაქვს. ცხადია, მაშინ, ჩემი თამაშის ნახვის საშუალება არ გქონდათ, მაგრამ ვისაც უნახავს, ამბობს: რონალდუ კვლავ ისეთიაო. ყოველთვის მიყვარდა სხვადასხვა ფინტის მოგონება. ვიღაც ნამდვილ შოუმენად მიმიჩნევს, მაგრამ ამას განზრახ არ ვაკეთებ, რადგან სწორედ ასეთი ფეხბურთი მომწონს. რაც შეეხება მოწინააღმდეგეების მცველებს, ისინი ზოგჯერ მზად არიან პირდაპირ მოედანზე მომკლან.

— ერთხელ, როდესაც პორტუგალიის ნაკრების ბელგიელებს ხვდებოდა, მეტოქის მეკარემ განაცხადა — კრიშტიანუ რონალდუ პირველივე წუთებზე უნდა დავამტვრიოთ და ყველაფერი წესრიგში იქნებაო...

— მახსოვს ის შეხვედრა, მაგრამ ვფიქრობ, ბელგიელთა მეკარე ამას სერიოზულად არ ამბობდა და მხოლოდ ჩემი დაშინება სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა და მგონი, ორი გოლი გავუტანე. ცხოვრებაში ზოგი რამ მაშინებს, მაგრამ ეს ფეხბურთს არ ეხება. მოედანზე არასდროს არაფრის მშინებია და თავადაც არ ვიცი რატომ.

— ხომ არ გიფიქრიათ, რომ საკუთარი კარიერის დარჩენილი წლები „მანჩესტერ იუნაიტედს“ დუკავშიროთ და კლუბისთვის ისეთივე სიმბოლო გახდეთ, როგორიც — ჯორჯ ბესტი, რაიან გიგზი და ერიკ კანტონა არიან?

— მომავლის განსაზღვრა წარმოუდგენელია. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ თავს საუცხოოდ ვგრძნობ, რადგან გუნდიც მომწონს და გულშემატკივრებიც. რომელ კლუბშიც უნდა ვითამაშო, მისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ასე ხდებოდა ჩემს ყოფილ გუნდებში — „ანდორინეში“, „ნასიონალსა“ და „სპორტინგში“. იმავეს ვაკეთებ „მანჩესტერ იუნაიტედში“, რადგან ყოველთვის მახსოვს, რომ პროფესიონალი ვარ.

— როგორც ამბობთ, ახალი გამოწვევები გიყვართ. შესაძლოა, თქვენთვის ასეთად სხვა ქვეყნის ჩემპიონატში გამოსვლა იქცეს?

— რატომაც არა? ამბიციური ადამიანი ვარ. თუმცა, მანჩესტერში დარჩენის შემთხვევაშიც არანაკლები ამბიცია მექნება.

— არაბი შეიხების მიერ „მანჩესტერ სიტის“ შეძენას როგორ აღიქვამთ? თანაქალაქელი კლუბის მეპატრონეები მზად არიან თქვენს შესაძენად ასტრონომიული თანხები დახარჯონ...

— „სიტიში“ რაც ხდება, ფანტასტიკაა. ვნახოთ, ამისგან რა გამოვა, რადგან კარგად იცით, რომ ძალიან დიდ ფულსაც ხშირად შედეგი არ მოაქვს. თუმცა, თუ კლუბის მეპატრონეები თანხებს ისევე გამოიყენებენ, როგორც ეს რომან აბრამოვიჩმა გააკეთა, ამით მხოლოდ ფეხბურთი მოიგებს. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერლიგის გრანდებს —



„მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალს“, „ჩელსისა“ და „ლივერპულს“, კიდევ ერთი კლუბი მიემატება, ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახდება. რაც შეეხება მე, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის შემიძლია განვაცხადო, რომ დიდი ფულიც კი ცხოვრებაში ყველაფერს არ წყვეტს.

— ბავშვობაში თქვენი საყვარელი სათამაშო ბურთი იყო. ახლაც იმავეს იტყვით თუ იგი თქვენთვის მხოლოდ სამუშაო იარაღს წარმოადგენს?

— არა, ჩემთვის ბურთი ისევ სათამაშოა. პროფესიონალურ ფეხბურთში უკვე ხუთი წელიწადია ვარ და ვფიქრობ, კიდევ მინიმუმ ექვსი ან შვიდი წელი დავრჩები. ბურთი ისევე მიყვარს, როგორც ადრე და როდესაც ის ფეხებს შორის მაქვს მოქცეული, ბედნიერი ადამიანი ვარ.

სექსი დიდ ქალაქში

მას შემდეგ, რაც ჟურნალ Playboy-ს დამაარსებელმა ჰიუ ჰეფნერმა ჩიკაგოში საკუთარი სახლის კარი შეაღო, არც ერთ სხვა სახლს, რაღა თქმა უნდა, ვაშინგტონში მდებარე თეთრი სახლის გარდა, ამდენი ხმაურიანი სექსუალური სკანდალი აღარ გამოუწვევია.

„კამპანია-2008"-ის სახელწოდებით ცნობილი სენტიმენტალური რომანის ბოლო თავში, „რესპუბლიკელმა" ჯონ მაკქეინმა, რომელმაც პირველი ცოლი 1970 წელს, სხვა ქალის გამო მიატოვა, ვიცე-პრეზიდენტად დაასახელა ალასკის ყოფილი ვიცე-მისი, რომლის არასრულწლოვანი ქალიშვილიც ამჟამად ფეხმძიმედაა. „რესპუბლიკელების" ყრილობაზე საზოგადოებას არა მარტო უქმროდ დაფეხმძიმებული გოგონას დარცხვენილი საქმრო წარუდგინეს, არამედ მისი მომავალი სიდედრის იარაღით გატაცებაზეც ილაპარაკეს.



რომ არავის ეფიქრა, „დემოკრატები" შაბათ საღამოებს მხოლოდ შინ, კინოგაქირავებიდან გამოტანილი ფილმების ყურებაში ატარებენო, აგვისტოს ყრილობისთვის ამ პოლიტიკურმა პარტიამაც საკუთარი ეროტიკული სპექტაკლი მოამზადა. თეთრ სახლში „დემოკრატების" ყოფილმა კანდიდატმა და ყოფილმა სენატორმა ჯონ ედვარდსმა ფრიად უსიამოვნო წუთები გადაიტანა, როცა ტაბლოიდებმა საზოგადოებას მისი და მისსავე საარჩევნო შტაბის თანამშრომელი ქალის სექსუალური კავშირის შესახებ აუწყა. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, ედვარდსის საყვარელს შვილი ნამდვილად მისგან ჰყავს თუ არა, მაგრამ ფრიად საეჭვოა ის ფაქტი, რომ ქალს, მისი შტაბის ყოფილი ფინანსური დირექტორი, ყოველთვიურად 20 ათას დოლარს პოლიტიკური რჩევებისთვის ურიცხავს. საარჩევნო რბოლას უკვე ჩამოცილებული ჯონ ედვარდსის დამცირება კი ალბათ, უფრო კლინტონების კლანის შურისძიება უნდა იყოს.

ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ედვარდსის პირფერობისა და მექალთანეობის ამბავი ცოტა უფრო ადრე რომ გახმაურებულიყო, აიოვაში, სადაც მან ხმების 30% აიღო, ჰილარი კლინტონი პრაიმერიზს მოიგებდა. თუმცა ჰილარის მომხრეები ედვარდსის კიდევ უფრო დიდ ცოდვად მაინც იმას მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ, მხარი ბარაკ ობამას დაუჭირა. თუმცა ედვარდსის გაუბედურებაში ჰილარი კლინტონის რომელიმე მხარდამჭერის ხელიც რომ ერიოს, თავად ჰილარის, დემოკრატების კანდიდატის ნომინაცია არა ედვარდსმა, არამედ — პრეზიდენტ კლინტონის სექსუალურმა თავგადასავლებმა დააკარგვინა. ჰილარი კლინტონს საარჩევნო კამპანია ბილთან განქორწინებით რომ დაეწყო, მოტყუებული ქალის იმიჯის წყალობით, შეიძლება, ის არათუ კანდიდატი, არამედ პრეზიდენტიც კი გამხდარიყო. მის მიმართ სიმპათიით განწყობილი ბევრი ამომრჩეველი ხომ ბუდუარული თავგადასავლებით ცნობილი ბილ კლინტონის თეთრ სახლში დაბრუნების პერსპექტივამ დააფრთხო.

ბილ კლინტონის სასარგებლოდ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამერიკის რესპუბლიკის ჩასახვის მომენტიდან არაერთმა კანდიდატმა თუ პრეზიდენტმა წარმოიდგინა თავი ნიმფებთან განცხრომაში მყოფ ერთგვარ ბერძნულ ღმერთად. თუმცა კლინტონისგან განსხვავებით, ისინი ერთადერთ და მთავარ წესს — „არ უნდა ჩავარდე" — გულმოდგინედ იცავდნენ.

პრეზიდენტმა ჯონ ფიტცჯერალდ კენედიმ თავის ერთ-ერთ მეგობარს გაანდო: ცოლთან დღეში სულ მცირე სამჯერ მაინც თუ არ მაქვს კავშირი, თავი მტკივდებაო. გოგონების ნაკადი, რომელიც თეთრ სახლში უკანა შესასვლელიდან შეედინებოდა, ამ „სამედიცინო პრობლემის" გადაწყვეტის საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ჯონი ერთხელაც არ „ჩავარდნილა" და ამიტომაც მის პრეზიდენტობას საფრთხე არც დამუქრებია.

წელს „დემოკრატებმა" სათნოებისა და მაღალი ზნეობის დიადი გზა აირჩიეს და ბარაკ ობამა და ჯო ბაიდენი იმ პატიოსან მეოჯახეებად წარმოადგინეს, რომელთაც ჟურნალ „პლეიბოიში" „მხოლოდ სტატიების კითხვა" თუ აინტერესებთ. მეტიც, მიშელ ობამა თვით „დემოკრატების" ყრილობაზეც კი თითქოს მხოლოდ იმისთვის გამოვიდა, რომ თავი საკუთარი ქმრის წესიერების გარანტად წარმოეჩინა. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით საკითხის ასე გაზრება, შეიძლება, ფრიად სარისკო გამოდგეს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთ მშვენიერ დღესაც გაირკვევა, რომ თავად ობამა მარტო საქვეყნო ცვლილებებზე როდი ფიქრობს.

2000 წელს, როცა New York Times-მა ვაშინგტონელი ლობისტი ქალით ჯონ მაკქეინის გატაცების შესახებ დაწერა, თავად მაკქეინმა ამ შესაძლებლობით თავადვე ისარგებლა და ის „ლიბერალურ პრესაზე" თავდასხმისთვის გამოიყენა — თანაც ისე, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არც დაუდასტურებია და არც უარუყვია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმაში დარწმუნება, რასაც New York Times-ი წერს, ცოლის ღალატზე უფრო დიდი ცოდვაა.

ბევრად უფრო დახვეწილი სექსუალური მეტაფორები გვხვდება გუბერნატორ სარა პელინის დახასიათებისას, რომელიც შეიძლება, მაღალი პოსტისთვის მებრძოლი პირველი ამერიკელი მინიშორტიანი მომნანიებელიც კი გახდეს. საჯარო განცხადებებში და, რაღა თქმა უნდა, თავის ლოცვებშიც, მადამ პელინი ცხოვრების სიწმინდეს, პოლიტიკაში ღვთის ნების გატარებასა (გაზსადენის აშენება ხომ სწორედ უფალმა უკარნახა სარას) და ვაშინგტონის ტაძრების პირველი ცოდვებისგან გაწმენდის აუცილებლობას იცავს. თუმცა Facebood-ის სოციალური ქსელის გადახედვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუბერნატორ პელინის უფრო მჭიდრო ნაცნობობა ედემის ბაღის მაცდურ გველთან უნდა ჰქონდეს.

იქონიებს თუ არა გავლენას 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე სექსუალური ინსინუაციები? ამის ალბათობა ძალზე დიდია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში ჩამორჩენის აღმოფხვრაში ხომ ისე არაფერი გეხმარება, როგორც ღალატის სუნი...

ჯონ კენედის, საარჩევნო კამპანიისას ერნესტ ჰემინგუეის ციტირება უყვარდა. „პოლიტიკური ვაჟკაცობა, — ხაზს უსვამდა იგი, — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, „ზეწოლის ქვეშ მყოფი სიდიადეა". თუმცა მძიმე დღეების ჩავლის შემდეგ მეგობრებთან უკვე ასე წახუმრებას არჩევდა: „სიდიადე? საერთოდ არ მახსოვს, ეს რა არის"...

გაზეთი Le Temps (შვეიცარია).
მეთიუ სტივენსონი, მწერალი, ჟენევის ამერიკული აკადემიის პროფესორი

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 94

რატომ გაწირეს კაპიტანი სამხედრო მაღალჩინოსნებმა

2006 წლის 5 ნოემბერს, კაპიტანი თამაზ ბლიაძე მაღალი პროფესიონალიზმისა და დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, საპატიო სიგელით დააჯილდოეს. ორი დღის შემდეგ კი — 7 ნოემბერს, იგივე თამაზ ბლიაძე სამხედრო პოლიციამ დააპატიმრა და თაღლითობასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში დასდო ბრალი.

ბრალდებული თამაზ ბლიაძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების ს/ნ №44763-ში დაცვის ასეულის მეთაურის მოადგილედ მუშაობდა.

„გამოძიებელმა ბინის ჩხრეკისას ძვირფასეულობა გაიტაცა"

ანანო გაგუა

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განაჩენით, თამაზ ბლიაძე დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 182-ე მუხლებით. თავდაპირველად, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, ასევე ჩამოერთვა 2 წლით საქმიანობის უფლება.

მარინა ბერიძე, თამაზ ბლიაძის ადვოკატი:

„თამაზ ბლიაძე 1997 წლიდან მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალებში, დაცვის ასეულის მეთაურის მოადგილედ (ასეულს მეთაურობდა კვანტრიშვილი). 2006 წლის 12 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე, იგი სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის №510-ე ბრძანებით, მარნეულიდან მივლინებულ იქნა სოფელ მუხროვანში დისლოცირებული მეოთხე ქვეითი ბრიგადის 43-ე ბატალიონში, ახალწვეულთა სასწავლო შეკრებაზე, ე.წ. „კარანტინში".

2006 წლის 7 ნოემბერს, სამხედრო პოლიციამ თამაზ ბლიაძე დააკავა და თაღლითობაში, სხვისი ქონებისა და თანხის მისაკუთრებაში დაადანაშაულა. თითქოს „კარანტინის" მიმდინარეობისას, თამაზ ბლიაძემ ჯარისკაცებს უბრძანა, მათ ხელთ არსებული ფულადი თანხა და სამკაულები მისთვის გადაეცათ, რისი სიაც შედგებოდა და ფიცის მიღების შემდეგ უკან დაუბრუნდებოდათ. გამოძიება ბლიაძეს ედავებოდა, რომ ჩამორთმეული ნივთები მან აღარ დააბრუნა. თუმცა ბრალდების ამ ნაწილში ბლიაძე გამართლდა.

2006 წლის 25 ოქტომბრის შეკრებაზე მყოფი 149 ახალწვეულისთვის თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელფასები დაირიცხა — თითოეულზე 3.40 ლარის ოდენობით (სამი ლარი და 40 თეთრი), სულ 508 ლარი. ხელფასი ნაწილისთვის სათანადო უწყისით ანჟელინა ყიფიანს უნდა გადაეცა (საფინანსო სამსახურის ყოფილი ხაზინადარი). მან თამაზ ბლიაძეს გადასცა ეს თანხა, რათა შემდეგ ჯარისაცებისთვის დაერიგებინა. გამოძიებამ ბლიაძეს ბრალი დასდო ამ თანხის მითვისებაში. ბლიაძე ჯარისკაცებს შეუთანხმდა და ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ მათთვის პირადი ჰიგიენის ნივთები — საპონი, კბილის ჯაგრისი, სამართებელი, კბილის პასტა და სხვა რამ — ეყიდა.

— თამაზ ბლიაძის უფლებამოსილებაში თუ შედიოდა ჯარისკაცების ხელფასის განკარგვა?

— არ შედიოდა, მაგრამ დაკითხვაზე ანჟელინა ყიფიანმა თქვა, — ასეულის მეთაურმა, კვანტრიშვილმა მიბრძანა, ფული ბლიაძეს ჩააბარეო. ჯარისკაცებმა ფულის აღებაზე უარი თქვეს, — სამ ლარს რაში გამოვიყენებთო, და ამჯობინეს, ფული შეეკრიბათ და ის საჭირო ნივთები შეეძინათ. ბიჭებმა ეს სასამართლოზეც დაადასტურეს. არც ერთ მათგანს არ აქვს პრეტენზია კაპიტნის მიმართ. მათი ჩვენებებიდან გამომდინარე, ეჭვიც არ ჩნდებოდა ამ ეპიზოდში ბლიაძის ბრალეულობაზე — პირიქით, მას დადებითად ახასიათებენ.

ბლიაძემაც განმარტა სასამართლოზე — რომ არა კვანტრიშვილის ბრძანება, ფულს არ დავიტოვებდიო. პირველი ინსტანციის სასამართლოზე მანვე განმარტა: *„484 ლარი რომ ჩამაბარა, ყიფიანმა ამიხსნა, რომ ხარჯთაღრიცხვა შედგებოდა და პირდაპირ მითხრა: ამ თანხის გაცემაზე შენ ხარ პასუხისმგებელიო. თანხა ავიღე და ნივთები ვიყიდეთ".* ბლიაძემ დარჩენილი თანხა კანცელარიაში შეინახა, რომელიც მისი მოადგილის, ყელბერაშვილის ფორმის ჯიბიდან ამოიღეს.

— რატომ?

— თანხა სადღაც ხომ უნდა შეენახათ?! იქ სეიფი არ იყო, ამიტომაც ფორმის ჯიბეში ჩადეს. თამაზ ბლიაძეს არც ერთი ბრალი არ დაუდასტურდა — არც თაღლითობა, არც სხვისი ნივთების მისაკუთრება და არც თანხის გაფლანგვა. ამოღებულ იქნა 440 ლარი, დანარჩენი დახარჯული თანხის დამადასტურებელი ქვითრებიც თან ჰქონდა. მტკიცებულებებით არ დადასტურებულა, რომ იმ თანხის მისაკუთრებას ვინმე აპირებდა. ეს იყო მხოლოდ ეჭვი და ვარაუდი.

— მაშინ, როდესაც ბლიაძეს ორივე ბრალი მოეხსნა და გამართლდა, რატომღა წაუყენეს ახალი მუხლი?

— ჩვენ საჩივარი შევიტანეთ საგაპელაციო სასამართლოში. ის დაკმაყ-

ოფილდა, რის შემდეგაც ბლიაძეს ორივე მუხლი მოეხსნა, თუმცა წაუყენეს ახალი, 333-ე მუხლის მესამე ნაწილი — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ავდექით და შევადგინეთ საკასაციო საჩივარი, რომელიც 2008 წლის 24 მარტს შევიდა უზენაეს სასამართლოში (მოსამართლე ოშხარელთან). საჩივრის ვადა 24 სექტემბერს ამოიწურა. გამომძიებელმა ქევხიშვილმა, რომელიც ბლიაძეს თაღლითობაში სდებს ბრალს, თავად ჩაიდინა თაღლითობა და დოკუმენტი გააყალბა.

— რას გულისხმობთ?

— ქევხიშვილმა თანამდებობა ბოროტად გამოიყენა და ყალბი დოკუმენტი გასცა. მან ბლიაძეს მისწერა, რომ თითქოს მისი საკასაციო საჩივარი მოსამართლე ოშხარელმა დაუშვებლად ცნო 28 იანვარს (საჩივარი 24 მარტს შევიტანეთ; სექტემბერში — ანუ 6 თვის შემდეგ უნდა განეხილათ და იანვარში როგორ ცნობდა მოსამართლე დაუშვებლად?). თქვენი სასჯელი — 8 წელი ძალაში დატოვაო. ქევხიშვილმა საქმის განუხილველად, წინასწარ გამოხატა მოსამართლის ინტერესები.

ჩვენ ვითხოვთ გამამართლებელ განაჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს მივმართავთ. არსებობს ყველანაირი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ბლიაძეს თანამდებობა ბოროტად არ გამოუყენებია და არც თაღლითობა ჩაუდენია. სულ დაკითხულია 64 მოწმე. არც ერთი მათგანი ბლიაძეს ხელს არ ადებს. მიგვაჩნია, რომ მისი დაკავება მიზანმიმართულად მოხდა.

— მაინც ვის ინტერესებს შეეწირა კაპიტანი ბლიაძე?

— ვისი და, სამხედრო მაღალჩინოსნების. როგორც ჩანს, ალეკო სუხიტაშვილს (თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე), ელგუჯა დემეტრაშვილსა (სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი) და ასმეთაურ კვანტრიშვილს უნდოდათ ბლიაძის მოშორება და მოიშორეს კიდეც. ბლიაძის დაკავებიდან მეორე დღეს მოხსნეს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. რაც შეეხება ელგუჯა დემეტრაშვილს, ისიც სასჯელს იხდის: წვრთნების დროს ქუთაისში სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა. მას ხელი ჰქონია მოწერილი საბუთზე, რომ ვერტმფრენი გამართული იყო. 7 წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა.

— ცნობილია, რომ ჯარისკაცების ნივთებს ბლიაძის ოჯახში ეძებდნენ. თუ აღმოაჩინეს რამე?

— ბლიაძის ბინა ისე გაჩხრიკეს, რომ ბრძანება გაცემული არ ყოფილა. თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფს სამხედრო გამომძიებელი, რამაზ მეთოფიშვილი ხელმძღვანელობდა. მან 6 კაცი გაგზავნა ბლიაძის ოჯახში (ბლიაძეს საკუთარი სახლი არ აქვს, ცოლისდის ბინაში ცხოვრობდა მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად). მათ ჯარისკაცების ხის ჯვრების ამოღება სურდათ. ბინაში ვერაფერი იპოვეს, სამაგიეროდ, თან წაიღეს დაახლოებით 20 ათასი დოლარის ღირებულების ოქროს ძველისძველი სამკაულები, რომლებიც ბლიაძის ცოლის ბებიის საკუთრება იყო.

— ოჯახის კუთვნილი ნივთები ალბათ მოგვიანებით დააბრუნეს...

— ნივთები მათთვის დღემდე არავის დაუბრუნებია. მეთოფიშვილმა ოქროულობა მიითვისა და გაიქცა. მასზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. გაქცევაში მას, თავად სამართალდამცველებმა შეუწყვეს ხელი. ადამიანი ციხეში ჩასვეს, სიცოცხლე გაუმწარეს და ოჯახიც გაუძარცვეს.

როცა ნაჭრის ტომსიკა გახსნეს, სადაც ოქროული უნდა ყოფილიყო, იქ მხოლოდ ერთი პატარა ჯვარი დახვდათ. ალბათ ვერ შენიშნეს ამოღებისას. არადა, სულ ლალის და ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი სამკაულები ჰქონდა წაღებული მეთოფიშვილს.

მაკა მაისურაძე, თამაზ ბლიაძის მეუღლე:

„ჩემი მეუღლე დაკავებამდე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, კერძოდ — ასეულის მეთაურის მოადგილედ მუშაობდა. მიღებული აქვს უმაღლესი სამხედრო განათლება. ვიდრე დააპატიმრებდნენ, მას მარნეულიდან მუხროვანში ახალწვეულები ჰყავდა წაყვანილი, წვრთნებს გადიოდნენ. ერთი თვის შემდეგ მარნეულში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ამასობაში, ხელფასები მუხროვანში ჩავიდა. თამაზმა მხოლოდ უფროსების ბრძანება შეასრულა, კერძოდ — ასმეთაურ კვანტრიშვილისა და დემეტრაშვილის. სწორედ მათ უბრძანეს, ხელფასები არ გაეცა. 30 ოქტომბერს ახალწვეულები ალექსეევკაში ჩაიყვანეს, ფიცი მიაღებინეს და მერე მარნეულში წაიყვანეს. მეორე დღეს, თავს სამხედრო პოლიციაც დაადგა. კაბინეტში შევიდნენ და თამაზის მოადგილის, ყელბერაშვილის ფორმის ჯიბიდან 440 ლარი ამოიღეს. თამაზი და ჯარისკაცები შეთანხმდნენ, კუთვნილი ხელფასებით კაცზე (3 ლარი და 40 თეთრი) საჭირო ნივთები ეყიდათ. ჩემი ქმარი ნივთების შეძენას მარნეულში აპირებდა. ვინაიდან კაბინეტში სეიფი არ ჰქონდათ, თანხა ფორმის ჯიბეში ჩადეს. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და გათვლილი. ჩემი მეუღლის დაპატიმრებაში ფიგურირებენ მისი მეთაურები — დემეტრაშვილი და კვანტრიშვილი, რომლებიც მას უპირისპირდებოდნენ, თუმცა დღემდე არ მესმის, რას ერჩოდნენ. თამაზთან ორი კვირის წინ ვიყავი შესული ციხეში, გვერდით დემეტრაშვილი მეჯდა (მასთანაც მეუღლე იყო პაემანზე), რომელიც თვალს ვერ მისწორებდა. მითხრა — ამ საქმეში გარეული არ ვარო, მაგრამ არ მჯერა. თამაზი მიზანმიმართულად დააპატიმრეს. ჩემს ქმარს „კარანტინი“ არ ევალებოდა (ასმეთაურს უნდა მიეხედა ჯარისკაცებისთვის), მაგრამ რატომღაც იქ თამაზი გაუშვეს. დემეტრაშვილი საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსი იყო. მან ერთხელ, თამაზი და მისი მოადგილე ყელბერაშვილი დაიბარა და ჩემს მეუღლეს დაემუქრა — ბორკილებისთვის გაემზადეო. მუხროვანშიც დაურეკა და კვლავ დაემუ-

უიღბლო მძარცველები

ორმა სერბმა მძარცველმა ბელგრადის ერთ-ერთ საცხოვრებელ კვარტალში ბინა გატეხა და ფული და ძვირფასეულობა, კერძოდ კი ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი საათი მოიპარა. ის-ის იყო, დანაშაულის ადგილის დატოვებას აპირებდნენ, მაგრამ ლიფტში გაიჭედნენ. თვითმხილველთა განცხადებით, მათ ლიფტიდან შუშის მსხვრევის ხმა შემოესმათ და პოლიცია გამოიძახეს. როგორც აღმოჩნდა, ბოროტმოქმედებმა ლიფტიდან თავის დასაღწევად, კაბინის კარი გაანგრიეს, მაგრამ პოლიციამ მიუსწრო და სამხილით ხელში დააკავა. უიღბლო მძარცველები აცხადებენ, რომ მათ „ბინა შეეშალათ“. მიმდინარეობს გამოძიება.

ქრა. დავით კეზერაშვილის სახელზე რამდენჯერმე შევგზავნეთ წერილი, მაგრამ გაირკვა, რომ მათ ალეკო სუხიტაშვილი (სუხიტაშვილი და დემეტრაშვილი მეგობრობდნენ) ბლოკავდა.

თამაზი ჯარს უმაღლეს დონეზე ამზადებდა, ალბათ ამიტომაც აითვალწუნეს... ჩანს, მასზე შური იძიეს, მაგრამ რისთვის — უცნობია. თამაზმა კვანტრიშვილის ბრძანებით არ გასცა ხელფასები. რომ არა სიტყვიერი ბრძანება, მას არ დააპატიმრებდნენ. კვანტრიშვილსაც სუხიტაშვილი მფარველობდა და მას ხომ არ დააჭერინებდა?! ამიტომაც თამაზი გაწირეს.

ქმრის უკანონოდ დაპატიმრება არ გვაკმარეს და გაგვძარცვეს კიდეც — ბინის ჩხრეკისას, გამომძიებელმა რამაზ მეთოფიშვილმა 6 პოლიციელი გამოგზავნა, იარაღს და ნივთმტკიცებებს ეძებდნენ. ვერაფერი იპოვეს; მერე გვითხრეს, მოგვეცით ოქროულიო. რას ვიფიქრებდი, ამას თუ იკადრებდნენ?! ჩემი ხელით გადავეცი დედის ბებიის დროინდელი ოქროს ძველებური ნივთები. სასამართლოს შემდეგ ნივთები უნდა დაებრუნებინათ, ისინი სამხედრო პოლიციაში ინახებოდა. როცა მეთოფიშვილთან ჩვენი ადვოკატი შევიდა და ნივთები მოსთხოვა, მან უთხრა, პროკურატურიდან ნივთების დაბრუნებაზე თანხმობის დამადასტურებელი წერილი მომიტანეთო. მიუტანა, მაგრამ რა? მეთოფიშვილი ერთ თვეს იმალებოდა, ნივთები გაიტაცა, პროკურატურას კი ფარად იყენებდა. როდესაც მისი კაბინეტი გაჩხრიკეს, პროკურატურის თანამშრომელმა ამოიღო ქსოვილის ტომსიკა, სადაც ნივთები უნდა ყოფილიყო. ის გაბერილი და დალუქული იყო. ჩვენ თვალწინ გახსნეს, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა, — მასში მხოლოდ ცალი საყურე და პატარა ჯვარი იდო. ვითომ გამომძიებლის მიმართ საქმე აღძრეს, სინამდვილეში კი გააპარეს. როგორც ამბობენ, ბელგიას აფარებს თავს.

სხვათა შორის, მეთოფიშვილმა დემეტრაშვილიც გაძარცვა (მის საქმესაც ის იძიებდა) ჩხრეკისას, გაიტაცა ერთი სერჟანტის ნივთებიც... ჩემი მეუღლე ორი თვის განმავლობაში შინ არ იყო ნამყოფი და როგორ მოიტანდა ჯარისკაცების ნივთებს?! პოლიციელებმა ოჯახიდან ხელს 160 ლარიც გააყოლეს. მათ დღემდე არაფერი დაუბრუნებიათ. ჩანს, გასაძარცვავად იყვნენ მოსულები.

ყველა ინსტანციას მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. ციხეში ზის უდანაშაულო ადამიანი და სამართალს ვერ ვპოულობთ. ახლახან, გამომძიებელმა ზეპირად გამოუტანა განაჩენი ჩემს მეუღლეს. ყველანაირი საოცრება ჩვენ გადაგვხდა თავს... პრეზიდენტსაც მისწერა წერილი. არჩევნების პერიოდში (მაისში) 13 დღე შიმშილობდა. ძალიან ცუდად გახდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს, ძლივს მოვასულიერეთ. ყურადღება არავინ მოგვაქცია...

თამაზი თავს საქმეს ყოველთვის პირნათლად ასრულებდა, აკი ამიტომაც დააჯილდოეს დაკავებამდე ორი დღით ადრე. სიგელი ალან ლაკოევმა გადასცა. დემეტრაშვილმა ჩამოართვა თამაზს სიგელი და დაპატიმრების შემდეგ დაგვიბრუნა. როდესაც ლაკოევთან დახასიათებისთვის მივედით, გვითხრა, ამხელა სიგელი მივეცი, რაღა დახასიათება გინდათო?!

თამაზი ითხოვს, მასთან შევიდეს ვინმე კომპეტენტური პირი, მოუსმინოს, რომ სიმართლე გაირკვეს. ის ხომ სხვისი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს"...

P.S. როგორც ცნობილი გახდა, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა თამაზ ბლიაძის სარჩელის განხილვაზე იმ მოტივით, რომ „გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან" და რომ „საქმე არ არის მნიშვნელოვანი, სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის". ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 90

ამერიკული არმია „აზრის ძალის მართვის" მეთოდების დამუშავებას სრული სერიოზულობით შეუდგა

მეთაური, რომელიც ბრძანებებს ხმამაღლა გაჰყვირის, ადრე თუ გვიან, წარსულს ჩაჰბარდება. სწორედ ამიტომაცაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ 4-მილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა კომპანიასთან, რომელიც ტვინში უხმო იმპულსების დამთვლელი და სამხედრო მოსამსახურეთა შორის საიდუმლო კავშირების განსახორციელებელი „ტელეპათიური ჩაფხუტის" შექმნას შეუდგა. სამხედროები იმედოვნებენ, რომ საბოლოო ჯამში, ამ გზით „საომარი ტექნიკის უშუალო ტელეპათიური მართვა მხოლოდ და მხოლოდ აზრის ძალით" იქნება შესაძლებელი.

დღეს შეიძლება, ეს ყველაფერი მავანს ბოდვადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ კომპიუტერების სიმძლავრეების ზრდა და ტვინის მუშაობის მექნიზმში ფართოდ შეღწევა, მეცნიერებს კიდევ უფრო ენერგიული მუშაობისა და იმ სახასიათო ნეიროლოგიური სიგნალების გამოვლენისკენ უბიძგებს, რომლებიც ტვინში მაშინ გაიელვებს ხოლმე, როცა ადამიანი ფიქრში საკუთარ

თავს ელაპარაკება. სამხედროების საწყის ამოცანას იმპულსების იმ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით დაჭერა და ხმოვან სიგნალებად გარდაქმნა წარმოადგენს, რომელიც შემდეგ ბრძოლის ველზე მყოფ სხვა სამხედროებს რადიოს მეშვეობით გადაეცემა. „ეს იქნება რადიომიკროფონის გარეშე, — ამბობს პროგრამის დირექტორი, სამხედრო მკვლევარი, ნეიროფიზიოლოგი, დოქტორი ელმარ შმაისერი, — რამდენადაც სამხედროებს უკვე ნასწავლი აქვთ აზრის ზუსტი, მკაფიო და სტერეოტიპული გამოთქმებით გამოხატვა, ამავე მეთოდით ფიქრის უნარის შეძენამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება".

„ბ" კატეგორიის „ბოევიკების" მცოდნეებს შესაძლოა, ახსოვთ, კლინტ ისტვუდის ერთ-ერთი გმირი, რომელიც ინტერფეისის „ტვინი-კომპიუტერის" მსგავსი ტექნოლოგიით სარგებლობს. ფილმში ლაპარაკია საბჭოთა გამანადგურებელზე, რომელსაც მფრინავი აზრობრივად მართავს, ისტვუდის გმირი კი, რაღა თქმა უნდა, ამ თვითმფრინავის მოტაცებას ცდილობს. სადღეისოდ ეს იდეა, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური აღარცაა. მეტიც, გეიმერები უკვე მოუთმენლადაც კი ელიან 2009 წლის ზაფხულის დადგომას, როცა სანფრანცისკოული ფირმა Emovit Systems ბაზარზე პრიმიტიულ ტექნოლოგიურ მოწყობილობას — 299 დოლარად ღირებულ, ტვინის იმპულსების დაჭერის ტექნოლოგიით მოქმედ ჩაფხუტს გამოიტანს.

მაგრამ არმია გეიმერებზე ბევრად უფრო ნელა მიიწევს წინ. ამიტომაც, იმ მოწყობილობის მატერიალური ხორცშესხმა (აღარაფერს ვამბობთ მის პრაქტიკულ გამოყენებაზე), რომელსაც სამხედროები ამუშავებენ და რომელიც ზემოთ ნახსენებზე ბევრად უფრო რთული იქნება, მხოლოდ 10 ან სულაც 20 წლის შემდეგღა თუ მოხერხდება. ხუთნლიან კონტრაქტში, რომელიც არმიამ გასულ წელს ტენდერში გამარჯვებული რამდენიმე (კერძოდ, კალიფორნიის, კარნეგი მელონისა და მერილენდის) უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფთან გააფორმა, „ტვინის მოქმედების გაშიფვრის" ამოცანაა დასმული. სამხედრომ ერთი ან რამდენიმე თანამებრძოლისთვის რადიოთი გადასაცემი ბრძანებები უბრალოდ თავისთვის უნდა ჩაილაპარაკოს და თან მათზე იფიქროს, ვისთვისაც ამ ბრძანების გადაცემა სურს. თავიდან ალბათ, „რეციპიენტები" ყურსასმენებში სინთეზურ ხმას გაიგონებენ, რომელიც შეტყობინებას წაიკითხავს. მაგრამ მეცნიერებს, ადრე თუ გვიან, ისეთი ვერსიის შემუშავების იმედიც აქვთ, რომლის მეშვეობითაც, გადამცემსა და მიმღებს შორის მანძილიც განისაზღვრება.

„სრული უძრაობის შენარჩუნების პირობებშიც კი მებრძოლების ერთმანეთთან ურთიერთობა — როგორც საომარი მოქმედებების გასაუმჯობესებლად, ისე სამხედრო დანაკარგების შემცირების მიზნითაც, ფასდაუდებელი იქნება, — ნათქვამია იმ კონტრაქტის განაცხადში, რომელიც სამხედროებმა გასულ წელს შეადგინეს, — ახალ რევოლუციურ ტექნოლოგიას უხმო ურთიერთობისა და იმ ადგილებში ორიენტაციისთვის გამოიყენებენ, რომლებიც, მათი რელიეფიდან გამომდინარე, გარე წყაროებიდან წამოსული ხმისა და სინათლისადმი შეუღწევადია".

მთავარი სირთულე ისეთი კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასთანაა დაკავშირებული, რომლებსაც მეტყველების შესაბამის, ტვინის იმპულსებში შეღწევა შეეძლება. ამ იმპულსების „დაჭერა" ჩაფხუტში ჩამონტაჟებული 128 მიმღებისგან შემდგარი სისტემის მეშვეობით გახდება შესაძლებელი. მიმღები იმ სუსტ ელექტრულ მუხტებს დააფიქსირებს, რომლებიც ფიქრის დროს ჩვენი ტვინის ნეირონული ჯაჭვებით გენერირდება. საბოლოო ჯამში, ერთგვარი ელექტროენცეფალოგრამა — ეკრანზე ასახული რაღაც აბსურდული გამოსახულების მთელი ტევრი — მიიღება. ამ უკანასკნელს კი მკვლევრები იმ იმპულსების გამოსავლენად შეისწავლიან, რომლებიც ურთიერთობის გასაღებს წარმოადგენს. „ჩვენ კომპიუტერს ამ ნაჯღაბნის გაგებას ვასწავლით — რათა მან ადამიანის ტვინის მიერ პირისა და ყურისთვის მიცემული ბრძანებების შეჯერება შეძლოს", — განმარტავს დოქტორი შმაისერი, — სამწუხაროდ, ნაჯღაბნში ერთადერთი საჭირო ხაზის მოძებნაზე ლაპარაკი ნამდვილად არ არის, რადგან მეტყველებაზე პასუხისმგებელი არანარი „ოქროს ნეირონი" არ არსებობს".

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორის — მაიკ ზმუდას თქმით, მათ წინაშე მდგარი ამოცანა მაკარონით სავსე თეფშში ცალკეული, საჭირო „ღერების" პოვნის მსგავსია. „ამისთვის კი მარტო სპაგეტის მნიშვნელოვანი ფრაგმენტების გამოცალკევება კი არა, ზოგჯერ მათი გაგლეჯვა და სხვასთან „მიერთებაც" გვიწევს. მაგრამ რადგანაც კომპიუტერების სიმძლავრეები განუხრელად იზრდება, ამ ამოცანასთან გამკლავება რეალურად და რეალურ დროში იქნება შესაძლებელი", — განმარტავს მეცნიერი. მისივე თქმით, მეცნიერებს მომხმარებლებისთვის დამატებით „ხმამაღლა" ფიქრის სწავლებაც მოუწევთ...

ელმარ შმაისერი და მაიკ ზმუდა იმ მოსალოდნელ ბრალდებებსაც ითვალისწინებენ, რომელთა თანახმადაც, მეცნიერები სამხედროებს უკვე „პირდაპირ თავებში უძვრებიან". „ძალიან ბევრი მიიჩნევს, რომ რადგან ადამიანის თავიდან „მავთულებია ამოშვერილი", რაღაც აზრების კითხვის მსგავსს უნდა ჰქონდეს ადგილი, — ამბობს ზმუდა, — მაგრამ ჩვენი მეთოდი უბრალოდ არ იძლევა ამაზე გადასვლის საშუალებას; მეტიც, რადგანაც ყოველი თქვენგანის ტვინი თავისებურად უნიკალურია, თავადვე უნდა ასწავლოთ ტექნიკურ მოწყობილობას თქვენი აზრების კითხვა. ამის გაკეთება კი თქვენი სურვილისა და თქვენსავე აქტიური და მუდმივი დახმარების გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება".

დაბოლოს, მეცნიერებს არც სამოქალაქო ტექნიკისთვის განკუთვნილი პოტენციური მიღწევები ავიწყდებათ. „ხშირად გაღიზიანებენ ფიჭური ტელეფონის ყურმილში მთელი ხმით მყვირალი ადამიანები?" — სვამს კითხვას შმაისერი და იქვე დასძენს: „ვითომ რა მოხდებოდა Bluetooth-გარნიტურების ნაცვლად Bluetooth-ჩაფხუტები რომ გამოსულიყო და ამ მყვირალა ადამიანებს უკვე მოკუმული პირებით „ელაპარაკათ", თქვენ ირგვლივ კი სასიამოვნო სიჩუმე გამეფებულიყო?" რა მოხდებოდა და, ალბათ, ეს ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის იმ მცირეოდენ სტატიათაგან ის ერთ-ერთი იქნებოდა, რომელსაც მხარს თვით პაციფისტებიც კი დაუჭერდნენ.

ჟურნალი Time (აშშ).

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

„ლინკოლნის“ კონცეპტუალური კროსოვერი

დეტროიტის ავტოსალონზე, რომელიც ფართო პუბლიკისთვის 17 იანვარს გაიხსნება, კომპანია Lincoln კონცეპტუალური კროსოვერის — MKT — სერიული ვერსიის წარდგენას გეგმავს. სიახლეს ააწყობენ პლატფორმაზე, რომელიც უკვე გამოიყენება Ford Flex-ზე და მომავალში ახალი თაობის Ford Explorer-ისთვისაც იქნება გამოყენებული. სერიული ავტომობილის დიზაინი კონცეპტ-ავტოს გარეგნობის მსგავსი იქნება: სავარაუდოდ, ახალ მანქანას იმავე ხაზის დიზაინით გამოუშვებენ. Lincoln MKT შესაძლოა, კლიენტებმა შეუკვეთონ ექვსი ან შვიდადგილიანი ვარიანტით, აგრეთვე Cross Traffic Alert-ის ახალი სისტემით. კროსოვერი 270 ცხ. ძალის მქონე, ექვსცილინდრიანი, 3,7-ლიტრიანი ბენზინის მოტორით ან EcoBoost-ის ოჯახის, 3,5-ლიტრიანი, V6 ტიპის, 340 ცხ. ძალის მქონე ძრავათი აღიჭურვება. ძრავები სიჩქარის გადაცემათა ექვსსაფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. ■



E-Class-ის ახალი თაობა

ამას წინათ, „მერსედეს ბენცმა“ კონცეპტ-ავტოს — Fascination — ოფიციალური ფოტოები გაავრცელა, რაც იმის შესახებ გვიქმნის შთაბეჭდილებას, თუ როგორი იქნება E-Class-ის ახალი თაობა. ისე კი, მანქანის ნახვა უახლოეს მომავალში უკვე შესაძლებელი გახდება პარიზის ავტოსალონზე. E-Class-ის ახალ პლატფორმაზე შექმნილ პროტოტიპს Shooting Brake-ს სამკარიანი ძარა ერგო, მაგრამ ასეთი ეგზოტიკური გარეგნობის მქონე ავტომობილი კონვეიერში არ მოხვდება. ამასთან, პროტოტიპის მიხედვით მაინც შეიძლება სერიული მანქანის წინა მხარის გაფორმებაზე შეგვექმნას წარმოდგენა. მაგალითად, შუქფარებმა რომბისებური ფორმა მიიღეს. კონცეპტ-ავტოს მოძრაობაში მოიყვანს ახალი ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური, ოთხცილინდრიანი, 2,2-ლიტრიანი, 204 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე დიზელის ძრავა. ამ მოტორს ჯერჯერობით სერიულ ავტომობილზე არ აყენებენ, მაგრამ მიმდინარე წელს მისი დებიუტი უკვე ახალ Mercedes-Benz C250 CDI Bluefficiency Prime Edition-ზე შედგება. ახალი E-Class 2009 წელს ფრანკფურტის ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი, ხოლო 2010 წელს დილერცენტრებში სერიული მანქანებიც გამოჩნდება. ■

„ლოტუსის“ სპორტავტო

კომპანია Lotus-მა სპორტავტოს — Europa — სპეციალური ვერსია წარმოადგინა, რომელიც ბრიტანული მარკის 60 წლისთავისადმი იყო შექმნილი. ამ ავტომობილის ინტერიერის ზოგიერთი დეტალი ბრილიანტებითაა გაწყობილი, რაც საერთო ჯამში, 111 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულებისაა. იგი ინგლისურმა ფირმამ — Winsor Bishop — დაამზადა. ავტომობილის სრული ღირებულება კი — 150 ათასი გირვანქა სტერლინგია. სპორტავტოში ბრილიანტები სიჩქარის გადაცემათა კოლოფის სახელურზე, ზოგიერთ გადამრთველზე, სპიდომეტრის სკალის გარშემო და ტაქსომეტრზეა დამაგრებული, აგრეთვე ლოგოტიპზე — Lotus — რომელიც მანქანის „ცხვირზეა“ მოთავსებული. გარდა ამისა, საიუბილეო ავტომობილის უნიკალური ძარა შავადაა შეღებილი. მას ტონირებული მინები და ვერცხლისფერი ბორბლების დისკები აქვს. უახლოეს მომავალში, ავტომობილი მარკის საიუბილეო ზეიმზე, საერთო სახალხო დათვალიერებაზე ჰეტელში Lotus-ის ქარხანაში იქნება წარდგენილი. კომპანიაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ჩვენების დროს, უსაფრთხოების მიზნით, მანქანაზე დამაგრებულ ბრილიანტებს, იმიტირებულით შეცვლიან. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲨᲞᲡ. „ᲔᲚᲕᲐᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ“
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

1. ძალიან იშვიათი
2. ქრისტიანული დღესასწაული
3. სამგიდო თამაში
4. მთვარეული
5. სარწმუნოება
6. სპილბერგის ფილმი
7. ცოცხ-ცხელება
8. დიპლომატიური წერილი
9. ჩვარი
10. ერთგვარი კანფეტი
11. კბილის ექიმი
12. დენის ძალის საზომი ერთეული
13. მარიოს დედაქალაქი
14. გერმანელი ფეხბურთელი
15. ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი
16. კუბის დედაქალაქი
17. საპერო ბრძოლის ოსტატი
18. რუმინული ავტომობილი
19. ქათმების ოჯახის ფრინველი
20. შუაზიელი მემამულე
21. ქვეყანა აფრიკაში
22. შიში ყოველივე სიახლისა
23. სახოტბო ლექსი
24. მდინარე საქართველოში
25. უიცარი რევიზია
26. სამკაციანი ანსამბლი
27. ცხენოსანი ჯარი
28. მზის ქოლგა
29. ქალაქი საქართველოში
30. თავის კანი ომანად
31. ეროგვარი სპორტული ავტომობილი
32. ამერიკელი ჟურნალისტი
33. ქვეყანა ევროპაში
34. რუსი პოეტი
35. გარეულ ცხენებზე ბრძოლა
36. ეს, დიახ
37. გერმანული თეთრი ღვინო
38. პარკოსანი კულტურა
39. ჩეხი მწერალი
40. მზის ამოსვლა



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. პარადი; 2. ტრიბუნა; 3. ფიდელიო; 4. ჯეკ; 5. ოიდიპოსი; 6. კონდოლიზა; 7. ასიგნაცია; 8. ტაბურეტი; 9. ბულა; 10. ლადა; 11. ნოტაცია; 12. ნეი; 13. ნატურალისტი; 14. პრიორიტეტი; 15. ოსპი; 16. აგონია; 17. მონდეო; 18. ტორეადორი; 19. პირანია; 20. ხარხარი; 21. გოგო; 22. ფიგუ; 23. ფენა; 24. დომრა; 25. ია; 26. რეკეტი; 27. ალაფი; 28. რადიაცია; 29. კეპი; 30. ოდა; 31. მელოდია; 32. ეტორე; 33. ტატა; 34. ტინი; 35. შეშა; 36. ტუში; 37. ფიცი; 38. იშხანი; 39. ყაისნაღი.

სურათებზე: პატრიცია არკეტი; ედრიენ ბროდი.

შინ უფრო აქტიური ხართ თუ გარეთ?

1. რა ტიპის სამუშაო უფრო გიზიდავთ?

ა) ისეთი, რომელსაც ბევრი ფიქრი და თავის მტვრევა არ სჭირდება — 0;

ბ) ისეთი, რომელიც ჩემთვის საინტერესოა — 2;

გ) ისეთი, რომელსაც შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება — 4.

2. როგორ იქცევით, როცა თავისუფალი ხართ და არ იცით, რა აკეთოთ?

ა) ნაცნობ-მეგობრებს ვსტუმრობ ან ტელეფონით ვესაუბრები მათ — 0;

ბ) წიგნის კითხვით ვიქცევ თავს ან ინტერნეტში ჩემთვის საინტერესო რამეს ვეცნობი — 4;

გ) წინასწარ არ ვიცი, რა წამომივლის ასეთ დროს თავში — 2.

3. ბევრი ფული რომ გქონდეთ, რაში დახარჯავდით?

ა) უამრავ ისეთ რამეს შევიძენდი, რისი ყიდვის სურვილი მთელი ცხოვრების მანძილზე მქონდა, მაგრამ შეზღუდული ფინანსების გამო, ამას ვერ ვახერხებდი — 2;

ბ) ბანკში შევიტანდი, რათა ამ ფულს პროცენტი დარიცხოდა — 4;

გ) აქციებს შევიძენდი — 0.

4. როგორ წარმოგიდგენიათ ქალი და სამსახური?

ა) თუ ქალს სამზარეულოში ფუსფუსის გარდა, დამოუკიდებლობის სურვილიც აქვს, მან კარიერაზეც უნდა იფიქროს — 4;

ბ) ქალის უპირველესი დანიშნულება ოჯახის შექმნა და ქმარ-შვილზე ზრუნვაა, ამიტომ ქალი შინ უნდა იჯდეს — 0;

გ) უკეთესი იქნება, თუ ქალი ოჯახსაც მოუვლის და იმსახურებს კიდეც — 2.

5. როგორ ხართ განწყობილი უცნობი ადამიანების მიმართ?

ა) უცნობებისადმი მტრულად ვარ განწყობილი — 0;

ბ) უცნობებისადმი გულგრილი განწყობილებით გამოვირჩევი — 4;

გ) მათდამი ჩვეულებრივი განწყობილება მაქვს — 2.

6. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა გადაუჭრელი პრობლემები?

ა) როგორც ამბობენ, ამქვეყნად სიკვდილის გარდა ყველაფერს ეშველება — 4;

ბ) სამწუხაროდ, არსებობს — 2;

გ) რასაკვირველია, არსებობს და თანაც, საკმაოდ მრავლად — 0.

7. არჩევანის წინაშე რომ დამდგარიყავით, საინტერესო საქმეს ამჯობინებდით თუ მომგებიანს?

ა) რაღა თქმა უნდა, საინტერესოს — 2;

ბ) რაღა თქმა უნდა, მომგებიანს — 0;

გ) უმჯობესია, თუ საინტერესოც იქნება და მომგებიანიც — 4.

8. რა რეაქცია გაქვთ, როცა ვინმე გიყვირით?

ა) მაქსიმალურად ვცდილობ თავის შეკავებას — 4;

ბ) თავშეკავებით და კორექტულად ვპასუხობ — 2;

გ) ბუნებრივია, მეც ყვირილზე გადავდივარ — 0.

9. ინტუიციას უფრო ენდობით თუ ახლობლების რჩევა-დარიგებებს უფრო ითვალისწინებთ?

ა) გააჩნია, რა სიტუაციაში ვიმყოფები — 2;

ბ) საკუთარ ინტუიციას უფრო ვენდობი — 4;

გ) უფრო ხშირად ახლობელის რჩევა-დარიგებებს ვუგდებ ყურს — 0.

ტესტის შედეგები

0-10 ქულა: შინ უფრო აქტიური ხართ, ვიდრე გარეთ; შესაბამისად, ოჯახური საქმეები უფრო გიზიდავთ, ვიდრე კარიერა. სამაგიეროდ, თქვენ მიერ არჩეულ ასპარეზზე შეუდარებელი ბრძანდებით და ყველაფერი ზედმიწევნით მოწესრიგებული გაქვთ.

12-30 ქულა: რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, როგორც ჩანს, საკუთარ თავში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულხართ. თქვენ გიჭირთ საბოლოო არჩევანის გაკეთება. არადა, დრო სწრაფად გარბის, ასე რომ, დროულად უნდა ეწიოთ რამეს. თუკი მოინდომებთ, წარმატების მიღწევას ორივე ასპარეზზე შეძლებთ.

32-36 ქულა: ჭეშმარიტი ლიდერის თვისებებით გამოირჩევით. ხელგეწიფებათ წარმატებების მიღწევა როგორც ბიზნესში, ასევე სახელმწიფო სამსახურში. რაც შეეხება ოჯახს და საოჯახო პრობლემებს, თქვენ ის ნაკლებად გაინტერესებთ და ალბათ, ეს არც არის გასაკვირი.

6 134/33

ჰოროსკოპი

(25 სექტემბერი – 1 ოქტომბერი)

ფარაონი

საოცრად იდუმალებით მოცული პერიოდია — წინ ფარული შეხვედრები, საქმეები და ურთიერთობები გელით. შესაძლოა, ორ სასიყვარულო პარტნიორს შორის არჩევანის გაკეთებამ მოგიწიოთ.

ქუჩრი

ამ პერიოდში მეტად მგრძნობიარე იქნებით, ამიტომ ეცადეთ, თავი შეიკავოთ კამათისგან. სახლისა და ოჯახის საქმეები ყველაზე დიდ პრობლემად მოგეჩვენებათ, მაგრამ მათ მოგვარებას ადვილად მოახერხებთ.

ტყუპი

დროის მოცემული მონაკვეთი ხელსაყრელი იქნება შემოქმედებითი წამოწყებებისთვის; ეს თქვენი პოტენციალის გამომჟღავნებას შეუწყობს ხელს. უცხოელებთან ერთიერთობა თქვენს ავტორიტეტს საგრძნობლად აამაღლებს. სიყვარულსა და პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად არახელსაყრელი პერიოდია.

ქიბრიხლიბი

ადვილად განახორციელებთ ახალ იდეებს და წარმატების მომტან ხელშეკრულებებსაც დადებთ. შეგიძლიათ, სოციალურ პროექტებში ჩაერთოთ და ქველმოქმედებასაც მიჰყოთ ხელი. უთანხმოების შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანს პირისპირ სერიოზულად დაელაპარაკებით.

ლიმი

საოცრად გულკეთილი და ხელგაშლილი იქნებით, რითიც გარშემო მყოფთა აღტაცებას გამოიწვევთ. ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს, იზრუნეთ მათ განათლებასა და სულიერ განვითარებაზე. ამ პერიოდში გამახვილებული გექნებათ წინათგრძნობის უნარი, რაც შემდგომი მოვლენების წინასწარ გათვლაში შეგიწყობთ ხელს.

უბანგწუდი

გირჩევთ, საიდუმლო და საეჭვო საზოგადოებასა თუ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას მოერიდოთ; შესაძლოა, ამის გამო ავტორიტეტი შეგელახოთ. თქვენი გული სიყვარულითა და კმაყოფილებით აღივსება — არ არის გამორიცხული, რომ დაკარგული სიყვარული დაგიბრუნდეთ.

სანსწორი

ამ პერიოდში საკუთარი თავით, ჯანმრთელობითა და პირადი ცხოვრებით იქნებით დაკავებული და ოჯახში უამრავ რეფორმას განახორციელებთ. ამან შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ ბავშვებთან, მეუღლესთან და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაში.

მორიბიდი

პროფესიონალური საქმეების გამო შესაძლოა, პირად შეხვედრებთან დაკავშირებული გეგმები შეგეცვალოთ, რაც სასიყვარულო ასპარეზზე პრობლემებს შეგიქმნით. სჯობს, გულდასმით დააკვირდეთ სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგათ გადამწყვეტი ნაბიჯი.

ეფვიდგლოსანი

სრულად გამოამჟღავნეთ ლიდერისა და ორგანიზატორის თანდაყოლილი თვისებები. სექტემბრის ბოლო დღეები, სასურველია, ერთობლივ შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოთ. კოლეგები დაგეხმარებიან მიზნის მიღწევაში.

ოხიბ ჩუბ

თქვენი აქტიურობა პიკს მიაღწევს. დროულად გადადგმული ნაბიჯი პოზიციების გამყარებასა და საწადლის მიღწევაში დაგეხმარებათ. ხელსაყრელი დრო დაწყებული რომანტის ან მშენებლობის დასასრულებლად.

ეთიწყუდი

თავშეკავებულად მოიქეცით პარტნიორებთან და ნურაფერში შეეწინააღმდეგებით, რადგან მათთან ერთად წამოწყებული პერსპექტიული საქმეები დიდ მოგებას მოგიტანთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ნურავის მოუყვებით, რათა გული არ გატკინონ.

ობეზლიბი

საქმესა და პირად ცხოვრებაში მიღწევების გამო, გარშემო მყოფთა თვალში თქვენი ავტორიტეტი საოცრად გაიზრდება. რომატიკული სასიყვარულო ურთიერთობები ამ დროს მთელ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს და უზომო სიამოვნებას მოგიტანთ.

ფინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	2	9	6	4	8	3	5	7
4	8	3	9	5	7	2	6	1
7	5	6	1	2	3	9	4	8
3	1	7	8	6	4	5	2	9
2	9	5	3	7	1	4	8	6
8	6	4	5	9	2	1	7	3
6	7	2	4	3	9	8	1	5
9	4	1	7	8	5	6	3	2
5	3	8	2	1	6	7	9	4

6	3	2	7	5	9	8	4	1
8	4	7	3	1	6	5	9	2
9	5	1	2	8	4	6	3	7
7	2	9	5	3	8	4	1	6
3	1	5	6	4	2	7	8	9
4	8	6	1	9	7	2	5	3
1	7	3	8	6	5	9	2	4
2	9	8	4	7	1	3	6	5
5	6	4	9	2	3	1	7	8

2	7	8	9	4	3	5	6	1
4	3	6	1	8	5	7	9	2
1	5	9	6	7	2	8	3	4
9	2	5	7	1	6	3	4	8
3	8	7	4	5	9	2	1	6
6	1	4	3	2	8	9	7	5
7	6	2	8	9	1	4	5	3
5	9	1	2	3	4	6	8	7
8	4	3	5	6	7	1	2	9

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ

5		8	1				3	6
	7		2			4		
6			5		9			8
	4	9		1	2	6		
1				6				2
		3			7	9	8	
4			3		8			7
		6			1		2	
9	3				5	8		4

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ

3			7			2		
			5			6		
6					1		8	
	5			7	3			1
		3		6		5		
9					5		4	
	9		1					2
		7			9			
		8			4			3

ᲓᲐᲑᲚᲘ

		8			9			5
			5				3	
6					2		4	
1			4		7		2	
		7			6	8		
	4		3					1
	7		9					6
	9				1			
4			2			1		

ფოტოკუთხიოზები





საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ღრმალელი — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში